# კვირის პალიტრა

№ 45 (506) ◆ 8 – 14 ნოემბერი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## „როდესაც ხან იელოველს მეძახიან და ხან სექტანტს, მწყინს“

გვ.7,13





„სააკაშვილი მალე ლომაიას მოხსნის და მე დამნიშნავს“

სულაც არ ვარ ვალდებული, მას თავი მოვაწონო, რა, საყვარლად კი არ მინდა...

## „ქარელს არ ესიამოვნა, მის „შინაურ“ საქმეებში რომ ჩავიხედეთ“

„პარაშუტითაც რომ დაშვებულიყვნენ, ჩვენი მოქალაქეების დეპორტაციის უფლება საქართველოდან არავის ჰქონდა.“

გვ.6

როგორც კი ტელევიზიით განვაცხადე ცხინვალში კონტრაბანდა შედის-მეთქი, მეორე დღეს სავსებით შეწყდა ტვირთის ნაკადი. დარწმუნებული ვარ, ჩემს ნათქვამს სეპარატისტები და მათი მთავრობა აინუნშიაც არ ჩააგდებდნენ და ამის გამო არ შეწყვეტდნენ კონტრაბანდის შემოტანას. ვფიქრობ, ქართული მხრიდან მოახდინა ვიღაცამ ამაზე გავლენა, ამ საქმეში ქართველებიც არიან ჩართული, ეს არ არის მხოლოდ ოსების მიერ კონტროლირებადი ტვირთი.



## „მამალი“ გიჟები და დიპლომიანი „შერეკილები“ ქართულ ფსიქიატრიაში

„ეგ მამალი გიჟია, მანანა შევარდნაძე უყვარსო...“

მან მანანა შევარდნაძის ნახვა მოისურვა და თაიგულით კრწანისის რეზიდენციაში მიაკითხა. დაცვამ მანანა შევარდნაძესთან არ შეუშვა, რის გამოც დაცვის წევრებთან ჩხუბი მოუვიდა. სასტიკად სცემეს, მალე კი ექსპერტ-ფსიქიატრებმა მას შეურაცხადობა დაუდგინეს... გადავირიე კაცი, სიყვარული თუ სიგიჟის მაჩვენებელი იყო, არ მეგონა. ბოლოს სილაგაძე გამოტყდა, რომ დავწერო ნორმალურია, სამსახურიდან მომხსნიანო(?!).

გვ.24,33

## „ჩვენ ცოცხლები ვართ და ვერ ელირსებიან, რომ ხელები შეგვახოცონ!“

თემის გაგრძელება



თვითმხილველის მოგონებები



„ბატონო ვალტერ, ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ ნამდვილად სამარცხვინო მდგომარეობაში აღმოჩნდებით...“

„თქვენ ის კაცი არ ხართ, სამეგრელოს ავტონომიის გამოცხადებას რომ აპირებდით?“

გვ.5,27

აბსანძემაც უღალატა ზვიად გამსახურდიას და ქობალიამაც თავის „ქვეშევრდომებთან“ ერთად... გადამწყვეტ მომენტში ერთი მოსკოვში გაიქცა, მეორე აფხაზეთში...

## სამხედრო თემაზე: შავ ზღვაში „ყინული“ მართლაც დაიძრა

გვ.8,9




## ციხიდან გაქცევის ახალი ქართული მეთოდი

გვ.5

გვირაბის გათხრა წარსულს ჩაჰბარდა...

არც გვირაბების თხრა დასჭირვებია და არც ბადრაგის მოსყიდვა... ციხის თანამშრომლებმა დაუბრკოლებლად თავად მიაცილეს ცენტრალურ გასასვლელამდე(!).

## ფალსიფიცირებული და ვადაგასული მედიკამენტები ანუ გოდიში, თქვენ გელით მოწამვლა?!

გვ.11,33




ვის დაეჯახება ამერიკის ელჩი საქართველოში?!

## რატომ ჩაიშალა ერთი ბიჭუნასა და მისი ორი დედის შეხვედრა

გვ.20



## ახალმოწამენი

### „განძის მოპარვა რომ მნდომებოდა, ჩემივე ხელით ავნუსხავდი?“

მთელი სინოდი 1 წელი ციხეში იყო გამომწყვდეული...

იმ დროს რომ ქართული ტაძრებიდან ხატები მოხსნეს და წაიღეს, მათ ნაცვლად ციმბირიდან იაფფასიანი, უბრალო ციმბირული ქვებით შემკული ხატები ჩამოიტანეს.

გვ.12

თქვენს გაზეთს მთელი საქართველო კითხულობს!

## როდის დადგება „ახალი“ წელი?

სახელმწიფო კანცელარიისა და პარლამენტის კულუარებში როგორც ხუმრობენ, ამიერიდან საქართველოში არა ორჯერ, არამედ სამჯერ იზეიმებენ ახალ წელს. თუ აქამდე ახალს და ძველს აღვნიშნავდით, 23 ნოემბერს „სახელისუფლებო ახალი წლის“ აღნიშვნაც მოგვიწევსო. ხუმრობა იქით იყოს და ისევ სახელისუფლებო კულუარებიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, მიხეილ სააკაშვილი სიურპრიზებს უმზადებს ხალხს. როგორც ბოროტი ენები ამბობენ, ერთ-ორ ხალხისთვის არასასურველ მინისტრს, ან სამინისტრო კარუსელზე დაატრიალებს, ან კიდევ უცხოეთში დიპლომატებად უკრავს თავსო. ვნახოთ, 23 ნოემბერიც მალე მოვა. პრეზიდენტის თქმით კი 2005 წელი ეკონომიკური აღმავლობის წელიწადი იქნება. მიხეილ სააკაშვილი ხალხს ჰპირდება, რომ ქვეყანაში 2005 წელს სამჯერ გაიზრდება ქვეყნის ბრძოლისუნარიანობა, რაშიც რეფორმებთან ერთად საქართველოს აშშ-ც დაეხმარება. „ეს წელიწადი ჩვენი შემობრუნების წელი იყო, 2005 კი ჩვენი წინსვლის წელი იქნება“, — აცხადებს სააკაშვილი და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემებით გადაღლილ მოსახლეობას ამ საკითხის მოგვარებაშიც პოზიტიურ ცვლილებებს ჰპირდება.

## შეხვედრა შედეგების გარეშე

ჟვანია-კოკოითის არასახარბიელოდ დასრულებული შეხვედრის შემდეგ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სიტუაცია კვლავაც უკიდურესად დაძაბულია. „თუ ოსებს მშვიდობა არ სურდათ, ამ შეხვედრას რაღა აზრი ჰქონდა?!“ — კითხულობს დიდი და პატარა ლიახვის ხეობის ქართველი მოსახლეობა და ეჭვს გამოთქვამს, რომ სოჭის შეთანხმება შესრულდება და 20 ნოემბრამდე ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონას სამმხრივი სამშვიდობო ძალების წარმომადგენლების გარდა, იქ მყოფი ყველა სახის შეიარაღებული ფორმირება დატოვებს. „სეპარატისტი ოსებისა და გადამთიელების თავგასულობას უკვე საზღვარი არ აქვს. ერთ მშვენიერ დღეს აგვევსება მოთმინების ფიალა და პროვოკაციას საკადრისად ვუპასუხებთ. აბა, რა ვქნათ, ყველა სათითაოდ ნაღმებზე აგვაფეთქონ?“... — ამბობენ ქართველები.

ამასობაში სეპარატისტთა გატაცებულ და მძევლად აყვანილ ქართველთა რიცხვი ყოველდღე იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს დატყვევებული ქართველები 7 ნოემბერს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩარევის შედეგად სეპარატისტებმა გაათავისუფლეს. 6 ნოემბერს კი ნაღმის აფეთქების შედეგად სიკვდილს გადაურჩა „რუსთავი 2“-ის ტელეოპერატორი. შს მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ბოლო დროს ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებს რუსეთში დაგეგმილ პროვოკაციას უწოდებს და აღნიშნავს, რომ ყველაფერი ეს თბილისში NATO-ს გენერალური მდივნის ჩამოსვლით გაღიზიანების შედეგია. გამოდის, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ჩრდილოელი დიდი მეზობლისაგან სიურპრიზებს კვლავაც უნდა ველოდოთ.

## პარლამენტში მატებაა

საქართველოს პარლამენტს მომავალი კვირიდან ოთხი ახალი მაჟორიტარი დეპუტატი შეემატება. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე 24 ოქტომბრის შუალედურ მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებული ოთხი კანდიდატის უფლებამოსილების ცნობის საკითხი განიხილეს. პარლამენტის შუალედურ მაჟორიტარულ არჩევნებში კრწანისის რაიონში გიორგი ასანიძემ, ზესტაფონში — თეიმურაზ ცინცაძემ, გორში — ჯუმბერ პატიაშვილმა და დიდუბის რაიონში — თეიმურაზ ჭეიშვილმა გაიმარჯვეს. ოთხივე მათგანი სახელისუფლებო პარტიის მხარდაჭერით სარგებლობდა.

## რევოლუცია თუ ინაუგურაცია?

მოსკოვში მეტოქესთან ერთად ვიზიტის შემდეგ აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატი რაულ ხაჯიმბა, ფაქტობრივად, კვლავაც წამგებიან პოზიციაში რჩება. მიუხედავად იმისა, რომ მისი მომხრეები (რომელთა რაოდენობა ბაღაფშის მომხრეების რაოდენობასთან მოსატანი არც კია) საპროტესტო აქციების შეწყვეტას არ აპირებენ, სერგეი ბაღაფში 6 დეკემბრისათვის ინაუგურაციისათვის ემზადება და ვარაუდობს, რომ ამ დროისათვის რესპუბლიკაში ვითარება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. ბაღაფში მზად არის ოპონენტებთან კომპრომისული ვარიანტების განსახილველად და იმ შემთხვევაში, თუ ხაჯიმბა ბაღაფშის პრეზიდენტობას აღიარებს, მას ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობასაც ჰპირდება. „დაპირისპირების გაგრძელებას ისევე არ აქვს აზრი, როგორც ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნას“, — აცხადებს ბაღაფში.

ოპოზიციის ლიდერთა განცხადებით კი მთავარია, ხაჯიმბას მხარდამჭერები გონს მოეგონ და ბაღაფშთან დაპირისპირება შეწყვიტონ. იმავე აზრს იზიარებენ აფხაზი პოლიტოლოგები და ექსპერტები. მათი აზრით, აფხაზები სწორედ ამ ვითარებაში უნდა მიხვდნენ, როგორ არაფრად უღირს ხაჯიმბას თანამოძმეების სიცოცხლე და უსაფრთხოება პრეზიდენტის სავარძლისათვის ბრძოლაში, რომელსაც რუსეთის დაკვეთით უყოყმანოდ სწირავს.

## აკაბა არძინბას ადანაშაულებს

მოსამართლე გიორგი აკაბა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტს, ვლადისლავ არძინბას მისი მმართველობის პერიოდის ცოდვებს უხსენებს და თავისუფალი აზრის დევნასა და საზოგადო მოღვაწეების, ზურაბ აჩბასა და იური ვორონოვის მკვლელობის დაკვეთაში ადანაშაულებს. აკაბას მტკიცებით, მას აქვს ინფორმაცია 1997 და 1999 წლებში საზოგადო მოღვაწეების, პროფესორ იური ვორონოვისა და ზურაბ აჩბას მკვლელობებთან დაკავშირებით. „ამ საქმეების გამოძიებას პირადად პრეზიდენტმა არძინბამ შეუშალა ხელი, აჩბასა და ვორონოვის მკვლელობები სწორედ მისი მითითებით განხორციელდა“, — განაცხადა აფხაზეთის ტელევიზიით გამოსვლისას გიორგი აკაბამ. მისი განმარტებით, ზურაბ აჩბა და იური ვორონოვი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მკაცრად აკრიტიკებდნენ არძინბას მიერ წარმოებულ პოლიტიკას და „პოლიტიკური ტერორის მსხვერპლიც გახდნენ“.

აკაბა მომავალში არძინბასთვის კიდევ სხვა ბრალდებების წაყენებასა და გახმაურებას აპირებს და აცხადებს, რომ მას ბევრი თანამოაზრე ჰყავს.

## ფინანსური თუ მექრთამეების ამნისტია?!

კობა დავითაშვილი საქართველოს მთავრობასთან პაექრობას განაგრძობს და აცხადებს, რომ ხელისუფლება „ფინანსური ამნისტიის საფარქვეშ მოსახლეობას მექრთამეების ამნისტიას სთავაზობს“. ფინანსური და საგადასახადო ამნისტიის კანონპროექტის პარლამენტში განხილვამდე დავითაშვილმა განაცხადა: „ამ კანონპროექტს ძალიან უცნაური მიზანი აქვს. ის არ უწესებს შეღავათებს იმ ხალხს, ვინც გადასახადების დეკლარირებას ახდენდა, მაგრამ ვერ იხდიდა, თუმცა ითვალისწინებს შეღავათებს მათთვის, ვინც საერთოდ არაფრის დეკლარირებას არ ახდენდა“.. დავითაშვილის შეფასებით, მთავრობა ცდილობს, „მექრთამეების ამნისტია და მიწაზე უკანონო გარიგებების შედეგად მიღებული ქონების ლეგალიზაცია მოახდინოს“.

კობა დავითაშვილი მოითხოვს, არ გავრცელდეს ფინანსური ამნისტია თანამდებობის პირებზე. „არჩევნების დროს საზოგადოების წინაშე ავიღეთ ვალდებულება, რომ თანამდებობის პირთათვის უკანონოდ მოპოვებული ქონება ჩამოგვერთმია, დღეს კი მათ თურმე ყველაფერი ეპატიებათ. მთავრობაში არის ჯგუფი, რომელმაც ფინანსური ამნისტიის შესახებ კანონს თავისი ინტერესები ამოაფარა. მთავრობაში დღესაც ბლომად არიან პირები, ვინც ძველი მთავრობის დროს ქრთამს იღებდა“, — განაცხადა დავითაშვილმა.

მიუხედავად ამისა, ფინანსური და საგადასახადო ამნისტიის შესახებ კანონპროექტი პარლამენტმა პირველი მოსმენით მაინც მიიღო და დეპუტატის თვალსაზრისი არ გაითვალისწინა.

## კაგებე ბრუნდება?

„თუ ვინმე აპირებს საქართველოში კაგებეს დაბრუნებას, არაფერი გამოუვა. საბედნიეროდ, ვანო მერაბიშვილს ბერიას ნიჭი და უნარი ღმერთმა არ მისცა და თუ მისი სამინისტროს წარმომადგენლები საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლებისა და მეცნიერების ვაიმინისტრ კახა ლომაიასთან ერთად წანწალს არ გადაეჩვევიან, პრეზიდენტ სააკაშვილს მის გადაყენებას მოვთხოვთ“, — აცხადებენ „ახალი მემარჯვენეები“ და უშიშროების თანამშრომლების საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხშირ ვიზიტებსა და მათ მიერ სტუდენტების დაშინების ფაქტებს ახმაურებენ. „უშიშროების თანამშრომლები აქტიურ სტუდენტებს აშინებენ. ამ მეთოდს „ადამიანების დამუშავება“ ჰქვია“, — აცხადებს ფიქრია ჩიხრაძე.

უშიშროების თანამშრომლების ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხშირ სტუმრობას არც ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი მარინა ვეკუა უარყოფს და აცხადებს, რომ ფაკულტეტის მიერ პრესკონფერენციის გამართვის შემდეგ მათ ორჯერ ესტუმრნენ „ჩეკისტები“ ოფიციალური ნებართვის გარეშე და სწორედ იმ სტუდენტების პირადი საქმეები მოითხოვეს(!), რომლებიც ლომაიას საწინააღმდეგო აქციას ხელმძღვანელობდნენ.

## საპატრიარქოს განცხადება

საქართველოს საპატრიარქოს განცხადებით, საპატრიარქოს ოფიციალურ გამოცემათა გარდა, ქვეყანაში რელიგიური შინაარსის არაოფიციალური ჟურნალ-გაზეთებიც გამოდის, რომლებიც უწმინდესის სახელით თვითნებურად სარგებლობენ. არაოფიციალურ გაზეთებს მითითებული აქვთ, რომ ისინი უწმინდესის ლოცვა-კურთხევით გამოიცემა, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. „მათში დაბეჭდილი მასალები არც პატრიარქთან და არც საპატრიარქოს შესაბამის განყოფილებასთან არ არის შეთანხმებული“, — აცხადებენ საპატრიარქოში და საზოგადოებას აცნობებენ, რომ 10 ნოემბრიდან პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გამოცემულ ყველა გამოცემას სპეციალური გრიფი დაედება. დანარჩენებს კი ჩამოერთმევათ უფლება, გამოიყენონ წარწერა — „იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით“.

## ცარიელ-ტარიელი დარჩა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ უკანონოდ ცნო ქვემო ქართლში პრეზიდენტის ყოფილი სახელმწიფო რწმუნებულის ლევან მამალაძის კოჯრის აგარაკი, თბილისში ატენის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი ბინა, შინდისსა და წავკისში არსებული მიწის ნაკვეთები. უზენაესმა სასამართლომ კანონიერად ცნო და ძალაში დატოვა აღნიშნული ქონების კონფისკაციის შესახებ თბილისის საოლქო სასამართლოს 29 ივლისის გადაწყვეტილება.

პროკურორ ვლადიმერ ხუჭუას განცხადებით, ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, მამალაძეს რწმუნებულის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში ხელფასის სახით სულ 16.000 ათასი ლარი ჰქონდა აღებული, რითაც იგი 300 ათას ლარად შეფასებულ ქონებას ვერ შეიძენდა. შეგახსენებთ, რომ ქვემო ქართლში პრეზიდენტის ყოფილი სახელმწიფო რწმუნებულის, ლევან მამალაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე თბილისის პროკურატურაში თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და ქრთამის აღების მუხლებით არის აღძრული. მამალაძე დღემდე მიმალულია.

## „შეასრულონ დანაპირები!“

სახელმწიფო კანცელარიასთან რამდენიმე დღის განმავლობაში საპროტესტო აქციას მართავდნენ კახეთიდან ჩამოსული გლეხები. ისინი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრს, დავით შერვაშიძეს პირობის შეუსრულებლობას სდებენ ბრალად.

მათი განცხადებით, დავით შერვაშიძე თვე-ნახევრის წინ ჩაბარებული ყურძნის საფასურის გადახდას დაჰპირდა გლეხებს, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა.

„მინისტრი დაგვპირდა, რომ თანხას 20 დღეში მივიღებდით, მაგრამ ჩანს, მოგვატყუა, ამიტომ დახმარებას საქართველოს მთავრობასა და პრეზიდენტს ვთხოვთ“, — აცხადებდნენ კანცელარიის წინ თავმოყრილი გლეხები.

მინისტრმა კახელი გლეხების საპასუხოდ განაცხადა: „ყურძნის საფასური შესაბამისმა ბანკმა უნდა გასცეს. ამ შემთხვევაში სამინისტრო არაფერ შუაშია, ჩვენ მხოლოდ შუამავლის როლი შევასრულეთ“.

კახელი გლეხები თანხების სასწრაფო გადარიცხვას მოითხოვენ, რადგან რეგიონში მძიმე სოციალური პირობებია — ხალხი შიმშილობის ზღვარზეა.

## უპრეცედენტო პრეცედენტი

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მოთხოვნით, დუშეთის რაიონულმა სასამართლომ სომხეთის რესპუბლიკაში რეგისტრირებული სატრანსპორტო ფირმის „სპაიკის“ კუთვნილი ავტომანქანა დააყადაღა.

2004 წლის 28 ოქტომბერს რუსეთ-საქართველოს საზღვარი ლარსის საგუშაგოზე „მერსედეს ბენცის“ მარკის სატვირთო ავტომანქანამ გადმოკვეთა, რომელიც ლარსიდან სომხეთის მიმართულებით მიდიოდა და ანტიფრიზით იყო დატვირთული. გუდაური-მლეთის მონაკვეთზე მას საბურავი დაეშვა. ამის მიუხედავად, მძღოლმა სვლა გააგრძელა და 2 კილომეტრის მანძილზე დაშვებული საბურავით ახალდაგებული გზის საფარი მნიშვნელოვნად დააზიანა, რის შედეგადაც სახელმწიფომ 10.040 ამერიკული დოლარი იზარალა.

„საავტომობილო გზების შესახებ“ კანონის თანახმად, პირს, რომლის მიზეზითაც გზის საფარი დაზიანდება, ეკისრება პასუხისმგებლობა და მიყენებული ზარალის ანაზღაურება. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, აღნიშნული ფაქტის გამო უცხოეთის ავტომანქანის დაყადაღება უპრეცედენტო შემთხვევაა.

## სკანდალი არაფრის გამო?

აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ვლადიმერ ნადარეიშვილი (აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის, აწ განსვენებული თამაზ ნადარეიშვილის ვაჟი) 6 ნოემბერს ვაკე-საბურთალოს რაიონულმა პოლიციამ რესპუბლიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე დააკავა. თუმცა რამდენიმე საათში გაათავისუფლა კიდეც. სამართალდამცველთა თქმით, დაკავების მიზეზი ნადარეიშვილსა და საავადმყოფოს დაცვის თანამშრომლებს შორის მომხდარი კონფლიქტი შეიქნა. ვლადიმერ ნადარეიშვილმა ცეცხლსასროლი იარაღით ჰაერში გაისროლა. ინციდენტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა. ნადარეიშვილი წინასწარი დაკავების იზოლატორიდან მაშინვე გაათავისუფლეს, როგორც კი დადგინდა, რომ მას იარაღის ტარების უფლება ჰქონდა. აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის თანმხლები პირების თქმით, ნადარეიშვილმა იარაღი თავდაცვის მიზნით გაისროლა(?!). თავის მხრივ, რესპუბლიკური საავადმყოფოს დაცვის თანამშრომლები ნადარეიშვილზე თავდასხმას კატეგორიულად უარყოფენ და მას სიტყვიერ შეურაცხყოფას სდებენ ბრალად.

## მინიმალური ხელფასი 115 ლარი იქნება

თავდაცვის მინისტრის, გიორგი ბარამიძის განცხადებით, საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს მიმდინარე წლის 15 ნოემბრიდან ხელფასები მნიშვნელოვნად გაეზრდებათ. ხელფასების ზრდა მხოლოდ იმ თანამშრომლებს შეეხება, ვისაც ქართულ-ამერიკული „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა“ არ გაუვლია.

გიორგი ბარამიძის თქმით, თუ აქამდე სისტემაში მინიმალური ხელფასი 20 ლარი იყო, ამიერიდან იგი 115 ლარი გახდება.

აქამდე შეიარაღებულ ძალებში ყველაზე მაღალი ხელფასები „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამით“ გაწვრთნილ სამხედროებს ჰქონდათ. თუ ამ პროგრამაგამოვლილ კაპრალს ხელფასი 447 ლარი აქვს, პროგრამის გარეთ მყოფი იმავე წოდების სამხედრო მოსამსახურის ხელფასი მხოლოდ 32 ლარს შეადგენს.

თავდაცვის მინისტრს მიაჩნია, რომ შეიარაღებულ ძალებში ჯანსაღი ატმოსფეროს ჩამოყალიბებისთვის ერთნაირი სამხედრო წოდების ან სხვა თანამდებობრივი მდგომარეობის პირებს შრომის ანაზღაურებაც ერთნაირი უნდა ჰქონდეთ.

## რუსეთ-ბასაევის საინფორმაციო ომი




რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კანადური გაზეთის „გლობ ენდ მეილის“ წარმომადგენლობას მოსკოვში ოფიციალური პროტესტი გაუგზავნა ჩეჩნური ბანდფორმირებების ერთ-ერთ ლიდერთან, შამილ ბასაევთან ინტერვიუს გამოქვეყნების გამო. რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყების პრესცენტრი გაზეთის მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელს, მარკ მაკინონს „ამ პროვოკაციული აქციის ორგანიზატორს“ უწოდებს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მიიჩნევს, რომ საინფორმაციო ტრიბუნის მიცემა „მკვლელებისა და ტერორისტებისთვის, რომელთა ხელები რუსეთის მოქალაქეთა სისხლით არის დასვრილი, დაუშვებელია“.

თავის ინტერვიუებში ბასაევი რუსეთის წინააღმდეგ ომის გაგრძელებით იმუქრება და აცხადებს, რომ მასობრივი განადგურების იარაღს გამოიყენებს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იმედოვნებს, რომ „გლობ ენდ მეილი“ და მისი მოსკოვის ბიურო ამიერიდან აღარ დაუშვებენ ტერორისტთა შეხედულებების პროპაგანდას. თავის მხრივ, გაზეთის რედაქცია კომენტარს არ აკეთებს, რაც სავარაუდოდ იმის მიმანიშნებელია, რომ რუსების სურვილების გათვალისწინებას არ აპირებენ.

**მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია**

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი.

იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — **25 ლარს** გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა **20 ლარი,** III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — **15 ლარს.** გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ *(რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე).*

**წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:**

1. **იზო რიკაძე** — „ჩვენ თუ დაგვხოცავ, იფიქრებენ, რომ ზვიადი ჩვენ მოვკალით და მერე ერთმანეთი დავხოცეთო“ — 112 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „ერთჯერადი ბანდიტები“ — 102
3. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 28
4. **ლელა ჯიყაშვილი** — „არავის არაფერს ვაბრალებ, ეს ბედისწერა იყო“ — 15
5. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „მოსკოვში გარდაბნელები ჩავარდნენ“ — 14

*მკითხველის პრემიის მფლობელები 347-მა რესპონდენტმა გამოავლინა*

CMYK

# „ქირურგიული ჩარევით“ მდგომარეობა არ გამოსწორდება



## ევროკავშირის წევრობა ქვეყნის აშენების საშუალება კი არ არის, უკვე აშენებულის შედეგია

შინაგანი ჯარი და თავდაცვის სამინისტრო ჯერ კიდევ „ქორწინების“ დეტალებზე დაობდნენ და არკვევდნენ, ვინ იქნებოდა ახალშექმნილ „ოჯახში“ უფროსი, როცა საქართველოში ნატოს გენერალური მდივანი ჩამოვიდა. ასეთი სტუმრობები გასულ წლებშიც ბევრი გვახსოვს, ასევე გვახსოვს ხელისუფლების დაპირებებიც იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო ძალიან მალე ნატოში შევიდოდა და რომ ყველაფერი ზედმიწევნით კარგად იქნებოდა. თუმცა პრეზიდენტიც და გენერალური მდივანიც მაშინ სხვები იყვნენ, ასე რომ, დაპირებებზე პასუხისმგებლობას ახლებს ნამდვილად ვერ მოვთხოვთ. ისღა დაგვრჩენია, ველოდოთ... ამერიკის შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნების რესპუბლიკელთა სასარგებლოდ დასრულების შემდეგ ქართველი საზოგადოების ერთმა ნაწილმა შვებით ამოისუნთქა — მავანთ ეშინოდათ, რომ დემოკრატების გამარჯვების შემთხვევაში, საქართველო თავისი მოუწესრიგებელი კონფლიქტებითა და არცთუ ძლიერი ჯარით თუ ეკონომიკით რუსეთის პირისპირ მარტო დარჩებოდა. ასე არ მოხდა, თუმცა კონფლიქტების მოგვარებაში „აღლუმი“ კვლავაც კრემლს მიჰყავს — რუსების პატრონაჟით სოჭში გამართულ შეხვედრაზე ოსი და ქართველი პოლიტიკოსების ურთიერთობაში მცირედი ნათელი გამოჩნდა... თუმცა მალევე ამ ნათელს ცხინვალის რეგიონში ქართველი მოსახლეობის ლამის მასობრივად მძევლად აყვანა, ქართველი ჟურნალისტების დაჭრა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ტრადიციულად მკაცრი განცხადება მოჰყვა იმის თაობაზე, რომ არავის არაფერი შერჩება. სიტუაცია გაურკვეველია კონფლიქტის მეორე კერაშიც — სოხუმში კვლავაც დენთის სუნი ტრიალებს, თუმცა აფხაზები სამოქალაქო ომის საფრთხესაც აცნობიერებენ და პრეზიდენტობის არალეგიტიმურ კანდიდატებს შორის არალეგიტიმურ თანამდებობებზე ვაჭრობა მიმდინარეობს. ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით უკრაინაზე — მართალია, დენთის სუნი იქაც ტრიალებს, მაგრამ კანდიდატები უკან დახევას არ აპირებენ და აშშ-ისგან განსხვავებით, არც გამარჯვებას ულოცავენ ერთმანეთს. შედგება თუ არა „ნაბლის რევოლუცია“ უკრაინაში, მომავალი გვიჩვენებს. მანამდე კი პოლიტოლოგ **პაატა ზაქარეიშვილთან** ერთად გასული და მომავალი კვირის ქართული რეალობა განვიხილოთ:

**— სოჭში გამართულ შეხვედრას საკმაოდ ოპტიმისტური შეფასებები მოჰყვა. გვაქვს კი გარანტია, რომ ეს შეხვედრა, რუსეთის პატრონაჟით გამართული სხვა შეხვედრების მსგავსად, მხოლოდ პოზიციების დაფიქსირებით და ფურცელზე დარჩენილი შეთანხმებით არ ამოიწურება?! მით უმეტეს, რომ გასული კვირის ბოლოს ცხინვალის რეგიონში ვითარება კვლავ გამწვავდა...**

— სოჭის შეხვედრას მეც დადებითად ვაფასებ, რა თქმა უნდა, იმ ფონზე, რაც იყო ივნისში და არა მაისში — როდესაც ახალმა ხელისუფლებამ სრულიად წინდაუხედავი ნაბიჯებით ცხინვალთან ურთიერთობა გაამწვავა. ვერ ვიტყვი, რომ სოჭში ამ კონფლიქტის მოგვარებისთვის კოლოსალური საქმე გაკეთდა, თუმცა კონფლიქტის გამწვავებამდე არსებულ ნდობას თუ დავიბრუნებთ, ესეც საქმე იქნება. ვფიქრობ, მოვლენათა განვითარებაც აქეთკენ მიდის, ყოველ შემთხვევაში, სოჭის შეხვედრაზე ქართულმა მხარემ საკმაოდ დიდი გონიერება, ოსურმა კი — მოთმინება გამოიჩინა. ეს სწორედ ის გახლავთ, რაც საქართველოში კონფლიქტების მოგვარებას ყველაზე მეტად წაადგება. გულდასაწყვეტია, რომ მოლაპარაკებები ტრადიციულად, რუსეთის „ხუფის“ ქვეშ მიმდინარეობდა. ჩვენმა ხელისუფლებამ ჯერაც ვერ შეიმუშავა ისეთი პოლიტიკა კონფლიქტებთან და მეორე მხარესთან ურთიერთობაში, რომ კრემლის ნება-სურვილს და იქ დაწერილ სცენარს გავცდენოდით. ამგვარად, საერთაშორისო საზოგადოების ცნობიერებაშიც უფრო და უფრო ვამკვიდრებთ იმ აზრს, რომ საქართველოს თავის კუთხეებთან ურთიერთობა მოსკოვის დაუხმარებლად არ შეუძლია. ეს მით უმეტეს აქტუალურია ამერიკაში არჩევნების დასრულების შემდეგ — თეთრი სახლის ადმინისტრაციას უნდა თუ არა, კიდევ ერთხელ მოუწევს იმის დეკლარირება, რომ რუსეთი კავკასიის რეგიონში ერთადერთი „მშვიდობისმყოფელია“. რომ არა ზაფხულის უგუნური ქმედებები თბილისის მხრიდან, ჩვენ გვქონდა იმის წინაპირობა და საშუალება, რომ ოსურ-ქართული დიალოგი რუსეთის მინიმალური ჩარევით გამართულიყო. როგორც გითხარით, საქმე ამ მიმართულებით დაიძრა, ახლა კი ქართველ საზოგადოებაში წლების განმავლობაში, ხელისუფლების უუნარობით თუ წინასწარი განზრახვით გაჩენილი კომპლექსი — ოს თანამოქალაქეებთან საქმე მხოლოდ რუსეთის დახმარებით მოგვარდება — უნდა დავძლიოთ. რაც შეეხება მოლაპარაკების შემდეგ სიტუაციის გამწვავებას, კონფლიქტოლოგიაში ეს ელემენტარული ანბანი გახლავთ — როდესაც მოლაპარაკებას რეალური შედეგები აქვს, კონფლიქტურ რეგიონში სიტუაცია ყოველთვის მწვავდება ხოლმე. აქ ხომ მხოლოდ ერთ კოკოითთან არ გვაქვს საქმე, ცხინვალში სხვა ძალებიც არის, რომლებსაც არამც და არამც არ სურთ ქართულ სახელმწიფოებრიობაში ამა თუ იმ ფორმით ოსური სეგმენტიც მოხვდეს. აქ ჩართულია მრავალმხრივი — კონტრაბანდა, კრიმინალი და, რაც მთავარია, კრემლის — ინტერესები. სამწუხაროდ, ასეთი პროვოკაციების გაღვივებას მისდა უნებურად დიდად უწყობს ხელს შინაგან საქმეთა მინისტრის მუქარიანი განცხადებები. ის, რამაც დღეს შეიძლება თუნდაც ადგილობრივ მოსახლეობას გული მოფხანოს და ამით მისი რეიტინგი გაზარდოს, ხვალ ქართულ-ოსურ ურთიერთობას გამანადგურებელ ზიანს მიაყენებს...

**— არანაკლებ რთული ვითარებაა აფხაზეთშიც. არჩევნების შემდეგ სიტუაცია კვლავაც გაურკვეველი რჩება, თუმცა კანდიდატებს შორის პოლიტიკური ვაჭრობის ელემენტებიც გამოჩნდა... ბალაფშის დამაჯერებელი წარმატების შემდეგ ექსპერტები აცხადებდნენ, აფხაზეთში რუსეთის პოზიციები შეირყაო, თუმცა რატომღაც, დღემდე მოქიშპე კანდიდატები ერთმანეთს რუსეთის სიყვარულში ეჯიბრებიან...**

— აქ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა გასათვალისწინებელი — რუსეთის პოზიციები აფხაზეთში მართლაც რეალურად შეირყა, თუმცა არც საქართველოს პოზიციები გაუმჯობესებულა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი რამ ჩვენ აფხაზეთში არ გვქონდა. ამ შემთხვევაშიც ცხინვალის მსგავსი ვითარებაა — აფხაზეთი ისევ და ისევ ჩვენ მიერ არის რუსეთის ანაბარად მიტოვებული. გავიძახით, რომ მთავარი პროვოკატორი კრემლია, რომ აფხაზეთს რეალურად რუსი მაღალჩინოსნები მართავენ, რომ აფხაზების წაქეზება მოსკოვიდან ხდება და ა.შ.

> ქართველი მოსახლეობის მონაწილეობა სეპარატისტული რეჟიმის არჩევნებში შესაძლებელია მისაღებიც იყოს. ამით არამც და არამც არ მოხდება არჩევნების ლეგიტიმაცია, რადგან ეს მხოლოდ საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს პრეროგატივა გახლავთ. სამაგიეროდ, დაფიქსირდება კონფლიქტის რეგიონში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის ძალა, გავლენა და მნიშვნელობა... ასე უფრო გაიოლდება აფხაზი ან ოსი მოსახლეობის დარწმუნება იმაში, რომ ქართველები მათ შეჭმას არ აპირებენ – ჩვენ, უბრალოდ, მათთან ერთად ცხოვრება გვსურს და მზად ვართ, ამისთვის მათი მოსაზრებებიც გავითვალისწინოთ, ოღონდ პარიტეტის საფუძველზე.

რა გავაკეთეთ საიმისოდ, რომ აფხაზები ეკონომიკურად ან პოლიტიკურად დაგვეინტერესებინა? ჰააგის სასამართლოში ვიჩივლეთ და მუქარით სავსე განცხადებებს ვაკეთებდით. შესაძლოა, დაუჯერებელი ჩანდეს, მაგრამ, სწორედ დღეს გვაქვს ყველაზე რეალური შანსი საიმისოდ, რომ აფხაზებთან საერთო ენა გამოვნახოთ — რაც მთავარია, რუსეთის დახმარების გარეშე. აქამდე მხოლოდ აფხაზეთის პოლიტიკური ელიტა აცნობიერებდა, რომ რუსეთს არათუ აფხაზეთის დამოუკიდებლობა არ აძლევს ხელს, არამედ მისი ეკონომიკური, ნებისმიერი გაგებით, ელემენტარული განვითარებაც კი არ სურს, დღეს აფხაზმა ხალხმაც გააცნობიერა, — რუსულ პოლიტიკაში მას მხოლოდ ფსონის ფუნქცია აქვს. ამის გამო რუსეთის პოზიციები დღეს აფხაზეთში სერიოზულად შერყეულია. აფხაზებმა მოსკოვს არჩევნების შედეგით ერთგვარი მესიჯი გაუგზავნეს იმის ნიშნად, რომ მისი პოლიტიკა და დამოკიდებულება არ მოსწონთ. კრემლი ცდას არ დააკლებს, რომ სიტუაცია გამოასწოროს და აფხაზები თავის კეთილისმყოფლობაში დაარწმუნოს. თუ ჩვენ ამ დროის განმავლობაში უქმად ვიქნებით, კრემლის განზრახვას მისთვის სასურველი შედეგებიც ექნება.

> ევროგაერთიანება „ზიარი ჭურჭლის“ მაგვარი, ცოცხალი ორგანიზმია – თუ საქართველოს „ზიარ ჭურჭელს“ მიუერთებენ, ის ავტომატურად გახდება სხვა ევროპული სახელმწიფოების სარჩენი. თუ საზოგადოებრივი მენტალიტეტი არ შეიცვალა, არ დამყარდა რეალური დემოკრატია და ეკონომიკა ისე არ განვითარდა, რომ საგადასახადო ვალდებულებები დამსახურებებისა და ნაცნობობის გარეშე, ყველასთვის ერთი იყოს, არც ნატოში და არც ევროგაერთიანებაში სათრევად არავინ „აგვიკიდებს“.

სხვათა შორის, აფხაზურმა არჩევნებმა ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის ძალა და როლის მნიშვნელობაც გამოაჩინა, ამ მოვლენების შემდეგ აფხაზები არჩევანის წინაშე დადგნენ — მათ ან ეთნიკური წმენდა უნდა მოაწყონ და ქართველი მოსახლეობა ძირისძირამდე აყარონ აფხაზეთიდან, ან მათთან თანამშრომლობას დათანხმდნენ და მათი უფლებები თუ სურვილებიც გაითვალისწინონ. ამ თვალსაზრისით, ქართველი მოსახლეობის მონაწილეობა სეპარატისტული რეჟიმის არჩევნებში შესაძლებელია მისაღებიც იყოს. ამით არამც და არამც არ მოხდება არჩევნების ლეგიტიმაცია, რადგან ეს მხოლოდ საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს პრეროგატივა გახლავთ. სამაგიეროდ, დაფიქსირდება კონფლიქტის რეგიონში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის ძალა, გავლენა და მნიშვნელობა... ასე უფრო გაიოლდება აფხაზი ან ოსი მოსახლეობის დარწმუნება იმაში, რომ ქართველები მათ შეჭმას არ აპირებენ — ჩვენ, უბრალოდ, მათთან ერთად ცხოვრება გვსურს და მზად ვართ, ამისთვის მათი მოსაზრებებიც გავითვალისწინოთ, ოღონდ პარიტეტის საფუძველზე. სათავეში მოქცეულ ერთ მუჭა სეპარატისტებთან ნებისმიერი დონის მოლაპარაკება გაცილებით ნაკლებშედეგიანი იქნება — ისინი ხომ რუსეთისგან არიან ხელდასხმული და შესაბამისად, მოლაპარაკებებშიც მათ ინტერესებს ატარებენ. ჩვენ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ფართო ფენებზე, უბრალო მოსახლეობაზე „გასვლა“ მოხერხდეს. ხალხის ნებას ამ შემთხვევაშიც რომ დიდი ძალა აქვს და ბევრი რამის გადაწყვეტა შეუძლია, ვფიქრობ, ამას აფხაზური არჩევნების შედეგებიც ადასტურებს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამშვიდობო პროცესის ინიციატივაში რუსეთს ვერც ამერიკა შეეცილება და ვერც ევროპა, ერთიც და მეორეც მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუპირისპირდება, თუ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე რუსეთის რეალური სახე წარმოჩნდება. სხვაგვარად, კრემლთან დაპირისპირება პატარა საქართველოს გამო არავის აძლევს ხელს.

**— ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნების დასრულებას საქართველოში ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტი დაემთხვა. უკვე მერამდენად, ქართველ საზოგადოებაში გაჩნდა დაპირებები და შესაბამისად იმედი იმის თაობაზე, რომ მალე, ამერიკისა და ევროპის დახმარებით, საქართველო ნატოში შევა...**

— არა მგონია, საქართველოში ბევრი აღმოჩნდეს ისეთი გულუბრყვილო, რომ ასეთი დაპირების სჯეროდეს. ვერც ამერიკა და მით უმეტეს, ვერც ევროპა, საქართველოს ხელში ვერ აიყვანს და ნატოში ვერ გადასვამს. ეს ჩვენით უნდა მოვახერხოთ. პირველ რიგში, ამერიკისა და ევროპის ინტერესების გამიჯვნაა საჭირო. თუ საქართველოში დემოკრატიული პროცესები სრულყოფილად არ განვითარდება და ჩვენგან დასავლური ტიპის ნორმალური სახელმწიფო არ შედგება, ეს ამერიკისთვის შესაძლოა მოსაწონი არ იყოს, მაგრამ არც ისეთი ტრაგედია იქნება, რომ პროცესებში აქტიურად ჩაერიოს. მისთვის მთავარია ხელისუფლებაში ისეთი ძალები იყვნენ, ვინც მის სტრატეგიულ ინტერესებს გაითვალისწინებენ. ევროგაერთიანება კი „ზიარი ჭურჭლის“ მაგვარი, ცოცხალი ორგანიზმია — თუ საქართველოს „ზიარ ჭურჭელს“ მიუერთებენ, ის ავტომატურად გახდება სხვა ევროპული სახელმწიფოების სარჩენი. თუ საზოგადოებრივი მენტალიტეტი არ შეიცვალა, არ დამყარდა რეალური დემოკრატია და ეკონომიკა ისე არ განვითარდა, რომ საგადასახადო ვალდებულებები დამსახურებებისა და ნაცნობობის გარეშე, ყველასთვის ერთი იყოს, არც ნატოში და არც ევროგაერთიანებაში სათრევად არავინ „აგვიკიდებს“.

**— გამოდის, რომ საქართველოს სრულყოფილ დემოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაქმნა და ევროგაერთიანებაში გაწევრება არც ამერიკის შეერთებულ შტატებს აწყობს? ხომ შეიძლება, ასეთ შემთხვევაში, ხალხმა ისეთი მთავრობა აირჩიოს, რომელიც არა ამერიკასთან, არამედ, ვთქვათ, „მაროკოსთან ამჯობინებს“ სტრატეგიულ პარტნიორობას. გარდა ამისა, ევროკავშირის წევრობის შემდეგ საქართველო სტრასბურგთან უფრო ანგარიშვალდებული იქნება, ვიდრე ვაშინგტონთან... დღეს კი ამერიკას საქართველოსთან გარანტირებული პოზიცია-ურთიერთობები აქვს...**

— საქართველოს სახით განვითარებული და სრულყოფილი სახელმწიფოს არსებობა ამერიკასაც ურჩევნია, თუნდაც იმიტომ, რომ ეს გაცილებით იაფი დაუჯდება. რაც შეეხება გარანტიებს, ასეთ შემთხვევაში გაერო, უბრალოდ, უფრო კონკურენტუნარიანი იქნება — თეთრი სახლი ყველაფერს გააკეთებს საქართველოს უფრო მეტად დასაინტერესებლად, ამას კი თქვენ მიერ მაგალითად მოყვანილი მაროკო ნაკლებად მოახერხებს. იმავეს ვიტყვი ევროგაერთიანებაზეც. ევროკავშირის წევრობას ჩვენ პანაცეასავით აღვიქვამთ და გვგონია, რომ ევროკავშირში შესვლით ყველა პრობლემა ერთი ხელის მოსმით მოგვეხსნება და მეორე დღიდან ყველანი მდიდრებიც ვიქნებით და ბედნიერებიც. ევროკავშირის წევრობა ქვეყნის აშენების საშუალება კი არ არის, უკვე აშენებულის შედეგია. ამ მოსაზრებას სხვადასხვა, ზრდილობიანი ინტერპრეტაციით ხშირად თბილისში ჩამოსული ევროგაერთიანების მაღალჩინოსნებიც გამოხატავენ. სხვათა შორის, არსებობენ საკმაოდ განვითარებული ევროპული ქვეყნები — თუნდაც, ნორვეგია და შვეიცარია, — რომელთა მოსახლეობამაც ევროგაერთიანების წევრობა არ მოისურვა. მიუხედავად ამისა, მათ ევროგაერთიანებასთანაც იდეალური ურთიერთობა აქვთ და ამერიკასთანაც. მოკლედ, ყველაფერი ხალხის გადასაწყვეტია, ხალხი კი ასეთი არჩევანის გასაკეთებლად მზად უნდა იყოს როგორც ეკონომიკური, ისე მენტალური თვალსაზრისით. ამა თუ იმ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობას ან სახელმწიფოსთან მეგობრობას „მამა და მარჩენალი“ არ წყვეტს, ყოველ შემთხვევაში, ცივილიზებულ ქვეყნებში ასე ხდება...

თუ ნატოში გაწევრებისთვის მზადება იმ ტემპებით წარიმართა, როგორ განაცხადსაც ჩვენი ხელისუფლება აკეთებს, მაშინ ამ კუთხით ბევრი სასიკეთო ძვრა მოხდება — პირველ რიგში დემოკრატიული პროცესების განვითარება გახდება შეუქცევადი.

**— რევოლუციიდან ერთი წლის თავზე საზოგადოებაში ორგვარი შეფასება გაჩნდა: ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ „კომისრული“ გადაწყვეტილებების სურვილი ძლიერი აღმოჩნდა და რევოლუციური განწყობა ზედმეტად დიდხანს შემოგვრჩა, მეორე ნაწილს კი ქვეყნის მდგომარეობიდან გამოსავლელად რადიკალური ზომების გატარება აუცილებლობად მიაჩნია... ალბათ, ძნელია იმაზე მსჯელობა, თუ „სად მივედით“, რადგან გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. თუმცა იმაზე საუბარი, „საით მივდივართ“, ალბათ შესაძლებელია...**

— უდავოა, რომ ამ ერთი წლის მანძილზე ქვეყანაში კორუფციის მასშტაბები მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ „ქირურგიული ჩარევით“ მდგომარეობა არ გამოსწორდება. მთლიანად ახალი სახელმწიფო სისტემის შექმნა იყო აუცილებელი, მაგრამ ჯერჯერობით მსგავსი რამის სურვილიც არ ჩანს, არათუ ქმედება და გეგმები. დააკვირდით, როგორი მმართველობის სისტემა გვაქვს ქვეყანაში? — განხორციელებული რეფორმების შედეგად მივიღეთ უსუსური პარლამენტი, რომლის უმრავლესობასაც ისე ეშინია მთავრობის, როგორც დაჩაგრულ ბავშვს დესპოტი მშობლების, აღმასრულებელი ხელისუფლების ქვედა ეშელონებიც შედგება შეშინებული ჩინოვნიკებით, რადგან როდის და რისთვის დაიჭერენ, არავინ იცის. პრეზიდენტი, რომელსაც გერმანიის მსგავსად, წარმომადგენლობითი პასუხისმგებლობები და ამერიკის მსგავსად, განუსაზღვრელი უფლებები აქვს, ხან დილით ვარჯიშობს, ხან უცხოეთში მოგზაურობს — იმ ანეკდოტის პერსონაჟივით არის, ბებია რომ ეუბნება პოლიციელებს, რატომ დაიჭირეთ ჩემი შვილიშვილი, სულ სახლში იჯდა, პაპიროსს ხან დაშლიდა, ხანააწყობდა და სულ კარგ ხასიათზე იყოო. მართალია, ჩვენი პრეზიდენტი სულ სახლში არ ზის, მაგრამ მთავრობას, პაპიროსივით, როცა უნდა დაშლის და როცა უნდა, ააწყობს...

***დაჩი გრძელიშვილი***

# პატარა უფლისწული დიდი ხანია პატრონს ეძებს...

მას შემდეგ, რაც მრგვალ ბაღში პატარა უფლისწულს უკანასკნელი ოქროს ვარდი მოჰპარეს, მას მხოლოდ სევდა დარჩა... დილაობით აღარც მზეზე ამღერებული შადრევანი ალვიძებს, — ქვეყანა მოაწესრიგეო (აქ გავჩერდები, რადგან მეც პატარა უფლისწულის სევდა შემომაწვა)... ამიტომ ძნელი წარმოსადგენი სულაც არ არის, რას განიცდის მოქანდაკე ირაკლი ჟვანია, რომელსაც ხშირად ხვდება თავისი უფლისწული გაძარცული. მან რამდენიმე წელი მოანდომა, ბავშვებისთვის რომ სენტ ეგზიუპერის პრინცი გაეცოცხლებინა... თანაც, ეს ახალგაზრდა მოქანდაკის ერთადერთი ნამუშევარია.





მისი მეორე სერიოზული პროექტის განხორციელებას კი, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს მოუწევს ლოდინი. ეს გახლავთ ჯერ კიდევ 1996 წელს დამტკიცებული გმირთა მოედნის კომპლექსი შადრევნით. ეს იქნებოდა 15 მ-იან ქანდაკებათა კოლონადა, ქართველების ბრძოლების სცენებს დღისით შადრევნის ტალღები გააცოცხლებდა, ღამით — განათება... შადრევანს სიმბოლურად „დაიცავდნენ" ვანის ნაქალაქარში ნაპოვნი ლომების იდენტური გამოსახულებანი... კომპლექსის აშენებას 250.000 ლარი დასჭირდებოდა... კანცელარიის კულტურის განყოფილებაში თითქოს გამოიძებნა შადრევნის მშენებლობის დასაფინანსებელი თანხა, მაგრამ იგი... საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავისათვის დაიხარჯა(?!). დღეს მერიის კულტურის სამსახურსა და ვაკის რაიონის გამგეობას დიდი შადრევნის მოსაწყობი თანხა კი არა, მრგვალ ბაღში, პატარა უფლისწულის დადუმებული პატარა შადრევნისთვის 600-ლარიანი ძრავაც ვერ შეუძენია. რამდენიმე წლის წინ „კვირის პალიტრა" შადრევანზე და მასზე შემოსკუპებულ პატარა უფლისწულზე წერდა. მაშინ შადრევნიდან გეოგრაფის სკულპტურა მოიპარეს. დღეს კი ნაგებობიდან სხვადასხვა ფიგურები გამუდმებით ქრება.

ირაკლი ჟვანია ლამის 15 წელია, თავისი პატარა უფლისწულის „გუშაგად" იქცა — ხან მძარცველებს დასდევს, ხან პოლიციაშია, ხანაც ელიავას ბაზრობაზე, რომ ქანდაკება როგორმე შეუნარჩუნოს ქალაქს. ვინ იცის, სად არ იპოვა მოპარული და ჯართში ჩაბარებული ქანდაკების ფიგურები... 5 წელია თბილისის მერიას სთხოვს, პატარა უფლისწული თქვენს ბალანსზე აიყვანეთო, მაგრამ...

*მერი ყიფშიძე (მრგვალ ბაღთან მცხოვრები):*

— 4 წლის შვილიშვილს რომ ჩავატარებ მრგვალ ბაღთან, აქეთ მე ვქაჩები, იქით ის მქაჩავს... როცა შადრევანი იყო, მეც ბავშვივით მიმიწევდა გული იქითკენ... მერე რამხელა სიკეთე მოდის ამ პატარა ქანდაკებიდან! — არ შეიძლება ეს სახე ბავშვს დაავიწყდეს... რა გვინდა, მაინცდამაინც ტელევიზორში ბოევიკების ცქერით გამოვატვინოთ ბავშვები? ამისთანა რამეს როგორ ვერ უნდა მოუაროს ქალაქმა...

*ირაკლი ჟვანია:*

— სხვათა შორის, მრგვალ ბაღთან მცხოვრებმა თბილისელებმა დამირეკეს, ქუჩას გადავკეტავთ, მოვლენ მერიიდან და ბოლოს და ბოლოს, ამ ქანდაკებას მოხედავენო. უარი ვთქვი. ისედაც არ გვაქვს დალხენილი ცხოვრება და ქანდაკებისთვის ქუჩა როგორ გადავკეტოთ! „პატარა უფლისწული" პირველად რომ გაძარცვეს, პროკურატურამ იკითხა, დაზარალებული ვინ არისო, მე ვარ-მეთქი... ჯერ პოლიციაში ვირბინე, მერე სასამართლოში და ბოლოს, წარმოიდგინეთ, მძარცველებსაც კი ვიცავდი. არ გაგიკვირდეთ. პროკურორს ხელზე იმხელა ოქროს საათი ეკეთა(!), სინდისმა შემაწუხა, ამ გასაცოდავებულ ხალხს 8 წელიწადს რომ უსჯიდა... იმათი დამცველიც მე გავხდი — რა უნდა მოსთხოვო კაცს, რომელიც უნივერსიტეტიდან ილია ჭავჭავაძის ქანდაკებას მოიპარავს, 60 ლარად ჯართში ჩააბარებს და ეგზიუპერის „პატარა უფლისწულის" გმირებს 37 ლარად გაყიდის?! ის კი არა, ქვის ბურთებიც ბრინჯაო ჰგონებიათ... სპორტის სასახლემდე უთრევიათ და როცა უთქვამთ, ქვას ვერ ვიყიდითო, იქვე დაუყრიათ. იმათ თავისი გაჭირვება ეყოფათ... მერე ციხიდან შემომითვალეს, რომ გამოვალთ, კაცურად გადაგიხდითო. სხვათა შორის, მრგვალ ბაღთან, იქვე, გაეროს შენობაა. იმათაც ვთხოვე, ეგებ უფლისწულიც გაანათოთ-მეთქი... არა, ამის უფლება არ გვაქვსო... უცხოელებს რას ვერჩი, ჩვენებს არ სჭირდებათ არაფერში... მერიის კულტურის სამსახურში ისიც კი მითხრეს, არ გვჭირდება შენი უფლისწული, წაიღე, სადაც გინდაო...

**— გამოდის, არც მეორე შადრევნისთვის შეიწუხებს ვინმე თავს...**

— არ ვიცი! ისე, აჯობებდა, დედაქალაქის მერიამ კონკურსები მაინც ჩაატაროს ნიჭიერი არქიტექტორების გამოსავლენად. რაც შეეხება გმირთა მოედნის შადრევანს, მერწმუნეთ, 250.000 ლარი მინიმალური თანხაა ამხელა კომპლექსისთვის... როგორც წესი, ჩვენთან ერთი მცირე ზომის ქანდაკება 30-50 ათასი ლარი ჯდება (კომპლექსში ასეთი უამრავი იქნება!)... ისე, 600 ლარი ვერ გამომიყვეს ძრავისთვის და... დავიჯერო, თბილისი არ უყვართ? ეს ქანდაკებები ხომ სამუდამოდ თბილისისა იქნება... უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს ეპატიჟებიან, ჩამოდით, სამშობლო გვაქვს ასაშენებელიო! — ა, ბატონო, აქა ვარ და რატომ არაფერს მაკეთებინებთ?!

*ეთერ ერაძე*

# თბილისში პუტინიც იყიდება

## პრეზიდენტი და ექსპრეზიდენტი სანაპიროზე თავს მშვენივრად გრძნობენ

ერთ მზიან კვირა დღეს სანაპიროზე, მშრალ ხიდთან მოვხვდი. ღია ცის ქვეშ გამოფენილი იყო ათასნაირი ნახატი და ნივთი. ხის ყუთში ერთმანეთის გვერდით თავს მშვენივრად გრძნობდნენ მიხეილ სააკაშვილი და ედუარდ შევარდნაძე, ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ჟვანია, ბადრი პატარკაციშვილი და ვლადიმირ პუტინი. მოკლედ, ცნობილი პოლიტიკოსების თიხის ასლები დამთვალიერებლის ყურადღებას იქცევდა და, რაც არ უნდა დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, ხალხს ორ-ორი და სამ-სამი მიჰქონდა. თიხის „პოლიტიკოსების" ავტორი, მხატვარი **ზაზა სუძიაშვილი** აშკარად კმაყოფილი ჩანდა.

**— თქვენ ფერმწერი ხართ და ამ თიხის კაცუნების ძერწვით რატომ დაინტერესდით?**



— „ვარდების რევოლუცია" ახალი მომხდარი იყო. წვიმდა. შინ ვიჯექი და თიხით რაღაცას ვძერწავდი. ბოლოს, მინიედუარდ შევარდნაძე შემრჩა ხელთ. კი გამიკვირდა, მაგრამ უცებ გამიელვა, — მოდი, სხვებსაც გამოვძერწავ და გავყიდი-მეთქი. ასე შევქმენი მიშა სააკაშვილიც. 5-5 ცალი გავიტანე გასაყიდად. დამესია ხალხი, განსაკუთრებით უცხოელები, რიგი დამიდგა, თან სხვა პოლიტიკოსების მინიატიურებიც შემიკვეთეს. ასე გაჩნდა ბურჯანაძე, ჟვანია... პატარკაციშვილის კაცუნაც მაგრად იყიდება. ზოგი მოდის, თავის თავს მაძერწვინებს. აქ იმდენ უცნაურ მყიდველს ნახავთ, რომ...

**— ყველაზე უკეთ რომელი კაცუნა იყიდება?**

— შევარდნაძე და სააკაშვილი.

**— პუტინიც გამოგიძერწავთ. აქვს გასავალი?**

— ისე რა. პუტინი ქართველებში და უცხოელებში უფრო ფასობს, ვიდრე რუსებში. ის უცხოელები ყიდულობენ პუტინს, ვისაც რუსებთან აქვთ საქმე. ევგენი პრიმაკოვმაც კი არ იყიდა პუტინი, რამდენიმე შევარდნაძე წაიღო და კმაყოფილიც ჩანდა — ამათ საჩუქრად დავარიგებ და მეგობრებს გავახარებო. ალბათ ახლა ბუშსაც გავაკეთებ, უკვე მთხოვენ...

**— ქართველი პოლიტიკოსები თუ ყიდულობენ „საკუთარი" თიხის კაცუნებს?**

— პროტოტიპები თვითონ არ მოსულან საყიდლად, მაგრამ ვიცი, რომ აქვთ. ამას წინათაც ორმა პარლამენტარმა იყიდა რამდენიმე ცნობილი კაცუნა — ამა და ამ პოლიტიკოსისთვის გვინდაო.

**— ე.ი. ხელოვნება თქვენთვისაც ბიზნესად იქცა?**

— ნათქვამია, რაც ხელიდან გამოგდის, იმან გარჩინოსო. მეც ეს მარჩენს. ისე, როგორც ყველა მხატვარი, ნახატებს ვყიდი. ბიზნესია, აბა, რა. კარგია გალერეებში, სალონებში გამართული გამოფენები, მაგრამ არც ღია ცის ქვეშ გამოფენა-გაყიდვაა ურიგო. ბოლოს და ბოლოს, მშრალი ხიდის გამოფენა საფრანგეთის მონმარტრიდან, ნიუ-იორკის მანჰეტენიდან და ბერლინიდან შემოვიდა.

**— სალონურ გამოფენებს მიჩვეული თქვენი კოლეგებისგან გამიგონია — ღია ცის ქვეშ უნიჭო მხატვრები დგანანო, თუმცა მათ ნამდვილად ვერ დაგეთანხმები...**

— მაგას მხოლოდ უნიჭო თუ იტყვის. ფიროსმანიც იდგა ქუჩაში, მოდილიანიც, ვან გოგიც... საბჭოთა კავშირის დროს ვინ გამოიტანდა თავის ნამუშევარს. ბოლოს, გორბაჩოვმა ბრძანა, — მხატვრები გადასახადებისგან გაათავისუფლეთ და ნამუშევრების გაყიდვის საშუალება მიეცითო. ამის შემდეგ გამოჩნდნენ მხატვრები ქუჩაში. უნიჭოს გალერეაშიც შეხვდები და ღია ცის ქვეშაც.

**— თქვენ დიდ დროს ატარებთ ქუჩაში. როდისღა ხატავთ?**

— ვხატავ, როცა მუზა მოდის... თითქმის 20 წელია მშრალ ხიდთან ვდგავარ. თავიდან სამნი ვიყავით, მერე შემოგვემატა ხალხი და კონკურენციამაც იმატა.

**— უცხოელი მყიდველი მეტია თუ ქართველი?**

— ქართველიც ბევრი მოდის და უცხოელიც, მაგრამ უცხოელი ყიდულობს, ქართველი — ვერა... არადა ყველაზე გემოვნებიანი მყიდველი ქართველი იყო და არის.

**— ზაზა, აქ ხშირად მინახავს მოქეიფე მხატვრები. ღვინო მუზასთან სიახლოვეში გეხმარებათ თუ ყოფის ერთფეროვნებისგან თავის დაღწევაში?**

— მხატვრები ღვინოს იმიტომ სვამენ, რომ გულის კარი რაც შეიძლება ფართოდ გახსნან და მეტი სიყვარული ამოაფრქვიონ. გახსოვთ ნიკალას ოცნება ერთი დიდი სახლისა და სამოვრის შესახებ? ჩვენც ხშირად გვიოცნებია მაგაზე, მაგრამ მერე გადაგვიფიქრებია, რადგან სიყვარულისა და ერთად ყოფნისთვის, თუ გული გულობს, ღია ცის ქვეშ ყოფნას არაფერი სჯობს, ღმერთი დაგჩერებია ციდან და მადლს გიგზავნის. სამოვარი კი მხატვრის საქმე არ არის, ნიკალას რომ ის სახლი აეშენებინა, კი შეიკრიბებოდნენ ხელოვნებაზე სალაპარაკოდ, მაგრამ სამოვარი უქმად იდგებოდა. სამოვარი ქართველის საქმე არ არის, თანაც ხელოვანის. ხელოვანმა ღმერთების სასმელი — ღვინო უნდა სვას. აი, ამიტომ ვსვამთ ჩვენც...

*ეკა ლომიძე*



# ჟურნალისტები გადარჩნენ!

## რამდენად რეალურია დემილიტარიზაცია?



სავარაუდოდ, ჟურნალისტების მახლობლად ასეთი ხელყუმბარა აფეთქდა

კიდევ ერთხელ მტკიცდება, თუ რამდენად სახიფათოა ჟურნალისტის პროფესია. 6 ნოემბერს, სამაჩაბლოში, სოფელ ქურთის მახლობლად, აფეთქდა ხელყუმბარა. დაიჭრნენ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი თენგიზ გოგოტიშვილი და ტელეოპერატორი ლევან დგებუაძე. საბედნიეროდ, ჭრილობები მსუბუქი აღმოჩნდა; მაგრამ ეს შემთხვევა კიდევ ერთხელ მოწმობს, რამდენად საშიშია იმ ტერიტორიაზე სიარული, სადაც ცოტა ხნის წინ შეიარაღებული კონფლიქტი მიმდინარეობდა.

კონფლიქტის ზონაში დანაღმულია ყველა ის ადგილი, საიდანაც მოსალოდნელია შეტევა ამა თუ იმ მიმართულებით და დანაღმვით ოპერაციებს, მათ შორის, „სიურპრიზების“ გამოყენებით, არა მარტო ოსური მხარე აწარმოებს. ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები რაოდენ არაჰუმანურადაც უნდა ითვლებოდეს, სამწუხაროდ, მაინც რჩება ეფექტიან თავდაცვის იარაღად და მათი საშუალებით გარკვეული მიმართულებების ჩაკეტვა შეიძლება.

„რუსთავი 2“-ის ჟურნალისტები ბეწვზე გადაურჩნენ უფრო ტრაგიკულ ბედს, რადგან შემთხვევის ადგილზე დამალული ხელყუმბარა მათ სულ ერთ მეტრში აუფეთქდათ. როგორც ჩანს, ტელეოპერატორმა ფეხი დაადგა მორის ნატეხს, რომლის ქვეშ იმალებოდა დამცველმოხსნილი ხელყუმბარა. მორის გადაადგილებისთანავე ხელყუმბარის ამფეთქი 3-4 წამში ამოქმედდა და აფეთქების ინიცირება მოახდინა. სავარაუდოდ, ეს შეტევითი ხელყუმბარა РГД უნდა ყოფილიყო, თორემ ბევრად უფრო მძლავრი თავდაცვითი ხელყუმბარის Ф-1-ის ამოქმედების შედეგი უფრო სავალალო იქნებოდა.

სანამ ცხინვალის რეგიონში დაძაბულობა გრძელდებოდა, რუსეთის სამხრეთში, სოჭში, ქართული და ოსური მხარეები შეთანხმდნენ კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციის შესახებ, რაც ა.წ 20 ნოემბრამდე ამ ზონიდან სამშვიდობო ძალების გარდა, სხვა შეიარაღებული დანაყოფების გაყვანას ითვალისწინებს.

თუკი ეს შეთანხმება განხორციელდა, მაშინ 20 ნოემბრისთვის კონფლიქტის ზონაში მხოლოდ სამი, თითო 500-კაციანი, სამშვიდობო ბატალიონი უნდა დარჩეს, ერთი ქართული, ერთი ჩრდილოოსური და ერთიც რუსული.

იბადება კითხვა, მაშინ სად წავა ოსი სეპარატისტების ე.წ თავდაცვის სამინისტროს დანაყოფები, ოსური „ომონი“ და სხვა სპეცრაზმები? წესით, ისინი გაყვანილი უნდა იქნენ კონფლიქტის ზონის ზემოთ, ჯავის რაიონში, მაგრამ ცოტა ძნელი დასაჯერებელია, შესრულდება თუ არა ქართული მხარის ეს მოთხოვნა. ცხინვალში ამის შემოწმების შესაძლებლობას ქართველ სამშვიდობოებს ნაკლებად მისცემენ.

სოჭის შეხვედრაზე ვერ მიაღწიეს შეთანხმებას როკის გვირაბის ერთობლივ გაკონტროლებაზე (რაც მეტად მნიშვნელოვანია ოფიციალური თბილისისთვის), მიუხედავად იმისა, რომ თბილისმა სეპარატისტულ ცხინვალს რამდენიმე საინტერესო და, ამასთანავე, მომგებიანი ერთობლივი ეკონომიკური პროექტის განხორციელება შესთავაზა. ცუდი არაფერია იმაში, რომ ხელი მოეწერა დოკუმენტს ცეცხლის შეწყვეტისა და ბრძოლების არგანახლების შესახებ, მაგრამ რას იზამს თბილისი, თუკი ქართული სოფლებიდან, განსაკუთრებით კი დიდი ლიახვის ხეობიდან, კვლავ გაგრძელდება ქართველი მოსახლეობის თუ მათი საქონლის გატაცება, ხოლო ცხინვალზე გამავალ გზაზე ყველა ქართველის დაკავება და ფიზიკური შეურაცხყოფა?!

***ირაკლი ალადაშვილი***

# ციხიდან გაქცევის ახალი ქართული მეთოდი

## გვირაბის გათხრა წარსულს ჩაჰბარდა...

ციხიდან გაქცევის ტრადიციული მეთოდები, ჩანს, ისე მოძველდა, რომ დამნაშავეთა სამყაროში ახალ „ტექნოლოგიებზე“ დაიწყეს ფიქრი. გვირაბის გათხრა, ბადრაგის მძევლად აყვანა და ამგვარი „მამაპაპური“ მეთოდები ციხიდან გასაქცევად უკვე ეფექტიანი აღარ არის. სამაგიეროდ, ტუსაღობიდან უმტკივნეულოდ თავის დაღწევის ორიგინალური მაგალითები ქართულ სინამდვილეში უკვე გამოჩნდა.

ხელმოწერის გაყალბება ჩვენს ქვეყანაში დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, მაგრამ გაყალბებული დოკუმენტის სასჯელთაღსრულების სისტემაში შეპარება სათანადო ცოდნასა და ოსტატობას ნამდვილად მოითხოვს. თუმცა, ვინ არის ამ ნოვაციის ავტორი, უსაქმოდ დარჩენილი, ფიქრებში გართული პატიმარი თუ სამართალწარმოების სისტემაში კარგად გარკვეული პერსონა, ცნობილი არ არის.

2004 წლის 1-ელ ოქტომბერს პირველი საპყრობილიდან ყაჩაღობაში ბრალდებული დავით მიქავა გაიქცა. მიქავა ივნისის თვეში გლდანი-ნაძალადევის სისხლის სამძებროს თანამშრომლებმა ყაჩაღობაზე დააკავეს. იმისათვის, რომ დავით მიქავას ციხიდან თავი დაეღწია, არც გვირაბების თხრა დასჭირვებია და არც ბადრაგის მოსყიდვა. ყაჩაღობისთვის რამდენჯერმე ნასამართლევი მიქავა ციხის თანამშრომლებმა დაუბრკოლებლად თავად მიაცილეს ცენტრალურ გასასვლელამდე(!). სასჯელთაღსრულების დეპარტამენტში პატიმრის გაქცევის ამბავი შესაძლოა სრულიადაც ვერ შეემჩნიათ, რომ არა ვაკე-საბურთალოს რაიონში სასამართლოს თავმჯდომარის, მამუკა ნოზაძის შეტყობინება, მიქავას საპატიმრო ღონისძიება არ შემიცვლია და სასამართლოს ბრძანება ყალბიაო(!).

**მამუკა ნოზაძე:** „მიქავას შესახებ ინფორმაცია სასჯელთაღსრულების დეპარტამენტს მე მივაწოდე. ვუთხარი, ბრძანება აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე ჩემი ხელმოწერილი არ არის, სიყალბესთან გვაქვს საქმე-მეთქი.“ ანალოგიური ხერხით ციხიდან გაქცევას აპირებდა მიქავას პარტნიორი ყაჩაღობის საქმეში შაკაიაც. ყალბი ბრძანება მისი ციხიდან გათავისუფლების თაობაზე სასჯელთაღსრულების დეპარტამენტში უკვე მისული იყო(!). შაკაიას მიქავასავით აღარ გაუმართლა, რადგან ამჯერად დეპარტამენტმა ბრძანების ნამდვილობა გადაამოწმა (აქამდე სად იყვნენ?).

ქვეყანაში, სადაც კოლინ პაუელის ხელმოწერას აყალბებენ (უცხოელ ინვესტორთან დაკავშირებულ დავაში ადვოკატმა კოლინ პაუელის „ხელმოწერილი“ დოკუმენტი წარმოადგინა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, აშშ-ის გენერალური მდივნის ხელმოწერა ყალბი ყოფილა), მოსამართლის ხელმოწერის გაყალბება სირთულეს არ წარმოადგენს, მაგრამ საკითხავი ის არის, როგორ აღმოჩნდა ყალბი ბრძანება სასჯელთაღსრულების დეპარტამენტში. წინასწარი მონაცემებით, ბრძანება დეპარტამენტამდე ფოსტით მივიდა. საქმეს კრწანისი-მთაწმინდის რაიონული პროკურატურა იძიებს, თუმცა გამყალბებლის ვინაობის დადგენა, ჯერჯერობით, ჭირს. მოსამართლის განცხადებით, როგორც წესი, ბრძანება აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე ფოსტით არ იგზავნება და ამ საეჭვო გარემოებას რატომღაც სასჯელთაღსრულების დეპარტამენტში ყურადღება არავინ მიაქცია. თავად ნოზაძის ყურამდე ეს ამბავი პოლიციელებმა მიიტანეს, რადგან მოსამართლის „ქმედება“ (ორი ყაჩაღის პატიმრობიდან გათავისუფლება) პოლიციელებს ცოტა უცნაურად მოეჩვენათ.

ძნელი სათქმელია, ციხიდან გაქცევის ეს ორიგინალური მეთოდი თავად მიქავამ შეიმუშავა, თუ მას გარედან დაეხმარნენ, მაგრამ ფაქტია, რომ მოსამართლის ხელმოწერის გაყალბებამ გაქცევის ყველაზე ნაცად ხერხებზე უფრო გაჭრა.

***ხათუნა პაიჭაძე***

# „ჩვენ ცოცხლები ვართ და ვერ ელირსებიან, რომ ხელები შეგვახოცონ!“

## „თქვენ ის კაცი არ ხართ, სამეგრელოს ავტონომიის გამოცხადებას რომ აპირებდით?“



ბაჩუკი გვანცელაძე



„ბატონო ვალტერ, ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ ნამდვილად სამარცხვინო მდგომარეობაში აღმოჩნდებით...“

„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულმა მასალამ, რომელიც ზვიად გამსახურდიას სიკვდილს შეეხებოდა, საზოგადოების დიდი დაინტერესება გამოიწვია. ამიტომ გადავწყვიტეთ, უფრო ჩავღრმავებოდით ყველასთვის მტკივნეულ და პრინციპულ ამ თემას. შევეცდებით, შემოგთავაზოთ ყველა იმ ადამიანის განცდები და ნააზრევი, ვისაც მეტად თუ ნაკლებად კავშირი ჰქონდა ამ მოვლენასთან. მიგვაჩნია, რომ გაზეთის ფურცლებზე დაფიქსირებული ეს დოკუმენტური მასალა (არა მარტო დღევანდელი) მომავალი თაობებისთვისაც იქნება მრავლისმთქმელი და ჭკუის სასწავლებელი.

„ის ადამიანები შეიკრიბნენ ერთ გუნდად, ვისაც სინდისი ქენჯნის და ცდილობენ ყველაფერი ჩვენ, ზვიადის უერთგულეს ადამიანებს, გადმოგვაბრალონ. იციან, პრეზიდენტმა მათი ღალატის გამო რომ მოიკლა თავი!“ — ბაჩუკი გვანცელაძე.

**ბაჩუკი გვანცელაძე** ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრი, 1989 წლიდან პრეზიდენტის სიცოცხლის ბოლო წუთამდე მასთან ერთად იყო...

„კვირის პალიტრა“ მასთან ინტერვიუს გთავაზობთ:

— ვადასტურებ, თავად ვაპირებდი თავის მოკვლას და არა ისე, „კვირის პალიტრის“ წინა ნომერში რომ ამტკიცებდა მერაბ რაფავა — კეკენაძე აპირებდა მარგველანისა და გვანცელაძის დახოცვასო. კეკენაძე ასეთ რამეს არასოდეს დაადასტურებს, შემიძლია დაგაკავშიროთ და თავად გეტყვით ყველაფერს. მართალია, მერაბ რაფავა არ ესწრებოდა ჩვენს დაკითხვას, მაგრამ როცა პრეზიდენტის მიერ შექმნილი საგამოძიებო კომისიის წევრი ხარ და მხოლოდ სიმართლის თქმა გევალება, წარმოდგენილ მასალებს მაინც ხომ უნდა გაეცნო, რომ საქვეყნოდ ლაპარაკის უფლება მისცე თავს? ვეჭვობ, მას არც წაუკითხავს ჩემი, რობიზონის, გოჩასა და ზაზას ჩვენებები და ჩემი ნათქვამის გადაკეთებული ვარიანტი მიაწერა რატომღაც კეკენაძეს...

მერაბ რაფავას მიერ „კვირის პალიტრისათვის“ მიცემული ინტერვიუ სიმართლის თქმის სურვილს არაფრით ჰგავს. ქართველ ხალხს თავს ახვევს თავის ნააზრევსა და ვერსიებს, რომლებიც სიმართლისგან შორს დგას — ფაქტებს კი არ აფიქსირებს და თვითმხილველთა ჩვენებებს კი არ ეყრდნობა — ეს ასე იქნებოდა და ალბათ ასე იყოო! ჯერ ერთი, სანამ ძიება არ დამთავრდება, ვინ მისცა ლაპარაკის უფლება და ისიც, „მე ასე მგონიას“ დონეზე...

ათასჯერ ითქვა და დაიწერა იმის შესახებ, რაც მოხდა და არა მგონია, ხალხისთვის სიახლე იყოს ის, რომ ზვიადმა თავი მოიკლა. სამწუხაროდ, მას ამისთვის ჰქონდა საფუძველი. მერაბ რაფავა კი ხშირად იმეორებს სიტყვას „მკვლელობა“ და ირიბად მიანიშნებს, რომ ბატონი ზვიადი ან მის თანმხლებ პირთაგან მოკლა ვინმემ, ან მათი ხელშეწყობით და ხალხი შეცდომაში შეგნებულად შეჰყავს!..

ღურწკაიების ოჯახში რომ გადავედით, ზვიადმა ყველაფერი გააკეთა ჩვენი ყურადღების მოსადუნებლად, წინასწარ გათვალა ყველაფერი: წინა დღეებში ძალიან ცუდად იყო, არაფერს ჭამდა, რომ ვეხვეწებოდით — შემოგვჩიოდა: ჩანჩქერი რომ გადმოდის და შიგ დიდი ლოდი ჩააგდო, ისე მაქვს კუჭი გადაკეტილი, ცუდად ვარო! პირველად თვითონ შეეპარა ეჭვი, რომ მოწამლეს, მაგრამ სად შეიძლებოდა ეს მომხდარიყო, არც თავად შეეძლო თქმა, — ოჯახიდან ოჯახში გადავდიოდით, სულ სხვადასხვა კაცს მოჰქონდა ჩვენთან საჭმელი. ბატონი ზვიადი იმასაც ამბობდა: შეიძლება ფსიქოტრონული ნივთიერებით მომწამლეს, რომელიც თანდათან შედის სისხლთან რეაქციაშიო!.. ჩვენ ვწუხდით, წუთით არ ვტოვებდით უყურადღებოდ... იმ ავბედით ღამეს დაქანცულები ვიყავით, მაგრამ არ გვეძინა, გვიანიც არ იყო, მაგრამ ზამთარში, ხუთ საათზე რომ ღამდება, უსასრულო გეჩვენება ღამე. ძილ-ბურანში ვიყავით, რომ რაღაც ბრახუნმა გამოგვაფხიზლა, ისეთმა, გასროლის ხმას რომ ვერც მიამსგავსებ. ბესარიონ გუგუშვილიც კი, რომელიც პრეზიდენტის გვერდით იწვა, ვერ მიხვდა, რომ მან თავი მოიკლა და ჩვენთან შემოვარდა — პრეზიდენტი ცუდადააო... ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება, რაც ვნახე. ცრუობს მერაბ რაფავა, რომ ამბობს: იარაღიანი ხელი ზვიადს გულზე ედო, რასაც თავის მომკვლელი კაცი ვერ მოახერხებდაო!..

დამიჯერეთ, ზვიადს ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გათვლილი და ისეთი პოზა ჰქონდა შერჩეული, რომ მის სხეულში გავლილი ტყვია შემთხვევით გუგუშვილს არ მოხვედროდა: გვერდულად იყო მისვენებული, ნახევრად იჯდა.

*(გაგრძელება იხ. გვ. 27)*


მოისმინეთ ამერიკის ხმის
გადაცემები ქართულ ენაზე
ყოველდღიურად 19:30-დან 20:00
საათამდე "მთავარი რადიოს"
და "რადიო 2-ის" ტალღებზე
MORE >
www.VOAnews.com

# აფხაზეთი — ახალი ოფშორული ზონა?!

## დიდ ფულს სიჩუმე და სიმშვიდე უყვარს, აფხაზეთში არც ერთია და არც მეორე

არალეგიტიმური არჩევნების ჩატარების შემდეგ ერთმანეთს წაკიდებული ბაღაფშისა და ხაჯიმბას მორიგებას მათი უფროსი ძმები, რუსი დეპუტატები თავგამოდებით ცდილობენ და, სავარაუდოდ, ამ ვაჭრობის შემდეგ რაულ ხაჯიმბა პრემიერ-მინისტრის პოსტს ბაღაფშის ხელისუფლებაშიც მიიღებს.

მაგრამ, როგორც ირკვევა, აფხაზეთი სხვა სიახლეებისთვისაც ემზადება... ბოლო დროს გავრცელდა ინფორმაცია, რომელიც სეპარატისტთა გავლენიანი წრეების სურვილსაც ამხელს — აფხაზეთი ოფშორულ ზონად, უკანონო ფულისა და შემოსავლების ბუდედ აქციონ. ეს დაქცეულ და გაპარტახებულ რესპუბლიკას ფეხზე წამოაყენებდა და მის თავკაცებსაც გვარიანად გაუსქელებდა ჯიბეს. როგორც ექსპერტები ამბობენ, აფხაზეთზე ფსონს სავარაუდოდ ის ბიზნესმენები ჩამოდიან, რომელთაც კვიპროსის ევროკავშირში შესვლის შემდეგ ხელფეხი შეეკრათ და მოთხოვნამ, აწი „თეთრად“ იმუშავეთო, ახალი ელდორადოს მოძებნისკენ უბიძგა. რამდენად პერსპექტიულია აფხაზთა ჩანაფიქრი და ელის თუ არა ასრულება მათ სანუკვარ ოცნებას, რა პოზიციას დაიკავებენ ამ ვითარებაში რუსეთი და საქართველო, ამ თემაზე კომენტარი პოლიტოლოგ **სოსო ცინცაძეს** ვთხოვეთ:

— აქამდე კვიპროსი ოფშორული ზონის კლასიკურ ნიმუშად ითვლებოდა. ამის საფუძველი ხელსაყრელი საგადასახადო სისტემა, ნახევრად კრიმინალური კაპიტალი და ადგილობრივი კანონმდებლობის ზედმეტად ლიბერალურობა გახდა — იმიტომ, რომ ეს ქვეყანას დიდ შემოსავალს, დამატებით სამუშაო ადგილებს და განვითარებულ ინფრასტრუქტურას აძლევდა. ცნობილია სხვა ფაქტიც, როდესაც ჩინეთში ერთი პატარა სოფელი მილიონიან ქალაქად სწორედ ოფშორული ზონის წყალობით იქცა. რატომღაც ოფშორულ ზონას „კრიმინალურ“ ფულს უკავშირებენ ხოლმე, მაგრამ ყოველთვის არ გვაქვს საქმე ჭუჭყიან ფულთან.

თუ თეორიულად ვიმსჯელებთ, სავსებით შესაძლებელია ოფშორული ზონა აფხაზეთშიც შეიქმნას, მაგრამ ამის რეალურად განხორციელება იქ გაძნელდება. თუნდაც იმიტომ, რომ დიდ ფულს სიჩუმე და სიმშვიდე უყვარს. აფხაზეთში კი არც ერთია და არც მეორე, მით უმეტეს კი ახლა, როდესაც ქვეყანა სამოქალაქო ომის ზღვარზეა. აფხაზურ საზოგადოებაში, რომელიც არძინბას ირგვლივ მონოლითურად დარაზმული ჩანდა, განხეთქილებაა. საზოგადოება ორად გაიყო, თუმც ეს შიდაგაყოფაა და არანაირად არ უკავშირდება საგარეო პოლიტიკას. ბაღაფშისა და ხაჯიმბას კლანებს ერთმანეთში მორიგება გაუჭირდებათ. ზოგიერთი ამბობს — რუსულმა პოლიტიკამ აფხაზეთში კრახი განიცადაო, სინამდვილეში კი რუსეთს არც ეცალა აფხაზეთისთვის — მისი ყურადღება აშშ-ისა და უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებისაკენ იყო მიპყრობილი. პუტინმა თავისი ყველა ფსონი უკრაინაზე დადო. აფხაზეთი კი კრემლის მეორეხარისხოვან ჩინოვნიკს, სიტნის მიანდეს, რომელიც ორი თვე იჯდა სოხუმში და ხაჯიმბას სასარგებლოდ ამზადებდა არჩევნებს. მოსკოვში მშვიდად იმიტომ იყვნენ, იცოდნენ, ჩვენი ყულფიდან თავს ვერც ერთი გამარჯვებული ვერ დაიხსნისო. მათი ვარაუდი გამართლდა კიდეც. ხომ ხედავთ, მათი მოწინააღმდეგე ბაღაფში რა ამბით დარბის მოსკოვში და „სმირნაზე“ უდგას რუსებს.

მხოლოდ ის, რომ აფხაზეთში ზღვა, კარგი კლიმატი, მოკრიმინალო და ნებისმიერი კანონის მიმღები ხელისუფლებაა, არ კმარა ოფშორული ზონის შესაქმნელად. აფხაზეთი ჯერ ძალიან შორს არის სტაბილურობისაგან. ამიტომ გამორიცხულია, რომელიმე საღ ჭკუაზე მჯოფმა ბიზნესმენმა იქ დიდი ფული დააბანდოს, ამას გიჟის მეტი არავინ იზამს. ყოველ შემთხვევაში, სანამ აფხაზეთი არაკონტროლირებადი და არეული იქნება, ეს არ მოხდება. თუმც, ვფიქრობ, ოფშორული ზონის შექმნა შესაძლებელი იქნებოდა საქართველოს შემადგენლობაში მისი დაბრუნების შემდეგ.

რამდენიმე წლის წინ იყო ლაპარაკი იმაზე, რომ შავი ზღვის ყველა პორტი ზედგამოჭრილია ოფშორული ზონისათვის. ეტყობა, აფხაზეთში ვიღაც ამ იდეის რეანიმაციას ფიქრობს. ამ თემაზე რუსებიც წერდნენ ორიოდე წლის წინ, მაგრამ აფხაზეთის კანონმდებლობას არ ცნობს მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა და როგორ უნდა შეიქმნას იქ ეკონომიკის აღორძინებისათვის გარემო? თუ არალეგალურ კრიმინალურ ბიზნესს აირჩევენ, ასეთი ბიზნესი დღესაც არის აფხაზეთში — უნიკალური ხეტყე და ქვანახშირი ისედაც გააქვთ... მაგრამ კრიმინალურ ბიზნესს გაქანება არ აქვს, ასე კი დიდ ფულს ვერ გააკეთებ... არის კიდევ მთავარი მიზეზი, რაც აფხაზეთში ოფშორული ზონის შექმნას არარეალურს ხდის — ისინი ამას რუსეთის გარეშე ვერ გააკეთებენ, რუსეთს კი არანაირად არ აძლევს ხელს იქ ისეთი ზონა, სადაც ამერიკელი, თურქი, ეგვიპტელი და იორდანიელი ოლიგარქები ჩავლენ და ფულს დაატრიალებენ.

— **თავის დროზე სოროსსაც ხომ აინტერესებდა აფხაზეთი?**

— 5-6 წლის წინ ითქვა, სოროსი მილიარდ დოლარს ჩადებს აფხაზეთში, რათა კონფლიქტი გადაიჭრასო, მაგრამ ეს გეგმა რუსებმა ჩაშალეს — სადაც რუსეთის გავლენაა, იქ სოროსი ფეხს ვერ ჩადგამს...

ბუნებრივია, საქართველო არ დაუშვებს აფხაზეთში ოფშორული ზონის შექმნას. მას საიმისო სამხედრო ძალა აქვს, რომ გააკონტროლოს იქ ტვირთების მოძრაობა.

ეს აფხაზი სეპარატისტების მაფიოზური დაჯგუფებების არარეალური ოცნებაა (ცხადია, საკუთარი ჯიბეების გასქელებისათვის), რაზეც საქართველოს ხელისუფლება ლაპარაკსაც არ მოინდომებს.

# „ქარელს არ ესიამოვნა, მის „შინაურ“ საქმეებში რომ ჩავიხედეთ“





## „პარაშუტითაც რომ დაშვებულიყვნენ, ჩვენი მოქალაქეების დეპორტაციის უფლება საქართველოდან არავის ჰქონდა“

**გ**ასულ კვირას სამაჩაბლოს კონფლიქტის ზონაში კინაღამ ქართველებს შორის მოხდა შეტაკება (ესღა გვაკლდა!), მაგრამ, კეხვთან საქართველოს 300 მოქალაქის სამდღიან ტყვეობას სააკაშვილმა დაუსვა წერტილი. რომ არა პრეზიდენტი, მეორე მიხეილი (ქარელი) სამშობლოში ძლივს ჩამოღწეულთ ისევ რუსეთში უპირებდა გასტუმრებას და რით დამთავრდებოდა ეს ამბავი, არავინ იცის. უვიზოდ უკან, რუსეთში გაბრუნებული ხალხი, შესაძლოა, საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის ციხეში გამოემწყვდიათ. არც ის არის გამორიცხული, რუსებს საერთაშორისო განგაში აეტეხათ და მთელი მსოფლიოს გასაგონად ეყვირათ — საქართველო თავისიანებს თავისთან არ უშვებს და 300-კაციანი დესანტი გადმოგვისხაო. სამი დღის განმავლობაში ვიღაც და რატომღაც სამი ასეული ქართველის ბედით უდიერად თამაშობდა — გარდა იმისა, რომ ამ ხალხს შინისკენ წასასვლელი გზა გადაუკეტეს და საშიშ ზონაში აყურყუტეს, კინაღამ სამშობლოს მოღალატის იარლიყიც მიაკერეს, — რაკი საზღვრის გადმოკვეთისას ფული სეპარატისტებს მიეცით (აბა, რა ექნათ? ისინი ხომ რუსებმა აქეთ გამოუშვეს), მათი დამფინანსებლები ხართ და თქვენ გამოა, ქართულ სოფლებს ტყვიები რომ აწვიმსო. შიდა ქართლის გუბერნატორისა და იქაური სამართალდამცველების უეცარმა გაგულისებამ და მგზავრებზე ჯავრის ამ უცნაურმა ამოყრამ სხვადასხვა ეჭვი წარმოშვა. ითქვა, ეს პროვოკაცია რუსებმა მოიფიქრეს, ერთი მხრივ, ერგნეთის გადაკეტვის შემდეგ კოკოითს გაუჩინეს შემოსავლის წყარო (მგზავრებისგან ფულის გამოძალვა) და განგებ მიჰყავთ როკის გვირაბამდე მგზავრები. მეორე მხრივ კი ამ თავხედობით ქართველებს უშლიან ნერვებს და აკი წამოაგეს კიდეც ანკესზე გულუბრყვილო ქარელი — ქართველები კინაღამ ქართველებთან დააპირისპირესო.

როგორც კი ტელევიზიით განვაცხადე ცხინვალში კონტრაბანდა შედის-მეთქი, მეორე დღეს სავსებით შეწყდა ტვირთის ნაკადი. დარწმუნებული ვარ, ჩემს ნათქვამს სეპარატისტები და მათი მთავრობა აინუნშიაც არ ჩააგდებდნენ და ამის გამო არ შეწყვეტდნენ კონტრაბანდის შემოტანას. ვფიქრობ, ქართული მხრიდან მოახდინა ვიღაცამ ამაზე გავლენა, ამ საქმეში ქართველებიც არიან ჩართული, ეს არ არის მხოლოდ ოსების მიერ კონტროლირებადი ტვირთი.

**სოზარ სუბარი**: — როდესაც ხუთი ავტობუსით სამასამდე კაცი როკის გვირაბით შემოვიდა საქართველოში, ისინი სოფელ კეხვთან გააჩერეს. ლარსის გზით უნდა შემოსულიყავით (სადაც საბაჟო და სასაზღვრო პუნქტებია), რაკი სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი გზით შემოხვედით, სეპარატისტები გაამდიდრეთო(?!). მიხეილ ქარელი ამბობდა, თითოეულმა ავტობუსმა 8 ათასი რუბლი (დაახლოებით 300-350 დოლარი) გადაიხადა, საქართველოში რომ შემოეღწია. ამიტომ ჩვენ აღარ გავატარებთ, როკის გვირაბით ისევ უკან გაბრუნდნენ და ლარსის გზით შემოვიდნენო. ეს, ფაქტობრივად, წარმოუდგენელი იყო. უვიზო ხალხს რუსეთის ტერიტორიაზე ვინ შეუშვებდა, თანაც მგზავრებს შორის ბევრი იყო ისეთი, რომელთაც რუსებმა დეპორტაცია გაუკეთეს და ასეთებს ისევ უკან მიიღებდნენ? თავი დავანებოთ იმ ფაქტს, რომ მგზავრებს შორის ქალები და ბავშვები იყვნენ, საკუთარი მოქალაქეების დეპორტაციის უფლებას არც საქართველოს კონსტიტუცია იძლევა და არც საერთაშორისო სამართალი.

ავტობუსები, რომლებიც კეხვთან დააკავეს 22 ოქტომბერს, უპრობლემოდ გავიდნენ საქართველოდან. მძღოლები ამბობდნენ, რა გზითაც გავედით, იმავე გზით ვბრუნდებოდით და არ ვიცოდით, რომ პრობლემა შეგვექმნებოდაო. სამართალდამცველებს საზღვრის უკანონო გადმოკვეთისთვის შეეძლოთ დაეკავებინათ მგზავრები, სისხლის სამართლის დანაშაულის გამო სასჯელი დაეკისრებინათ, დაეჯარიმებინათ. თუ ტვირთი ჰქონდათ, მისი განბაჟება მოეთხოვათ, მაგრამ გაუგებარი იყო მოთხოვნა — უკან გაბრუნდითო. ჩვენი მოქალაქეები პარაშუტითაც რომ დაშვებულიყვნენ საქართველოს ტერიტორიაზე, მათი დეპორტაციის უფლება არავის ჰქონდა — ქვეყანა ვალდებულია საკუთარ მოქალაქეებს უპატრონოს. ვამბობდი, რაკი ეს ხალხი უკანონოდ შემოვიდა ქვეყანაში, მივცეთ გზის გაგრძელების უფლება და მერე დავსაჯოთ, ნუ გავაჩერებთ შუა გზაზე სეპარატისტების მეომრებითა და სნაიპერებით სავსე ტყეში, სადაც საფრთხე ყოველ წუთს ემუქრებათ-მეთქი. ისედაც დაძაბულ რეგიონში შეიძლებოდა დამატებითი დაძაბულობის კერის შექმნა? არადა, იქ სიტუაციის აფეთქებას ბევრი არაფერი უკლდა.

— **ითქვა, ამ ავტობუსებს ჟირინოვსკის პარტიის წევრები აცილებდნენო, რატომ?**

— ჟირინოვსკის პარტიამ წამოიწყო კამპანია, რუსეთი ქართველებისგან გავწმინდოთო. საქართველოს მოქალაქეებს პირდაპირ ქუჩაში იჭერენ, მიჰყავთ სასამართლოში (ან სასამართლოს გზით აძევებენ), მერე კი აცილებენ — ავტობუსებიდან არ ჩამოიპარონო, საზღვარზე კი ეუბნებიან — „გუდ ბაი“, მოუსვით აქედანო. ამ ისედაც გაწვალებულ ხალხს ჩვენ რატომ შევუქმენით პრობლემა? ისინი სადაც მიიყვანეს, იმ გზით შემოვიდნენ საქართველოში.

— **იქნებ ქარელი და სამართალდამცველები ეჭვობდნენ, რომ ავტობუსებში კონტრაბანდული საქონელი იყო.**

— სანამ საბაჟო ტერმინალამდე მივიდოდა ეს ხალხი, როგორ შეიძლებოდა ეთქვათ, კონტრაბანდა შემოგაქვთო. ამიტომაც მოვითხოვე მათი მიყვანა გორის საბაჟოში. როდესაც ჩვენსას მივაღწიეთ და ხალხი საბაჟო ტერმინალში მივიდა, არც ერთს არ აღმოაჩნდა რაიმე საქონელი. არადა, არ გამოვრიცხავ, რომ იმ ავტობუსებით შესაძლოა, მართლაც შემოვიდა კონტრაბანდული ტვირთი, მაგრამ როდესაც ისინი კეხვთან გააჩერეს, მგზავრების უმეტესობამ თავს იმით უშველა, რომ სხვა მანქანებში გადასხდნენ (ისინი არავის შეუჩერებია) და თავიანთ ტვირთიანად ცხინვალის გავლით გააგრძელეს გზა. ვინ გააკონტროლა და ვინ აღრიცხა, რა შემოიტანეს მათ ან ვინ შემოვიდა?

— **დაკავებულ მგზავრებს ვინ უშვებდა და რა საზღაურის ფასად?**

— ქართველი პოლიციელების თვალწინ ჯდებოდა ხალხი ტვირთიანად მსუბუქ მანქანებში და მიდიოდა, ხელს არავინ უშლიდა. ქალები ჩიოდნენ, პირველ დღეს 500 რუბლი ღირდა გორამდე ჩასვლა, მეორე დღეს კი ფასი 1.000 რუბლამდე ავიდა, ამდენი რომ გორამდე გადავიხადოთ, სახლამდე როგორ ჩავიდეთ, სამგზავრო ფული აღარ გვრჩებაო.

ოსები ამ ამბავს შორიდან უყურებდნენ. კეხვში კინაღამ ტრაგედია დატრიალდა, როდესაც მგზავრებმა ძალით მოინდომეს პოლიციელთა რიგების გარღვევა. ამ დროს გავიგეთ, რომ მათ საბურავების დაცხრილვის ბრძანება ჰქონდათ და მგზავრები შევაჩერე. მაგრამ მერე თქვეს — საბურავებს ავეფარებით და ისე წავალთ, ჩვენც ხომ არ გვესვრიანო. ძლივს დავიყოლიე, ასე არ მოქცეულიყვნენ — რაკი სროლის ნებართვა აქვთ, არ ვიცი ამას რა მოჰყვება-მეთქი. სხვათა შორის, სანამ კეხვში ჩავიდოდი, სასტიკად უცემიათ მგზავრები და ერთი მძღოლი. მეც არ შემხვედრიან დიდი სიხარულით. რომ გაიგეს, ჟურნალისტები გვახლდნენ, შემოვლით გზაზე წინ გადამიდგნენ და არ მიშვებდნენ. არ უნდოდათ, საზოგადოებას გაეგო, რაც კეხვში ხდებოდა და ყველანაირად შემიშალეს ხელი, მაგრამ ვერ დამაკავეს...

— **ქარელმა რატომ თქვა, — მაღლაფერიძე და სუბარი პირადად იყვნენ დაინტერესებული, როდესაც მგზავრების გაშვებას ითხოვდნენო.**

— დაინტერესებული მართლაც ვიყავი, რომ ხალხი იქ არ დარჩენილიყო, სხვა რა იგულისხმა ქარელმა, არ ვიცი. სხვათა შორის, კეხვში ყოფნისას დავინახე, რომ მანქანების ნაკადი არ წყდებოდა ცხინვალისკენ. სხვადასხვა ტვირთით სავსე „ფურები“ და ბენზინმზიდები ერთმანეთს მოსდევდა. ამდენი ტვირთი არა მგონია, მხოლოდ ცხინვალში დარჩენილიყო, რადგან მისი მეათედიც კი არ დასჭირდებათ ოსებს. როდესაც ამ ფაქტს ყურადღება მივაქციე, სამართალდამცველებს ეს არ ეპიტნავათ. მითხრეს — ცხინვალისკენ მიმავალ ტვირთს ჩვენ ვერ ვაკონტროლებთო. ამაში ეჭვი შემეპარა, იმიტომ, რომ უცნაური დამთხვევა მოხდა — როგორც კი ტელევიზიით განვაცხადე ცხინვალში კონტრაბანდა შედის-მეთქი, მეორე დღეს სავსებით შეწყდა ტვირთის ნაკადი. დარწმუნებული ვარ, ჩემს ნათქვამს სეპარატისტები და მათი მთავრობა აინუნშიაც არ ჩააგდებდნენ და ამის გამო არ შეწყვეტდნენ კონტრაბანდის შემოტანას. ვფიქრობ, ქართული მხრიდან მოახდინა ვიღაცამ ამაზე გავლენა, ამ საქმეში ქართველებიც არიან ჩართული, ეს არ არის მხოლოდ ოსების მიერ კონტროლირებადი ტვირთი. ჩემს ინტერესებზე ლაპარაკს, ქარელს ურჩევნია, დაადგინოს, ვისია ეს კონტრაბანდა და სად მიდის. მისი საქმე კონტრაბანდასთან ბრძოლაა, შესაძლოა, ებრძვის კიდეც, მაგრამ ყოველივე იმის მერე, რაც იქ ვნახე, ეჭვი აღმეძრა. ამასთან, ძალიან გამაკვირვა ტელევიზიით მიშა ქარელის გამწარებული სახის ნახვამ, ვერ გავიგე, ასე რატომ არ ესიამოვნა ჩემი და ვასილ მაღლაფერიძის იქ ჩასვლა...

**ვასილ მაღლაფერიძე**: — მართლაც კარგი იქნება, თუ ჟურნალისტები დაინტერესდებოდით და გამოიკვლევდით, რა პირადი ინტერესი გვამოძრავებდა მე და სოზარ სუბარს, როდესაც კეხვში გაჩერებული მგზავრების გაშვება მოვითხოვეთ. ითქვა — მგზავრებს შორის მათი ნათესავებიც იყვნენო. იმ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, რომ საქართველოში ნათესავის პოვნა არ ჭირს, შესაძლოა, ვინმე მგზავრთაგან მენათესავებოდა კიდეც, მაგრამ ეს არ გამირკვევია. ანდა, თუ მართლაც იყვნენ იქ ჩემი ნათესავები, ვინ შემიშლიდა ხელს, რომ ისინი სხვა გზით წამომეყვანა — ვინმე დამიშლიდა თუ რა? რამდენიმე დღე კიდევ რომ გაეჩერებინათ იქ ის ხალხი, ცარიელი ავტობუსების გარდა არაფერი დარჩებოდა. არავის ჰქონდა უფლება საქართველოს მოქალაქეებისთვის ეთქვა — თქვენი ქვეყნის ტერიტორია დატოვეთო. მგზავრებს შორის ზოგი ავადმყოფი იყო. ერთი კაცი ამბობდა, კუჭზე მილი მაქვს შეერთებული, რუსებმა გამოჯანმრთელება არ მაცალეს, ისე გამომაძევესო, მაგრამ მათზე ცუდად ქართველები მექცევიანო. როგორ შეიძლება ასე მოეპყრო შენს მოქალაქეს? კარგა ხანია, სატვირთო მანქანები კვეთენ საქართველოს საზღვარს როგორც სამხრეთ ოსეთისკენ, ასევე სამხრეთ ოსეთიდანაც და არ გამოვრიცხავ, ეს ვიღაცის ინტერესებს ემსახურებოდეს. რატომ ამ ტვირთებს არ აქცევენ ყურადღებას? ვფიქრობ, ქარელს არ ესიამოვნა, მის „შინაურ“ საქმეებში რომ ჩავიხედეთ, რაღაც-რაღაცები რომ დავინახეთ და ამიტომ გაცხარდა. ის თუ ოს სეპარატისტებს ებრძვის, ვერ ხედავს, რომ ოსები ქართულ სოფლებში გზებს აკეთებენ საიმისოდ, რომ ადგილობრივი მოსახლეობისგან ხილი იყიდონ რუსეთში გასატანად? სანამ სოზარ სუბარმა მგზავრების ამბავი პრეზიდენტს არ შეატყობინა, მანამ არ მოხერხდა მათი გაშვება. რატომ უნდა სჭირდებოდეს სამართალდამცველს თუ ჩინოვნიკს პრეზიდენტის მითითება საიმისოდ, რომ კანონი დაიცვას? ვიღაც სეპარატისტი რომ დამთვრალიყო და აეტეხა სროლა ავტობუსებისთვის, რა მოჰყვებოდა ამას, ეს რატომ არავინ იფიქრა? ჩვენ მიმართ გამოთქმული ეჭვების საფუძველი კი ის იყო, რომ ქარელს იქ ჩვენი გამოჩენა, მით უმეტეს, ჟურნალისტებთან ერთად, არ ესიამოვნა. რატომ? — გასარკვევიც ეს არის...

კეხვის ინციდენტი ლამის სახელისუფლებო შტოების დაპირისპირებად მოინათლა, მაგრამ საქმეში პრეზიდენტის ჩარევამ, როგორც ჩანს, შიდა ქართლის გუბერნატორს სუბარსა და მაღლაფერიძესთან დაპირისპირების სურვილი გაუქრო. მიშა ქარელი მათ თუ აქამდე პროვოკატორებად და „დაინტერესებულებად“ მიიჩნევდა, დღეს უკვე პირში წყალს იგუბებს. „კვირის პალიტრის“ კითხვას — იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რა დაინტერესება ჰქონდათ სუბარსა და მაღლაფერიძესო — ქარელი ლაკონიურად პასუხობს, — ამ თემაზე ლაპარაკი აღარ მინდა, თუმც ეჭვის საკმაოდ სერიოზული საფუძველი მქონდა ამ ორი პირის მიმართო. ჩვენ კი იმან დაგვაეჭვა, რატომ დამუნჯდა ასე უეცრად ქარელი?..

*გვერდი მოამზადა იზო რკაძემ*

# „როდესაც ხან იეღოველს მეძახიან და ხან სექტანტს, მწყინს“

## „სააკაშვილი მალე ლომაიას მოხსნის და მე დამნიშნავს“



**— როდესაც დღევანდელი ხელისუფლების წევრები შევარდნაძეს ფეხსაცმელებს უპრიალებდნენ, მე მას მთავრობის სხდომაზე „ვუყირავდებოდი“.**

საქართველოს განათლების მინისტრმა მოწინააღმდეგეების მრავალრიცხოვანი ამალა კიდევ ერთი პერსონით გაზარდა. ენის სახელმწიფო პალატის „ლიკვიდირებული“ (უფრო სწორად, მისი სამსახურია ლიკვიდირებული) თავმჯდომარე, ბუნებრივია, ლომაიას მაძაგებელთა ამქარს შეუერთდა, ლევან ღვინჯილია ლომაიას „შემკობას“ ხელს არ აკლებს და ჩვენთან საუბრისას მინისტრს მძიმე ბრალდებაც წაუყენა — კახა ლომაიამ სამსახურებრივი დევნა მომიწყოო. ღვინჯილიამ ჩვენთან იმ 700 ათასი ლარის ნამდვილი დამხარჯავიც დაასახელა, რომელსაც ახლა მას განათლების სამინისტრო ედავება. რატომ ვერ იმუშავეს ერთად ლომაიამ და ღვინჯილიამ და რა პრინციპით შეარჩიეს სახელმწიფო ენის პალატის ახალი თავმჯდომარე ბეჟან ჯავახია, ამას ჩვენი რესპონდენტების ნაამბობიდან შეიტყობთ.

**ლევან ღვინჯილია:** — ჩემს წინააღმდეგ კამპანია კახა ლომაიას მინისტრად დანიშვნისთანავე დაიწყო. მან ჯერ კიდევ გაზაფხულზე გამოაცხადა თურმე — ენის სახელმწიფო პალატას სათავეში ისტორიკოსი ბეჟან ჯავახია ჩაუდგებაო, რომელიც თავის დროზე ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს წევრი იყო. ჯავახიას კარგა ხანია ვიცნობ, მაგრამ რაკი გამსახურდიას შეხედულებები ჩემსას არ შეესაბამებოდა, მის მხარდამჭერებთან კარგი ურთიერთობა როგორ მექნებოდა? ალბათ ამიტომაც იყო, რომ ეს „კარგა ხნის ნაცნობი“ და ჩემი მეუღლის კურსელი ჯავახია ქუჩაში სალამს არ მაძლევდა.

**— რატომ მოინდომა ლომაიამ ბეჟან ჯავახიას დანიშვნა თქვენს ადგილზე, ალბათ, გეცოდინებათ?**

— რაღაც ეჭვი მაქვს, მაგრამ ზუსტად ვერაფერს ვიტყვი. ჯავახიაზე ვერ იტყვი, გაუნათლებელი კაციაო, მაგრამ ენის პალატის ხელმძღვანელობა მისთვის იგივეა, რაც ნეიროქირურგიის ინსტიტუტის დირექტორობა. შესაძლოა, ფიქრობენ, ჯავახია კი არის ისტორიკოსი, მაგრამ ორგანიზატორად ივარგებსო და ამიტომ შესთავაზეს ეს პოსტი.

როდესაც ლომაიამ ჩემს შემცვლელად ჯავახია დაასახელა, განათლების მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დიდებულიძემ (რომელიც თურმე სოფლის მეურნეობის აკადემიკოსი ყოფილა, მაგრამ რომ გავიგე, ლომაია სანტექნიკოსი ყოფილა, მის მოადგილედ რა უჭირს სოფლის მეურნეობის აკადემიკოსს?) დამირეკა. ბატონმა კახამ შემოგითვალათ — ჩვენ ალბათ ერთად ვერ ვიმუშავებთ და უმჯობესი იქნება, თუ განცხადებას დაწერთო. ვკითხე, ვისთვის იქნება უმჯობესი-მეთქი და თქვენთვისო. ეს პასუხი შეპარულ მუქარად მივიღე. დიდებულიძეს ვუთხარი — ტყუილს ვერ გაკადრებთ, ვერ ჩავწერ განცხადებაში, რომ ენის პალატის თავმჯდომარეობა არ მინდა, ამიტომ იქნებ თქვენ დაწეროთ ბრძანება და გამათავისუფლოთ-მეთქი. ეტყობა, გაიკითხეს და გაარკვიეს, რომ კანონმდებლობით ჩემი გათავისუფლების მექანიზმი არ არსებობს, თუ ამას არ „დავიმსახურებდი“. ძნელი აღმოჩნდა ენის პალატის თავმჯდომარის გათავისუფლება შენიღბულად და კომპრომატის გარეშე. ამის შემდეგ განათლების სამინისტრომ ჩემთან საუბარი შეწყვიტა და დაიწყო სხვა რანგის ომი. ლომაიამ გამოსცა ბრძანება, რომ თანამშრომლები გაგვეფრთხილებინა სამსახურიდან შესაძლო დათხოვნის შესახებ. მერე კი უკვე შენობის იმ ფართზე დაგვიწყეს დავა, რომელიც ენის პალატას 10 წლით აქვს აღებული (2007 წლამდე) უზუსფრუქტის წესით. აქ უკვე საქმეში ჩაერთო უშიშროების სამინისტრო, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა ამ ფართზე, რადგან ჩვენს შემოსვლამდე აქ იყო სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინსპექცია, რომელიც გაუქმდა, მისი ფუნქციები უშიშროების სამინისტროს გადაეცა და მერაბიშვილმა ჩათვალა, რაკი ასეა, ფართობიც ჩემიაო.

ლომაია ფიქრობდა, ჯერ სამინისტროში გადმოვიყვანთ ენის პალატას, მერე კი, როცა უკვე ჩვენთან გვეყოლება, ღვინჯილიას ჭკუას ვასწავლითო.

**— რამე ხომ არ აწყენინეთ ლომაიას, რომ ასე დაგიპირისპირდათ?**

— შესაძლოა, არ მოვწონვარ, არ უნდა ჩემთან ურთიერთობა და საჭიროდ არ მიიჩნევს, განმიმარტოს ამის მიზეზი. როდესაც თანამშრომელს განცხადებას აწერინებ, არგუმენტიც უნდა უთხრა — რით არ გაკმაყოფილებს. თორემ სულაც არ ვარ ვალდებული, მას თავი მოვაწონო, რა, საყვარლად კი არ მინდა... მთავრობაში კახა ლომაიას არ გასჭირვებია ჩემი მოწინააღმდეგის მოძებნა. კახა ბენდუქიძე თავის დროზე უხამსი სიტყვებისა და გინების გამო გავაკრიტიკე, ამის საჯაროდ თქმა როგორ შეიძლებოდა-მეთქი, გოკა გაბაშვილს კი მაშინ ვაწყენინე, როდესაც ჰიმნის ტექსტთან დაკავშირებით ქვა ქვაზე აღარ დავტოვე და სამარცხვინო ვუწოდე... მიუხედავად იმისა, რომ ენის სახელმწიფო პალატა განათლების სამინისტროს ექვემდებარებოდა, არც ერთ ღონისძიებაზე არ გვიწვევდნენ. როდესაც პრეზიდენტი ეწვია სამინისტროს, არც მაშინ გავხსენებივართ. როცა მიზეზი ვიკითხე, მიმანიშნეს, ასეთია მინისტრის ნებაო. მივხვდი, რომ ლომაიას არ უნდოდა მის გვერდით ვინმეს ვენახე. მისი საქციელი ნიშნავდა — მაინც ჩემს მეგობარ ბეჟან ჯავახიას დავსვამ მაგ სკამზე და ვნახავ, რამდენ ხანს გაგვიძლებო. სულ ვფიქრობ, რატომ არ ინდომა კახა ლომაიამ ჩემთან მუშაობა. შესაძლოა, მინისტრამდე ის ამბავი მივიდა, რომ მე პრეზიდენტისადმი ლომაიას მამის ღია წერილები არ მომეწონა, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა. „ჩემო დიდო მთავარსარდალოო“... ასე იწყებოდა წერილი, რომელშიც ასეთი აზრიც იყო — შევარდნაძე დასაჭერია, იოსელიანი კი დიდუბის პანთეონიდან უნდა ამოითხაროს, მისი ადგილი იქ არ არისო. ბორის ლომაია იმუქრებოდა, თქვენ თუ არ ამოთხრით ჯაბა იოსელიანს, მე ამოვთხრიო. ამის შემდეგ კი ამოვიკითხე ფრაზა, რომელმაც სასტიკად განმარისხა (და ეს ვერ დავფარე, ლამის დასაბმელი გავხდი) — აქვე შეგახსენებთ, რომ მეგრელებს ტრადიციად გვაქვს მიცვალებულის საფლავიდან ამოთხრაო („მონანიების“ სიუჟეტზე მიგვანიშნა, თუმცა არასწორად). ქრისტიან ხალხს როგორ დაგვწამა ასეთი კაციჭამიობა და ბარბაროსობა-მეთქი, ამაზე განვრისხდი და რამდენიმე ადგილას ვთქვი, — განათლების მინისტრის მამა ამას არ უნდა ამბობდეს-მეთქი. შესაძლოა, ეს უთხრეს კახას.

**— განათლების რეფორმას თუ უჭერთ მხარს?**



**— ჩემი თხოვნაა, ნუ აჰყვებით იმ პროვოკატორებს, რომლებიც გუშინ შევარდნაძის პოლიტიკურ ბანაკში იყვნენ.**

— რეფორმისტული ღონისძიებების კონკრეტული გამოვლინებების წინააღმდეგი ვარ და არა — რეფორმის. თუმც, ეს ბოლოს გამოვამჟღავნე. როდესაც ლომაიას უკვე „არ მოვწონდი“, რეფორმაზე აზრი გამოთქმულიც არ მქონდა. ეტყობა, უთხრეს, მოხვეტეთ შევარდნაძის დროინდელი ყველა მოხელე, გადაყარეთ და მათ ადგილზე ახლები დასვითო. როგორც ჩანს, ლომაიას ჩემი სახე დაძველებულად მოეჩვენა. რაკი ჩემი სამსახური შევარდნაძის დროს შეიქმნა, ჩანს, იფიქრა — აჰა, ეს შევარდნაძისტი იქნებაო და არ მოინდომა ჩემთან მუშაობა.

**— ბატონო ლევან, თქვენ ამ თანამდებობაზე დიდი ხანია მუშაობთ, სამხრეთ საქართველოში მცხოვრებ სომხებსა და ქვემო ქართლში აზერბაიჯანელებს რატომ ვერ ასწავლეთ ქართული? არ იყო ეს თქვენი კომპეტენცია?**

— რა თქმა უნდა, ენის პალატის კომპეტენცია იყო, მაგრამ იცით, სასახლის მშენებლობის პროცესში ამ შენობაში ბალმასკარადს ვერ მოაწყობ. ენის პალატა 1997 წელს შეიქმნა. ეს და შემდგომი 4 წელი ე.წ. ფინანსური გამყინვარების წლები იყო.

*(გაგრძელება იხ. გვ. 13)*


პროკრედიტ ბანკი
ფერმერებს სთავაზობს

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

100$-დან 10000$-მდე
აგრო სესხებს
არსებული მეურნეობების დასაფინანსებლად

სესხის ვადა: 18 თვემდე - საბრუნავი საშუალებებისათვის
(სათესლე მასალა, შხამქიმიკატები, სასუქები, პირუტყვი, ცხოველთა საკვები და ა.შ.)
სესხის ვადა: 36 თვემდე ძირითადი საშუალებებისათვის
(ს.ს. ტექნიკა, ფერმის შენობები და ა.შ.)

გადახდის გრაფიკი: სეზონური ან ინდივიდუალური






ბანკის ფილიალები:

ლილოს განყოფილება
კახეთის გზატკეცილი 112
ტელ.: (995 32) 26-50-20

ზუგდიდის განყოფილება
თაბუკაშვილის ქ. 1
ტელ.: (995 215) 5-11-23

ქუთაისის ფილიალი
თამარ მეფის ქ. 85
ტელ.: (995 231) 4-14-14

გორის ფილიალი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ.: (995 270) 2-16-09

ქუთაისის განყოფილება
წმინდა ნინოს ქ. 6
ტელ.: (995 231) 4-87-05

მარნეულის განყოფილება
ჩოლოყაშვილის ქ. 3
ტელ.: (995 257) 2-16-00, 2-16-50



# დაქირავებული ჯერ კიდევ არ ნიშნავს პროფესიონალს!

## „წვრთნისა და აღჭურვის" ახალ პროგრამაში ძველი შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ



ახალი ბატალიონების დაკომპლექტება პირადი შემადგენლობით უფრო გულდასმით და სერიოზულად უნდა განხორციელდეს, რათა იქ შემთხვევითი ადამიანები არ მოხვდნენ...

რამდენიმე დღის წინ აშშ-ის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ აგრძელებს დახმარებას ქართული არმიის გასაძლიერებლად, რაც, დამატებით, ექვსი-რვა ბატალიონის მომზადებასა და აღჭურვას ითვალისწინებს. ეს ახალი პროგრამა ამერიკელებს 37 მლნ დოლარზე მეტი დაუჯდებათ, მაგრამ თეთრ სახლს ულირს ხარჯის გაწევა, რადგან, სამაგიეროდ, საქართველო ზრდის თავის სამხედრო კონტინგენტს ერაყში, თუმცა ეს სხვა სტატიის თემაა.

ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების მიერ „კომანდოს", საჩხერის მე-16 სამთომსროლელი, 111-ე თელავის, 113-ე შავნაბადის და ჯავშანსატანკო ასეულის მომზადების გარდა, უახლოეს ხანში აღიჭურვება და მომზადდება კიდევ ის ბატალიონები, რომელთა ნაწილი საბოლოოდ შეავსებს მე-11 ბრიგადას, ხოლო დანარჩენებით სრულად დაკომპლექტდება ქუთაისის 21-ე მოტომსროლელი ბრიგადა.

ამის შემდეგ ქართულ არმიას ეყოლება თანამედროვე დონეზე აღჭურვილი და მომზადებული, მუდმივად საბრძოლოდ შემართული ორი ანგარიშგასაწევი ბრიგადა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

ეს მართლაც მოსაწონი საქმეა, მაგრამ თავს უფლებას მივცემთ, მაინც რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა გამოვთქვათ.

ჩვენ აღარ უნდა გავიმეოროთ ის შეცდომები, რაც „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაში დავუშვით; უპირველესად, ეს ეხება ბატალიონების დაკომპლექტებას პირადი შემადგენლობით.

რაღა დასამალია და, მაშინ ამ ბატალიონებში ძირითადად ის ხალხი ეწერებოდა, რომელთაც შედარებით მაღალ ფულად ანაზღაურებაზე ეჭირათ თვალი. შევარდნაძის რეჟიმის დროს ეს კატეგორია დარწმუნებული იყო, რომ მათ ბატალიონებს უმთავრესად საჩვენებელ წვრთნებში თუ აღლუმებზე გამოიყენებდნენ.

ხელისუფლების სათავეში სააკაშვილის გუნდის მოსვლამ კი ყველაფერი შეცვალა. რეალური გახდა პრინციპის განხორციელება — ძალით დაკარგულს ძალით იბრუნებენ! ამისი მცდელობა ოფიციალურ თბილისს აგვისტოში ცხინვალის მისადგომებთან ჰქონდა. სხვა საქმეა, რამდენად სწორად იყო იქ ყველაფერი დაგეგმილი და ორგანიზებული, მაგრამ ფაქტია, რომ „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით მომზადებულმა ბატალიონებმა ბოლომდე ვერ გაამართლეს ის იმედი, რასაც მათზე ვამყარებდით.

ეს არცაა გასაკვირი, რადგან ჯარში — დაქირავებული, თუნდაც გულადი და მონდომებული კაცი ჯერ კიდევ არ ნიშნავს პროფესიონალს.

ზუსტ ციფრებს არ მოვიტანთ, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ აგვისტოს დღეებში სწორედ „წვრთნისა და აღჭურვის" ბატალიონებმა გახარჯეს რამდენიმე მილიონი ვაზნა და შეუჩერებელი სროლით რამდენიმე ასეული ავტომატისა და ტყვიამფრქვევის ლულა „დაწვეს"...

მოწინააღმდეგე იყენებდა მარტივ ტაქტიკას: ღამით, სიბნელეში, როდესაც უძრავ და მტრისთვის ნაცნობ პოზიციაზე მოულოდნელი თავდასხმის შიში მატულობდა, მისი რამდენიმე მეავტომატე ათიოდე ტყვიას ისროდა ჩვენი პოზიციისკენ და თავს შველოდა. ჩვენი მხრიდან კი იწყებოდა საათობით შეუწყვეტელი სროლა, რითაც სარგებლობდნენ სეპარატისტების სნაიპერები და ქართველი მეომრების ავტომატების მოელვარე ლულების მეშვეობით სიბნელეში ადვილად პოულობდნენ სამიზნეს.

ცხინვალის მოვლენებმა ბევრი ისეთი პრობლემა გამოავლინა, რაც სამ თვეში, თუნდაც ამერიკელების მიერ მომზადებული ქართული ბატალიონების მებრძოლებს პროფესიონალებად ვერ აქცევდა.

მეორე მხრივ, ამ ბრძოლებს დადებითი შედეგიც მოჰყვა — ბატალიონები გაიწმინდა შემთხვევითი ხალხისგან, რომლებმაც, პოლიგონისგან განსხვავებით, მტრის ტყვიებიც ნახეს და მიხვდნენ, რომ მათი მომავალი და პროფესიონალი სამხედროს კარიერა სხვადასხვა მიმართულებით მიდის.

სამაგიეროდ, ბრძოლაგამოვლილ ბატალიონებში დარჩნენ მეომრები, რომლებმაც პირველი, ნამდვილი საბრძოლო ნათლობა მიიღეს და იციან, რომ ხვალ თუ ზეგ სასტიკ ომში მოუწევთ ჩაბმა.

„წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით მომზადებული ბატალიონებიდან იმ სამხედროების გადინება, რომლებზეც უზარმაზარი თანხა დაიხარჯა, იმითაც იყო გამოწვეული, რომ თავის დროზე ჯარისკაცთა შერჩევა ნაუცბადევად მოხდა, რათა რაც შეიძლება მალე შევევსოთ ბატალიონები და პრეზიდენტ შევარდნაძისთვის ეპატაკათ — „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამას ქართული მხრიდან ჩავარდნა არ ემუქრებაო...

მალე დაიწყება ახალი ბატალიონების დაკომპლექტება და თუ ამჯერადაც, უკვე პრეზიდენტ სააკაშვილის საამებლად, მათ შევსებას სწრაფად და კანდიდატთა ზერელე შერჩევით დაიწყებენ, მაშინ უახლოეს მომავალში უარესი და შეიძლება კატასტროფული შედეგი მივიღოთ.

ცალკე აღსანიშნავია ამერიკული მხარის მიერ განხორციელებული ბატალიონების პირადი შემადგენლობების დაკომპლექტება და აღჭურვა.

2.000-დოლარიან ალკაზმულობაზე ვერაფერს ვიტყვით, ის მართლაც საუცხოოა, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, მათ სათანადო დონის ჯავშანჟილეტებიც მოჰყვეს, რის უდიდეს ნაკლებობას განიცდიდნენ ცხინვალთან მებრძოლი, ამერიკელთა მიერ მომზადებული ქართველი მეომრები.

განსაკუთრებული ყურადღება კი მაინც შეიარაღებაზე უნდა გავამახვილოთ — ცხინვალთან, მთაზე, ქართველი მეომრების დიდი ნაწილი 1959 წელს გამოშვებულ ჩეხურ „კალაშნიკოვებს" ისროდა. ვილაც შეიძლება ასუფთავებს NATO-ში გაწევრებული პოსტკომუნისტური ქვეყნების არმიების არსენალებს ნახევარსაუკუნოვანი ცეცხლსასროლი იარაღისგან და მათ საქართველოში აგზავნის. მაგრამ ეს ავტომატები ხომ ქართველი მებრძოლების სიცოცხლის გარანტია. ამის შესახებ სტატიის ავტორმა კითხვა დაუსვა საქართველოში აშშ-ის სრულუფლებიან ელჩს, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს აშშ-ის მიერ საქართველოსთვის დახმარების გაწევაში; პასუხი დაახლოებით ასეთი მიიღო: „ნაჩუქარ ცხენს კბილებს არ უსინჯავენო".

სამაგიეროდ, ქართველი მეომრები უსინჯავდნენ 30-40 წლის ავტომატებსა და სნაიპერულ შაშხანებს ლულებში ხრახნილებს („ნარეზს") და ვერ პოულობდნენ. თითქმის წაშლილხრახნილიანი სნაიპერული შაშხანით უზუსტესი გასროლა და რამდენიმე ასეულ მეტრში მყოფი მოწინააღმდეგის დაზიანება კი შეუძლებელია.

ამიტომაც ვთხოვთ „ამერიკელ ძიას" — ბარემ დოს მარილი მოაყარეთ და ქართული არმიისთვის თუ მართლაც მებრძოლი ბატალიონების გაწვრთნა გსურთ, კარგ ალკაზმულობას კარგი იარაღიც მოაყოლეთ, მით უმეტეს, რომ თქვენს მომზადებულ მეომრებს, ისევე თქვენი თხოვნით, ერაყსა თუ ავღანეთში ვგზავნით!



# შავ ზღვაში „ყინული" მართლაც დაიძრა

## თელაველებმა და ქუთაისელებმა „კვირის პალიტრას" მიჰბაძეს და ქართველ სამხედრო მეზღვაურებზე ზრუნვას იწყებენ

***ჩვენი დოსიე:*** *ქართული სამხედრო კატარღებისთვის ქალაქების სახელების დარქმევის იდეა „კვირის პალიტრას" გაუჩნდა 1999 წელს: ბულგარეთის ქ. ვარნის სამხედრო პორტში საზღვაო სწავლებებზე ჩასულები უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით — ყველა უცხოურ სამხედრო ხომალდსა და კატარღას საბორტე ნომრის გარდა, საკუთარი სახელიც ჰქონდა, ჩვენ კი მხოლოდ საარტილერიო კატარღა №301-ად ვიწოდებოდით. ამ თემაზე „კვირის პალიტრაში" დაბეჭდილი რამდენიმე სტატიის შემდეგ ქართულ ფლოტში „გაჩნდა" კატარღები: „ბათუმი", „თბილისი", „ახმეტა", „წყალტუბო", „ქუთაისი", „გურია," „მესტია" და სხვები.*




*თელაველი სტუდენტები საარტილერიო კატარღა „ახმეტაზე" მის ეკიპაჟთან ერთად*

ივლისში „კვირის პალიტრაში" დაბეჭდილი პატარა სტატიით, „ყინული დაიძრა... შავ ზღვაში", მკითხველს სიხარულით ვაუწყებდით, რომ ქ. ახმეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა აიტაცეს ჩვენი გაზეთის სამი წლის წინ წამოწყებული საქმე, საკუთარი სურვილით დაგვიკავშირდნენ და გვთხოვეს, დავხმარებოდით საქართველოს საზღვაო თავდაცვის ძალების საარტილერიო კატარღა „ახმეტაზე" შეფობის აღებაში.

წერილის გამოქვეყნების შემდეგ, სამწუხაროდ, ახმეტელებს ცამ უყოთ პირი თუ მიწამ, ველარ გავიგეთ...



***ჩვენი დოსიე:*** *ერთი შეხედვით, საარტილერიო კატარღა №102 „ახმეტა" არცთუ ისე მრისხანე შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ეს ერთი შეხედვით — „ახმეტა" ერთადერთი ქართული კატარღაა, რომელიც შეიარაღებულია ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა Град-ის პაკეტით. გარდა ამისა, „ახმეტის" გემბანის თავსა და ბოლოში აყენია თითო-თითო 37 მმ კალიბრიანი საზენიტო ქვემეხი, აგრეთვე ორი 12,7 მმ კალიბრიანი ДШК ტიპის საზენიტო ტყვიამფრქვევი. თავის დროზე „ახმეტა" უკრაინის დროშის ქვეშ დაცურავდა და ტორპედოდამჭერის როლს ასრულებდა. მისი წყალწყვა 110 ტონას აღწევს. 2 დიზელის ძრავა მას 24 კვანძი (დაახლოებით 43 კმ/სთ) მაქსიმალური სიჩქარის განვითარების საშუალებას აძლევს.*

ქართული სამხედრო ფლოტის სადესანტო ხომალდებისა თუ სარაკეტო კატარღების თითოეულ დეტალს. მათგან რამდენიმე სტუდენტმა უკვე დაიწყო ფიქრი, სწავლის დამთავრების შემდეგ, სამხედრო მეზღვაურის კარიერაზე.

კახელები რისი კახელები იქნებოდნენ, რომ საარტილერიო კატარღა „ახმეტას" ხელცარიელნი სწვეოდნენ — იმ საღამოს არა მარტო „ახმეტის", არამედ სხვა კატარღების ეკიპაჟის წევრებსაც მოუწიათ ყურძენი და სხვა ხილი, ხოლო ოფიცრებმა და მიჩმანებმა ახალი მოსავლის ისეთი ღვინო დააჭაშნიკეს, რომლის მაგვარსაც ფოთში ალბათ სანთლითაც ვერ იპოვი.

არადა „კვირის პალიტრა" და, კერძოდ, სტატიის ავტორი მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, რადგან კატარღის ეკიპაჟი და მთლიანად საზღვაო ძალები, მოუთმენლად ელოდნენ კახელებთან დაძმობილებას.

საბედნიეროდ, კახეთი მარტო ახმეტის ხელისუფლების ზოგიერთი ჩინოსნით როდი განისაზღვრება — „თანამემამულეებისთვის" შერცხვენილი პირის მოწმენდა თელაველებმა, კერძოდ კი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის გამგემ, ვიცე-პოლკოვნიკმა გივი ეჯიშვილმა და კახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის მართლწესრიგის, კანონიერების დაცვის, თავდაცვისა და უშიშროების სამსახურის უფროსმა ბატონმა ვალერი ვარდოსანიძემ იკისრეს.

მათ სამხედრო კათედრის 30 სტუდენტი თელავიდან ფოთში ჩაიყვანეს და „ახმეტის" ეკიპაჟს გააცნეს.

ფოთელმა მეზღვაურებმა არ დაიზარეს და კახელი თანატოლები ზღვაში დიდი სიჩქარით გაასეირნეს, თანაც განა ჩვეულებრივი, არამედ ასლან აბაშიძის ნაქონი უსწრაფესი „შავი ზვიგენებით".

სასიამოვნო სანახავი იყო, თუ რა გულდასმით ათვალიერებდნენ თელაველი ახალგაზრდები

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სამასამდე წიგნი უსახსოვრა საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების ბიბლიოთეკას.

თელაველები ამბობენ, ეს ფოთში „დაზვერვითი" ჩასვლა იყოო და საახალწლოდ ახალ ტკბილ ნობათს მიართმევენ „ახმეტის" ეკიპაჟს დაძმობილებული თელაველები.

თელაველების ინიციატივა აიტაცა ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის გამგემ, პოლკოვნიკმა ბადრი ზამბახიძემ. უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით მალე საარტილერიო კატარღა „ქუთაისს" ეწვევიან და შეფობას გაუწევენ!

მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ სამი წლის წინ, „კვირის პალიტრის" რედაქციამ შეფობა აიღო სარაკეტო კატარღა „თბილისზე" და დღემდე აგრძელებს მის ეკიპაჟთან მეგობრობას. სასიამოვნოა, რომ ჩვენს თაოსნობას უკვე შემოუერთნენ. ერთია კრიტიკული სტატიების წერა ცუდსა და უვარგისზე, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც ცდილობ, უკეთესობისკენ რაიმე თავად შეცვალო.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# ქართველები ერაყში — სერია მესამე

## დადებითი და უარყოფითი მხარეები



*მალე ქართულ არმიას საზღვარგარეთ 1100-ზე მეტი სამხედრო ეყოლება მივლინებით გაგზავნილი*

5 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა პირდაპირი სატელევიზიო პრესკონფერენცია გამართა, სადაც ოფიციალურად გაახმიანა თავისი გადაწყვეტილება, რომ ქართული სამშვიდობო კონტინგენტი ერაყში მნიშვნელოვნად გაიზრდება.

მრგვალ მაგიდასთან მჯდომმა რამდენიმე ჟურნალისტმა პრეზიდენტს, ჩვენდა გასაოცრად, ყველაფერზე დაუსვა შეკითხვა, ოღონდ არა მთავარ თემაზე — ერაყში ქართველი სამხედროების რიცხვის გაზრდაზე.

არადა ქართული კონტინგენტის გაზრდა უამრავ პოლიტიკურ, სამხედრო და, რაც მთავარია, ეკონომიკური ხასიათის კითხვას აჩენს.

პოლიტიკური თვალსაზრისით, ერთი მხრივ, გასაგებია, რომ როდესაც აშშ იღებს გადაწყვეტილებას, დამატებით მოამზადოს და აღჭურვოს ათასობით ქართველი სამხედრო, ჩვენ, ძალაუნებურად, ვალდებული ვხდებით, შესაფერისი ჟესტით ვუპასუხოთ ვაშინგტონს — თეთრ სახლს ერაყის გამო დღეს ჰაერივით სჭირდება სხვა სახელმწიფოების მორალური მხარდაჭერა, თუმცა ქართული სამშვიდობო კონტინგენტის გაზრდა 850 კაცამდე, უკვე აღარ ნიშნავს ისეთ მორალურ თუ სიმბოლურ დახმარებას პრეზიდენტ ბუშის პოლიტიკისთვის, როგორც ეს შარშან ერაყში 70 ქართველი სამხედროს გაგზავნით გამოიხატა.

მალე საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იქნება, რომელიც ერაყში თავისი მოსახლეობის პროცენტული რაოდენობის მიხედვით ყველაზე მეტ სამხედროს გზავნის.

ამასთან, შესაბამისად იზრდება ქართველი სამხედროების მიმართ ერაყელი პარტიზანების დივერსიების მოწყობის შესაძლებლობა. ამას ემატება კიდევ ერთი, აუცილებლად გასათვალისწინებელი ნიუანსი — რუსეთის სპეცსამსახურები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ გავლენას ერაყელი პარტიზანების გარკვეულ ჯგუფებზე. არ არის გამორიცხული, რომ კრემლის ბრძანებით, ერაყში ქართველი სამხედრო ტყვედ ჩაიგდონ და ამის ამსახველი ვიდეოკადრებით საქართველოს ხელისუფლებას მოსთხოვონ ერაყიდან ქართული კონტინგენტის გამოყვანა. ეს აუცილებლად გამოიწვევს პოლიტიკურ დაძაბულობას თბილისში, ოპოზიციას საბაბი მიეცემა საზოგადოებაში დაკარგული ქულების მოსაპოვებად.

სამხედრო თვალსაზრისითაც ჩნდება შემდეგი კითხვა: — თუკი ერაყში „კომანდოს" ბატალიონის 300 წევრთან ერთად ვგზავნით შავნაბადის 113-ე ბატალიონის მთლიან შემადგენლობას — 550 კაცს, მაშინ შინ რომელი შედარებით მომზადებული ძალა გვრჩება? მით უმეტეს, რომ 50 სამხედრო ავღანეთშია, ხოლო 200-მდე კაცი — კოსოვოში, ერაყიდან დაბრუნებულ საჩხერის მე-16 სამთო მსროლელი ბატალიონის 159 მეომარს კი აუცილებლად სჭირდება აკლიმატიზაცია და დასვენება.

არადა, არ არის გამორიცხული, ოსმა სეპარატისტებმა თოვლით ბილიკების ჩაკეტვამდე, მოაწყონ პროვოკაციები და სცადონ ახალ შეიარაღებულ კონფლიქტში ქართული მხარის ჩათრევა.

აშშ-ის მიერ შეპირებული ბატალიონების მომზადების დაწყებამდე კი ჯერ კიდევ საკმაო დროა.

ეკონომიკური თვალსაზრისით, გასარკვევია, ვინ გადაუხდის არც ისე მცირე თანხებს ერაყში მყოფ 850 ქართველ სამხედროს, რადგან საქართველოს ბიუჯეტიდან აღებული ეს ფული, ისევ ქართულ ჯარს დააკლდება, რომელსაც ისედაც მრავლად აქვს პრობლემები.

P.S. ბოლო ინფორმაციის თანახმად ერაყში დამატებით გასაგზავნი 550 „შავნაბადელის" ხელფასის კომპენსაციას საქართველოს თურმე გაერო გადაუხდის.



# ნიჟარაში გამომწყვდეული სიყვარული



აგერ უკვე მეხუთე გაზაფხული იწურებოდა მას შემდეგ, რაც მერაბი ამ კოლონიაში იხდიდა სასჯელს. პატიმრებისგან იცოდა, რომ კოლონია ვოლგოგრადის ოლქში, სადღაც ურიუპინსკის რაიონში იყო. მანამდე მისთვის აქაურობა მხოლოდ საველე ფოსტის ინდექსთან ასოცირდებოდა. მოგვიანებით, როცა დარწმუნდნენ, მკვლელობისათვის ნასამართლევი ქართველი არც ისე საშიში უნდა იყოს, როგორადაც მისი პირადი საქმე გვამცნობსო, დახურული საცხოვრებელი ზონიდან სამრეწველო ზონაში მიჰყავდათ და იქ ამუშავებდნენ.

პატიმრობაში გატარებული სამი წლის შემდეგ პირველად დარწმუნდა, რომ სადღაც, უკაცრიელ კუნძულზე კი არა, ჩვეულებრივი ადამიანებით დასახლებული ტერიტორიის მეზობლად გაუტარებია ეს წლები. სასამართლოს შემდეგ პირველად დაეუფლა გამოუცნობი, სასიამოვნო გრძნობა, მაგრამ ეს მხოლოდ ამ აღმოჩენის კი არა, იმ მწვანეთვალება ქალიშვილის მზერის ბრალიც იყო, რომელმაც ამ დილით ლოკოკინას ნიჟარაში ჩადებული წერილი ისროლა მავთულხლართების იქითა მხრიდან. გუშაგების გაავებული შეძახილების მიუხედავად, მანამ არ გაშორდა იქაურობას, ვიდრე პატიმრებმა არ გაიგონეს და მის ადრესატს არ ჩააბარეს წერილი.

„ამ ბარათს შენსავით მარტოსული არსება გწერს, რომელიც რამდენიმე კვირაა ბინოკლით გაკვირდება თავისი სამუშაო ოთახიდან. მე აქვე, აირის მოწყობილობების ქარხანაში ლაბორანტად ვმუშაობ. როგორც კი დაგინახე, მაშინვე მივხვდი — შენ ის ხარ, ვინც ამ ორიოდე წლის წინ სიზმარში ვიხილე. მე არ ვიცი ვინ ხარ, რისთვის იხდი სასჯელს, მაგრამ მაინც თანახმა ვარ, ათი-თხუთმეტი წელი გელოდო, თუ ეს შენი სურვილიც იქნება. შეგიძლია ქვემოთ მითითებულ მისამართზე მომწერო... ალიონა ოსტროვსკაია, ცხრამეტი წლის.“

ამ წერილმა ბიჭი იმ სამყაროსთან დააბრუნა, რომელსაც ძალად მოწყვიტეს. მკვლელობა, რომლის გულისთვისაც იხდიდა სასჯელს, მეზობელ უბანში მოხდა, მილიციამ მკვლელს ვერ მიაგნო და მერაბი დაიჭირეს, ორი თვის წინ შენ და მოკლულს გიჩხუბიათ და შენ მოკვლით დამუქრებიხარო.

— ეგრე იყო, არ უარვყოფ, მაგრამ იქნებ იმითაც დაინტერესებულიყავით, ის როგორ დამემუქრა.

— მან ვერ შეძლო თავისი მუქარის შესრულება. შენ გამოდექი სიტყვის კაცი, — უადგილოდ იხუმრა გამომძიებელმა, — ფაქტიც სახეზეა. შენ ცოცხალი ხარ, ის მკვდარი, — უპასუხეს და იმდენი ურტყეს, ვიდრე დანაშაული არ „აღიარა“. მოსამართლე კარგი კაცი გამოდგა. მიხვდა, რომ მერაბს აშკარად აჰკიდეს ეს თეთრი ძაფით ნაკერი საქმე და სიმართლის დამტკიცებასაც შეეცადა, მაგრამ თვითონ ბრალდებულს ვერაფრით წამოაცდენინა, ტყუილად ვზივარ საბრალდებო სკამზეო. განა არ უნდოდა ამის თქმა, მაგრამ რამდენჯერაც დააპირა, იმდენჯერ მასზე მოღერებული რეზინის ხელკეტი გაახსენდა და იმ ჯოჯოხეთის ხელახლა გავლას ისევ თხუთმეტწლიანი პატიმრობა არჩია. მერე თანდათან შეეგუა თავის მდგომარეობას. მის თვალში ცხოვრებამაც აზრი დაკარგა და ალბათ ასე ჩაათავებდა იმ დარჩენილ ათ წელსაც, შემთხვევით ეს მწვანეთვალება გოგო რომ არ მოვლენოდა.

მას შემდეგ აკრძალული ზონის თავზე ხშირად გადაიფრენდა ნიჟარაში გამომწყვდეული სასიყვარულო ბარათები და მალე მერაბმა იგრძნო, რომ აქ მეტს ვეღარ გაჩერდებოდა და გაქცევაზე დაიწყო ფიქრი. არადა, იცოდა, რაღაც მიუწვდომელს ეჭიდებოდა. აქ ხომ გაქცევის მცდელობისთვის ბოლო პატიმარი ამ სამი ათეული წლის წინ მოუკლავთ და კოლონიაც და სამრეწველო ზონაც ისე იყო გამაგრებული, მხოლოდ გიჟს თუ მოუვიდოდა თავში ამგვარი ფიქრი.

## ჭირვეული მაიორი

იმ დღეებში კოლონიის უფროსის მოადგილედ მაიორი ვოროშილოვი დანიშნეს. ეს კაცი იმდენად ამპარტავანი და რეგვენი იყო, რომ ყოველდღე ეჩხუბებოდა კოლონიის პერიმეტრის სამხედრო დაცვას, რას ჰქვია, ჩემს მანქანას ჩხრეკთო და იმდენი ქნა, რომ დაცვამ ხელი ჩაიქნია და ნებას მიუშვა. მაიორის დაფეხვილ მანქანას პატიმრები ბავშვივით უვლიდნენ, მაგრამ ვოროშილოვი ყველას როდი ანდობდა ამ საქმეს. მრავალთა შორის მან მერაბი გამოარჩია, მის გარდა კიდევ ორ თუ სამ პატიმარს ჰქონდა მისი მანქანის შეკეთების უფლება.

— საქმე გვაქვს, უნდა ვილაპარაკოთ, — ბარაკის შესასვლელში შეაჩერა მერაბი „ანდრეი გრომილად“ წოდებულმა დათვისტორებიანმა გოლიათმა.

— ვილაპარაკოთ, მზად ვარ, — მერაბი კოლონიის ერთი იმ რიგითი პატიმართაგანი იყო, რომელთაც ზონაში „მუჟიკად“ მოიხსენიებდნენ, ანუ მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, როგორმე ჯარიმების გარეშე მოეხადათ სასჯელი და დროზე, ზედმეტი „სროკის“ მიუღებლად გაეღწიათ აქედან. ასეთებისგან „ბლატნოი“ ხალხს თავი შორს ეჭირა. ამიტომ იყო, რომ გაუკვირდა მერაბს „გრომილას“ გამოლაპარაკება.

— იქით გავიდეთ, აბანოს მეორე მხარეს, — იყო პასუხი.

ასეთ დროს სხვას შეეშინდებოდა ამ საფრთხობელასთან განმარტოება, მაგრამ მერაბს არაფრის ეშინოდა. ჯერ ერთი, მას თავისი მკლავის იმედი ჰქონდა, მეორეც, — სუფთა სინდისით ცხოვრობდა ზონაში, ასეთებს კი აქ, თავისუფლებაში მყოფთაგან განსხვავებით, ვინმე ძნელად თუ აკადრებდა რამეს.

— კონტეინერი უნდა მიაყენო იმ ნაბიჭვარი ვოროშილოვის მანქანაზე, გზავნილები უნდა გავცვალოთ ხოლმე. ვოვა პაცანი და ნიკოშკა კი გააფრთხილე, ერთი კრინტი და ყელგამოღადრულს გიპოვიან-თქო ტუალეტის გვერდით, — ჩაიბურტყუნა საფრთხობელამ და თვალებში ჩახედა მერაბს.

— ალბათ მეც მეხება ეგ გაფრთხილება ხომ? — მერაბმა თვალი თვალში გაუყარა „გრომილას“.

— შენც გეხება, თუმცა შენ ზედმეტი ლაპარაკი არ გიყვარს. აი, ისინი კი... მოკლედ ეს ქურდების დავალებაა და უნდა შესრულდეს, გასაგებია? — ახლა უკვე ბრძანების კილოთი უთხრა „გრომილამ“.

— გასაგებია, ოღონდ ამ საქმეს მარტო მივხედავ. მგონი თქვენთვისაც ასე აჯობებს. ასე მეც უფრო უსაფრთხოდ ვიქნები.

— ეგრე იყოს, ოღონდ იცოდე, თუ დაიწვი, პასუხს აგებ.

— რა გაეწყობა... — ხმადაბლა ჩაილაპარაკა მერაბმა, რადგან მოეჩვენა, რომ ვიღაც უსმენდა მათ საუბარს.

მეორე დღეს მაიორის მანქანაზე ისე ოსტატურად მიამაგრა მერაბმა მომცრო კონტეინერი, რომ მანქანის კონსტრუქტორიც ვერ მიაგნებდა...

თითქმის ყოველდღე გადიოდა ზონიდან ქურდების წერილები და სამაგიეროდ შემოდიოდა ნაირ-ნაირი ნარკოტიკი. მერაბი ხვდებოდა, რომ ეს დიდხანს არ გაგრძელდებოდა. ქურდები და „კაი ბიჭები“ წამალზე შესხდნენ. დღეს თუ არა, ხვალ ეს ამბავი გასკდებოდა და მაშინ? გარდა ამისა, ალიონაზეც უნდა ეფიქრა — მას შემდეგ, რაც გოგომ მასთან, კოლონიაში, „პერედაჩებით“ სიარული დაიწყო, ბიჭი სულ გაგიჟდა. ოღონდ ერთი დღე თავისუფლად ეგრძნო მის გვერდით თავი და ყველაფერზე მზად იყო. გაქცევის გეგმაც, რომელზეც აქამდე თავს იტეხდა, ახლა თითქოს თავისთავად ჩამოყალიბდა. მან ხომ სხვებზე უკეთ იცოდა, რომ მაიორ ვოროშილოვის მანქანას არავინ ჩხრეკდა.

**წუხელ ვიღაცას შეყვარებულები დაუხოცავს ტყეში გამავალ გზაზე. უკვე მერამდენედ მეორდება ერთი და იგივე. უკვე ექვსი კაცი შეეწირა ვიღაც მანიაკს, — ქაქანებდა ქალი, — ტყეში რად დადიანო? აბა, რა ქნან შეყვარებულებმა, დასახლებაში გასართობი არაა. სად უნდა წავიდნენ?**

ალიონას ბებია სადღაც ბაიკალის ახლოს, რომელიღაც მივარდნილ ხუტორში ცხოვრობდა და სწორედ იქ გადაწყვიტეს გამგზავრება. ერთ საღამოს, ისე, რომ ქურდებისთვის არც უკითხავს, წინასწარ გაკეთებული ყალბი პასპორტი ჯიბეში ჩაიდო, მანქანის საბარგულში ჩაძვრა და მხოლოდ ნაშუაღამევსღა დატოვა ვოროშილოვის „ჟიგული“. მანქანა ამ დროს რატომღაც სადღაც ტყეში, უპატრონოდ იდგა. რატომ, რისთვის, ვერაფერს მიხვდა. თუმცა ახლა ამაზე ფიქრის დრო არ იყო და იქაურობას სასწრაფოდ გაეცალა. იმდენი მოახერხა, რომ ალიონას ნათესავის სახლამდე მიაღწია და მართალია, მარია მისმა გამოჩენამ, ცოტა არ იყოს, დააფრთხო, მაგრამ ღამის სტუმართან ხანმოკლე საუბრით დაასკვნა, რომ მერაბი „პრესტუპნიკი“ არ იყო და ალიონასაც ტყუილად არ უყვარდა ბიჭი. მაგრამ სად უნდა ეცხოვრათ, ვინ შეიფარებდა ძებნილს, მარიამ ამის შესახებ არაფერი უწყოდა. დილით კი, ვიდრე ალიონა მოვიდოდა, დასახლებაში განგაში ატყდა. მერაბი მიხვდა, რომ ეს მის გაქცევასთან იყო დაკავშირებული. მარიამ კი სულ სხვა ამბავი მოიტანა:

— წუხელ ვიღაცას შეყვარებულები დაუხოცავს ტყეში გამავალ გზაზე. უკვე მერამდენედ მეორდება ერთი და იგივე. უკვე ექვსი კაცი შეეწირა ვიღაც მანიაკს, — ქაქანებდა ქალი, — ტყეში რად დადიანო? აბა, რა ქნან შეყვარებულებმა, დასახლებაში გასართობი არაა. სად უნდა წავიდნენ?

მალე ალიონაც მოვიდა. ერთიანად გაფითრებულიყო. ჯერ იმის შიში ტანჯავდა, მერაბს არ მიაგნონო და ახლა ასეთი შემზარავი ამბავი.

— ბიჭიც და გოგოც ჩემი მეზობლები იყვნენ. ვის რას უშავებდნენ ნეტავ? — ცრემლმორეული ამბობდა ალიონა, — თუმცა მე სხვის სიყვარულს დავტირი, საკუთარი კი ჯერ ისევ ლოკოკინას ნიჟარაში მყავს გამოკეტილი. იცი, მერაბ, აქედან გასასვლელი ყველა გზა დავზვერე. ყველგან საგუშაგოები გაუხსნიათ, ამ დილით სამხედროები დააპატიმრეს, — თქვენ გაუშვებდითო. სამრეწველო ზონაში საგანგებო წესები შემოიღეს. მაიორი ვოროშილოვი ცოტა ხნის წინ ცოფებს ყრიდა — იმ შეყვარებულებს გაქცეული ქართველი დახოცავდაო და წარმოიდგინე, ზოგმა გულუბრყვილომ დაიჯერა კიდეც. უფრო ჭკვიანები კი კითხულობენ, მაშ, წინა ორი წყვილი ვიღამ დახოცა, ქართველი ხომ ამ დროს კოლონიაში იჯდაო. როგორც ჩანს, კარგა ხანს მოგვიწევს აქ ჯდომა. ის ფული, რომლითაც ბაიკალამდე უნდა ჩაგვეღწია, აქ დაგვეხარჯება, შემდეგ რა უნდა ვქნათ, არ ვიცი. თუმცა, რამეს მოვიფიქრებთ... მერაბ, დღეიდან ველარაფერი დაგვაშორებს. თუ საჭირო შეიქნა, ციხეშიც გამოგყვები, — უთხრა ალიონამ.

და გადაეხვია კრიჭაშეკრულ მერაბს.

## ფულით სავსე ჩემოდანი

არ იქნა და არ გაიხსნა გზები. თუმცა ეს მაინცდამაინც პატიმრის გაქცევის კი არა, უფრო მანიაკის გამოჩენით იყო გამოწვეული. მაიორი ვოროშილოვი გიჟივით დარბოდა წინ და უკან. მას მანიაკის დაჭერას არავინ ავალებდა — მისგან გაქცეული პატიმრის პოვნას მოითხოვდნენ. ის კი კოლონიის შესასვლელის დამცველ სამხედროებს ადანაშაულებდა, რადგან მავთულხლართები და თვით აკრძალული ზონაც მთელ პერიმეტრზე ხელუხლებელი იყო.

**აკრძალული ზონის თავზე ხშირად გადაიფრენდა ნიჟარაში გამომწყვდეული სასიყვარულო ბარათები და მალე მერაბმა იგრძნო, რომ აქ მეტს ვეღარ გაჩერდებოდა და გაქცევაზე დაიწყო ფიქრი. არადა, იცოდა, რაღაც მიუწვდომელს ეჭიდებოდა. აქ ხომ გაქცევის მცდელობისთვის ბოლო პატიმარი ამ სამი ათეული წლის წინ მოუკლავთ და კოლონიაც და სამრეწველო ზონაც ისე იყო გამაგრებული, მხოლოდ გიჟს თუ მოუვიდოდა თავში ამგვარი ფიქრი...**

— პატიმრებს ფრთები კი არ აქვთ, რომ რვამეტრიან ღობეზე გადაფრინდნენ. უეჭველია, ჭიშკრიდან გაუშვეს, — ღრიალებდა ის და ჯარისკაცების უპირობო გასამართლებას მოითხოვდა. ისინი კი ხვდებოდნენ რაც მოხდა, მაგრამ რომ ეთქვათ, მაიორის მანქანას გაუჩხრეკავად ვატარებდითო, უფრო დასჯიდნენ და ამიტომაც დუმილს ამჯობინებდნენ.

დრო კი უსასრულოდ გაიწელა. მალე სამი თვე შესრულდებოდა მერაბის გაქცევიდან. კიდევ ორიოდე დღეც და ალიონას ნაგროვები კაპიკებიც აღარ იქნებოდა. რაღაც უნდა ელონათ. იმ დილით მარიას მერაბმა სასხვათაშორისოდ ჰკითხა:

— აი, ის თქვენი მეზობელი, მგონი, ივან ვასილიევიჩი, არა? ყოველ კვირას სადღაც მიდის და მხოლოდ სამი-ოთხი დღის შემდეგ ბრუნდება. უკვე მესამე თვეა, ამ ფანჯრიდან ვიყურები და თითქმის ზეპირად ვიცი, რომელ საათზე გამოვა სახლიდან.

— ო, ეგ დიდი „დელეცია“. აქ რამდენიმე დიდ საამქროს ამუშავებს. პროდუქციას აქვე ყიდის და ფულის ნაწილი ვოლგოგრადში, ოლქის ხელმძღვანელობასთან ქრთამად მიაქვს. ხომ ამდენი ფული აქვს, მაგრამ შიმშილით რომ კვდებოდე, კაპიკს ვერ გააგდებინებ. არ სჯობდა, იმ მანიაკს ამისთვის გამოეჭრა ყელი, ხელს ბლომად ფულსაც გააყოლებდა, — მარიამ სამოვარი შემოდგა მაგიდაზე და ჩაიზე მიიპატიჟა მერაბი, რომელსაც ამის შემდეგ სიტყვაც აღარ დასცდენია ივან ვასილიევიჩის შესახებ.

შაბათ საღამოს, ის იყო, ალიონა უკანა ჭიშკრიდან, ეზო-ეზო გაიპარა თავისი სახლისკენ, ემანდ, მაიორს არსად გადავეყაროო, რომ მერაბმა მარიას სთხოვა, ალიონას ნურაფერს ეტყვი, ცოტა თუ არ გავიარე, სული მეხუთებაო და იმ ბილიკს გაუყვა, რომლითაც ივან ვასილიევიჩი დადიოდა. იცოდა, ბილიკი მდინარისკენ ეშვებოდა, იქ კი მცირე სამგზავრო თბომავლები დაცურავდნენ, რომელთაგან ზოგი ვოლგა-ბალტიის სანაოსნო გზით საზღვარგარეთაც კი გადიოდა. ეს მდინარე ხოპიორი იყო. აქედან გემები ვოლგოგრადისკენ მიცურავდნენ. უეჭველია, ივან ვასილიევიჩიც გემით მგზავრობდა. მერაბი მომპარავი არ იყო, მაგრამ ახლა სხვა გზა არ ჰქონდა. უფულო ძებნილის ერთადერთი მისამართი ისევ ციხე და კოლონიაა. ის იყო, თბომავალმა მეზობელ სამდინარო სადგურ ლუკოვსკაიას მიაღწია, რომ მერაბმა ივან ვასილიევიჩის წამიერი უყურადღებობით ისარგებლა და თვალის დახამხამებაში შეცვალა მისი ჩემოდანი ზუსტად ისეთივე, ოღონდ ძონძებით დატენილი ჩემოდნით, ამ უთენია ურიუპინსკის სადგურის მაღაზიაში რომ ეყიდა მთვლემარე გამყიდველისგან. სიცხე იყო და მერაბის თავზე ჩამოფხატული ჭილის ქუდიც არავის გაჰკვირვებია. დაუბრკოლებლად გადაჯდა შემხვედრ თბომავალზე და იმავე საღამოს უკანვე დაბრუნდა. თუმცა ამჯერად მხოლოდ მოზრდილი ბოხჩა ეჭირა ხელში.

— სად იყავი? — ჰკითხა აცრემლებულმა ალიონამ.

— რამ შეგაშინა? სად დავიკარგებოდი. ჩვენ ხომ ფული თითქმის აღარ გვაქვს, ალიონა. არადა, გზები ალბათ გაიხსნა და თუ აქაურობას დროზე არ მოვშორდით, დაგვიზამთრდება და აქედან ვეღარ გავაღწევთ. კოლონიაში ბიჭებს შევუთვალე და „ობშჩიაკიდან“ გამომიგზავნეს ფული. აი, ტანსაცმელიც ვიყიდე. საშენო კი ვერაფერი ავარჩიე, შენი ზომები არ ვიცოდი. თუმცა ფული იმდენია, ყველაფრისათვის გვეყოფა. ხვალვე წადი და საზამთრო ტანსაცმელი იყიდე, — მერაბმა ფუთა გახსნა და ორი ახალთახალი კოსტიუმი დაუდო წინ მოულოდნელობისაგან პირდაღებულ ალიონას.

— მერაბ, შენ ამ დილით ივან ვასილიევიჩი გაძარცვე და იქნებ მოკალი კიდეც. მე კი მეგონა, ციხეში მართლაც შემთხვევით მოხვედრილ კაცთან მქონდა საქმე, — ცოტა ხმამაღალი საყვედური გამოუვიდა ალიონას.

— ჩუმად, მარიამ არ შემოგვისწროს. მართალი ხარ, ეს ფული და ნივთები ივან ვასილიევიჩის ჩემოდანში იყო, მაგრამ არ გამიძარცვავს, უბრალოდ ჩემოდანი შევუცვალე. ის ამას მხოლოდ ზეგ დილით შეიტყობს, როცა ვოლგოგრადის საოლქო კომიტეტის შენობის რომელიღაც საპირფარეშოში გახსნის, რომ ტანზე გამოიცვალოს და იქაურ ჩინოვნიკებს თავ-თავიანთი წილი დაურიგოს. ხმასაც ვერ ამოიღებს, გამქურდესო. რომ ჰკითხავენ, სად მიგქონდა ამდენი ფულიო, რა უნდა უპასუხოს.

ძნელი სათქმელია, დაუჯერა თუ არა ალიონამ მერაბს, მაგრამ დაჯერება კი ნამდვილად უნდოდა — ამას ჯერ კიდევ ნიჟარაში გამოკეტილი სიყვარული აიძულებდა.

— კარგი წავიდეთ. დღესვე ავიღებ ბილეთებს. ეცადე, მარია არაფერს მიხვდეს. ჩემი ახლობელი კია, მაგრამ მაინც ასე აჯობებს... — ალიონა სახლიდან გავიდა და კარი გაიხურა.

## შეხვედრა მანიაკთან

მეორე დღეს, იმ დროს, როცა მარია უკვე სამსახურში იყო წასული, ალიონა მერაბს ეახლა.

— ნოვონიკოლაევსკოემდე ავიღე ბილეთები. იქიდან კი კიკვიძეში გადავალთ და როგორც შევთანხმდით, შემოვლითი გზით გავაღწევთ აქედან, — თავისი შორსმჭვრეტელობით აღფრთოვანებულმა ალიონამ მწვანე თვალები შეანათა მერაბს.

— რაო, რა თქვი, სად გადავალთო? — ჰკითხა ცოტა არ იყოს შეცბუნებულმა მერაბმა.

— კიკვიძეში-მეთქი. რა არის აქ გაუგებარი. რაიონული ცენტრია მდინარე ბუზულუკის შუაწელზე.

— კარგი, კარგი... უბრალოდ, მეგონა პირველი ქართველი ვიქნებოდი, რომელიც ამ გზაზე გაივლიდა, — ალიონა მერაბს აღარ უსმენდა, ხელბარგის ჩალაგებით იყო გართული.

— აქედან გამთენიისას გავალთ, — თავიც არ აუწევია, ისე თქვა ალიონამ.

— გამთენიისას კი არა, როგორც კი დაღამდება. ვიდრე მარია დაბრუნდებოდეს, აქაურობა უნდა დავტოვოთ და ფეხით გავიაროთ მანძილი მატარებლის პირველ გაჩერებამდე. კარგად ვიცნობ მაიორ ვოროშილოვს. მართალია, გზები გაიხსნა, მაგრამ მას რკინიგზის სადგურებშიც ეყოლება მსტოვრები. ერთხელ უკვე გავრისკე, როცა სამდინარო სადგურში შევედი. კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს, — დარწმუნებით თქვა მერაბმა.

— მართალი ხარ. ალბათ ასე აჯობებს, მაგრამ იცი, რომ ღამით ის ტყე უნდა გავიაროთ, სადაც შეყვარებულებს ხოცავენ? — ალიონას გამოხედვაში შიშის ნატამალიც არ იგრძნობოდა.

— თუ გაიგო, რომ ამ გზით ვაპირებთ გამგზავრებას, უეჭველად დაგვხვდება, — იხუმრა მერაბმაც. მერე მარიას გამოსამშვიდობებელი წერილი დაუტოვეს და სახლიდან გავიდნენ. ისეთი წყვდიადი იდგა, ალიონა რომ არა, გზას ვერაფრით გააგნებდა.

**(გაგრძელება იხ. გვ. 27)**

# ფალსიფიცირებული და ვადაგასული მედიკამენტები ანუ ბოდიში, თქვენ გელით მოწამვლა?!




შარშან ჩემი მეგობრის შვილს მოულოდნელად მაღალი სიცხე მისცა. მამამისმა სასწრაფო დახმარება გამოიძახა. ექიმების ბრიგადამ ბავშვი გულდასმით გასინჯა და სერიოზული დიაგნოზი — ფილტვების ორმხრივი ანთება დაუსვა პატარა პაციენტს. ბუნებრივია, წამლებიც გამოუწერეს, მათ შორის, ინიექციებიც. ჩემი მეგობარი მაშინვე გაიქცა აფთიაქში და წამლები შინ მიიტანა. პატარას ექიმის დანიშნულებისამებრ ყოველ ექვს საათში „პენიცილინის“ ინიექციას უკეთებდნენ, პარალელურად სხვა ანტიბიოტიკსა და ანტივირუსულ საშუალებებსაც ასმევდნენ, მაგრამ ბავშვს უკეთესობა არა და არ ეტყობოდა — სიცხე ვერაფრით დაუგდეს. მეტიც, მეორე დღეს, ღამით, ბავშვის მდგომარეობა უფრო დამძიმდა. აღელვებულმა მშობლებმა ისევ სასწრაფო დახმარება გამოიძახეს. ამჯერად ექიმმა ბავშვის საავადმყოფოში გადაყვანა მოითხოვა, თან გაკვირვებული იყო, — ავადმყოფს დროულად და სწორად დაუსვეს დიაგნოზი, მკურნალობაც შესაბამისი დაუნიშნეს, წამლებსაც დროზე იღებდა, მაგრამ ამაოდ — ბავშვი მაინც სიცხისგან იწვოდა...

საავადმყოფოში იგივე დიაგნოზი დაადასტურეს და მკურნალობაც თითქმის იგივე დაუნიშნეს. დილით პატარას სიცხე დაეწია. კიდევ რამდენიმე დღის მკურნალობა და გამოჯანმრთელება დაიწყო. მშობლები გაკვირვებული იყვნენ — თვითონაც ხომ იმავე წამლებს ასმევდნენ და უკეთებდნენ ბავშვს. ჩემმა მეგობარმა ეს საავადმყოფოს მთავარ ექიმს შესჩივლა და ის წამლებიც აჩვენა. როგორც კი დახედა ექიმმა ფლაკონებს, სერიები და მწარმოებელი ფაბრიკის დასახელებები ამოიკითხა, მშობლებისთვის და თითოეული ჩვენგანისთვის სავალალო „დიაგნოზი“ დასვა — ყველა მედიკამენტი ფალსიფიცირებული აღმოჩნდა. მეტიც, პროფესორის ვარაუდით, მათში ე. წ. მოქმედი ნივთიერება, რომელიც უშუალოდ ებრძვის ავადმყოფობას, სრულიად არ უნდა ყოფილიყო. ყველაფერი ეს დედაქალაქში მოხდა. ჩემმა მეგობარმა მედიკამენტები ერთ-ერთი ცნობილი ფარმაცევტული კომპანიის კუთვნილ ლიცენზირებულ აფთიაქში იყიდა. წარმოიდგინეთ, ძვირფასო მკითხველო, ასეთი რამ სადმე რაიონში ან მიყრუებულ სოფელში რომ მოხდეს, სადაც ექიმების მტკიცებით, წამლების 80%-ზე მეტი ფალსიფიცირებულია და არც საავადმყოფოა ახლოს, ხომ ყველაფერი ფატალური შედეგით დამთავრდებოდა?!

სხვათა შორის, მეც ბევრჯერ „მიმკურნალია“ ფალსიფიცირებული წამლებით. ამიწევს წნევა, მივალ აფთიაქში, ვიყიდი წამალს, დავლევ და თქვენც არ მომიკვდეთ, გინდ დამილევია, გინდ — არა. თუმცა ამ ბოლო დროს ჭკუა ვისწავლე — თამარ მეფის გამზირზე, სადაც აფთიაქების მთელი ქსელია, ერთ-ერთი აფთიაქის მეპატრონე ჩემი თანაკურსელია და მხოლოდ მისი რჩევით ვყიდულობ ამა თუ იმ მედიკამენტს. კარგი, მე გამოსავალი ვიპოვე, მაგრამ რა ეშველება მათ, რომელთაც მეგობარი ან ახლობელი პროვიზორი არ ჰყავთ და არც მედიკამენტებისა გაეგებათ რაიმე?!

„კვირის პალიტრას“ არაერთხელ გაუშუქებია ფალსიფიცირებული მედიკამენტების პრობლემა. გახსოვთ, ალბათ, ამ ორიოდე წლის წინ ლილოს დასახლებაში ფალსიფიცირებული მედიკამენტების დამამზადებელი იატაკქვეშა საამქროც აღმოვაჩინეთ. ფოტოების გადაღებაც მოვახერხეთ და სტატია ფოტოფაქტებთან ერთად გამოვაქვეყნეთ, მაგრამ შედეგი ნულის ტოლი იყო. ამ საკითხით არც საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელობა დაინტერესებულა და არც სამართალდამცველებს გამოუღიათ ხელი. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და დღეს უკვე კრიტიკულ ზღვარზე ვართ.

## ვის დაეჯახება ამერიკის ელჩი საქართველოში?!

**ამერიკული ფარმაცევტული კომპანიების მფლობელებმა გადასახადებისაგან რომ თავი დაიძვრინონ და შეღავათები მიიღონ, ხელოვნურად ზრდიან ჰუმანიტარული ტვირთის ფასს. მეტიც, საქართველოში ძირითადად ვადაგასული მედიკამენტები გამოაგზავნეს. ქველმოქმედებითაც გაიკეთეს „შეღავათი“. მძიმე მდგომარეობაა რეცეპტურის სფეროშიც. ექიმების ერთი ნაწილი გარიგებულია ფარმაცევტულ კომპანიებთან და ხშირად პაციენტებს ისეთ მედიკამენტს უნიშნავენ, რომელიც ავადმყოფობის მკურნალობას ერთი მისხალითაც არ წაადგება.**

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ახლანდელი ხელმძღვანელობის თქმით, საქართველოში ფალსიფიკატორთა კარგად ორგანიზებული მაფიოზური ქსელი არსებობს და მასთან საბრძოლველად ახალი სტრუქტურული ერთეული, ე. წ. „წამლის სააგენტო“ ჩამოყალიბდა. ამას წინათ სწორედ სააგენტოს უფროსმა, თინათინ ტურძილაძემ მოგვმართა თხოვნით (მან ფაქსი გამოგვიგზავნა): „გთხოვთ გაავრცელოთ ინფორმაცია, რომ საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე მიმოიქცევა სამკურნალო საშუალებების ფალსიფიცირებული სერიები: ერითრომიცინი 0,25, ტაბლეტები №10 სერია: 120303; ბისეპტოლი 480 მლ/გრამი №20 სერია: 290303; სუპრასტინი 25 მლ/გრ ტაბლეტები №20 სერია: 21741003 და 13810403; ლევომიცეტინი 0,5 გ ტაბლეტები №10 სერია: 17082002; რეტარპენი 2400000 მგ, სერია: 113261; რეტაბოლილი 50 მლ/გრ 1 მლ ზეთოვანი ხსნარი. სერია: ა1ა163ა და ა11089ა; ტიბერალი 500 მლ/გრ ტაბლეტები №10 სერია: ბ1026.“

მეორე დღესვე ვეწვიეთ „წამლის სააგენტოს“ უფროსს, **თინათინ ტურძილაძეს** და გავესაუბრეთ:

— წლების განმავლობაში საქართველოს ფარმაცევტულ სფეროში სახელმწიფო მართვა ფრაგმენტული ხასიათის იყო. უფრო სწორად, სახელმწიფო თითქმის არ აკონტროლებდა ფარმაცევტულ საქმიანობას. არსებობდა რამდენიმე სახელმწიფო სამსახური, რომლებსაც ფარმაცევტული სფეროს კონტროლი ევალებოდათ: წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტი, ფარმაცევტული საქმიანობის ხარისხის კონტროლის ინსპექცია, ლიცენზიების გაცემისა და ნორმირების დეპარტამენტი, ლაბორატორია. ერთი სიტყვით, სისტემა დაქსაქსული იყო — თუ რამე მოხდებოდა, ყველა სამსახური ერთმანეთს აბრალებდა და პასუხისმგებელი აღარავინ იყო. ამან კი ის მოიტანა, რომ საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი კრიტიკულ მდგომარეობაშია.

ამიტომ სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ ფარმაცევტულ საქმიანობაზე კონტროლის გასაწევად წელს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სამსახური გააერთიანა და „წამლის სააგენტო“ შექმნა.

**— ქალბატონო თინათინ, რამდენად არის დაცული დღეს საქართველოს მოსახლეობა ფალსიფიცირებული მედიკამენტებისგან?**

— ფალსიფიცირებული მედიკამენტები არა მარტო საქართველოს, მთელი მსოფლიოს პრობლემაცაა. მსოფლიოში ფალსიფიცირებული წამლებით ვაჭრობის ყოველწლიური მოცულობა ამერიკის შეერთებული შტატების ბიუჯეტს აჭარბებს...

საქართველოს მოსახლეობა აბსოლუტურად დაუცველია ფალსიფიკატორებისაგან. აქ კონტროლის უქონლობის გამო კარგი გარემო შეიქმნა ფალსიფიცირებული წამლების გასასაღებლად. მართალია, ზოგჯერ ფალსიფიკატორებს ამხელდნენ, მაგრამ ამას პერიოდული ხასიათი ჰქონდა. მეტიც, არასოდეს შეგროვებულა ნივთმტკიცებები. მხოლოდ ერთხელ, 2002 წელს, გამოყო სამინისტრომ ფალსიფიცირებული მედიკამენტების შესასყიდად ხუთასი ლარი. ამ თანხით შეძენილი წამლების 60% ფალსიფიცირებული იყო. ეს იყო და ეს, ამით დამთავრდა ფალსიფიკატორებსა და გამსაღებლებთან ბრძოლა. საბედნიეროდ, წელს სამინისტრომ 25 ათასი ლარი გამოყო. ამიერიდან კონტროლი სისტემატურ ხასიათს მიიღებს.

**— საქართველოში უამრავი ულიცენზიო აფთიაქია. ფალსიფიცირებულ წამლებს აქა-იქ დადგმულ დახლებზეც ყიდიან. „წამლის სააგენტო“ მხოლოდ მათ წინააღმდეგ ბრძოლით შემოიფარგლება თუ მსხვილი ფარმაცევტული კომპანიებისა და ბაზების შემოწმებასაც გაბედავს?**

— ჩვენ ყველას ერთნაირად გავაკონტროლებთ. იმ აფთიაქებს, რომლებსაც არ აქვთ სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მდგომარეობის გამოსასწორებლად სამ თვეს მივცემთ, შემდეგ დავაჯარიმებთ და ლიცენზიებსაც გავუუქმებთ. იმავე მოთხოვნებს წავუყენებთ მსხვილ ფარმაცევტულ კომპანიებსა და ბაზებს (სულერთია, ადგილობრივი იქნება თუ უცხოური).

**— ასეთ პროგრამასა და სულისკვეთებას „კვირის პალიტრა“ მიესალმება, მაგრამ არ გეშინიათ მუქარისა და ზეწოლის, რომელიც მოსალოდნელია ფარმაცევტული მაფიისგან?**

— უკვე გამოვცადეთ მუქარაც და ზეწოლაც, გვირეკავდნენ ტელეფონზე, ზოგიერთი პირადად მოდიოდა და გვირჩევდა, „კირკიტისთვის“ თავი დაგვენებებინა, მაგრამ არაფერი გაუვიდათ. რაც მთავარია, ჩვენ სამინისტრო გვიჭერს მხარს. ყველაფერს ვიღონებთ, რომ ხალხის წინააღმდეგ მიმართული ფარმაკოტერორიზმი აღვკვეთოთ. გადაწყვეტილი გვაქვს, ასევე, რეცეპტურის ინსტიტუტის ამუშავება. ამ სფეროშიც სრული განუკითხაობაა.

**— „წამლის სააგენტომ“ აშშ-დან შემოტანილი 5,5 მილიონ დოლარად ღირებული ჰუმანიტარული მედიკამენტები დააპატიმრა...**

— დიახ, ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ „ექსთ-ჯორჯიამ“ აშშ-დან სხვადასხვა დასახელების მედიკამენტები შემოიტანა.

***(გაგრძელება იხ. გვ. 33)***

# ნდობის რეიტინგში ს.ს. „ვაზიანი“ მეორეა

კომპანიის ცქრიალა ღვინოებს მოსახლეობის 18 პროცენტი იდეალურად მიიჩნევს. საქართველოს ახალგაზრდა ფინანსისტთა და სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევების ცენტრი „რეიტინგი-კავკასია“ საზოგადოებას დროდადრო სიურპრიზებს სთავაზობს. ამ ორი ორგანიზაციის ახალი პროექტის სპონსორობა ამჯერად ჰოლდინგურმა კომპანია „აგრიტექნიკს ჯგუფმა“ იტვირთა.

კვლევითი ცენტრის ინტერესის სფეროში საბანკო სექტორი და კერძო ბიზნესი მოექცა, რადგან ეს ორი სფერო საქართველოში განვითარების სტადიაშია და ექსპერტების ინტერესი ამ სეგმენტების მიმართ ბუნებრივიცაა.

პროექტის ფარგლებში გამოკითხული იქნა საქართველოს მასშტაბით (აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარდა) ათასი რესპონდენტი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. აქედან ხუთასი თბილისში, ხუთასი კი საქართველოს რეგიონებში. ცალკე გამოკითხულ იქნა ასამდე ექსპერტი (ფინანსისტები, ექსპერტების, საბანკო საქმის სპეციალისტები, მეცნიერები, ანალიტიკოსები, ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები).

სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევის ცენტრმა „რეიტინგი კავკასია“ ლიდერები საბანკო სექტორში და სადაზღვევო კომპანიებში გამოავლინა. პარალელურად ექსპერტები იკვლევდნენ სამომხმარებლო ბაზარს. კვლევის საგანი გახდა კვების, რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანიები. ექსპერტებმა გვერდი ვერ აუარეს გამაგრილებელი და სპირტიანი სასმელების მწარმოებლებსაც. როგორც „რეიტინგი კავკასიას“ ექსპერტები ამბობენ, მოქალაქეები ყველაზე ხალისიანად დასმულ კითხვებზე პასუხს სწორედ ამ სფეროების შესახებ სცემდნენ, რადგან ჩვენში როგორც ალკოჰოლიანი, ისე გამაგრილებელი სასმელები საკამოდ პოპულარულია. კვლევა ორი მიმართულებით ჩატარდა. ჩვეულებრივი მოქალაქეების პარალელურად საკუთარი პოზიცია ექსპერტებმაც დააფიქსირეს.

ძნელი სათქმელია, რამდენად მოხვდნენ გამოკითხულთა შორის ღვინის ჭაშნაგირები, მაგრამ ისინი, ვისაც გაუმართლა და სოციოლოგთა კითხვაზე პასუხის გაცემის საშუალება მიეცათ, ამტკიცებენ, რომ GWS-ის ღვინოები ყველაზე სანდოა და ამ კომპანიის პროდუქციას საზოგადოების სულ მცირე 29% მაინც ენდობა. მეორე ადგილზეა სააქციო საზოგადოება „ვაზიანი“, რომელიც სულ ახლახან გამოჩნდა ბაზარზე და ხარისხიანი პროდუქციისა და აგრესიული რეკლამის დახმარებით ძალიან მალევე აღმოჩნდა ქართული ალკოჰოლიანი სასმელების სათავეში. ამ კომპანიის პროდუქციას მოსახლეობის 18% ენდობა. მესამე ადგილზეა თელავის ღვინის მარანი. ხოლო მეოთხე და მეხუთე ადგილებს „თბილღვინო“ და „ბაგრატიონი 1860“ ინაწილებენ.

მოკლედ, ნდობის ფაქტორი, ფალსიფიკაციის მაღალი დონის მიუხედავად, ალკოჰოლიანი სასმელების მიმართ კვლავაც მყარი რჩება.

სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევის ცენტრმა „რეიტინგი კავკასიამ“ კვლევის შედეგები პრესკონფერენციის საშუალებით უკვე გააცნო ფართო საზოგადოებას, საქართველოში ალკოჰოლიანი სასმელების ბაზარზე არსებული მძაფრი კონკურენციის მიუხედავად, კვლევაში მონაწილე კომპანიები ამ კვლევის შედეგებს ობიექტურად მიიჩნევენ.

R




ფარმაცევტული კომპანია "Bilim pharmaceuticals"

აცხადებს კონკურსს სამედიცინო წარმომადგენლის თანამდებობაზე

ძირითადი მოთხოვნები:

- უმაღლესი სამედიცინო განათლება.
- მუშაობის გამოცდილება ფარმაცევტული მარკეტინგის სფეროში.
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა.
- კომუნიკაბელობა.

გთხოვთ წარმოადგინოთ ინგლისურად თქვენი დეტალური CV და ფოტოსურათი შემდეგ მისამართზე:

თბილისი, ალმაშენებლის გამზ. 148/III.
ფარმაცევტური კომპანია "PSP"-ს ცენტრალური ოფისი ან გამოგვიგზავნეთ ელექტრონული ფოსტის საშუალებით – E-mail: bilim_ge@geo.net.ge

# ახალმოწამენი

## მთელი სინოდი 1 წელი ციხეში იყო გამომწყვდეული

# „განძის მოპარვა რომ მნდომებოდა, ჩემივე ხელით აღვნუსხავდი?“

პაპა იოსების სახე მის შთამომავალს, პროფესორ ავთანდილ კვიტაიშვილს მცირე ფრაგმენტად დაამახსოვრდა. მათი შეხვედრა ერთმა ფოტომაც შემოინახა — იქ ერთი, 70-ს გადაცილებული მქრქალღიმილიანი თეთრწვერა მოხუცი — იმ დროის ძალიან გამორჩეული სულიერი მოღვაწე, არქიმანდრიტი იოსებ მირიანაშვილია, ხოლო მეორე, მის კალთაში მჯდარი მოღიმარი ჩვილი — თავად ბატონი ავთანდილი, რომელმაც ის ეპიზოდი ასე გაიხსენა: ფერად გაელვებად ჩამრჩა, როგორ ამოძრავებდა ჩემს შესაქცევად პაპა იოსები ფანერისაგან გამოჭრილ ნაცრისფერ კურდღელსო.

ამ ფოტოს გადაღებიდან მოკლე ხანში იოსებ მირიანაშვილი დახვრიტეს. 1937 წელი იდგა და ვინ დაინდობდა მისნაირებს? მისი შინაგანი მდგომარეობა თითქოს ფოტოებმაც „შეიგრძნეს“ (აქვე დავძენთ, რომ ფოტოები ლუარსაბ ტოგონიძემ მოგვაწოდა, მანვე მოგვაძებნინა იოსებ მირიანაშვილის შთამომავლები, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ).

სხვა დანარჩენი კი, რაც ბატონმა ავთანდილ კვიტაიშვილმა თავის ღირსეულ წინაპარზე იცის, ასე მოგვითხრო:

— „რა მახსოვს პაპა იოსებზე და



არქიმანდრიტი იოსები მეუღლესთან ერთად

ჩემიანებზე? პაპა იოსების შვილები რომ იყვნენ, მათ მხოლოდ ამიტომ ავიწროებდნენ. მაგალითად, დედაჩემსა და დეიდაჩემს გიმნაზიიდან მღვდლის შვილობის გამო უპირებდნენ გარიცხვას, მოგვიანებით სწორედ ამ მიზეზით გამოაგდეს უნივერსიტეტიდან დედაჩემი.

გადმოცემით ვიცი, რომ პაპა იოსები 1920 წლიდან მღვდელმთავარი ბრძანდებოდა. აი, რას წერდა მასზე კალისტრატე ცინცაძე, „ქართული ეკლესიის ისტორიის“ ტომში: „განახლებული ეკლესიის წინამძღვრად იყო დეკანოზი იოსებ დიმიტრის ძე მირიანაშვილი, ერისაგანნი, დაბადებული 1868 წელს. დამთავრებული აქვს ტფილისის სასულიერო სემინარია 1889 წელში. 1893 წლის იანვრამდე მსახურობდა ტფილისის სათავადაზნაურო სკოლაში აღმზრდელად.

აღნიშნული წლის თებერვლის ორში ხელდასხმულია ზემო მაჩხაანის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვრად, საიდანაც 1893 წლის ივნისის 24-ს გადაყვანილი იქნა ბოდბის წმინდა ნინოს მონასტრის ეკლესიის მღვდლად. განაგებდა ორკლასიან სკოლას და ეწეოდა მასწავლებლობას. 1907 წლის ივლისის 11-დან 1912 წლის მაისის 20-მდე ტფილისის მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის წინამძღვარია, მას შემდეგ — დიდუბისა. 1908-1918 წლებში ტფილისის პირველი მთავარხუცესია, 1920 წლიდან — საკათალიკოზო საბჭოსა და სინოდის წევრი, ტკბილ-მგრძნობიარე მქადაგებელი“.

ჩვენებურებიდან ვიცოდი, რომ პაპა იოსები იმ დროის ერთ-ერთი გამორჩეული და საინტერესო ავტორი, ძალზე განსწავლული, უკომპრომისო, პრინციპული, პატიოსანი და მართალი კაცი გახლდათ. იცით, რა ბიბლიოთეკა ჰქონდა? 1917-ში დაუწვეს...

— *მისი ბიბლიოთეკიდან არაფერი გადარჩა?*

— რა თქმა უნდა, გადარჩა, მაგრამ გადარჩენილი წიგნებიდან ყველაზე მეტად ერთმა დამაინტერესა — რუსულენოვანმა „კომუნისტური პარტიის ისტორიამ“, რომელშიც პაპას მონიშნულ ადგილებს ნახავთ. იცით, სულ მიკვირდა და დეიდაჩემს ვეკითხებოდი — ამ წიგნს მართლა კითხულობდა-მეთქი? დეიდამ მითხრა, მამა ასე გვზრდიდა: „შვილებო, წაიკითხეთ ყველაფერი, რომ იცოდეთ, თუ რა არის კარგი და რა — ცუდი, რა — სწორი და რა — არასწორი“.

პაპას უფროსმა შვილებმა — ვლადიმერმა და ნინომ მოსკოვის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრეს. ამ ოჯახში გაზრდილმა კარგად ვიცოდი, რომ მისი შვილობა იმ დროისთვის დიდი უბედურება იყო — მთელი ცხოვრება შიშში მაქვს გატარებული — ყველგან დამქონდა რეპრესირებულის შთამომავლის დამღა. იცით, რა მითხრეს რაიკომში და სამხედრო კომისარიატში? — არა უშავს, შენიანები კი ხალხის მტრები იყვნენ, მაგრამ მათი ღალატი შენ უნდა გამოასწოროო... ბავშვობაში ხშირად მიტირია ღამით, საშინელი და მძიმე უღელი იყო...

უფროსებიდან მახსოვს, როგორ დააპატიმრეს 1924-ში საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდი. მაშინ ხომ რუსეთმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ისევ ხელყო.

პაპა იოსები, ბევრისაგან განსხვავებით, ავტოკეფალიის აღდგენის საკითხში ბოლომდე უკომპრომისო და პრინციპული იყო, როგორც გითხარით, ძალზე განსწავლული კაცი ბრძანდებოდა. მეორე ბებიისაგან გამიგონია, იოსებს იმდენად მადლიანი და საინტერესო წირვები ჰქონდა, მოსასმენად მთელი თბილისი მოდიოდაო.

განძეული, რომელიც ჩვენს ეკლესიებში ინახებოდა, გასაბჭოების შემდეგ დიდუბის ეკლესიის სამალავში გადაუტანიათ, რაც მხოლოდ პაპა იოსებმა და ეკლესიის კარისკაცმა იცოდნენ. ჰოდა, ამ უკანასკნელმაც საიდუმლო გასცა. სწორედ მისი აღიარება გამოიყენეს ჩვენი სინოდის დაპატიმრების საბაბად, მაგრამ ნამდვილ მიზეზზე გახსნილად ვერავინ საუბრობდა — რომის პაპისადმი მიწერილ წერილზე, რომელიც განძის გადამალვის თარიღს დაემთხვა. ეს წერილი რომის პაპს 1924-ში გენუის კონფერენციაზე უჩვენებია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩიჩერინისათვის — თქვენ ხალხთა გათავისუფლებაზე საუბრობთ და ეს წერილი რაღას ნიშნავს, უძველეს ეკლესიას ავტოკეფალიას ართმევთო? მეორე დღესვე დაატყვევეს მთელი სინოდი. იცით, სად მოეწყო ეს სამარცხვინო სასამართლო? ახლა რომ კინოთეატრი „საქართველო“ დგას, იმ დროს იქ ტრიალი მინდორი იყო, სადაც ერთი პატარა კლუბი ყოფილა. ჰოდა, იქ შეგზავნეს კომკავშირლები, რომლებიც, ამ ვითომ სასამართლოს დროს, ხელმძღვანელის ნიშანზე იწყებდნენ სტვენას და ხმაურს.

საეკლესიო განძეული საკანცელარიო დავთარში პაპა იოსებს აღუნუსხავს. პროკურორის ბრალდებით, თურმე სწორედ ამ განძეულობის მითვისებას აპირებდა სინოდი. წარმოგიდგენიათ?! თურმე სინოდმა განძი საკუთარ თავს მოჰპარა!

პაპა იოსებს უთქვამს: — კი, მაგრამ განძის მოპარვა რომ მნდომებოდა, როგორ ფიქრობთ, ჩემივე ხელით აღვნუსხავდიო? რომ არ ელაპარაკებინათ, კომკავშირლები სტვენას იწყებდნენ. სამარცხვინო პროცესი იყო, მაგრამ იმდენი სამარცხვინო ფურცელი აქვს ჩვენს ისტორიას, სანამ მათ ბავშვები სკოლაში არ ისწავლიან, ვერასოდეს მიხვდებიან, თუ რას ნიშნავს დემოკრატია, თავისუფლება, ადამიანის უფლებები და ის, რომ შენს ისტორიას შავი ფურცლებიც აქვს.

ეს ფარსი კი იმით დასრულდა, რომ მთელი სინოდი ერთი წლის განმავლობაში ციხეში იყო გამომწყვდეული, ხოლო დიდ ყუთში მოთავსებული ჩვენი ეკლესიის სიწმინდეები თავის ნუსხიანად სადღაც გაქრა...

— *მაინც, სად შეიძლებოდა გამქრალიყო ასეთი მნიშვნელობის მქონე ამდენი სიწმინდე?*

— რამდენადაც ვიცი, ასეთ მნიშვნელოვან ნივთებს მაშინ ერმიტაჟის საცავში, უფრო ზუსტად, სამალავში გზავნიდნენ ხოლმე. იმ დროს რომ ქართული ტაძრებიდან ხატები მოხსნეს და წაიღეს, მათ ნაცვლად ციმბირიდან იაფფასიანი, უბრალო ციმბირული ქვებით შემკული ხატები ჩამოიტანეს.

დახვრეტამდე (1937 წლამდე) პაპა იოსები დიდუბის ეკლესიის წინამძღვარი გახლდათ.

მახსოვს, სტალინის სიკვდილის შემდეგ მე და დეიდა (მაშინ ბავშვი გახლდით) აკადემიკოს კორნელი კეკელიძესთან მივედით, რომ პაპა იოსების რეაბილიტაციაში დაგვხმარებოდა. ბატონი კორნელი ადრე პაპას დიაკვანი გახლდათ... მახსოვს, რა უთხრა დეიდა ნინოს: „—რომ არა მამათქვენი, მე, ალბათ, გაუნათლებელი დავრჩებოდიო“.

პაპა იოსებზე კიდევ ის ვიცი, რომ ქიზიყში გაიზარდა და ძალიან განათლებული მშობლების შვილი იყო. ასეთივე ოჯახის შთამომავალი გახლდათ მისი მეუღლეც — მანანა ნადირაშვილი. მანანას მამა, ალექსანდრე ნადირაშვილი პირველი გილდიის ვაჭარი ყოფილა და ევროპასა და ამერიკაში ხშირად მოგზაურობდა. პირველი გილდიის ვაჭარს მაშინ მინისტრზე მაღალი მდგომარეობა ჰქონდა. გადმოცემით ისიც ვიცი, რომ ალექსანდრე ავსტრიის იმპერატორ ფრანც-იოსებსაც შეხვედრია. დეიდები მიყვებოდნენ, მამა იმდენად მდიდარი კაცი იყო, სიღნაღში რომ სახლი გვქონდა, იმის აივანზე ძვირფასი ქვებით ვთამაშობდითო.

პაპა იოსებს 7 შვილი ჰყავდა — ვლადიმერი, გოგი (რომელიც ბავშვობაში გარდაცვლილა), ნინო, ელისაბედი, ვერა, ნადია და დედაჩემი — ელენე. პაპა ძალიან ნათელი კაცი იყო და ეს ნათელი მის შვილებსაც გადმოჰყვა.

***მოამზადა მანანა ტუაევამ***

P.S. **მკითხველს ვთხოვთ, მოგვაწოდოს დოკუმენტური თუ ფოტომასალა სარწმუნოებისათვის წამებულ და ღვაწლმოსილ ადამიანებზე. საკონტაქტო ტელეფონები:**
**899-93-48-40**
**899-54-82-29,**
**წინასწარ გიხდით მადლობას.**



*საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, კირიონის დაკრძალვა. ტფილისი, 1918 წელი*

*პროცესიის თავში არქიმანდრიტი იოსები*



*პაპა და შვილიშვილი*



## რას გვეტყვი, მამაო?

**— როდის არის ტაძარში დრო გალობისა — „შენ გიგალობ“?**

— გალობა „შენ გიგალობ, შენ გვაკურთხე, შენ გმადლობ, უფალო და გევედრები, შეგვინდე ჩვენ“ — წირვის ყველაზე ამაღლებულ მომენტში გაისმის. ამ გალობის დროს საკურთხეველში ღვთისმსახურის ლოცვით აღესრულება პურის და ღვინის უფლის სისხლად და ხორცად გარდაქმნის უდიდესი საიდუმლო. ამის შემდეგ იწყება ზიარება.

**— რა არის საჭირო, ღვთისმსახურმა კვეთის დროს რომ გარდაცვლილი მოიხსენიოს?**

— წირვაზე კვეთის დროს, საკურთხეველში შეწირული სეფისკვერებიდან ტარიგისა (განასახიერებს იესოს) და წმინდანთა სახელზე წმინდა ნაწილების ამოკვეთა ხდება. წმინდა ნაწილები ტარიგთან ერთად ფეშხუმზე დაბრძანდება. ამ დროს მოიხსენიებენ ანგელოსებს, წინასწარმეტყველებს, პატრიარქს და მთავრობას, ცოცხლებსა და მიცვალებულებს. წმინდა ნაწილები უდიდეს მადლს მიანიჭებენ მოხსენიებულთ. კვეთის დროს თქვენი ახლობლების მოხსენიებისათვის წირვა-ლოცვაში მონაწილეობაა საჭირო. ეკლესიაში უნდა მიბრძანდეთ წინა საღამოს, როცა ლოცვა აღევლინება. იმ დილით კი, როდესაც წირვა იწყება, უნდა შეიძინოთ სეფისკვერი ცოცხალთა და გარდაცვალებულთა სახელზე, ვისი მოხსენიებაც გსურთ და შეაგზავნოთ საკურთხეველში. თუ რაიმე მიზეზით ტაძარში მისვლას ვერ ახერხებთ, შეგიძლიათ სეფისკვერი საკურთხეველში ახლობელსაც შეაგზავნინოთ. ზოგადად კი თქვენს ზრუნვას დიდი მადლი ექნება მოხსენიებულთათვის, თუ ეკლესიურად იცხოვრებთ და წირვა-ლოცვაზე ხშირად მიბრძანდებით.

**— რით მოვერიო ქედმაღლობის ცოდვას?**

— ქედმაღლობის ცოდვა არა მარტო იმ ადამიანს ამძიმებს, რომელსაც ეს ახასიათებს, არამედ სხვებზეც დამთრგუნველად მოქმედებს. ჩავიხედოთ საკუთარ თავში, — რა მოგვწონს, რა გვაქვს ჩვენ ისეთი, რომ სხვებზე უკეთესად მივიჩნიოთ თავი? ყველაფერი, რაც ჩვენ გაგვაჩნია, უფლის მოცემულია და უფლის ნაბოძვარით ამპარტავნების უფლება არა გვაქვს. ქედმაღლობის მკურნალი სიმდაბლეა. სიმდაბლესა და ყოველივე სათნოებას კი ადამიანის გულში ეკლესია აღორძინებს. იარეთ ეკლესიაში და ის სათნოება, რითაც უფალმა დაგასაჩუქრათ, იმრავლებს. მაშინ მხოლოდ ქედმაღლობას კი არა, ბევრი სხვა ცოდვის სიმძიმესაც მოიშორებთ.

**— რას ნიშნავს ფარული მონაზონი?**

— კომუნისტური მმართველობის დროს, როდესაც ტაძრები გააუქმეს და ღვთისმსახურნი მონასტრებიდან გამოდევნეს, ბევრმა მონაზონმა ასეთი გზა აირჩია — ისინი აღკვეცილ იყვნენ, მაგრამ ამის გამხელას ერიდებოდნენ და ფარულად მოღვაწეობდნენ. სამონაზვნო კანონებს აღასრულებდნენ, მაგრამ მათი ღვაწლი დაფარული იყო. მაგალითად, ბეთანიის მონასტერში ორი ასეთი ბერი — გიორგი და იოანე (ამჟამად წმინდანებად შერაცხულნი) საყდრობდა, ისინი სახელმწიფო წესით, ოფიციალურად მონასტრის დარაჯებად იყვნენ გაფორმებულნი.

**— გარდაცვლილის ვალი დამრჩა გაუსტუმრებელი და ძალიან განვიცდი, როგორ მოვიქცე?**

— ფული დაუბრუნეთ მის ახლობლებს. თუ გარდაცვლილს ახლობელი არ დარჩენია, ან უცხოეთში ცხოვრობენ და ზუსტად არ იცით მათი საცხოვრებელი ადგილი და ფულის გაგზავნას ვერ ახერხებთ, მაშინ ეს ვალი შეჭირვებულ ადამიანებს გადაეცით ანდა ეკლესიაში მიიტანეთ და მღვდელს უამბეთ თქვენი განცდის შესახებ.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

№10, ნოემბერი, 2004 ფასი 80 თეთრი
მართლმადიდებლური ჟურნალი
გამოვიდა ნოემბრის ნომერი

# „როდესაც ხან იეღოველს მეძახიან და ხან სექტანტს, მწყინს“

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

საქმე რომ ეკეთებინათ, ჩვენი თანამშრომლები საკუთარი ჯიბიდან დებდნენ ფულს, ფინანსთა მინისტრს დღესაც 10 ათას ლარზე მეტი მართებს ჩემი თანამშრომლებისა. სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის ყველა რაიონში გავხსენით ქართული ენის შემსწავლელი წრეები მოხელეებისთვის. მაგრამ თუ იქაურმა გამგებელმა და მისმა მოადგილემ არ ინდომეს ენის შესწავლა, რატომ შეიწუხებდნენ თავს რიგითი თანამშრომლები? პრეზიდენტს უნდა დაევალებინა გამგებლებისთვის — ქართული ისწავლეთო. როდესაც შევარდნაძემ ქართულის შესანიშნავი მცოდნე გენო მურადიანი მოხსნა ახალქალაქის გამგებლობიდან და მის ადგილზე ქართულის უცოდინარი ამბარცუმიანი დანიშნა, ამის გამო ვუსაყვედურე. როდესაც დღევანდელი ხელისუფლების წევრები შევარდნაძეს ფეხსაცმელებს უპრიალებდნენ, მას მე მთავრობის სხდომაზე „ვუყირავდებოდი“. შევარდნაძემ უსმენო ადამიანთა ორკესტრი შექმნა და, ბუნებრივია, ის სიმფონიას ვერ დაუკრავდა.

როგორი მწვავე ურთიერთობა მქონდა მამალაძესთან იმის გამო, რომ ის აფინანსებინებდა სახელმწიფო ენის პროგრამას, რომელიც შევარდნაძეს არ ჰქონდა დამტკიცებული. ამაზე წლობით ვებრძოდი, ახლა კი მეუბნებიან, ის 700 ათასი ლარი, რომელიც ლევან მამალაძემ და გიგლა ბარამიძემ გაინაწილეს (შევარდნაძის ბრძანებულების საფუძველზე, 350-350 ათასი ლარი ტრანსფერის სახით გადასცეს გუბერნატორებს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების დასახმარებლად), ენის პალატამ გაფლანგაო. მე რა ვიცი, სად წავიდა ის ფული, აგერ არიან სამართალდამცველები და გამოიკვლიონ.

— **რას აპირებთ, ბატონო ლევან, წახვალთ თუ „ბოლომდე“ დადგომას აპირებთ?**

— ლომაიას შევეჯიბრო? ეს არაფერში მჭირდება. გაგიმხელთ, ერთხელ, როდესაც პირადად შევხვდი, დავემუქრე — თუ სუფრაზე გადაგეყრები, ვნახავ, როგორი მომღერალი (ასე ამბობენ) და მსმელი ხარ-მეთქი. ქართველ კაცებს შორის ეს მუქარა არ არის საშიში. მეგონა, ესიამოვნებოდა კიდეც და მოხდებოდა ეს შეხვედრა. მას რომ ჩემთან თანამშრომლობა მოენდომებინა, ღირსეულ პარტნიორობას გავუწევდი, მაგრამ ეტყობა, ჩვენ არ ვიყავით ის ადამიანები, რომელთაც ერთად უნდა გვეკეთებინა საქმე.

მომავალში განათლების მინისტრობას ვაპირებ. სააკაშვილი ალბათ მალე მოხსნის ლომაიას. მის ადგილს შემომთავაზებს და მე ჩემი გუნდი მზად მყავს. პირობას გაძლევთ, საქართველოს მოსახლეობისთვის ბევრად უფრო მისაღები მინისტრი ვიქნები, ვიდრე დღევანდელია. რა თქმა უნდა, ვხუმრობ... ამბობენ, ჩვენს მინისტრებს ათასობით დოლარს სოროსი უხდისო. ხომ იცით, ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთს და სამწუხაროდ, იმ რესტორანში დაპატიჟებულიც არ ვარ. იმ რესტორანში არათუ არ მამღერებენ, თავიანთი სიმღერის მოსმენის საშუალებასაც არ მომცემენ. რა ვქნა, იმღერონ და იყვნენ...

## „სააკაშვილი მალე ლომაიას მოხსნის და მე დამნიშნავს“

**კახა ლომაია:** — ამა თუ იმ სტრუქტურისა და ორგანიზაციის მუშაობაზე შედეგებით უნდა ვიმსჯელოთ. ენის სახელმწიფო პალატას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისთვის, მაგრამ სამწუხაროდ, მისი მუშაობის შედეგები არ არის ისეთი შთამბეჭდავი, როგორიც გვინდოდა, ყოფილიყო. ვგულისხმობ არაქართულენოვანი მოსახლეობის მდგომარეობას განათლებისა და სახელმწიფო ენის დაუფლების სფეროში. წლები გადის და მდგომარეობა გაუმჯობესების ნაცვლად უარესდება. ბუნებრივია, ეს არ იყო მხოლოდ ენის სახელმწიფო პალატის ბრალი, მაგრამ ამ ორგანიზაციამ იმ საქმესაც ვერ გაართვა თავი, რაც მისი უშუალო მოვალეობა იყო. ენის პალატას ჰქონდა სხვა ფუნქციაც — ლიტერატურული ენისა და ნორმების დამკვიდრება და არა მგონია, ამ მხრივაც რაიმე წინსვლა გვქონოდა (ვგულისხმობ ქუჩაში გამოკრულ სარეკლამო აბრებსაც, რომელიც ლიტერატურული ნორმების დაცვით არ კეთდება).

ჩვენ გვინდა გამოვიყენოთ ენის პალატის გამოცდილება და საუკეთესო სპეციალისტები, რომლებიც იქ მუშაობენ. გვინდა, ენის პალატა ქმედით ორგანიზაციად ვაქციოთ, უპირველესად კი არაქართულენოვან მოსახლეობასთან მუშაობის თვალსაზრისით. სხვათა შორის, სახელმწიფო ენის შესწავლას სულაც არ ვახვევთ თავს არაქართულენოვან მოსახლეობას, პირიქით, თავად გვთხოვენ — მოგვეცით შესაძლებლობა, რომ სახელმწიფო ენას დავეუფლოთო. სომხურ და აზერბაიჯანულენოვან რეგიონებში დაახლოებით 40 სკოლაა, სადაც 8-10 წელია, ქართული ენის პედაგოგს არ უმუშავია. ეს განათლების სამინისტროს ბრალიცაა, მაგრამ არც ენის პალატას შეუსრულებია თავისი მოვალეობა. მე არც ვიცნობ ბატონ ლევანს, პირადად მასთან პრეტენზია არ მაქვს, მას მხოლოდ ერთხელ შევხვდი. უბრალოდ, მე, როგორც მინისტრმა, საზოგადოების განწყობიდან გამომდინარე ჩავთვალე, რომ ის არაეფექტიანად ასრულებდა მასზე დაკისრებულ ფუნქციებს.

— **ანუ თქვენთვის მნიშვნელობა არ ჰქონია, რომ ის შევარდნაძის დროინდელი კადრია?**

— სამსახურში პოლიტიკურ სიმპათია-ანტიპათიებს არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, ჩემთვის მთავარი კვალიფიკაცია და პატიოსნებაა. სხვათა შორის, არც კი ვიცი, ლევან ღვინჯილიას პოლიტიკური სიმპათია ვისკენ იხრება.

— **რამდენადაც ვიცი, რეგიონებში ქართული ენის შემსწავლელი კურსები არსებობს, მაგრამ ისინი დაუფინანსებლობის გამო ვერ მუშაობენ.**

— ახლა სახელმწიფო ენის პროგრამის სისტემურ შემოწმებას ვიწყებთ. აქა-იქ წინასწარი შემოწმებით გამოვავლინეთ ისეთი მასწავლებლები, რომლებიც ენის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობდნენ და სახელმწიფო ენა კი თავად არ იცოდნენ. როგორც ჩანს, ენის სახელმწიფო პროგრამა ზოგიერთი ჩინოვნიკისთვის სერიოზული კორუფციის წყარო იყო.

— **ბევრი მოწინააღმდეგე გაიჩინეთ. ბევრი გაკრიტიკებთ. ხომ არ ფიქრობთ, რომ ამის მიზეზი თქვენ ხართ?**

— კრიტიკის არასოდეს მშინებია. რაც მთავარია, რეფორმის განხორციელებისთვის ათასობით უპატიოსნესი, კვალიფიცირებული პედაგოგი და პროფესორ-მასწავლებელი გვიჭერს მხარს. რეფორმა აუცილებლად მოგვცემს შედეგს სულ რამდენიმე წელიწადში. როდესაც ოპონენტებზე მელაპარაკებიან, მათ ორ კატეგორიად ვყოფ. ერთნი არიან ადამიანები, რომელთა ყურამდე ამ რეფორმაზე გავრცელებულმა ჭორმა უფრო ადრე მიაღწია, ვიდრე რეალობამ. მაგრამ ესეც არ არის პრობლემა — თითოეული მათგანის გულამდე მივიტან ამ რეფორმის არსს, გასაგებს გავხდი მათთვის და მიხვდებიან, რომ ეს რეფორმა არის სწორედ ის, რაზეც მათ წლობით უფიქრიათ. არ მოვისვენებ მანამ, სანამ თითოეულ პროფესორსა და მასწავლებელს არ მივწვდებით...

არის ოპონენტთა მეორე, მცირე ბანაკიც, ე.წ. შევარდნაძის კუდები. ხომ დავინახეთ, ვინ გამოვიდა დღეს ავანსცენაზე ჩვენთან დაპირისპირების ლოზუნგით — იმერეთის ყოფილი გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი. გვიპირისპირდება „ახალი მემარჯვენეების“ ნაწილიც, რომლებიც 23 ნოემბერსაც შევარდნაძის გვერდით აღმოჩნდნენ. არადა, ამ ხალხს შვილები ევროპის საუკეთესო სასწავლებლებში ჰყავთ და სინამდვილეში ეს რეფორმა არც აინტერესებთ და არც ის, რა ხდება საჭამიასერის სკოლაში. გამოჩნდა ვაჟა ლორთქიფანიძე — ბლოკ „ახალი საქართველოს“ პირველი ნომერი... რა თქმა უნდა, ჩვენ მათ არ შევეპუებით. არ მინდა, ყველა ჩემი ოპონენტი ერთნაირად მოვიხსენიო. მათ, ვინც შეცდომაშია შეყვანილი, დიდ პატივს ვცემ და ვეცდები, სიმართლე გაიგონ...

მერწმუნეთ, მომავალი სასწავლო წელი გამორჩეული იქნება. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართო პედაგოგებს და დირექტორთა უმრავლესობას: — თქვენ გაუძელით ყველაზე მძიმე წლებს, როდესაც განათლებისთვის არავის ეცალა. ახლა ჩვენი ქვეყნის ისტორიის უარესი წლები უკან დარჩა და სახელმწიფო განათლების სისტემისკენ შემობრუნდა, დაიწყო დავალიანების გასტუმრება და მომავალი წლის პირველ 6 თვეში ეს პრობლემა საბოლოოდ მოგვარდება. ჩემი თხოვნაა, ნუ აჰყვებით იმ პროვოკატორებს, რომლებიც გუშინ შევარდნაძის პოლიტიკურ ბანაკში იყვნენ. შესაძლოა, ვინმეს ფანტაზიორად მოვეჩვენო, მაგრამ სულ მალე საკუთარი თვალით ნახავთ ამ რეფორმის შედეგს. როდესაც ჩვენს ყველა რესურსს ავამოქმედებთ, დარწმუნებული ვარ, მსოფლიოში ნებისმიერ ერს გავეჯიბრებით ცოდნაშიც, განათლებაშიც და ტექნოლოგიების ათვისებაშიც...

— **თქვენი გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება მიმდინარეობს, რამდენად უწევთ ამ ყველაფერს ანგარიშს?**

— როდესაც ხელმოწერებს ის პოლიტიკური ჯგუფი აგროვებს, ვინც 2 ნოემბრის არჩევნებზე შევარდნაძის გუნდთანაც გარიგებული იყო და აბაშიძესთანაც, უკვე ეჭვით ვუყურებ ამ ხელმოწერებს. თურმე გორში სკოლის მოსწავლეებსაც აწერინებდნენ ხელს... თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ადამიანურად მოქმედებს ჩემზე. ქართულ ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე და როდესაც ხან იეღოველს მეძახიან, ხან სექტანტობას მაბრალებენ და ამის თაობაზე ხან ჩემს შვილს ეკითხებიან სკოლაში და ხანაც მეუღლეს, მწყინს. ხალხს ეს მთავრობა იმიტომ არ აურჩევია, რომ ვილაც ვილაცას გაებუტოს ან გაუნაწყენდეს — ამის დრო ჩვენ არ გვაქვს, თითოეულ დღეს ოქროს ფასი აქვს ჩვენი ქვეყნისთვის.

— **დასასრულ, ბეჟან ჯავახია რა პრინციპით აარჩიეთ?**

— 1991 წელს ზვიად გამსახურდიამ საქართველოს პირველ ელჩად დამნიშნა რუსეთში და რამდენიმე თვე ამ პოსტზე ვიმუშავე, მაგრამ როდესაც დავინახე, როგორ პასუხობდა მისი მთავრობა ოპოზიციის პროტესტს, გადავდექი. თუმცა, რაც ამ პროტესტს მოჰყვა (ხელისუფლების დამხობა), სრულიად მიუღებელი იყო ჩემთვის. ჩვენმა საზოგადოებამ გადაფურცლა ჩვენი ისტორიის ეს მძიმე გვერდი მაშინ, როდესაც ეროვნული შერიგების პროცესი დაიწყო. ყველა იმ ადამიანს, ვინც თავის დროზე უსამართლოდ დაიჩაგრა, უნდა გამოენახოს ადგილი ახალ სტრუქტურებში და ბეჟან ჯავახიას დანიშვნაც ამ პოლიტიკის ნაწილია. ბეჟან ჯავახია ცნობილია თავისი განათლებით, უკომპრომისობით, ის ძალზე კარგი ისტორიკოსი და მოქართულეა და ჩავთვალეთ, რომ ყველა ამ თვისების ერთობლიობა სავსებით შესაფერისი იყო ქართული ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარისთვის, რომელმაც უპირველესად არაქართულენოვან მოსახლეობას უნდა ასწავლოს სახელმწიფო ენა.

***იზო რიკაძე***







# საჭადრაკო სამართლიანობის ფუსადი

**გრანდიოზული სკანდალით დამთავრდა ჭადრაკის მსოფლიო ოლიმპიადა ესპანეთის კუნძულ მალიორკაზე. ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი, ქართველი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი ჯერ ესპანურ სატუსაღოში მოხვდა, მერე კი ჰოსპიტალში.**



ქართველი დიდოსტატი ამტკიცებს, რომ ოლიმპიადის დახურვის ცერემონიაზე აპირებდა, ორგანიზატორებისთვის შეეხსენებინა რატომღაც დავიწყებული მნიშვნელოვანი ფაქტი — მალიორკაზე შეჯიბრებებში გამარჯვებული გუნდებისთვის თავისი სახელობის პრიზის გადასაცემად ჩაფრინდა ლეგენდარული ქართველი მოჭადრაკე, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი. სხვათა შორის, ეს პრიზი რუსეთის ნაკრებს უნდა მიეღო. მსოფლიო ჩემპიონს საკადრისი პატივით არ შეხვდრიან. სანამ ფიდეს ხელმძღვანელობა არ ჩაერია, წესიერი სასტუმროც კი არ მისცეს. პრიზის გადაცემაც მიაფუჩეჩეს — არც კი აღუნიშნავთ, რისთვის და ვის მიერ არის დაწესებული ეს ჯილდო. სწორედ ეს უნდოდა ეთქვა მიკროფონით აზმაიფარაშვილს, მაგრამ სცენის ახლოს მას სეკიურიტები გადაუდგნენ და ისეთი გაწევ-გამოწევა გაიმართა, როგორსაც საჭადრაკო სამყარო კარგა ხანია არ შესწრებია.

დახურვის ცერემონიის ორგანიზატორები კატეგორიულად უარყოფენ ამას. ამტკიცებენ, აზმაიფარაშვილი თავიდანვე გამომწვევად იქცეოდაო.

აზმაიფარაშვილის მცდელობა სამართლიანობის დასაცავად ჰოსპიტლით დამთავრდა. მანამდე, რამდენიმე საათი მან პოლიციის განყოფილებაში გაატარა. ვიდრე ფიდე ესპანელ ადვოკატს იპოვიდა და გირაოთი გათავისუფლების თხოვნას დაწერდა, დიდოსტატს გისოსებს მიღმა ყურყუტი მოუხდა. ფიდემ აღშფოთება გამოთქვა, რადგან მის იურისტებს დაზარალებულთან შეხვედრის უფლებაც არ მისცეს. აღშფოთებას არ მალავდნენ სკანდალის შემსწრე მოჭადრაკეებიც. და მართლებიც იყვნენ — დაცვამ უნდა დაიცვას და არა ცემატყეპა ატეხოს...

***მირ ნოვოსტეი***

# არც ომი, არც მშვიდობა და არც პრეზიდენტი

აფხაზეთის მეთაურის პოსტზე პრეტენდენტების მოსკოვური „კონსულტაციები“ უშედეგოდ დასრულდა. აუღიარებელი რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატები რაულ ხაჯიმბა და სერგეი ბაღაფში მოსკოვიდან სოხუმში სხვადასხვა რეისით დაბრუნდნენ. ხაჯიმბამ თავის საარჩევნო შტაბში მაშინვე გამართა პრესკონფერენცია და იმედი გამოთქვა, რომ დეკემბერში განმეორებითი არჩევნები ჩატარდება, თანაც აღნიშნა, რომ არსებობს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანება, რომლის შესრულება აუცილებელიაო. ხაჯიმბამ უმაღლესი შეფასება მისცა მოსკოვში ჩატარებულ მოლაპარაკებებს, მათ შორის, თავის ოპონენტთანაც.

სერგეი ბაღაფში კი აცხადებს, რომ არასოდეს დათანხმდება განმეორებით საპრეზიდენტო არჩევნებს. „აფხაზეთში არჩევნები უკვე ჩატარდა და პრეზიდენტიც არჩეულია“, — განაცხადა მან. ქართული ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მან პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებს კომპრომისი შესთავაზა — ადგილები მთავრობაში. ბაღაფშმა ხაზგასმით აღნიშნა: „ჩვენთვის რუსეთის აზრი მნიშვნელოვანია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენი ხალხის აზრიც, რომელიც მან უკვე გამოხატა“. ბაღაფში, მოსკოვის მოლაპარაკებების შემდეგ უფრო თავდაჯერებული ჩანს, ვიდრე მისი კონკურენტი. მან ინაუგურაციის თარიღიც დაასახელა — 7 ან 8 დეკემბერი. კონკრეტულად რაზე ილაპარაკეს მოსკოვში, ჯერჯერობით ბურუსით არის მოცული, ცნობილია მხოლოდ ის, რომ პრეტენდენტების კონსულტაციები რუსეთის უშიშროების საბჭოში მიმდინარეობდა. სწორედ იქ ურჩიეს მათ, არ გაემწვავებინათ სიტუაცია რესპუბლიკაში და ჩაეტარებინათ განმეორებითი არჩევნები. მაგრამ, როგორც ეტყობა, ბაღაფშმა უშიშროების საბჭოს რეკომენდაციები ყურად არ იღო. თბილისმა უკმაყოფილება გამოხატა მოსკოვური მოლაპარაკებების გამო. როგორც ცნობილია, ხაჯიმბასა და ბაღაფშის რუსეთში ყოფნის დროს, მოსკოვში ვიზიტით იმყოფებოდნენ საქართველოს პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე და სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ წარმოეჩინათ მოსკოვში აფხაზთა მოლაპარაკებების არალეგიტიმურობა. ხაინდრავამ მოურიდებლად განაცხადა, — აფხაზეთის მიმართ რუსეთის პოზიცია არაკორექტულიაო: „ამ ორი კანდიდატის მოსკოვში ვიზიტი ოფიციალური ხასიათისა არ შეიძლება იყოს, რადგან არ არსებობს ასეთი სახელმწიფო — აფხაზეთი“.

ზოგიერთმა ექსპერტმა კანდიდატების ვიზიტი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ვითარების გაუარესებას დაუკავშირა. კერძოდ, აფხაზეთის საზღვრის მიდამოებში, ზღვაზე და კოდორის ხეობაში გაძლიერდა ქართული ჯარის კონცენტრაცია. სოხუმი შიშობს, რომ თბილისი ისარგებლებს თვითმარქვია რესპუბლიკის არასტაბილურობით და იქ ჯარებს შეიყვანს.

***როსიისკაია გაზეტა***

# ...ნაბიჯი ნატოსკენ

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ორდღიანი არაოფიციალური ვიზიტი მოსკოვში, როგორც სპიკერის აპარატში თქვეს, დაგეგმილი არ ყოფილა. ვიზიტის წინ ბურჯანაძე არ მალავდა საბრძოლო განწყობილებას. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობის გადაუჭრელი პრობლემები თანდათან გროვდება და ეს ხდება მოსკოვის „არაკორექტული განცხადებების“ ფონზე. ამ პრობლემებმა განსაკუთრებით იჩინა თავი სტრასბურგში, პასეს სესიის შემდეგ, სადაც რუსეთის დელეგაციის წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველომ შეძლო სესიის დღის წესრიგში რუსულ-ქართული ურთიერთობის საკითხის განხილვის ჩართვა.



ნინო ბურჯანაძის ვიზიტის მიზანი იმის გარკვევა იყო, არიან თუ არა მზად რუსები ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, უფრო აზრიანი ნაბიჯების გადასადგმელად. მაგრამ, როგორც ეტყობა, მოსკოვური შეხვედრების შედეგებმა მას ოპტიმიზმი არ შემატა. ნინო ბურჯანაძემ მოლაპარაკება გამართა რუსეთის სახელმწიფო დუმის თავმჯდომარე ბორის გრიზლოვთან, უშიშროების საბჭოს მდივან იგორ ივანოვთან და საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან. მხარეებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ „ქართულ-რუსული ურთიერთობა ვერა და ვერ ჩადგა ნორმალურ კალაპოტში“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახლო მომავალში ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობა არ გამოკეთდება. თუმცა, იგორ ივანოვმაც და სერგეი ლავროვმაც აღნიშნეს, — მოსკოვსა და თბილისს შორის „პოზიტიური დინამიკა“ შეინიშნება და ეს დიალოგი უნდა გავაგრძელოთო. როდის და როგორ არის დაგეგმილი ამ „დინამიკის“ რეალიზება, გაურკვეველია. თბილისი სპიკერის ვიზიტისგან დიდს არაფერს ელოდა. ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობაში პროგრესის უქონლობა თბილისს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს — მოსკოვის მიერ ურთიერთობის დარეგულირების საწინააღმდეგოდ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს საქართველოს ხელისუფლება სათავისოდ იყენებს. ვიზიტის წინ ბურჯანაძემ შემთხვევით როდი გაიხსენა თებერვალში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი მოსკოვში. თბილისმა მაშინ მზადყოფნა გამოთქვა, შეერბილებინა პოზიციები საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე, მაგრამ მისი ყოველი კეთილი ნების ჟესტი უპასუხოდ დარჩა.

და აი, შედეგიც: გასულ კვირას ნატოს საბჭომ დაამტკიცა „ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმა“. ნატოსთან ურთიერთობის ასეთ საფეხურზე ჯერ დსთ-ის არც ერთი სახელმწიფო არ ასულა. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამ დოკუმენტს ქვეყნის ნატოსთან ინტეგრაციის „პირველი სერიოზული და კონკრეტული ნაბიჯი“ უწოდა. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ ალიანსის ხელმძღვანელობამ ეს გეგმა გაცილებით ადრე დაამტკიცა, ვიდრე ამას თბილისი მოელოდა.

***ნეზავისიმაია გაზეტა***

# სამხრეთ კავკასია რუსეთის „ველიკოდერჟავულ“ პოლიტიკას გრძნობს

**ატლანტის ვერც ერთ მხარეს სათანადოდ ვერ აღიქვამენ იმ საშიშროებას, რაც სამხრეთ კავკასიას მოელის ამ რეგიონში რუსეთის გავლენის დამკვიდრების შემთხვევაში. იმედი გვაქვს, ევროპელებთან ერთად, ამერიკაც ყველაფერს იღონებს, რომ ეს არ მოხდეს.**

სამხრეთ კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის მიმართ ერთიანი აზრი არსებობს: მოსკოვი ყოველთვის მზად არის რეგიონში სახიფათო დესტაბილიზაციის შესაქმნელად.

სომხეთი, რომელიც ყველაზე მეტად არის დამოკიდებული რუსეთზე, ზომიერად აკრიტიკებს მას. საქართველოს, პირიქით, მკაფიო პოზიცია უჭირავს და მიზეზიც აქვს: მოსკოვი აშკარად ემხრობა სეპარატისტულ ძალებს აფხაზეთსა და ოსეთში. რუსეთს აფხაზეთში სამხედრო ბაზები აქვს, სამხრეთ ოსეთში კი მისი სამშვიდობო ძალები დგანან, რომლებიც ოს სეპარატისტებთან აშკარად თანამშრომლობენ. ბესლანის ტრაგედიის შემდეგ რუსეთის სამხედრო თვითმფრინავები და შვეულმფრენები არაერთხელ შეიჭრნენ საქართველოს საჰაერო სივრცეში. თბილისმა ეს ნეოიმპერიალისტურ გამოხდომად, მუქარისა და ბლოკადით დაშინების საბჭოური სტილის აღდგენის მცდელობად მიიჩნია. მრჩეველი, უშიშროების საკითხებში, ბ-ნი ბეჟუაშვილი ამბობს: — მათ ჰგონიათ, უწინდებურად ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ, მაგრამ რუსეთის იმპერიის დაბრუნება აქ არავის უნდა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესაც არაერთხელ აღუნიშნავს, რომ მოსკოვი ორმაგი სტანდარტით მოქმედებს — თავგამოდებით ებრძვის ჩეჩნურ სეპარატიზმს, ხოლო საქართველოში სეპარატისტებს მხარში უდგას. განა ასე შეიძლება სტაბილურობის მიღწევა? — კითხულობს ქ-ნი ბურჯანაძე, რომელიც პუტინის პოლიტიკას აფასებს, როგორც „რეალურ საშიშროებას“.

რუსეთის ზრახვებში ვერ გარკვეულა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილიც: — ვერ გაიგებთ, რა ხდება რუსეთ-სამხრეთ ოსეთის საზღვარზე და აფხაზეთში. რუსები ცეცხლს ეთამაშებიან და ამავე დროს, სტაბილურობაზეც ლაპარაკობენ.

ამ მოსაზრებებს იზიარებს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის აზრით, სამხრეთ კავკასიაში ყველა კონფლიქტი რუსეთის მიერ არის ინსპირირებული. მოსკოვი ინტრიგებს ხლართავს სამხრეთ კავკასიის წინააღმდეგ და ცდილობს, რეგიონის სახელმწიფოები ერთმანეთს წაჰკიდოს. დროა, მან უარი თქვას ზესახელმწიფოს მენტალიტეტზე და ნორმალური ევროპული ქვეყანა გახდეს, — ამბობს ალიევი.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ამბობს, ევროპელებმა, რომელთაც მოსკოვი ანგარიშს უწევს, უნდა დაარწმუნონ რუსეთი, რომ კრემლის მიერ არჩეული გზა მხოლოდ არასტაბილურობისკენ მიდის.

***ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგი***

# რასა იქმს სააკაშვილის კაბინეტის „ბებერი სპილო“?



პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და რეფორმატორთა ჯგუფი ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებას უცხოელი ინვესტორების მოწვევით ცდილობენ. მინისტრი ბენდუქიძე ყველაფერს ყიდის — დიდ და პატარა საწარმოებს, ვენახებს, აეროპორტებსა და შავი ზღვისპირა კურორტებს. ამისთვის მან სამინისტროს მტვრიან შენობაში ცხელი სატელეფონო ხაზი და ვებსაიტი დააყენა. მაშინვე ფაციფუცი ატეხეს თურქებმა, ევროპელებმა, ამერიკელებმა, განსაკუთრებით კი რუსებმა.

საქართველო, თავისი ზვრებით, ჩრდილოეთ კალიფორნიას ჰგავს, მაგრამ კვლავ განვითარებადი ქვეყანაა. ბენდუქიძეს სურს, საქართველო ახალ ზელანდიას დაამსგავსოს, ქვეყანას, რომლის რადიკალმა ფინანსთა მინისტრებმა — სერ როჯერ დუგლასმა (80-იანი წლები) და რუთ რიჩარდსონმა (90-იანი წლები), ჩამორჩენილი, დუნე ეკონომიკა მაღალდინამიკურად გადააქციეს. 48 წლის ბენდუქიძე ამბობს, რომ სააკაშვილის კაბინეტის ნორჩ წევრებს შორის „ბებერ სპილოდ“ გამოიყურება.

ბ-ნი ბენდუქიძე მშვიდად იშვიათად ლაპარაკობს. მისი ფიცხი ხასიათი კარგადაა ცნობილი უცხოურ ორგანიზაციებში. ბი-ბი-სის ერთ-ერთ რეპორტაჟში ითქვა, რომ ქართული ტელევიზიით გამოსვლისას საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებს, რომლებმაც მინისტრს გადასახადის შემცირებისგან თავის შეკავება ურჩიეს, სულ „სულელები“ უძახა, ხოლო მსოფლიო ბანკის თანამშრომელი თავის კაბინეტში ლაზათიანად გათათხა. ეკონომიკის მინისტრი ამბობს, „უცხოური დახმარების გარეშე დამოუკიდებელი ხარ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. მართლაც საშინელებაა, როცა ბიუჯეტის განსაკარგი ხარჯების შევსებას უცხოური დახმარების გარეშე ვერ ახერხებ“. 2005 წელს საქართველოს საერთო ბიუჯეტი 1 მლრდ დოლარი იქნება, აქედან 150 მლნ — უცხოური კრედიტი და გრანტებია. კერძო ინვესტორების მოზიდვის გამო ბენდუქიძეს ხშირად აკრიტიკებენ — პოლიტიკურ მომენტებს არ ითვალისწინებს, არ გააჩნია პოლიტიკური გუმანიო. ნიუ-იორკის იურიდიული ფირმა „PATTERSON, BELKNAP, WEBB & TULER“-ის პარტნიორი სკოტ ჰორტონი, რომელმაც 1994 წელს, კოლუმბიის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სააკაშვილი სამსახურში მიიღო, ამბობს, რომ ქართველები ერიდებიან რუს ინვესტორებთან საქმის დაჭერას — სომხეთსა და სხვა ქვეყნებში რუსებმა ყველაფერი შეისყიდეს და ახლა ისინი მოსკოვზე დამოკიდებული აღმოჩნდნენ, ქართველებს ეს არ უნდათ, ბენდუქიძე კი ამას ყურადღებას არ აქცევს“.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრისთვის სულერთია, სადაურია მყიდველი, მთავარია ბევრი იყოს. ბენდუქიძის აზრით, საქართველოს სიღატაკის ჭაობიდან ამოყვანის ერთადერთი გზა სახელმწიფო დაწესებულებებში გაბერილი შტატების შემცირება, კორუფციის მოსპობა და გავლენიანი პოლიტიკური წრეების გაკონტროლებაა. „ქვეყანაში უამრავი ხალხი ფლობს ან ხელმძღვანელობს სახელმწიფო ქონებას, ხარჯავს სახელმწიფო ფულს, ხოლო შემოსავალს ჯიბეში იდებს. ლაპარაკია ათასკაციანი ორგანიზაციის ხელმძღვანელებზე. არავის სჭირდება ეს ორგანიზაციები და საწარმოები, მუშები, რომლებიც არაფერს ქმნიან... ამიტომაც არავის ვუყვარვარ საქართველოში“, — ღიმილით ამბობს ბატონი კახა.

ყველაზე დიდ დავას საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ იმ გარიგებების გაუქმება იწვევს, რომლებიც, მინისტრის აზრით, შევარდნაძის ეპოქაში უკანონოდ და უპატიოსნოდ იყო დადებული. განსაკუთრებით ეს ეხება 1999 წელს გაყიდულ ბათუმის ნავთობტერმინალს. ბენდუქიძის თქმით, ეს საპრივატიზაციო გარიგება, რომელიც ნაწილობრივ ამერიკული სამთავრობო ორგანიზაცია „OVERSEAS PRIVATE INVESTMENT CORPORATION“-ის მიერ იყო დაფინანსებული, „უკანონო იყო“. როდესაც ზემოხსენებულ ფირმას ასეთი განცხადების კომენტირება ვთხოვეთ, არავინ გამოგვხმაურებია.

ნიუ-იორკის ღია საზოგადოების ინსტიტუტის მრჩეველი კარინ ლისაკერსი ამბობს, რომ საქართველოსთვის ეკონომიკურად მნიშვნელოვანია ბათუმის პორტზე კონტროლის აღდგენა. ამ პორტიდან ყველა საბაჟო შემოსავალი თბილისში კი არა, აჭარის მაშინდელი ლიდერის ასლან აბაშიძის ჯიბეში მიდიოდაო. ტერმინალს ხელმძღვანელობს დანიელი ბიზნესმენი და აბაშიძის თანამოაზრე იან ბონდ ნილსენი. „ჩვენ მას პარტნიორობა შევთავაზეთ, მაგრამ საქართველოს მთავრობას შემოსავლის თავისი წილიც უნდა რომ ჰქონდეს,“ — ამბობს ბენდუქიძე.

ამ საკითხის კომენტირება არც ბ-ნმა ნილსენმა მოინდომა...

***ნიუ-იორკ თაიმსი***

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიცინიან

პატარა **თეონას** ეხვეწებიან:

— ჭამე, შვილო, ანანასია.

— ანანამ გამომიგზავნა? — კითხულობს თეონა.

***

3 წლის **გიორგიმ** ბებოს ჩანთა გამოართვა — მე წავიღებო. ერთმა ხნიერმა მგზავრმა ბიჭის დანახვაზე მეორეს უთხრა:

— ნახე, რა კარგი ბიჭია, ნამდვილი ვაჟკაციაო.

— ბებიას ეხმარება! — დაუმატა მეორემ.

ბებომ ოჯახის წევრებს უამბო ეს ამბავი. გიორგიმ ღიმილით თქვა:

— მე კი ამაყებული მივდიოდი.

***

5 წლის **თამუნა ძათამაძემ** ტელევიზორში ნახა ახალ მანტიებში გამოწყობილი მოსამართლეები და დაიძახა:

— ბებო, ბებო, მოდი, ტელევიზორში მღვდლების პარლამენტიაო.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: **„მწერი ვარ და ბადეს ვქსელავ დღიურ ლუკმის საშოვნელად“.**




## ქიანჭველა და ფუტკარი

მოთხრობები

ჭიანჭველას ოთხი თავისი ოდენა ტვირთი წამოეკიდა და თან სჩიოდა:

— ჩემოდენა ჯაფაში სულიერი არ არის, მაგრამ ქება კი არავისგან მსმენია. აი ულონო და ბზუილა ფუტკარი კი მარტო ყვავილებზე დაფრიალებს, მაგრამ ყველა იმის ქებაშიაო.

ფუტკარმა ეს გაიგონა და უპასუხა:

— ძამიავ, შენ მარტო შენი თავისთვის ზრუნავ, ჩემი შრომა კი ჩემთვისაც სასარგებლოა და ქვეყნისთვისაც, ამიტომ მაქებენო.

## მარადმწვანე ხეები

შემოდგომა დადგა. ფრინველები თბილი ქვეყნებისკენ გაემგზავრნენ. ერთმა შოშიამ ფრთა მოიტეხა და ამხანაგებს ველარ გაჰყვა.

ფრთამოტეხილი შოშია მიფრინდა მუხასთან და სთხოვა:

— ძლიერო მუხავ! ფრთა მოვიტეხე, ჩემს ამხანაგებს თბილ ქვეყნებში ვერ გავყევი. ნება მომეცი, ზამთარი შენს ტოტებში გავატარო.

— ვერა, — მიუგო მუხამ, — ზამთარში მე ვტიტვლდები და ჩემი ტოტები ბინად ვერ გამოგადგება.

დაღონებულმა ჩიტუნამ ცაცხვისკენ გასწია. ცაცხვმა ფოთლებიააშრიალა და გადმოსძახა:

— მეც ფოთლები მალე ჩამომცვივა და სიცივისაგან ვერ დაგიცავ.

საბრალო შოშია ძალიან დაღონდა.

— მოდი ჩემთან, ჩიტუნია, — ალერსით ჩამოსძახა ნაძვმა, — ჩემს ტოტებში გაატარე ზამთარი.

— მეც გიშველი, — დააიმედა ღვიის ბუჩქმა, — ჩემს ნაყოფს ზამთარში საზრდოდ მოგაწვდი. ჩიტებმა იციან, რა გემრიელიც არის ჩემი ხილი!

მალე ცივმა ქარმა დაუბერა.

მუხის და ცაცხვის ფოთლები ქარს აქეთ-იქით გაჰქონდა.

ნაძვი კი მთელ ზამთარს მწვანედ მოჩანდა. ღვია შოშიას საზრდოს აწვდიდა.

***იაკობ გოგებაშვილის „დედა ენიდან“***

**II ააწყე ბილიკი ნაწილებისგან, დასაწყისი ნაჩვენებია ისრით**




**III ანა, გამოიცანი**

**1) ვინ იყვნენ თამარ მეფისთვის დავით VII ულუ და დავით VI ნარინი?**

ა) ძმისშვილები; ბ) შვილიშვილები; გ) ბიძაშვილები; დ) ძმები.

**2) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ სახელმწიფოს უკავია ყველაზე დიდი ფართობი?**

ა) ჰოლანდიას; ბ) დანიას; გ) ბელგიას; დ) საქართველოს.

**3) ანდაზის მიხედვით საიდან გატყდება ციხე?**

ა) გარედან; ბ) შიგნიდან; გ) ზემოდან; დ) კარიდან.

**4) რა არის კომპრომისი?**

ა) რაიმე საგანთა ერთობლიობა; ბ) დასველებული ტილო, რომელსაც ადებენ მტკივან ადგილას; გ) ურთიერთდათმობის გზით მიღწეული შეთანხმება; დ) აირის საკუმშავი და შეკუმშული სახით მიმწოდებელი მანქანა.

## იპოვე 10 განსხვავება



პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*



*(დასასრული, დასაწყისი წინა ნომერში)*

ათი წლის წინ, როდესაც ეს საფინანსო ინსტიტუტები საქართველოში შემოვიდნენ, ბევრს მიამიტურად სჯეროდა, რომ მათ ჩვენი დახმარებისა და ქვეყნის ფეხზე დაყენების სურვილი ამოძრავებდათ. შემდგომში სავალუტო ფონდის მაშინდელი მისიის ხელმძღვანელის, შადმან ვალავის განცხადებამ, საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობა უპერსპექტივოა და ესპანეთიდან და იტალიიდან შემოვიტანთ ღვინოსო, ზოგიერთი ჩვენებური ეკონომისტი გამოაფხიზლა. მაგრამ თუ მაშინ ილუზიები მაინც გვქონდა, დღეს, 10 წლის გამოცდილებისა და ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, თავის მოტყუების დრო ნამდვილად აღარ გვაქვს.

ხომ უნდა დავრწმუნებულიყავით, რომ ეს ფონდები ფილანთროპული იდეალებით კი არ ხელმძღვანელობენ, საქართველოს მხოლოდ საკუთარი სტრატეგიული გეგმების და პროექტების განსახორციელებლად საჭირო ტერიტორიად განიხილავენ. თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდი ქვეყნის სიძლიერის ეკონომიკურ საფუძვლებს არყევს, სოროსის ფონდი ეროვნული თვითმყოფადობის თანდათან მოშლის თანმიმდევრულ პოლიტიკას ჩვენი მიამიტობის გამო წარმატებით ახორციელებს და მიზანმიმართულად ანგრევს უძველესი, უნიკალური კულტურის და ტრადიციების მქონე ქვეყნის ზნეობრივ საყრდენებს..

პარლამენტში განხილვისას, დეპუტატებმა პრინციპულობა უნდა გამოიჩინონ, მხარი არ უნდა დაუჭირონ ამ პროექტს, უნდა გაუძლონ სავალუტო ფონდის ზეწოლას, იფიქრონ საგადასახადო სისტემის რეალურ ლიბერალიზაციაზე, დაუტოვონ ქვეყანას ეკონომიკის აღორძინების შანსი.

ამ ფონდების მიერ დაქირავებული ექსპერტები პრიმიტიულად აშინებენ საზოგადოებას, თითქოს თუ სავალუტო ფონდი საქართველოში თავის პროგრამას დახურავს, პარიზის კლუბში ვალების რესტრუქტურიზაციაზე უარს გვეტყვიან და არც ინვესტორები ჩამოვლენ საქართველოში.

დარწმუნებული ვარ, ვალებსაც გადაგვივადებენ და გაცილებით მეტი სერიოზული ინვესტორიც გამოჩნდება, იმდენი საინტერესო ბიზნესთემაა საქართველოში. *თუ დღეს სერიოზული ინვესტიციები არ ხორციელდება, ისევ ამ ფონდების მიზეზით. ყველა სერიოზულმა ინვესტორმა იცის, რომ ქვეყანა, სადაც სავალუტო და სოროსის ფონდები წარმართავენ პოლიტიკას, განწირულია. გაპარტახებულ და გაუბედურებულ ქვეყანაში კი საქმის წამოწყება პრაქტიკულად არავის უნდა.*

სავალუტო ფონდის ექსპერტები საჯაროდაც და კერძო საუბრებშიც ამბობენ, საქართველო გადასახადების რეალური ლიბერალიზაციისათვის 3-4 წლის შემდეგ იქნება მზადო.

დარწმუნებული ვარ, ამ დროისათვის მართლაც მკვეთრად შემცირდება გადასახადები, ოღონდ მთელი ამ გეგმის ცინიზმი სწორედ ისაა, რომ ახლად შემოთავაზებული კოდექსის პირობებში ქართველებს აღარაფერი დაგვრჩება, ვერავინ გაუძლებს ამ საგადასახადო წნეხს, აქტივები მთლიანად უცხოელების ხელში აღმოჩნდება და სწორედ მაშინ, როცა გადასახადების გადახდაც და ჩვენი „შენახვაც" უცხოელ მეპატრონეებს მოუწევთ, გადასახადების ნამდვილი ლიბერალიზაციაც განხორციელდება.

ჩვენ წლების მანძილზე გვინერგავდნენ აზრს საკუთარი უნიათობისა და უძლურების შესახებ, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ამ უცხოური ინსტიტუტების რეკომენდაციებისა და დახმარებების გარეშე, ჩვენი „ღარიბი" ქვეყანა არათუ ვერასოდეს დადგებოდა ფეხზე, საერთოდ დაიღუპებოდა.

კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ კატეგორიულად ვერ გავიზიარებ მოსაზრებას ჩვენი ქვეყნის სიღარიბის შესახებ. პირიქით, შეიძლია ნებისმიერს ვეკამათო, რამხელა ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია საქართველოს სწორი ეკონომიკური პოლიტიკისა და სტრატეგიის პირობებში. ჩვენ ღარიბი კი არა, არასწორი მართვისა და შიდა თუ გარე მტერმოყვრის ვერაგული პოლიტიკის შედეგად გაძარცული და გალატაკების პირას ხელოვნურად მიყვანილი ქვეყანა ვართ.

მოდით ვნახოთ, რა მოუტანა საქართველოს საერთაშორისო ინსტიტუტებთან ურთიერთობამ, რა ინვესტიციები ჩაიდო მათი ძალისხმევით და ხელშეწყობით ქართული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გაჯანსაღების საქმეში? რა თანხები იქნა მოზიდული ტექნოლოგიური მოდერნიზაციისათვის? რა სასიკეთო ცვლილებები დაეტყო სოციალურ მდგომარეობას? რომელი დარგი დადგა მათი დახმარებით ფეხზე?

ხსენებულ ინსტიტუტებთან ურთიერთობას უმთავრესი ახსნა და გამართლება იმით ეძებნებოდა, რომ ამ გზით ჩვენ დასავლურ, ცივილიზებულ სამყაროსთან ვახდენდით ინტეგრირებას, ეს კი ხალხის მოტყუება იყო, და ყველა, ვინც ამ ტყუილს შეგნებულად თავს ახვევდა საზოგადოებას, დამნაშავეა საკუთარი ხალხის წინაშე და მკაცრად უნდა მოეკითხოს კიდეც.

ჩვენ ხომ ამგვარი ურთიერთობების შედეგად რეალურად მივიღეთ გალატაკებული ქვეყანა დანგრეული ეკონომიკით, რომელიც სწორედ ამის მიზეზით და ამის შედეგად, სულ უფრო და უფრო შორდებოდა ცივილიზებულ სამყაროს და ვერც იმ ძველ ორბიტას სწყდებოდა, რომლისგან თავის დაღწევაც მხოლოდ ეკონომიკურად დამოუკიდებელ და ძლიერ ქვეყანას შეუძლია.

გოგი თოფაძე

# რეალური შანსი

**რა ხდება დღეს?**

ეკონომიკური განვითარების მინისტრის, ბატონ კახა ბენდუქიძის პოზიცია, ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით, სრულიად მისაღები ჩანს. ბატონი ბენდუქიძეც აღიარებს, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (განსაკუთრებით სავალუტო ფონდი) თაღლითები არიან, საკუთარ გლობალურ მიზნებს ისახავენ და ეკონომიკური განადგურებით ემუქრებიან ყველა იმ ქვეყანას, სადაც ფეხს მოაკიდებინებენ. მათი საქმიანობის შედეგი საქართველოს მაგალითზეც უკვე კარგად გამოჩნდა.

მინისტრის ის პოზიციაც აბსოლუტურად გასაგებია, რომ ქვეყნის სიმდიდრეების გაჩუქებას გაყიდვა სჯობია. ჩვენთან ხომ უკანასკნელი წლების მანძილზე ფაქტობრივად სახელმწიფო ქონების გაჩუქების პრაქტიკა იყო დამკვიდრებული. პრივილეგირებულ ჯგუფებზე ან კერძო პირებზე იჯარით, მართვის უფლებით ან რაიმე სხვა ფორმით ქონების გადაცემა, რეალურად გაჩუქებას ნიშნავდა და სხვა არაფერს. მაგრამ, ამავე დროს, აბსოლუტურად მიუღებელია იმავე მინისტრის გეგმა განურჩევლად ყველაფრის გაყიდვასთან დაკავშირებით.

ის განცხადება, რომ არ არსებობს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები და რაც კარგად იყიდება, უნდა გაიყიდოს — ძალიან სახიფათო ტენდენციის მანიშნებელია. უკვე აშკარად ჩანს, რაც იყიდება, იყიდება ძირითადად ერთი — ჩრდილოეთის მიმართულებით — ენერგეტიკაც, რუსთავის ქიმიაც, მეტალურგიაც, ჭიათურაც, ფეროც. შემდგომში, ალბათ, იგივე ბედი ეწევა ფოთის პორტს, მაგისტრალურ გაზსადენს, რკინიგზას, კავშირგაბმულობის ობიექტებს...

ესეც იმ მანკიერი, დანაშაულებრივი პოლიტიკის ლოგიკური შედეგია, რაც წინა ხელისუფლების დროს ტარდებოდა საქართველოში.

ქვეყნის ეკონომიკა ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ დღეს მისადმი ინტერესს მხოლოდ რუსეთის, ხშირ შემთხვევაში ამ ქვეყნის ხელისუფლების მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებადი კაპიტალი იჩენს... სად არის იმის გარანტია, რომ რუსეთთან ჩვენი დღევანდელი, თუნდაც გუშინდელი ან სავარაუდოდ, ხვალინდელი ურთიერთობებიდან გამომდინარე, რუსეთი გარკვეული თვალსაზრისით მეთოდებს არ შეცვლის და ახლა უკვე ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებითაც არ შეეცდება ...საქართველოზე ზეწოლას ნებისმიერი პოლიტიკური გამწვავების შემთხვევაში?

ძნელია არ დააფასო ეკონომიკის მინისტრის გულწრფელობა — საქართველოში 2-3 წელი დავრჩები, ყველაფერს გავყიდი, მერე წავალ ისევ ჩემს ოჯახთან რუსეთში და თქვენ აღარც ეკონომიკის განვითარების სამინისტრო დაგჭირდებათ და აღარც ეკონომიკასთან დაკავშირებული პრობლემები გექნებათო. ბატონი კახა ამას ღიად აცხადებს, ოღონდ მთელ ამ გეგმაში თუ რამეა ჩვენთვის მოსაწონი და მისაღები, მხოლოდ და მხოლოდ, მინისტრის გულწრფელობა. საზოგადოებასთან და კოლეგებთან მისი ურთიერთობის სტილი და მენტორული ტონი კი ნამდვილად გაოცებას იწვევს. რაც მთავარია, კატეგორიულად მიუღებელია ის, რომ მრავალთვიანი მოღვაწეობის განმავლობაში მას არ წარმოუდგენია საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთიანი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრატეგია. ერთადერთი, რაც საზოგადოებისათვის ცნობილია, ეს არის მისი საპრივატიზაციო პროგრამა.

მე მას ადრეც შევხვედრივარ მოსკოვში, და ნამდვილად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მაკროეკონომიკის პრინციპების კარგი მცოდნეა. ამავე დროს, მან პრაქტიკულადაც შესანიშნავად გამოიყენა 90-იანი წლების ფინანსურ-ეკონომიკური კატაკლიზმები რუსეთში (განსაკუთრებით ვაუჩერიზაცია), და სერიოზული კაპიტალიც შექმნა, მაგრამ მაკროეკონომიკის არანაკლები სპეციალისტები საქართველოშიც გვყავს, ხოლო რაც შეეხება კონკრეტულად ქართული ეკონომიკის შიდაპრობლემებს და სატკივარს, ბევრმა ეს ბენდუქიძეზე უკეთესადაც იცის. რაც მთავარია, მასზე მეტი თუ არა, საკუთარი ქვეყნის არანაკლები პატრიოტები არიან და არც აქედან აპირებენ სადმე წასვლას.

საერთოდ, როგორც იტყვიან, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს. შინაურის ნათქვამ სიტყვას, მის ნამოქმედარს, არა მარტო ეჭვით ვუყურებთ, ძალიან ხშირად თავად მას ვდევნით და უდროოდ სიცოცხლესაც ვუსწრაფებთ. ამის მაგალითად, მერაბ მამარდაშვილის და ნოდარ ახალკაცის გახსენებაც კმარა. მსოფლიოში აღიარებულ ამ პატრიოტ პროფესიონალებს მარტო იმიტომ გამოვუცხადეთ ბრძოლა, ხშირად იმდროინდელი ოფიციოზისაგან განსხვავებული საკუთარი აზრი რომ ჰქონდათ და ასევე განსხვავებული პოზიციის არგუმენტირებულად დაცვაც შეეძლოთ. არადა, ერთსაც და მეორესაც მხოლოდ საკუთარი ქვეყნის სიყვარული და მისი უკეთესი სახით წარმოჩენის სურვილი ამოძრავებდა.

მე ორივეს პირადად ვიცნობდი, ნოდართან, საერთოდ, ბავშვობიდან ვმეგობრობდი, თითქმის მთელი ცხოვრება ერთად გავატარეთ, ვიცი, რა პატიოსანი და პრინციპული ადამიანი იყო. დღემდე ვერ ამიხსნია იმ ყოვლად წარმოუდგენელი ბრალდებების და დაუნდობელი ცილისწამების ფენომენი, რამაც ისედაც უკურნებელი სენით დაავადებულ, მეტასტაზებით გატენილ კაცს, გული გაუხეთქა. ალბათ, ერთმანეთის მიმართ ასეთი დაუნდობლობაც, ურთიერთსიძულვილი და შეუწყნარებლობაც გახდა ბევრი ჩვენი უბედურების მიზეზი.

## ძველი შეცდომები და ახალი პერსპექტივები



**ხელისუფლების შემდგომი პოპულარობისათვის, მისი ქმედითობისათვის, საქართველოს ცივილიზებულ სახელმწიფოთა რიგში ჩაყენებისათვის, ახალი ტიპის მმართველობის დანერგვისთვის, აუცილებელია, ხელისუფლებამ უმთავრეს პრიორიტეტად და საზრუნავად დასახოს ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიის განსაზღვრა და მისი რეალიზაცია.**

ამ ორიოდე წლის წინ, სომხურ პრესაში დაიბეჭდა ცნობილი სომეხი მეცნიერის ვრცელი წერილი, სადაც დეტალურად იყო განხილული ამიერკავკასიის და მისი უშუალო მეზობელი ქვეყნების — თურქეთი, ირანი, ერაყი — იმჟამინდელი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება. ავტორი, ამავე დროს, გარკვეულ რეკომენდაციებსაც სთავაზობდა საკუთარ ხელისუფლებას. ამ ანალიზის მიხედვით, რეგიონში ყველაზე სუსტ ქვეყნად მიჩნეული იყო საქართველო: როგორც ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით, ისე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის და მართვის მხრივ. ავტორის აზრით, ყველაზე სუსტი იყო საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობაც და ის დაჟინებით ურჩევდა სომხეთის ხელისუფლებას, თავისთვის მაქსიმალურად სასარგებლოდ გამოეყენებინა ეს ვითარება.

ცხადია, პირველი რეაქცია მსგავსი ტიპის პუბლიკაციის წაკითხვისას წყენა და გაბრაზება იქნება, თუმცა ჩვენი რეალობა მსგავსი დასკვნების გაკეთების საფუძველს ნამდვილად იძლეოდა. საერთოდ სიბრაზე ცუდი მრჩეველია. სხვაზე გაბრაზებას ყოველთვის სჯობს, უფრო ობიექტურად შეხედო საკუთარ თავს, დასკვნები გამოიტანო და ეცადო, შენს უახლოეს მეზობელს აზრი შეაცვლევინო.

დღეს, როგორც არასოდეს, საქართველოს პრეზიდენტს და ხელისუფლებას აქვს ამის შესაძლებლობა, რადგან ხალხმაც სწორედ ამიტომ გამოუცხადა მას ნდობა და საამისო მანდატიც მიანიჭა. დღეს საქართველოს ნამდვილად შეუძლია იფიქროს დაკარგული ღირსების აღდგენაზე და შეუდგეს სახელმწიფოს მშენებლობას. ამისთვის კი, ჩემი ღრმა რწმენით, პირველ რიგში აუცილებელია დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრა, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ჭეშმარიტად თავისუფალი, დემოკრატიული და ძლიერი სახელმწიფო.

ახლა მაინც უნდა გამოიკვეთოს თუნდაც უახლოეს პერსპექტივაზე გათვლილი ეკონომიკური პრიორიტეტები, განისაზღვროს მრეწველობის თუ სოფლის მეურნეობის რომელ დარგებში ჩავდოთ ფული, რას მივანიჭოთ უპირატესობა, რა გადავდოთ სამომავლოდ, ძველი რა დავანგრიოთ და ახალი რა ავაშენოთ.

ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, ზოგადად ხელისუფლებამ, დღესვე უნდა დაიწყოს ფიქრი ეკონომიკის რეალურ განვითარებაზე, უნდა გამოიკვეთოს ის დარგები, რომლებიც ნაკლებადაა დამოკიდებული ქვეყნის გარე ფაქტორებზე (გლობალიზაცია, ვალუტების მერყეობა, მსოფლიო ბაზრების კონიუნქტურა და სხვა) და რომელთა სრული საწარმოო ციკლი — ნედლეულით უზრუნველყოფა, გადამუშავება, პროდუქციის შექმნა — ძირითადად საქართველოშივე განხორციელდება. ასეთ დარგებს მიეკუთვნება მევენახეობა-მეღვინეობა, ჩაის მოყვანა-გადამუშავება, საკონსერვო მრეწველობა, ხილის წვენების, მინერალური წყლების, გამაგრილებელი სასმელების წარმოება, ხორცის, რძის, მეფრინველეობის, ხე-ტყის გადამუშავების და ზოგი სხვა სამრეწველო დარგი. სხვათა შორის, ნიშანდობლივია, რომ სავალუტო ფონდის უმთავრეს სამიზნედ თავიდანვე სწორედ ეს დარგები იქცა.

ცხადია, ყველაფერს ერთად ვერ გავწვდებით, მაგრამ სამინისტრო ხომ უნდა ზრუნავდეს პრიორიტეტების განსაზღვრაზე? იმავე მასშტაბით თუ არა, მაინც შესაძლებელია, ვიფიქროთ მანქანათმშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის, საყოფაცხოვრებო ქიმიის და სხვა დარგების რეანიმაციაზეც.

ნუთუ რაღაც კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა არ უნდა ვცადოთ ასევე მცირე ჰესების სისტემის შექმნისათვის? როცა ჟირინოვსკი, რუსული პოლიტიკის ეს რიგოლეტო, ლამის ყოველდღე ემუქრება საქართველოს მოსახლეობას, სიბნელით და სიცივით ამოგხდით სულსო, ენერგიის ალტერნატიულ წყაროებზე ფიქრი უმთავრეს საზრუნავს უნდა წარმოადგენდეს, მით უფრო, რომ უკვე საქართველოშიც ამზადებენ მცირე ჰესების ასამუშავებლად საჭირო ტურბინებს.

ნუთუ ეკონომიკის სამინისტროს არ ადარდებს, რა უნდა ვუყოთ, მაგალითად, ჩაის? ათი წელია, უფრო მეტიც, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, გურია, აჭარა, სამეგრელო, იმერეთი — ფაქტობრივად გავწირეთ და უსასრულოდ დავტოვეთ. ამ რეგიონების ეკონომიკა ხომ ჩაიზე იყო მიბმული. მოსახლეობის საარსებო წყაროს ჩაის მრეწველობა წარმოადგენდა, მისი კეთილდღეობა პირდაპირ იყო დამოკიდებული ჩაის მოყვანა-გადამუშავებაზე.

დავანებოთ თავი იმას, რომ საქართველოში უცხოეთში მოყვანილი ჩაი შემოდის, საკუთარი შიდაბაზარიც დავკარგეთ და ნახევარი საქართველო ფაქტობრივად გავწირეთ. ხომ უნდა იფიქროს ხელისუფლებამ, რომ პრობლემა რეალურად არსებობს და მისი გადაწყვეტა აუცილებელია? ვთქვათ, ჩაი აღარ გვჭირდება, ამოვძირკვოთ, მაგრამ დავგეგმოთ, რა შეიძლება მოვიყვანოთ იმ თიხნარ მიწებზე, სადაც აქამდე მარტო ჩაი და გვიმრა ხარობს. კი ბატონო, დავთესოთ, მაგალითად, სიმინდი, ავაშენოთ ზეთსახდელი ქარხნები და ამით დავასაქმოთ მოსახლეობა, სიმინდის ზეთში ძალიან დაბალია ქოლესტერინის შემცველობა და მსოფლიოში მასზე დიდი მოთხოვნაა ან რაიმე სხვა, კონკრეტული, პრაგმატული გადაწყვეტილება მივიღოთ.

სხვათა შორის, თვით ჩაი მარტო ადუღებულ წყალში გასახსნელი პროდუქტი არ არის, ჩაის ნედლეულისაგან მზადდება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, მაგალითად, საპონინი, ჩაის ზეთი, რომელიც არა მარტო საკვები პროდუქტია, არამედ ზუსტი მექანიზმების შესაზეთადაც გამოიყენება; ჩაის კონცენტრატები, რომელთა საფუძველზე მზადდება გამაგრილებელი სასმელები. მსგავსი ვითარებაა ციტრუსის, ხილ-ბოსტნეულის, ხეტყის და სხვა ნედლეულის გადამუშავებასთან დაკავშირებითაც.

მოკლედ, პრობლემები არსებობს და ისინი გადაწყვეტას მოითხოვს, მაგრამ, ეტყობა, ამაზე არავინ ფიქრობს, პრობლემას წლების მანძილზე დაკონსერვება კი არა, მოგვარება უნდა. ეს, რა თქმა უნდა, ძნელია, ბევრ თავის ტკივილს უკავშირდება, მაგრამ არც ყველაფრის გაყიდვაა გამოსავალი. გაყიდვა ადვილია, საკუთარი სიმდიდრის მოვლა-პატრონობაა საქმე.

სათანადო ბიზნესგარემოს პირობებში, წმინდა ეკონომიკური ჯიუტი კანონებიდან გამომდინარე, აუცილებლად გამოჩნდება პრობლემების გადაჭრის სწორი გზები, გამოჩნდება ინვესტირების გარე თუ შიდაწყაროებიც.

ხელისუფლება უნდა ენდოს მეწარმეს და ბოლოს და ბოლოს, გააცნობიეროს, რომ ნამდვილი, ქვეყნისთვის სასარგებლო ინვესტიცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაიდება ჩვენს ეკონომიკაში, როცა ურთიერთობები წმინდა პარტნიორულ პრინციპებზე და ერთობლივ ბიზნესინტერესზე იქნება დამოკიდებული და არა კულუარულ საეჭვო გარიგებებზე სახელისუფლებო კაბინეტებში. სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, ურთიერთნდობის და ჯანსაღი ბიზნესგარემოს პირობებში, საქართველოს ნამდვილად შეუძლია, იქცეს სერიოზული ეკონომიკური ინტერესის საგნად და არა მარტო ჩრდილოეთის მხრიდან.

ჩვენ ჯერ „მერსედესის" ტიპის ავტომობილს ვერ გავაკეთებთ, მაგრამ ნამდვილად შეგვიძლია ვაწარმოოთ, ვთქვათ, ხილის წვენი, რომელიც თავისი თვისებებით გერმანიისთვისაც საინტერესო იქნება. ჩვენ, რა თქმა უნდა, ერაყივით ნავთობით მდიდარი ქვეყანა არა ვართ, მაგრამ შეგვიძლია, ჩვენი მინერალური და მტკნარი წყლის რესურსებით დავაინტერესოთ მსოფლიო, მით უმეტეს, რომ წყალს ლამის ოქროს ფასი ედება.

ვერავინ უარყოფს, რომ დღევანდელ პრეზიდენტს და მის გუნდს უმძიმესი მემკვიდრეობა ერგო. ქვეყანა თორმეტი წელი იძარცვებოდა, კორუფციამ გარყვნა საზოგადოება, გვაქვს დაკარგული ტერიტორიები, უკიდურესად მძიმეა სოციალური ფონი. მაგრამ, ამ ხელისუფლების შემდგომი პოპულარობისათვის, მისი ქმედითობისათვის, საქართველოს ცივილიზებულ სახელმწიფოთა რიგში ჩაყენებისათვის, ახალი ტიპის მმართველობის დანერგვისთვის, აუცილებელია, *ხელისუფლებამ უმთავრეს პრიორიტეტად და საზრუნავად დასახოს ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიის განსაზღვრა და მისი რეალიზაცია.*

*ეკონომიკური სტრატეგია არა ვინმე უცხოს, არამედ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ინტერესების კარნახით უნდა შემუშავდეს. ამ შემთხვევაში, ძალიან სწრაფად მოხერხდება დაკარგული დროის ანაზღაურება და საქართველოც ძალიან სწრაფად მყარად დადგება ფეხზე.*

*რაც მთავარია, უნდა გვახსოვდეს, რომ სახელმწიფოს ჭეშმარიტი პოლიტიკური დამოუკიდებლობა მის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას ემყარება.*

# „ველური დივიზიის“ ქართველი რაინდი

*მათ ქუჩაზე ერთი მეწაღე ცხოვრობდა. ის კარგად იცნობდა ერისთავების ოჯახს. როცა ბატონი ვალერიან ერისთავი ჩამოივლიდა, მეწაღე გულწრფელი აღტაცებით იტყოდა: „**Последний князь**“ და თვალს გააყოლებდა...*

*XX საუკუნის არისტოკრატია სრულიად გამორჩეული გახლდათ. ეს მხოლოდ საზოგადოებრივი მდგომარეობა კი არ იყო, არამედ დიდი შინაგანი კულტურაც.*

*თავად ვალერიან ერისთავის შვილიშვილმა, რეჟისორმა ლევან ერისთავმა რამდენიმე ამბავი გაიხსენა, რისი მოწმეც თვითონ იყო და რაც სმენია...*

## უკანასკნელი თავადი

ერისთავებს მამული ღვანკითში ჰქონდათ, იმერეთის მეფის მამულების მეზობლად. ენათესავებოდნენ კიდეც მეფის ოჯახს — ეკა ბატონიშვილი (სოლომონ -ის ძმის — ბაგრატის შვილთაშვილი) ერისთავების დიდი ბებია გახლდათ.

მათთან ისეთი წესრიგი იყო, როგორიც ქართულ ოჯახს შეეფერებოდა. როცა ბოლშევიკებმა იმერეთის მეფის შთამომავლებს სახლკარი ჩამოართვეს, ბაგრატიონები ქუთაისში, ერისთავების სახლში დაბინავდნენ.

ოჯახს სევასტი ერისთავი მეთაურობდა. მას ჰყავდა სამი შვილი: ვალიკო, ირაკლი და გუგული. როგორც უფროს შვილს პატივს სცემდნენ ვალიკო (ვალერიან) ერისთავს. მისი სიტყვა კანონი იყო. განსაკუთრებული პატივისცემით ექცეოდა მას ბატონიშვილი დავითიც.

ბაბუა ამბობდა, — ახლა დაიწყეს დახარისხება — ის თავადია, ეს გლეხიაო, თორემ ადრე ამაზე კრინტს ვინ დაძრავდა, სირცხვილი იყოო.

ერისთავების სახლის პირველ სართულზე გახსნილ სკოლას „მკურნალის სკოლას“ ეძახდნენ, რადგან მისი გამგე გვარად მკურნალი იყო. ამ სკოლაში ხელმოკლე ბავშვებს აძლევდნენ განათლებას.

მეორე სართულზე ერისთავები ცხოვრობდნენ. მათი აივანი პრინც ოლდენბურგის ბაღს გადაჰყურებდა. იქ ცხოვრობდა თავად დადიანის ცოლყოფილი აგრაფინა ჯაფარიძე, რომელიც შემდეგ ოლდენბურგს გაჰყვა. ლექსიც კი


აგრაფინა ჯაფარიძე

დადიოდა ქუთაისში: „აგრაფინა კისკისაო, დადიანმა პრინცს მისცაო“. ოლდენბურგს ძალიან ჰყვარებია აგრაფინა. სახლიც კი აუშენა კარგარეთელის ქუჩაზე.

## ვრანგელის ადიუტანტი

22 წლის ვალიკო ერისთავი მოხალისედ წავიდა მსოფლიო ომში. დაჯილდოებული იყო ინგლისის და საფრანგეთის ორდენებით, წმინდა გიორგის ორდენი სამგზის ჰქონდა მიღებული. ვალიკო ერისთავი გენერალ ვრანგელის ადიუტანტი იყო, ყველაზე ცნობილ ბრუსილოვის გარღვევაში მონაწილეობდა. მისი პოლკი — დაღესტნის პოლკი — „ველურ“ დივიზიაში შედიოდა. ისინი შეტევაზე რომ მიდიოდნენ, თან მოჯირითეები ცხენებზე სალტოს აკეთებდნენ. დაბნეული და გაოგნებული მტერი ენაჩავარდნილი მისჩერებოდა „ველურებს“, რომლებიც უხორცოებივით მიიწევდნენ მათკენ.

ბაბუას ზურგზე დიდი ნაჭრილობევი მინახავს. სიკვდილს ძლივს გადარჩა. ჰოსპიტალში დედამისი აკითხავდა თურმე.

ერთი ამბავი დამამახსოვრდა: მამამ ცხენოსნები მოიყვანა სტუმრად. ყველამ იცოდა ბაბუის ნაომრობის ამბავი. ერთ-ერთმა ჰკითხა: — კაცი თუ მოგიკლავს, ბიძია ვალიკოო. ბაბუა გადათეთრდა. მანიშნა, ოთახიდან გადიო. დავემორჩილე, მაგრამ კარს უკან კი შევჩერდი. გავიგონე მისი ხმა: — ბავშვთან რა სისულელეს მეკითხები, შეტევაზე კაპრანოვის ხერხით მივდიოდით (საცხენოსნო ილეთებია), თან შუბით ვიბრძოდით, თან ვისროდით. შენ კი მეკითხები, კაცი თუ მოგიკლავსო...

გაოცებული ვუსმენდი...

ბაბუას მეგობრები მოდიოდნენ ხშირად ჩვენთან. წვრილი ჭიქებით სვამდნენ, დიდხანს უსხდნენ სუფრას. გასაოცარ ამბებს ჰყვებოდნენ ხოლმე. ერთი და იგივე ამბავი არასოდეს გაუმეორებიათ.

ვრანგელის ადიუტანტს საბჭოთა მთავრობა არ გაახარებდა. ორ-სამჯერ გაქცეული იყო, თავის თანაპოლკელ ალმაზოვებთან იმალებოდა.


ვალიკო ერისთავი

## უბის წიგნაკი

ბაბუას ყველა ახლობელი დაუხვრიტეს, გადაუსახლეს, წაიყვანეს მისი უახლოესი ნათესავიც — დავით ბაგრატიონი, მისი მეუღლე ქეთევან მაჩაბელი. ყველას ეშინოდა გადასახლებულებისა და დახვრეტილების ოჯახის წევრების მოკითხვა. ვალიკო ერისთავი უშიშრად მიდიოდა დავითის ერთადერთ ასულთან — ნინო ბაგრატიონთან. ჩემთან ნუ მოხვალთ, საშიშია, ვალიკო ბიძია, დაგაპატიმრებენო, — აფრთხილებდა თურმე ნინო. შენ ნურაფრისა გეშინიაო, — ამშვიდებდა და თავისას არ იშლიდა. ერთხელ უხუმრია კიდეც, — დედაშენი დიდი პოლიტიკოსიაო. როგორო, — გაჰკვირვებია ნინოს. მაგასაც ათი წელი მისცეს პოლიტიკურზე და რადეკსაცო (ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე).

ორი უბის წიგნაკი ჰქონდა. ერთში ოპერებისა და ბალეტების შესახებ იწერდა ცნობებს. ისეთი დაწვრილებითი ინფორმაცია შეიძლებოდა მუსიკის მცოდნეებსაც არ ჰქონოდათ. ბაბუას მუსიკალური განათლება არ მიუღია, მაგრამ შესანიშნავად ერკვეოდა მუსიკაში.

მეორე წიგნაკში მეგობრების სია ჰქონდა ჩამოწერილი. მეგობრებს ქვეთავებში აერთიანებდა. პირველ ჯგუფში მსოფლიო ომში დახოცილები იყვნენ, მეორეში ისინი, ვინც 1924 წელს შეეწირა, მესამეში — 1928 წელს დახვრეტილები... მერე — ვინც 1937-მა წელმა იმსხვერპლა და ასე... ბოლოს ეწერა: „**Умерли по своей воле**“, ხოლო ამის შემდეგ — „**Пока что живы**“. ბაბუა რომ გარდაიცვალა, ამ ბოლო ქვეთავში ორი კაციღა იყო დარჩენილი.

## Князя умирают стоя!

თავმდაბალი და რბილი ხასიათისა იყო ვალიკო ერისთავი. არასოდეს დაუჩივლია, არასოდეს დაუწუწუნია იმის გამო, რომ შევიწროებული იყო, ქონება ჩამოართვეს, სამსახურს ვერ შოულობდა.

მამაჩემი, პროფესიონალი ცხენოსანი, 41 წლისა ინფარქტით გარდაიცვალა. ბაბუას მის მეტი შვილი არ ჰყავდა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში იქნებოდა, მაგრამ ყველას გასაკვირად, არაფერს იმჩნევდა, სამძიმარს იღებდა. საფლავის ადგილის სანახავადაც თვითონ წავიდა. ერთადერთი — უკითხავს, — აქედან იპოდრომი ხომ ჩანსო. მაშინ ჩანდა კიდეც, მერე და მერე ხეებმა დაფარა... კლდესავით დაუხვდა დიდ უბედურებას, შვილის სიკვდილს. მახსოვს დაკრძალვა. მალხაზ ერისთავის ცხენი ბალდახინდაფარებული მიუძღოდა პროცესიას. იმ ცხენმა, სხვათა შორის, მერე აღარავინ შეისვა ზურგზე. ცოტა ხანს აცალეს და, რომ ვერ დაიმორჩილეს, „საკალბასედ გაუშვეს“...

შვილის დაკრძალვის შემდეგ აღმოჩნდა, იმ დღეებში ორი ინფარქტი გადაუტანია ფეხზე ვალერიან ერისთავს...

უკვე მოხუცებული ვალერიან ერისთავი იმ საავადმყოფოში დააწვინეს, სადაც მისი რძალი ექიმად მუშაობდა. ისევ ინფარქტი ჰქონდა. ცალკე პალატაზე უარი თქვა, საერთო პალატაში დაწვა. საპირფარეშოში თვითონ გადიოდა, თუმცა პალატიდან გაუსვლელობას სთხოვდნენ — ამას ვერ ვიკადრებო. ნინო ბაგრატიონმა მოინახულა:

— ვალიკო ბიძია, ცალკე პალატაში უკეთ არ იქნებოდით, რატომ მოითხოვეთ საერთო პალატაში წოლა?

— ცალკე პალატაში რომ დავწვე, ლილი თავს არ დამანებებს, ღამით აქ დარჩება და სად შეუძლია ღამის თევაო.

მეუღლეს, ლილი ღოღობერიძეს, უფრთხილდებოდა.

მეორე დღეს 80 წელი უსრულდებოდა. ადგა, პირი გაიპარსა, ჩაიცვა ქათქათა პერანგი და ხმამაღლა განაცხადა:

— **Князя умирают стоя и с музыкой!**

და საწოლზე გადავარდა.

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

## ის არ იყო პიპინია

„არაჩვეულებრივ გამოფენას“ რომ იღებდნენ, ვალიკო ერისთავთან დადიოდნენ, მის თავისებურ ჩაცმულობას სწავლობდნენ. როცა ფილმი ნახა, გაკვირვებული დარჩა. ვალიკო ერისთავი არასოდეს იტრაბახებდა, არასოდეს გააზვიადებდა რამეს — ის არ იყო პიპინია...

## ირაკლი ერისთავი

ვალიკო ერისთავის უმცროსი ძმა, ირაკლი, არაჩვეულებრივი გარეგნობის კაცი იყო. ცეკვავდა, მღეროდა... ერთი ნაკლი ჰქონდა — მეტისმეტად ფიცხი იყო.

ჩხუბი რომ მოუვიდოდა, ვალიკოს დაუძახებდნენ. დაინახავდა თუ არა ძმას, თავდახრილი, ჩუმად გაჰყვებოდა უკან.

ირაკლი ერისთავს უსაზღვროდ უყვარდა მეუღლე — თამარი, რომელიც მშობიარობას გადაჰყვა. ნაბადში გახვეული ათევდა ღამეებს მის საფლავზე.

გავიდა ხანი. ირაკლი ერისთავს დაავალეს ცხენების ყიდვა წითლების პოლკისათვის, მისცეს ფული და გაგზავნეს რუსეთში. როგორც ჩანს, მოილხინა თავადმა, ფული გაფლანგა და თვითონ ფაეტონით მივიდა ციხეში. იმასაც ამბობენ, ორი მანდილოსანი ეჯდა ფაეტონშიო... დატოვეს პატიმრობაში და დახვრეტა მიუსაჯეს.


ფილმის გადაღებამდე „აგული“ და ვალიკო ერისთავი პიპინიას შესახებ ხშირად საუბრობდნენ

სასჯელის აღსრულების დღეს წვიმდა. მერე გაოცებულ ჯალათს მოუყოლია: მივდიოდით, გუბეებს ახტებოდა... ერთგან შეჩერდა, ჯიბიდან ქათქათა ცხვირსახოცი ამოიღო, ჩექმები გაიწმინდაო...

საოცარი კაცი იყო ირაკლიო...

## ამილახვრის „მოტაცებული“

ბაბუაჩემის დედა, მარიამ მდივანი, ლამაზი ქალი იყო. მისი დებიც ცნობილნი იყვნენ მშვენიერი გარეგნობით. ერთი ხომ ერისთავს ჰყავდა ცოლად, მეორე — წულუკიძეს, მესამე — ლორთქიფანიძეს, მეოთხე — მიქელაძეს.

ერთ-ერთ წვეულებაზე უკვე ქვრივი მარიამ მდივანი სუფრასთან გიორგი ამილახვრის პირდაპირ მოხვედრილა. მოსწონებია კეთილშობილ ქართლელს მარიამი და უთქვამს: — მე თქვენ მოგიტაცებთო. ამ ამბისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

ერისთავებს აგარაკი შინდისში ჰქონდათ. მატარებლით კოჯრამდე უნდა ჩასულიყავი, მერე ფაეტონით გაგეგრძელებინა გზა. ჩასულა ერისთავის ქვრივი კოჯორში, დაუჭერია ფაიტონი. ტყეში რომ შესულან, მეფაიტონეს სიმღერა წამოუწყია. აღშფოთებულა კნეინა — ამას რას ჰკადრულობთო!

ცოტა გაუვლიათ, მეფაიტონეს ისევ შემოუძახნია სიმღერა.

ახლავე შეწყვიტეთ, როგორ ბედავთო, — განრისხებულა მარიამი. კოფოდან სიცილით მობრუნებულა გიორგი ამილახვარი — მეფაიტონედ გადაცმული.

აი, ქალბატონო მარიამ, ხომ მოგიტაცეთო, — უთქვამს ნიშნის მოგებით, თუმცა მშვიდობით და პატივით კი მიუცილებია შინამდე...

**ლელა ჯიჯავშვილი**




# მამულ-დედული

## ჩვენი ზვრები და მარანი



ზაფხული რომ მიინავლება და მტევანში ოქროსფრად ჩაღვრილი სხივი გამოანათებს, კახელი გლეხი ჩამოუვლის თავის ნაამაგარს და რთველის თადარიგს დაიჭერს. ამასობაში ყურძნის კრეფის დროც დადგება. კახეთში რთველი სექტემბრის შუა რიცხვიდან იწყება. იმერეთში — ოქტომბრიდან, ანუ მწიფობისთვიდან და ნოემბრის შუა რიცხვებამდე გასტანს. ძველად გურია-სამეგრელოში კიდევ უფრო გვიან კრეფდნენ ყურძენს, დეკემბრამდე დაუკრეფავ ვაზებს ზოგჯერ დაათოვდა კიდეც (გვიან მოკრეფილი ყურძნის ღვინო უფრო მაგარი გამოდისო, ამბობდნენ).

შეთვალდება თუ არა ყურძენი, კალათებისა და გოდრების დაწვნას იწყებდნენ სოფლად. ქართლ-კახეთში უმთავრესად გოდრებს წნავენ, თუმცა ბოლო ხანებში მეტალისა და პლასტმასის ჭურჭელიც შეერია მამაპაპურ გოდორ-კალათებს.

რთველამდე ერთი ორი კვირით ადრე ქვევრების რეცხვას შეუდგებიან. აღმოსავლეთ საქართველოში ქვევრის სარეცხად გრძელ ტარზე დამაგრებულ კრაზანის ან თაგვისარას კონებს იყენებენ. დასავლეთ საქართველოში სარცხი ბლის ქერქისგან მზადდება.

...ყურძენს ახლა ძირითადად მექანიკური მანქანებით წურავენ, თუმცა არც ძველებურ, მამაპაპურ საწნახელს გასვლია ყავლი. საწნახლის ძირში საწურია გამართული. გარდიგარდმო გადაწყობილ ჯოხებზე გადადებულია წმინდად დაწნული ლასტი, რომელზედაც ჩადუნას ან ვაზის ფოთოლი გაშლილი. გაივსება საწნახელი, ჩადგება ერთი ან ორი-სამი კაცი და დაიწყება დიდი მონდომებით მარცვლის ჭყლეტა-წურვა.

ქვევრს დაწურული ტკბილით იმ დონემდე ავსებენ, რომ ჭაჭის, ანუ „დედის“ ჩამატების შემდეგ, პირამდე ერთი-ორი მტკაველი დააკლდეს. ასე „სადუღზე დაყენებული“ ქვევრიდან დუღილის დროს წვენი არ დაიღვრება.

ტკბილს ქვევრში ჭაჭა მთლიანად დაეყრება. წითელიცა და თეთრი ღვინოც მთლიანად ჭაჭაზე დუღდება. ოღონდ საფერავის ტკბილს ჭაჭას დაწურვისთანავე ამატებენ, თეთრი ყურძნის წვენს კი — მეორე დღეს. საწნახელში ჭაჭას ნაპირზე მიტკეპნიან და დილამდე დატოვებენ. ამ ხნის განმავლობაში ჭაჭა გაყვითლდება. დილით მას აჩეჩავენ და ტკბილში ჩაამატებენ. ამით, გარდა იმისა, რომ ღვინო სასიამოვნო ფერს იძენს, უფრო გემრიელიცაა.

დუღილისას განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო. დღეში ორჯერ მაინც უნდა ამოერიოს გრძელტარიანი ამოსარევით, რომელსაც ბოლოში ჯვარედინად აქვს გაყრილი ჩხირები. ეს საშუალებას იძლევა, ზემოთ ამოსული ჭაჭა ჩავაბრუნოთ. ჩაბრუნება აუცილებელია იმისათვის, რომ ღვინო გემრიელი გამოვიდეს, თანაც, საკმარისია ამორევა დააგვიანოთ, რომ მაშინვე ძმრის სუნი ედება ჭაჭას, რაც დაუშვებელია.

დაწურვიდან მეცხრე-მეთორმეტე დღეს მაჭარი „დაშოშმინდება“. უკანასკნელად დაურევენ ჭაჭას და ფსკერისკენ ჩააბრუნებენ, ამის შემდეგ კი ორ-სამ დღეში ღვინო უნდა გადაიღოთ. წითელი ღვინო დადუღებისთანავე უნდა მოაცილოთ ჭაჭას, რომ კლერტმა ფერი არ დაუკარგოს. თეთრი ღვინო, მაგალითად რქაწითელი, შეგიძლიათ ერთ-ორ კვირას დატოვოთ ჭაჭაზე. „ჭაჭაზე ღვინო კეთდება, მაგარიც არის და სათვალიოც!“ — ამბობენ კახელები.

წლის განმავლობაში ღვინოს 4-5-ჯერ მაინც სჭირდება გადაღება. პირველ გადაღებაზე ჭაჭას გამოვარიდებთ, შემდეგ ლექი უნდა მოსცილდეს. ღვინოს მეორედ ერთი თვის შემდეგ იღებენ, მესამე გადაღება აუცილებელია ადრე გაზაფხულზე, მეოთხე — ზაფხულში. ერთი სიტყვით, სანამ ლექი მთლიანად არ მოშორდება, მანამდეა საჭირო გადაღება. „რაც ჩქარ-ჩქარა იღებენ, უკეთესია. ღვინო რომ იღლება, უფრო კარგი გამოდის!“ — ამასაც კახელები ამბობენ...

## ქედანი



მსოფლიოში მტრედისნაირთა რიგი 400-მდე სახეობით არის წარმოდგენილი. მათი უმრავლესობა ტროპიკული ქვეყნების ბინადარია. საქართველოში მხოლოდ 4 სახეობა ბუდობს: ქედანი, გარეული მტრედი, გვრიტი და გვიძინი ანუ გულიო.

მტრედების ოჯახის წარმომადგენლები წყალს ისე კი არ სვამენ, როგორც ყველა დანარჩენი ფრინველები — ნისკარტში რომ იგუბებენ, თავს მაღლა სწევენ და ყლაპავენ, არამედ ნისკარტს წყალში ყოფენ და სანამ წყურვილს მოიკლავენ, მანამდე მიირთმევენ.

ჩვენში, მტრედისებრთა ოჯახიდან ყველაზე დიდია (გამორჩეულად მონადირეები ინტერესდებიან) ქედანი, რომლის წონა ზოგჯერ 600 გრამსაც აჭარბებს. დედალ-მამალი სიდიდით და შეფერილობით ერთნაირია. ქედნის შეფერილობა მტრედისფერია, ზურგის მხარე ნაცარა, კისერზე მომწვანო და მეწამულ-წითელი ელვარებით. ჩიჩახვი და მკერდი მოვარდისფროა, მუცელი — მოთეთრო-რუხი, ნისკარტი ძირში წითელია, წვერზე — ნარინჯისფერ-ყვითელი. ფეხები წითელი აქვს. აი, ასეთი ლამაზად მოხატული ფრინველია ჩვენი ანუ ევროპული ქედანი.

ბინადრობს ნაირგვარ ტყეში, მეტწილად კი ჭალის ტყეებში, სადაც ეტანება ვერხვიან ადგილებს, განსაკუთრებით ზამთარში, როცა იგი ვერხვის კვირტებით იკვებება. ქედანი ძირითადად იკვებება ველური და კულტურული მარცვლოვნებით, პარკოსნებით, წიფლის ნაყოფით, კენკროვნებით.

მაისის პირველ რიცხვებში დებს 2 კვერცხს, რომლებზეც დედალ-მამალი 17-18 დღის განმავლობაში რიგრიგობით კრუხობენ. ქედნის ხუნდები მალე ტოვებენ ბუდეს და იწყებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას.

### მოზაიკა

* * *

*საოცარი კრუხობა იციან ტროპიკული ტყეების ბინადარმა ფრინველებმა, რომელთაც ასევე უცნაური სახელი — მარტორქა ჰქვია. მარტორქები „ნებაყოფლობით პატიმრობაში“ არიან 3-4 თვის განმავლობაში. დადებს თუ არა დედალი კვერცხებს ხის ფუღუროში, მამალი, თიხის, სკორესა და ნაყოფების რბილობის ნარევით ამოულესავს „კარს“ იმდენზე, რომ მხოლოდ ნისკარტი ეტეოდეს შიგ. მთელი ამ ხნის განმავლობაში, მამალი დიდი გულმოდგინებით კვებავს „ცოლ-შვილს“, მართლაც რომ ცივ ნიავს არ აკარებს და რაც მთავარია, მისი ოჯახი დაცულია გველებისა და მაიმუნებისგან...*

## არაქისს ნუ ეხუმრებით...

ალბათ ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ არაქისს პარკოსანი კულტურების მეფეს უწოდებენ. მისი ზეთი არაფრით ჩამოუვარდება ზეითუნისას. გარდა იმისა, რომ არაქისი 60%-მდე ზეთს შეიცავს, მასში 20-37% ცილებიცაა. ზეთი ღია ფერისაა, აქვს კაკლის ზეთის გემო და სამკურნალო თვისებები. ზეთის გამოხდის შემდეგ დარჩენილ კოპტონს იყენებენ ჰალვის, შოკოლადის და კანფეტის წარმოებაში. ღერო, ფოთლები და პარკები საუკეთესო საკვებია პირუტყვისთვის.



არაქისი ამერიკული წარმოშობისაა. სამხრეთ ამერიკაში უხსოვარი დროიდან მოჰყავდათ ეს კულტურა ადგილობრივ ტომებს. შემდგომ გავრცელდა ჩინეთში, ხოლო ჩინეთიდან მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში.

საქართველოში არაქისი დიდი ხნის წინ შემოიტანეს. იმდენად დიდი ხნის, რომ არსებობს ჩვენებური — „ადგილობრივი ქართული“ ჯიში.

თუ დააპირებთ ამ შესანიშნავი პარკოსანი კულტურის გაშენებას, გაითვალისწინეთ, რომ:

— არაქისი სითბოს მოყვარული მცენარეა, თესლის გაღივებისთვის აუცილებელია ნიადაგის ტემპერატურა იყოს +10-15 გრადუსი.

— წყლისადმი საშუალოდ მომთხოვნია. ყველაზე მეტი წყალი მას სჭირდება ყვავილობის დასაწყისში.

— საუკეთესოა ფხვიერი, ტენით უზრუნველყოფილი და საკვებით მდიდარი ნიადაგი. დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგში კირის არსებობასაც.

არაქისი შეიძლება დაითესოს გარჩეულიც და პარკიანიც. გარჩეული უფრო ადრე ამოდის, მაგრამ მწერებისგან მისი დაზიანების შანსი მეტია. ითესება 50-60 სმ-იან მწკრივებში, მცენარეთა შორის მანძილი 15-20 სმ-ია, ჩათესვის სიღრმე — 6-8 სმ. დათესვამდე ნიადაგი გაასუფთავეთ, ხოლო დათესვისთანავე დატკეპნეთ, ოღონდ ზედაპირი მაშინვე გააფხვიერეთ ფოცხით. თესლის გაღივება-აღმოცენებას საკმაო დრო სჭირდება, განსაკუთრებით პარკიანად თესვისას. ამიტომ, სარეველები ასწრებენ ამოსვლას. უნდა შეეცადოთ, რომ სარეველებისგან გაასუფთაოთ ნათესი. პირველი გათოხნიდან ორი კვირის შემდეგ უნდა ჩატარდეს მეორე გათოხნა-გაფხვიერება. მესამე გათოხნისას (15-20 დღის შემდეგ) საჭიროა ძირების ირგვლივ მიწის შემოყრა, რომ ნიადაგის ფხვიერი ფენა დავუახლოვოთ ღეროზე ყვავილების გამოტანის ადგილს, რათა ნასკვების მეტი რაოდენობა მოხვდეს ნიადაგში — პარკი ხომ ნიადაგში ვითარდება და რაც მეტი ნასკვი მოხვდება მასში, პარკიც მეტი განვითარდება. მეოთხე გათოხნაც 15-20 დღის შემდეგ ტარდება, ასევე მიწის შემოყრით. მორწყეთ ზომიერად. სასურველია მეორე თოხნისა და ყვავილობის დასაწყისში რიგთაშორისებში შეიტანოთ წყალში გახსნილი ფრინველის ნაკელი და ნაცარი. მოსავლის აღების პერიოდი როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, ოქტომბრის შუა რიცხვებია.

ბუჩქების ამოღება ფხვიერი, სილნარი ნიადაგიდან ხელითაც შეიძლება, ჩვეულებრივ კი ბარფიწალს ხმარობენ.

## მკითხველის ფოტო



— მე და ჩემი ჩოჩორი..

### რედაქციისაგან:

ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ.

გთავაზობთ, აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს ვბეჭდავთ).

წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.

*გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ*

## ერთი სვეტი შეკითხვებისთვის

### ხოხობი... გალიაში!



**— სად შეიძლება შევიძინოთ ხოხბის წყვილი. შეიძლება თუ არა მათი გალიაში გაზრდა?**

***ნატო კაშია, ვანი***

— თქვენ წარმოიდგინეთ, შეიძლება. ოღონდ ეგაა, რომ საამისოდ ჩვეულებრივზე დიდი გალიის შეძენა (უფრო სწორად, დამზადება) მოგიწევთ. თანაც, ხოხობი ადვილი გამოსაკვებია. ძირითადად მცენარეული საკვები უყვარს. როგორც ჩვენი რუბრიკის მკითხველებმა უკვე იციან, ხოხობი ბუდობს ტყის მდინარისპირა ბუჩქნარში, ჭალაში. ბუდეს მიწაზე იკეთებს, აპრილში დებს 20-მდე კვერცხს, რომელთა ინკუბაცია გრძელდება 22-24 დღე-ღამე.

ხოხბის ახალგამოჩეკილ წიწილებს 2-3 საათის შემდეგ შეუძლიათ სირბილი და საკვების აკენკვა. 1 თვის წიწილა მწყრისოდენაა, 2 თვისა იწონის 450-500 გრამს, 4 თვის ასაკში უკვე კარგად შეიძლება მამლის გარჩევა დედლისგან. მამალი ხოხობი ხომ დედალზე გაცილებით ლამაზია!

როგორ და სად შეიძინოთ ხოხბის წყვილი, ამაზე კონსულტაციას გაგიწევენ ზოოპარკის თანამშრომლები.

### როდის გადავრგოთ კამელია?



**— ძალიან გთხოვთ მირჩიოთ როდის არის ყველაზე შესაფერისი დრო კამელიის გადასარგავად.**

***პატივისცემით, ნ. გიორბელიძე***

— ნებისმიერი მცენარის და მათ შორის კამელიის გადარგვა შეიძლება შემოდგომით და გაზაფხულზე. მარადმწვანე ფოთლოვანი და წიწვიანი მცენარეები ირგვება ბელტიანად, ამიტომ კამელიის გადარგვა შეიძლება ნებისმიერ დროს, გარდა ყვავილობის ფაზისა, ოღონდ, აუცილებლად ბელტით ანუ მიწიანად. მიწიანად გადარგვისას მცენარე წინასწარ მორწყეთ, თუ ღია გრუნტში გიდგათ, ისე ამოიღეთ, რომ ბელტი არ დაუშალოთ და წინასწარ გამზადებულ ორმოში ან ქოთანში გადაიტანეთ. დარგვისთანავე კარგად მიუტკეპნეთ მიწა და მორწყეთ.

### თუ თუთიყუშს ბუმბული სცვივა

**— ჩემს თუთიყუშს ბუმბული სცვივა, სულ გაუშიშვლდა თავი და მკერდი. როგორ მოვიქცეთ? წინასწარ გიხდით დიდ მადლობას.**

***ნინიკო თ., თბილისი***

— ამის შესახებ ჩვენ ადრეც ვწერდით. მაგრამ როგორც ჩანს, ეს პრობლემა ხშირად უჩნდება თუთიყუშის პატრონებს. ამიტომ, განმეორებით განგიმარტავთ, რომ ბუმბულის ცვენის მიზეზი შეიძლება იყოს ფრინველის ცუდი ზნე. ასევე ისიც, რომ ფრინველს არა აქვს სრულფასოვანი ცხოველური და მინერალური საკვები (რის საკომპენსაციოდ ისინი ჯერ ერთმანეთის ბუმბულს წიწკნიან, ხოლო შემდეგ ხორცსაც!). თუ თქვენი თუთიყუში გალიაში მარტოა, შესაძლოა ჰყავდეს პარაზიტი-ბუმბულისჭამია. ამიტომ, სანამ მთლად არ გაშიშვლებულა, მიაკითხეთ ვეტერინარს. არ არის გამორიცხული, რომ სათანადო კონსულტაცია მიიღოთ ზოომაღაზიაში ან ზოოპარკში. მანამდე კი გირჩევთ, გაპუტულ ადგილებზე ზეთი ან ქონი წაუსვათ.

# „იმერული ესკიზები...“

## — ნუ ეწყინებათ ჩემი „ჯაშუშობა“...

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პროფესიის წყალობით საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული მოვიარე, კვირა არ გავა, ქალაქგარეთ გამგზავრება არ მომიწიოს. მაინც ვერა და ვერ შევეჩვიე ბენზინის თუ მტვრის სუნს. მხოლოდ იმ შემთხვევაში ვგრძნობ თავს კარგად, თუ სულ წინა სავარძელზე ვზივარ და გზას პირდაპირ გავცქერი...

...იმ დღესაც თბილისიდან ქუთაისისკენ მიმავალ იმ ავტობუსში მოვხვდი, „ხონი“ რომ ეწერა დიდი, წითელი ასოებით... ვინც ხონელებს იცნობს, ისიც ეცოდინება, რა მახვილი გონების და კვიმატი ენის პატრონებიც არიან. იმის შიშით — რაიმე არ გამომრჩეს-მეთქი, წინასწარ მოვამზადე დიქტოფონი და საგულდაგულოდ დავმალე პიჯაკის სახელოში.

...ერთის ნაცვლად სამი მძღოლი ჰყავდა იმ დღეს ავტობუსს და რადგან თავიანთ სათადარიგო ადგილზე მე დამსვეს, ბუნებრივია, თავად ფეხზე დგომა მოუწიათ რიგრიგობით. როცა მგზავრებიდან თუ სალაროდან წამოკრეფილი ფული გადაითვალეს, ისე „ჩაუმჟავდათ“ სახეები (სალონში სიხალვათე იყო იმ დღეს!..) კარგა ხანს აღარ გასჩენიათ ხმის ამოღების სურვილი და მეც ლამის ხელი ჩავიქნიე, რომ რაიმე საინტერესოს გავიგონებდი. მაგრამ სწორედ ამ დროს გადმოვიდა წინ ტანსრული ახალგაზრდა ქალი, რომელსაც, არცთუ ისე თბილი ამინდის მიუხედავად, დეკოლტედან მკერდის ნახევარი უჩანდა და ნაქსოვი მოკლე კაბიდან შემოტმასნილი გამომწვევი „კოლგოტებით“ იწონებდა თავს... ისე მიესალმა მძღოლებს, აშკარად იცნობდა ყველას და არც იყო ალბათ გასაკვირი, ხელისგულისოდენა პატარა ხონში ხომ ყველა ყველას ნაცნობი და ახლობელია?!

— ე-უჰ, ადგილი რომ არ გვაქვს ახლა შენთვის, ცოტა ადრე ვერ მოდი? — კი უთხრეს ქალს, მაგრამ აშკარად „ცალყბად“ და იქვე მიივიწყეს, თუმცა იგი ზორბა სხეულით ისე ქანაობდა აქეთ-იქით, გვერდით სავარძელზე მჯდომმა ახალგაზრდა მამაკაცმა შვიდიოდე წლის ბიჭუნა კალთაში ჩაისვა და ადგილი დაუთმო...

წითელი პომადითა და კონტურით გადიდებული ტუჩებით კმაყოფილმა გაგვიღიმა და დაჯდა. მისმა ნაქსოვმა კაბამ კიდევ მეტად აიწია და... დავინახე, ჩემ წინ როგორ მოიმძინარა თავი შუახნის ქალბატონმა... მეც მას მივბაძე და ლამის მთელი გზა „მეძინა“...



— ამ მთავრობის რა ვთქვი მე! — გულიანად შეიკურთხა გამხდარმა „სათადარიგო“ მძღოლმა.

— რა იყო, კუსა, რამ გაგამწარა?! — შეეპასუხა მეორე, რომელიც ისე მალიმალ აპაჭუნებდა თვალებს, მივხვდი, რატომაც შეარქვეს კუსა...

— რაი და, რამ დააგლახავა ჩვენი კაცები! გეივსო თბილისი სახლიდან გამოყრილი ქალებით — წაით და რაცხა გინდათ, ის ქენით, ოღონდ ფული მეიტანეთ სახლშიო! — ეუბნებიან ქმრები. ამ ქალების 80%-ს თბილისი არც ჰქონდა მანამდე ნანახი და დეიბნა ამხელა ქალაქის დანახვაზე, თან რაის სამუშაო, ვის ჭირდები, ვის დაკარგვიხარ, — გაბოზდენ... ამგენის შემხედვარე იმფერი ეჭვიანი გავხთი, ქალაქში ნამყოფი ყველა სოფლელი ქალი ბოზი მგონია...

— საცოლე ბიჭი მაინც არ მყავდეს სახლში, გასკტა გული! — დაიწუწუნა მეორე მძღოლმა.

— საცოლე არაა ჩემი, მარა, ნეტავი წიგნი იცოდეს ისთე, პორნოფილმებში რომ ერკვევა მეშვიდეკლასელი ლაწირაკი. რაცხა ჭირათ კაბელური ტელევიზია შევიყვანე, 100 არხიდან 90-ზე იმფერ ფილმებს უჩვენებენ, სირცხვილით ვიწვი. ეს ჩემი ლაწირაკი კი პირდაღებული მიჩერებია და გაწითლებულს რომ მიყურებს, გოიმს მიძახის. ილლიაში ხომ არ ამევიჩრი, ბიჯო, იმ ტელევიზორს და თან ხო არ ვატარებ, სადაც წავალ?!

— სეიფში ჩაკეტე, სეიფში! — დააკვალიანა მეორემ და დაელმებული თვალებით ანიშნა იმ სავარძლისკენ — პომადიანი ქალი რომ დაჯდა წელან...

— რავაა, კუსა, იმ შენი ბიძაშვილის საქმე, მეიკიდა ფეხი ამერიკაში? — ახლა სხვა „თემაზე“ გადაიტანეს ლაპარაკი.

— არ მკითხოთ მისი ამბავი, აქეთ გვეხვეწება, ფული შემომაშველეთ, ნუ მომკლავთ შიმშილითო... რას მიდიოდა, რომ მიდიოდა, რომელი ბიძინა ივანიშვილი ის მყავდა... ე-ეჰ, ნეტავი ამ კაცს შემახვედრა და არ მინდა მეტი არაფერი!..

— ნამეტანი უყვარს თურმე ქართველები!..

— ნამეტანი რომელია... ხომ გახსოვს, ათი კაცი რომ წევიდა და ემიგრანტებად აპირებდნენ პარიზში დარჩენას მეზობელი რაიონიდან. გოუგია ბიძინას და შეუტყობინებია საემიგრაციო სამსახურისთვის — ასე აპირებენ და დროზე გააბრუნეთ უკანო!

— მაი რა კაიკაცობაა, მერე!

— მაცალეთ, გითხრათ რაფრა დამთავრდა მაი ამბავი: გაკოჭეს თურმე ეს ქართველები და მიიყვანეს თვითმფრინავამდე. გამოუწერეს საქართველოს „პუტიოვკები“... სკტებიან თურმე გულზე, იგინებიან და არიან ერთ ამბავში. ამ დროს შემოვიდა ვიღაცა და დოურიგათ სათითაოდ კონვერტები — ეგი ბიძინამ გამოგიგზავნათო! — გახსნენ და არაა ყველაში დოლარი! იქვე პატარა ბარათიც — „თქვენ საქართველოს ჭირდებით, ბიჭებო!..“

კიდევ ბევრ ტყუილ-მართალს მოჰყვნენ, მერე ის მილიონერი ქართველები გაიხსენეს, ოქროს ზოდები რომ მოიტაცეს და ხალხისთვის დაბრუნება არ უნდათ, მარტო მათი კი არა, შევარდნაძის დაჭერაც მოინდომეს — მისი ბრალია, ყველაფერიო!.. — და ისე ილაპარაკეს პოლიტიკაზე, რომელი მათგანიც არ უნდა ჩაგესვათ პრეზიდენტის სავარძელში, არ შეგეშინდებოდათ, თეორიულად ყველამ მშვენივრად იცოდა ქვეყნის მართვაც და წალმა შემოტრიალების გზა და კვალიც, შიგადაშიგ კი მართლა „შოფრებივით იგინებოდნენ!..“

— სირცხვილია, ქალბატონია აგერ! — თქვა ერთი-ორჯერ კუსამ და ჩემზე ანიშნა მეგობრებს.

— მაგას მთელი გზა ძინავს, გვეკითხა მაინც, სად ჩადის, სახლში წასაყვანი არ გაგვიხდეს! — დამცინა ერთმა.

დროზე გამახსენდა, რომ „მეძინა“, თორემ მეც ვაპირებდი შეპასუხებას.

დიქტოფონი კი ტრიალებდა და მშვენივრადაც შეასრულა თავისი „სამსახურებრივი მოვალეობა..“

ქუთაისში ჩამოსულმა ბედნიერი მგზავრობა ვუსურვე ხონისკენ მიმავლებს და რატომღაც გავიფიქრე, ნეტავი, ოდესმე კიდევ თუ შევხვდებით-მეთქი ერთმანეთს...

**P.S. თუ ეს მასალა გაზეთში დაიბეჭდა, ნუ ეწყინებათ ჩემი „ჯაშუშობა“ ხონელ მძღოლებს, მით უმეტეს, რომ მხოლოდ სიყვარული მაკეთებინებს ყველაფერ ამას!..**

*ინგა ჯაყელი*


# გათავისუფლდით სახსრების ჭრიალისაგან

*ნატურალური ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო საშუალება „გლუკოზამინ მსმ“*



- ამცირებს ტკივილს დაავადებულ სახსრებში და აუმჯობესებს მათ მოძრაობას;
- ამცირებს სახსრების ანთებას და მის თანმხლებ პროცესუალურ სიმპტომებს;
- ხელს უწყობს სახსრების ხრტილოვანი ნაწილის აღდგენას;
- არ აღიზიანებს კუჭს;
- უსაფრთხოა ჰიპერტონიკებისათვის.

სახსრების კომპლექსური მკურნალობისათვის ასევე გთავაზობთ:



– კალციუმით გამდიდრებულ პრეპარატს „კალცი ნაითი“.

„კალცი ნაითი“ აღადგენს ორგანიზმში კალციუმის ბალანსს. საუკეთესო საშუალებაა მოტეხილობებისა და ოსტეოპოროზის სამკურნალოდ.



– ძლიერ ტკივილგამაყუჩებელ მალამოს „ვეფხვის ბალზამი“.

„ვეფხვის ბალზამი“ მსოფლიოში ცნობილია როგორც საუკეთესო ტკივილგამაყუჩებელი მალამო კუნთებისა და სახსრებისათვის.

„ვეფხვის ბალზამ“-ს ეფექტურად გამოიყენებენ სპორტსმენები.

კომპანია „ნუტრიმენტ ჰაუს“-ში თქვენ გელით ექიმების გულისხმიერება და მზრუნველობა. კვალიფიციური ექიმები დაგეხმარებიან პრეპარატების სწორად შერჩევასა და დანიშვნაში.

მის. დ.აღმაშენებლის 150;
ტელ: 95-65-03; 96-06-67

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

სამუშაო საათები: ყოველდღე, კვირის გარდა 10.00 – 18.00


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

## განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გაცნობებთ!

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია საგამოცდო ტესტების მომზადებაზე და მისაღები გამოცდების ჩატარებაზე, გაცნობებთ:

- შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა გამოსცა კრებულები „როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის“;
- კრებულები შეიქმნა ყველა საგამოცდო საგნისათვის – ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენები (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული), მათემატიკა – აგრეთვე ზოგადი უნარების გამოცდისათვის;
- დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებმა, რომლებიც აპირებენ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას და სურთ კრებულების შეძენა, დეტალური ინფორმაციის მისაღებად და კრებულების შეძენის პროცედურის დასაზუსტებლად უნდა მიმართონ თავიანთ სასწავლებლებს;
- კრებულების ღირებულების (თითოეული კრებული ღირს 2 ლარი) შესაბამისი თანხის გადახდა ხდება ბაზისბანკის ან სახალხო ბანკის ნებისმიერ ფილიალში;
- მოსწავლეები კრებულებს მიიღებენ გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ.

*განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გაფრთხილებთ!*

- ნუ ენდობით სარეპეტიტორო ფირმების მიერ გავრცელებულ არაკეთილსინდისიერ სარეკლამო განცხადებებს, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შეფასების ცენტრის სახელით სპეკულირებენ!
- ჩვენ მიერ მომზადებულ ნაბეჭდ პროდუქციას აქვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, პროექტ ილია ჭავჭავაძისა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ლოგოები. ამასთან, შეგახსენებთ, რომ თითოეული კრებულის ღირებულება 2 ლარია.
- განსხვავებული ფასისა თუ დიზაინის მქონე ტესტების ნიმუშები არ წარმოადგენს ჩვენ მიერ მომზადებულ პროდუქციას და, შესაბამისად, მათ შინაარსსა და ხარისხზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პასუხს არ აგებს!

# რატომ ჩაიშალა ერთი ბიჭუნასა და მისი ორი დედის შეხვედრა...



## მალე ერთ ცნობილ მსახიობს ვუმზადებთ სიურპრიზს

ომის დროს აფხაზმა ქალმა სოხუმში, დაღუპული მამის ცხედართან ორი წლის ქართველი ბიჭუნა იპოვა. წაიყვანა და შვილივით გაზარდა. რამდენიმე წლის შემდეგ ნამდვილმა დედამ, რომელიც სოხუმში აფხაზური სახელით და გვარით ჩავიდა, იპოვა შვილი. ბავშვს არ ახსოვდა ნამდვილი დედა, არც ქართული იცოდა. ახსოვდა მხოლოდ მამის სიკვდილის სცენა. ბიჭი ქართველ დედას დაუბრუნდა. სოხუმში კი მის აფხაზ დედას შვილის მონატრება ტანჯავს.

მას შემდეგ, რაც **გივი ბერიკაშვილმა** ტელეწამყვანის ამპლუაც შესანიშნავად მოირგო და გადაცემა „არ იდარდოთი" არაერთხელ ალვარლვარებინა ცრემლი მაყურებელს, გაჩნდა აზრი, რომ რუსული გადაცემის **"Жди меня!"** მსგავსი პროექტის განხორციელების ინიციატორიც და ავტორიც ბატონი გივია. არადა, როგორც იგი ამბობს, ამ გადაცემაში გარდა იმისა, რომ წამყვანია, სხვა „ბრალი" არ მიუძღვის. „კვირის პალიტრა" „არ იდარდოს" ავტორსა და რეჟისორს **ირაკლი ჭაოშვილს** ესაუბრა, რომელმაც ეთერს მიღმა დარჩენილი საინტერესო ამბებიც მოგვითხრო:

— **მაინცდამაინც ასეთი პროექტი რატომ შეარჩიეთ, როგორც ამბობენ, „არ იდარდო" რუსული გადაცემა „ჟდი მენიას" მიხედვით არის მომზადებული.**

— რუსულსა და ჩვენს გადაცემას შორის არის პრინციპული განსხვავება — „არ იდარდო" არ არის დაკარგული ადამიანების მოძებნის საშუალება, ჩვენთვის მთავარია ადამიანური ისტორიები, რაც დიდი ხნის უნახავი ახლობელ-ნაცნობების შეხვედრის საფუძველი ხდება. სწორედ ამიტომაც გადავწყვიტე ხორცი შემესხა იმისთვის, რაც არა მარტო მე, არამედ თითქმის ყველას ენატრება — ეს არის ჩვენი მშობლების, ბაბუა-ბებიების დროინდელი ურთიერთობები, მათი ცხოვრების საინტერესო და უჩვეულო ეპიზოდები.

— **თურმე თქვენი გადამღები ჯგუფი ისევე ღელავს გადაცემის მსვლელობისას, როგორც დარბაზში მყოფი მაყურებელი.**

— გარდა იმისა, რომ გადაცემის ტექნიკურ მხარეზე ვმუშაობთ საოპერატოროში, იმავდროულად მაყურებლებიც ვართ და ჩვენს სტუმრებს ვგულშემატკივრობთ. ამიტომაც ჩვენი და მაყურებლის რეაქცია თითქმის არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ჩვენც მათთან ერთად გვიხარია და ვტირით.

მაყურებლის რეაქცია ბოლო დროს აშკარად მეტყველებს ერთზე, — ხალხი დაღალა პოლიტიკურმა შოუმ. მას სიყვარული, ადამიანური სითბო მოსწყურდა.

— **განსაკუთრებით მტკივნეული იყო „არ იდარდო" აფხაზეთის თემაზე.**

— იცით, ეს გადაცემა სწორედ აფხაზეთის პრობლემამ შთამაგონა. მთელი ბავშვობა აფხაზეთში გავატარე, მაგრამ როგორც ჯარისკაცს, ომში მონაწილეობა არ მიმიღია. ვერ შევძელი, რადგან აფხაზს მტრად არ ვთვლიდი, თუმცა მეშინია დღეს ჩემმა შვილმა არ მკითხოს, შენ სად იყავი მაშინ, მამა, რატომ არ იბრძოდიო. „არ იდარდოთი" გადავწყვიტე ჩემი სათქმელისა და ტკივილის გამხელა. ხალხისთვის ჩემი აზრის გაცნობა: რომ ქართველსა და აფხაზს შორის უფსკრულის ამოვსებას მხოლოდ მიტევებითა და სულიერ ფასეულობებზე აგებული ურთიერთობით შევძლებთ.

— **როგორც ვიცი, აფხაზეთის თემაზე მუშაობისას თქვენ იპოვეთ ერთი პატარა ბიჭი, რომელსაც ორი დედა ჰყავს. ეს სიუჟეტი ეთერს მიღმა რატომ დარჩა?**

— ომის დროს აფხაზმა ქალმა სოხუმში, დაღუპული მამის ცხედართან ორი წლის ქართველი ბიჭუნა იპოვა. წაიყვანა და შვილივით გაზარდა. რამდენიმე წლის შემდეგ ნამდვილმა დედამ, რომელიც სოხუმში აფხაზური სახელით და გვარით ჩავიდა, იპოვა შვილი. ბავშვს არ ახსოვდა ნამდვილი დედა, არც ქართული იცოდა. ახსოვდა მხოლოდ მამის სიკვდილის სცენა. ბიჭი ქართველ დედას დაუბრუნდა. სოხუმში კი მის აფხაზ დედას შვილის მონატრება ტანჯავს. ახლა მხოლოდ ორ დედას შორის მიმოწერა რჩება უკეთესი მომავლის იმედად. ჩვენ გადავწყვიტეთ ორივე დედა და ბავშვი ერთმანეთისთვის შეგვეხვედრებინა. შეხვედრა გასულ ზაფხულს, ენგურის ხიდთან უნდა მომხდარიყო. სოხუმიდან წამოსულ აფხაზ დედას თან იქაური უშიშროების თანამშრომლები გამოჰყოლიან და გადაღებაზე უარი გვითხრეს. ხვეწნა-მუდარამ ვერ გაჭრა მათთან. ვიფიქრე, ჯანდაბას გადაღება-მეთქი. გადავწყვიტე, დევნილი დედა-შვილი გადამეყვანა ენგურს იქით და უბრალოდ შემეხვედრებინა ერთმანეთთან. ამასობაში დამირეკეს, ტყუილად ნუ გაირჯები, ქალს უკან ვაბრუნებთ, შეხვედრის უფლებას არ მოგცემთო. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ჯოჯოხეთი ტრიალებს ორივე ქალის გულში, როგორ სურთ მათ მშვიდობა. ასე რომ, ეს სიუჟეტი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანური თანაგრძნობის გამო არ გავიდა ეთერში.

— **ამბობენ, „არ იდარდოს" შემოქმედებითმა ჯგუფმა ერთი აფხაზი ბიჭიც მონათლაო.**

— ჩვენ არა, მაგრამ მისი მონათვლა „არ იდარდოს" მართლა უკავშირდება. ოთხი წლის წინ სოხუმში ერთი აფხაზი ჩვილი ექიმმა ოთარ მარშავამ გადაარჩინა. ექიმი თბილისიდან წაიყვანეს. მადლიერების ნიშნად მშობლებმა ბავშვს ოთარი დაარქვეს... „არ იდარდომ" ექიმი და მისი პატარა პაციენტი ჩვენს ეთერში შეახვედრა ერთმანეთს. გადაცემის შემდეგ კი პატარა ოთარი დიდმა ოთარმა მონათლა. ასე რომ, მტრობას მიროსნმა სძლია.

— **ალბათ უამრავი ადამიანი გირეკავთ, დაკარგულ ახლობლებზე გიყვებათ, მათ შორის უჩვეულო ამბებიც იქნება.**

— ერთი ქალბატონი თითქმის ყოველდღე გვირეკავდა და გვთხოვდა, — 40 წლის უნახავ ძმას შემახვედრეთო. ვეკითხებოდით ასე ხანგრძლივი უნახაობის მიზეზს, მაგრამ ცოცხალი თავით არ გვიმხელდა საიდუმლოს. ბოლოს დავადგინეთ, რომ მის ძმას 40 წელია, საქართველოსკენ არ გამოუხედავს, ირკუტსკში ცხოვრობს ოჯახთან ერთად. მის დას ძმა კი არ ენატრებოდა, ერთი გასაჭირი ჰქონდა — მამისეული სახლის გადაფორმებას ვერ ახერხებდა ძმის გარეშე.

— **გადაცემის წამყვანად გივი ბერიკაშვილი რატომ შეარჩიეთ?**

— მასზე არჩევანი პიროვნული თვისებების გამო შევაჩერეთ... დიდ სითბოს ასხივებს ბატონი გივი, ეს სითბო შესანიშნავად მუხტავს და ათბობს აუდიტორიას. რაც უნდა ნიჭიერი ყოფილიყო, ამ გადაცემას ახალგაზრდა წამყვანი ვერ გაუძლევებოდა. „არ იდარდოს" სწორედ ბატონი გივისნაირი დარბაისელი და ცხოვრებისეული გამოცდილებით სავსე წამყვანი სჭირდებოდა.

— **ირაკლი, ბევრს ენატრება თავის პირველ სიყვარულთან შეხვედრა... და „არ იდარდოს" თხოვნითაც მიმართავენ... ხომ არ მიუძღვნით პირველ სიყვარულს ერთ-ერთ გადაცემას?**

— მართლაც, ბევრმა გვთხოვა თავის პირველ სიყვარულთან შეხვედრა. მალე ერთ ცნობილ მსახიობს ვუმზადებთ სიურპრიზს, ეს თუ შევძელით, მაშინ ნახეთ ცრემლების ღვრა.

***ეკა ლომიძე***

# მშრალი პროდუქტების განაწილების პროგრამა დასრულდა

2004 წლის 9 თებერვლიდან, „ხსნის არმია" ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს **(USAID)**-ის ხელშეწყობით ახორციელებდა 5-თვიან მშრალი პროდუქტების განაწილების პროგრამას. აღნიშნული პროექტის გახსნას დაესწრო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, ბატონი რიჩარდ მაილსი, განაწილების ცენტრის გახსნა მიმდინარეობდა გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის შენობაში.



5 თვის განმავლობაში „ხსნის არმიის" თანამშრომლებმა მოამზადეს მშრალი პროდუქტის 41 000 კომპლექტი. ამ პროდუქტების შესყიდვა ადგილობრივად მოხდა. თითოეული კომპლექტი შეიცავდა: ზეთს, ფქვილს, რძის ფხვნილს, შაქარს, ლობიოს, წიწიბურას, ბრინჯს, ჰერკულესს და მანანის ბურღულს. ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით მომზადდა ბენეფიციართა სიები, გამოიყო განაწილების ცენტრი და დამხმარე მუშახელი. პროექტი განხორციელდა: თბილისში, რუსთავში, დუშეთში, თეთრიწყაროსა და მანგლისში.

მშრალი პროდუქტები ასევე განაწილდა „ხსნის არმიის" ცენტრებში – თბილისსა და რუსთავში. ბენეფიციარები კი გახლდნენ უმწეო და მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა პენსიონერები, ინვალიდები და სოციალურად დაუცველი ფენა.



დუშეთის რაიონის ადგილობრივმა ხელისუფლებამ დიდი მადლიერება გამოხატა არა მარტო „ხსნის არმიისა" და **USAID**-ის მიმართ, არამედ ამ პროექტში მომუშავე პირების გულისხმიერებისა და ერთგული სამსახურისთვის.



აღნიშნული პროექტით დასაქმდა 15 ადამიანი.

„ხსნის არმია" მადლიერია, რომ ამ გზით შეძლო დახმარებოდა საქართველოს მოსახლეობას. განსაკუთრებით დიდ მადლობას ვუხდით **USAID**-ს, ადგილობრივ ხელისუფლებას, პროექტში მომუშავე პირებს, მოხალისეებს, რომლებიც თავიანთი სურვილით აწყობდნენ პროდუქტებს ცელოფანის პარკებში და ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ პროექტში.

ორგანიზაცია „ხსნის არმია" გახლავთ საერთაშორისო ქრისტიანული მოძრაობა, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო ევანგელური ეკლესიის ნაწილს. მისი სწავლების საფუძველია ბიბლია, ხოლო მსახურება კი მოტივირებულია უფლის სიყვარულით, მისი მისიაა იესო ქრისტეს სახარების ქადაგება და მისი სახელით გაჭირვებულთა დახმარება ყოველგვარი მიკერძოების გარეშე.

R

# თქვენთვის ქალბატონებო

## მან ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა, მაგრამ...

— თქვენს გაზეთში ამას წინათ დაბეჭდილმა მკითხველი ქალბატონის წერილმა გამაბედვინა მოსვლა... თუმცა, არც კი ვიცი, ამ აღსარებით რას მოვიმკი, — მითხრა ქალბატონმა ნატომ, — თბილისში დავიბადე და გავიზარდე. მამა ექიმი იყო, ქირურგი, დედა — მასწავლებელი. მე და ჩემს უფროს ძმას არაფერი გვაკლდა. ტკბილი ოჯახი გვქონდა, მუდამ სტუმრიანი, ხალისიანი. მამაჩემის მამა საჩხერიდან 16 წლისა წამოსულა, რუსეთში მიუღია განათლება და თბილისში დაუწყია სამსახური, ცოლად შეურთავს ერთი გაქართველებული გერმანელის ქალიშვილი. ბაბუა თავისიანებთან კავშირს არ წყვეტდა. ასე იყო მამაჩემიც. ჩვენი თანასოფლელები, ვისაც კი რამე გაუჭირდებოდა, მამასთან მოდიოდნენ დასახმარებლად. ხშირად თვეობითაც რჩებოდნენ.

მერვე კლასში ვიყავი, მამის ბიძაშვილი და მისი ქალიშვილი რომ გვესტუმრნენ. ნანას ნაღვლის ბუშტი აწუხებდა. მამამ თვითონ გაუკეთა ოპერაცია და რადგან გოგონა იმ წელს სკოლას ამთავრებდა და სწავლის გაგრძელება სურდა, ჩემმა მშობლებმა ჩვენთან დატოვეს. ნანა კარგი გულის გოგო იყო და მალე დებივით შევიყვარეთ ერთმანეთი. ისეთი ბეჯითი იყო, იმ წელსვე ჩააბარა სამედიცინოზე. ჩვენებმა საცხოვრებლად სხვაგან აღარ გაუშვეს. ნანასთან სამეცადინოდ მოდიოდნენ ჯგუფელები, ხშირად დადიოდა კოტეც, ზუგდიდელი ბიჭი. მას, რაღა თქმა უნდა, მეც დავუახლოვდი. მათზე დიდად უმცროსი არ ვიყავი, მაგრამ მაინც პატარად მთვლიდნენ და მანებივრებდნენ, დაბადების დღეზე სუნამოს ან ყვავილს კი არ მჩუქნიდნენ, არამედ თოჯინებსა და ტკბილეულობას. ერთხელ, ნანას მეგობრებს წყენით ვუთხარი, — როდემდე უნდა მიგაჩნდეთ ბავშვად-მეთქი. მაშინ კოტემ შემომხედა და მითხრა: — შენ ჩემთვის ყოველთვის საყვარელი ბავშვი იქნებიო.

გავიდა სამი წელი. მეც ექიმი მინდოდა გამოვსულიყავი, მაგრამ პირველ წელიწადს ვერ მოვხვდი ინსტიტუტში. ძალიან დავდარდიანდი. დედამ მირჩია: ისეთი გულჩვილი ხარ, ავადმყოფების შემხედვარე დაიტანჯები. ენების სწავლა არ გიჭირს და უცხო ენების ინსტიტუტში ჩააბარეო. დავუჯერე. მამას ეწყინა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს. ჩემი არჩევანით არც კოტე დარჩენილა აღფრთოვანებული, თუმცა მეგობრობა კვლავ გავაგრძელეთ, მეტიც, კოტემ ყურადღება გააათკეცა ჩემ მიმართ. ლექციების მერე ინსტიტუტთან მხვდებოდა ხოლმე. მეორე კურსზე რომ გადავედი, თავის ჯგუფელებთან ერთად მეც დამპატიჟა ზუგდიდში. სწორედ თავის ეზოში ამიხსნა სიყვარული. ცას ვეწიე სიხარულით.



ვერ ვიტყვი, რომ ეს ამბავი ჩემს მშობლებს ძალიან გაუხარდათ-მეთქი, მაგრამ არც დაუშლიათ.

ერთხელ, ნანას ჯგუფელებმა გადაწყვიტეს, მოსკოვში ერთკვირიანი ექსკურსია მოეწყოთ. მეც დიდი ამბით ჩამსვეს თავიანთ ჯგუფში. გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე ნანას სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა და ცხადია, ვეღარ წავიდოდა მოსკოვში, ამიტომ მეც უარი ვთქვი წასვლაზე. ცალკე ნანა გადაირია, ცალკე — მისი მეგობრები აბობოქრდნენ. მათ ჩემმა მშობლებმაც შეაწიეს ხმა. ალბათ მართლაც ბედისწერაა ადამიანის ცხოვრების მჩარხავი. ნანას რომ ოპერაცია არ დასჭირვებოდა და ჩემ გვერდით ყოფილიყო, აღარაფერი მოხდებოდა. მოსკოვურმა დღეებმა ძირფესვიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება... შვიდმა დღემ მალე გაირბინა. კოტეს უკვე ქმრად ვთვლიდი, მაგრამ მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ აღარ გაგვკარებია, ნანასაც კი გაურბოდა. კარგა ხანს ვინახავდი „საიდუმლოს", მაგრამ როცა ნანა შემიჩნდა, რა მოხდაო, ვეღარ დავუმალე... მალე მივხვდი, ორსულად ვიყავი. კოტე, მე კი არა, ნანასაც აღარ უჩერდებოდა სალაპარაკოდ. ბოლოს, ნანამ იგი მაინც დაიმარტოხელა და ჰკითხა გულგრილობის მიზეზი. იცით, რა უპასუხა? მეგონა, პატიოსანი გოგო მიყვარდა, ის კი პირველსავე შეპატიჟებაზე ჩამიგორდა ლოგინშიო. ეს რომ გავიგე, თავის მოკვლაც მინდოდა. მშობლები ჩემ გამო საშინელ დღეში ჩაცვივდნენ. ჩემთვის არაფერი უთქვამთ, თუმცა ვატყობდი, უსაშველოდ ვატკინე გული და მეც ეს მკლავდა. ერთხანს ბავშვის მოცილებას ვაპირებდი, მაგრამ მერე გაჩენა გადავწყვიტე.

კოტემ ინსტიტუტი დაამთავრა და გაქრა. აღარც მიკითხავს მისი ასავალ-დასავალი. გავაჩინე ბიჭი. მამაჩემს ადრეც აწუხებდა გული, მაგრამ ჩემმა დაუფიქრებელმა ნაბიჯმა სიცოცხლე მოუსწრაფა — ერთ წელიწადში ინფარქტით დაიღუპა. სიცოცხლე აღარ მინდოდა. დედაჩემი მამშვიდებდა, — გამაგრდი, ბავშვი გყავს გასაზრდელიო. არც ნანა იყო ნაკლებ დღეში. იგი დამნაშავედ თვლიდა თავს ჩემი ოჯახის წინაშე. გავიდა დრო და ნანა საჩხერეში დაბრუნდა, მე და ჩემმა შვილმა გავაგრძელეთ ცხოვრება. დედამ მუშაობას თავი დაანება და გიგას ზრდიდა, ყველანაირად მხარში მედგა. ჩემი ძმა დაოჯახდა და ცალკე გადავიდა საცხოვრებლად. მე ერთ ხნიერ ქვრივ კაცს გავყევი ცოლად... ნათქვამია: ზოგს უიღბლობა და მარტოობა დაებედებაო. მეც უიღბლობა მეწერა ალბათ. მეუღლე სამ წელიწადში გარდაიცვალა. მას ერთი ქალიშვილი ჰყავდა, ისიც რუსეთში გათხოვილი; მთელი ავლადიდება მე და გიგას დაგვრჩა...

ახლა კი მთავარი უნდა გითხრათ, რამაც თქვენთან მომიყვანა.

ნანას ჯგუფელები ინსტიტუტის დამთავრების მრგვალ თარიღებს აღნიშნავდნენ ხოლმე. მეც მეპატიჟებოდნენ — მთელი სტუდენტობა თქვენს ოჯახში გავატარეთ და შენც ჩვენი ჯგუფის სრულუფლებიანი წევრი ხარო. მართალი გითხრათ, ყოველთვის მსიამოვნებდა მათთან შეხვედრა. არც ერთ თავყრილობაზე კოტე არ გამოჩენილა. არავინ ახსენებდა ჩემთან მის სახელს და არც მე ვიკლავდი თავს მისი ამბების გამოკითხვით.

შარშან, მაისის ბოლოს, ნანას ჯგუფს ინსტიტუტის დამთავრებიდან 20 წელი უსრულდებოდა. ცხადია, ბანკეტზე მეც მიმიწვიეს. გულში ეჭვადაც არ გამივლია, რომ შეიძლებოდა კოტეც გამოჩენილიყო. ლხინში მე და ნანა ერთად მივედით. ყველა დიდი სიხარულით შემხვდა. კუთხეში ნაცნობი სახე დავლანდე, მისასალმებლად მოვემზადე და ღიმილი პირზე შემაშრა. კოტე იდგა და დაძაბული მომჩერებოდა. წლები დასტყობოდა, შეჭაღარავებულიყო. იმდენად დავიბენი, თავი მექანიკურად დავუქნიე. ნანას ვუსაყვედურე, თუ იცოდი, რომ მოსვლას აპირებდა, მე რატომღა წამომიყვანე-მეთქი. შვილები დაიფიცა, — არ ვიცოდიო. ერთი ხანობა — წასვლა მინდოდა, მაგრამ ბოლოს დარჩენა გადავწყვიტე და კოტეს ჯიბრზე უსაზღვროდ მოვილხინე. მისკენ ორჯერ გავაპარე თვალი. იჯდა მოწყენილი, არც ჭამდა, არც სვამდა, ეწეოდა მხოლოდ და თვალს არ მაშორებდა... მეორე დღეს დამირეკა — შენი და ბავშვის ნახვა მინდაო. სასტიკი უარი ვუთხარი, — მე უკვე მნახე, ბავშვს კი ნუ კითხულობ, „უპატიოსნო" ქალმა არც ვიცი, ვინ არის მამამისი-მეთქი. მერე ნანამ გამომართვა ყურმილი და ცივად მიუგო, — აქ ნუღარ დარეკავო.

მან აბუჩად აიგდო ჩემი წრფელი გრძნობა. მივენდე, რადგან მჯეროდა, ვუყვარდი, მან კი უპატიოსნო მიწოდა და მიმატოვა. ძალიან კარგად იცოდა, რომ ბავშვი გავაჩინე. ერთხელ როგორ არ მოუნდა შვილის ნახვა?

როცა მიხვდა, მისი დანახვაც არ მინდოდა, წერილი გამომიგზავნა. პატიებას მთხოვდა, მემუდარებოდა, შვილი მენახვებინა. უიღბლო კაცი გამოვდექი, მარტოდმარტო დავრჩი, მხოლოდ შენ მიყვარხარ. ალბათ ეშმაკმა მაიძულა იმის გაკეთება, რაც ჩავიდინეო. იქნებ გამამტყუნოთ, მაგრამ ასეთი შეუვალი არასოდეს ვყოფილვარ. შევუთვალე, — სიახლოვეს არ გამეკარო, თორემ პასუხს არ ვაგებ საკუთარ საქციელზე-მეთქი. მართლაც, იმ დღის მერე აღარ გამოჩენილა. არც ვიცი, სად არის ან როგორ არის. დიდი ხნის ფიქრის მერე, გიგას ყველაფერი ვუამბე. იგი ჩემს გვარზეა და ასე იცოდა, რომ მამამისი მის გაჩენამდე გარდაიცვალა. ბიჭმა ყურადღებით მომისმინა და ერთი თქვა მხოლოდ: უარი არ უნდა გეთქვა, უნდა ვენახე, კაცურად მაინტერესებს მასთან შეხვედრა და დალაპარაკებაო. არ ვიცი, რა იქნება ხვალ. ალბათ, გიგა ადრე თუ გვიან შეეცდება ერთხელ მაინც ნახოს მამამისი, მე კი არანაირი სურვილი აღარ მაქვს მასთან შეხვედრისა. მოდით და გამამტყუნეთ: კაცს, რომელმაც სულში ჩამაფურთხა და მეც და შვილიც „ფეხზე დაგვიკიდა", როგორ შეიძლება შევუნდო „ჭაბუკური შეცდომები"? ვიცი, რომ მიტევება საღვთო საქმეა, მაგრამ ვერ ვივიწყებ მის გულქვაობას, რომელმაც ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა...

**მარინა ბაბუნაშვილი**

## კაცმა მითხრა — ნახეთ, ორსულად ხომ არ ვარო

ერთი მეგობარი მყავს, მაკა, სამშობიარო სახლის ექოსკოპიის კაბინეტში მუშაობს. ყოველდღე უამრავ ქალს იღებს, ამიტომაც მისგან სულ სამხიარულო ამბებს ველით. ხანდახან, ასე მგონია, ანეკდოტებს გვიყვება. რამდენიმე დღის წინ ვიღაც ცოლ-ქმარი მისულა მაკასთან. ქალი რვა თვის ორსული ყოფილა. ჩემს მეგობარს კაცისთვის უთქვამს — გარეთ დაელოდეთ მეუღლესო. არა, ვიქნებიო, — გაჯიუტებულა ქმარი. ცოლს კი ექიმისთვის ჩაუჩურჩულებია, — იყოს, ქალბატონო, მაგასაც აინტერესებს ბავშვის ნახვაო.

კაცი თურმე თვალებდაჭყეტილი მისჩერებოდა მონიტორს. ბოლოს, ჩაულაპარაკებია — მაინც ვერაფერი გავიგეო. რისი გაგება გსურდათო, — გაოცებულა ექიმი. მინდოდა მენახა, ბავშვი მე მგავს თუ ჩემს სიდედრსო. თურმე სიდედრი, რომელიც სიცოცხლეს უმწარებდა, ყოველ დილით აგონებდა სიძეს, — წუხელ თქვენი პაწია დამესიზმრა, სულ მე მგავდაო. მართლა რომ დაემსგავსოს, მერე რა მოხდაო, — გამომცდელად უკითხავს მაკას... მერე რა, და ერთი მაგისი დედაცო, — შეუგინებია დაბოღმილს და გავარდნილა გარეთ.



ეგ რაა. ამას წინათ ერთი კაცი მისულა მაკასთან: — ექიმო, მუცელი მტკივა, თანდათან მეზრდება კიდეც. თანაც სიმპტომებიც ისეთი მაქვს, როგორიც ჩემს ცოლს ჰქონდა ორსულობისას. ნახეთ, რა მჭირს, მეც ორსულად ხომ არა ვარო. მაკას ჰგონებია, მეხუმრებაო, მაგრამ ნამეტანი რომ დაუჟინია კაცს გასინჯვა და მუცელმოშიშვლებული ტახტზეც დიდი ამბით გაშოტილა, რაღას იზამდა, გაუსინჯავს. რა თქმა უნდა, ორსულად არ იყო, მაგრამ ღვიძლის სერიოზული დაავადება კი აღმოსჩენია.

— იმ დღეს კიდევ ერთი კაცი მომადგა — მარტო ორსულებსა სინჯავთო? არა-მეთქი. აბა, ნახე ერთი, ამ ოხერ მუცელში რა გამეჭედაო...

ერთხელ მოხუცი ქალი მოვიდა — ორსულად უნდა ვიყოო. გავკვირდი, — რამდენი წლისა ბრძანდებით-მეთქი. 76-ის, მეუღლეც კარგა ხანია მიწას მივაბარე, მაგრამ სიზმრებში არ მასვენებსო... მოხუცს შარდის ბუშტი აწუხებდა და ეგონა, ფეხმძიმედ იყო. ერთი გენახათ, როგორ მლოცა...

ის იყო, მაკამ თხრობა დაასრულა, კარი კიდევ ერთმა ჩვენმა მეგობარმა გინეკოლოგმა შემოაღო და ცხელ-ცხელი ამბები შემოგვამატა:

— ორი თვის წინ კაბინეტის კარი შველივით გოგომ შემოაღო და წინ დამისკუპდა. იქნებოდა ასე, 17-18 წლის: — ფეხმძიმედ არა ვარ, მაგრამ თქვენ უნდა თქვათ, რომ ვარ. თუ ამას არ გააკეთებთ, ოჯახი დამენგრევაო. თურმე ბიჭის „შებმა" უნდოდა და ვიდრე შეაბამდა, გინეკოლოგების „შესაბმელად" დადიოდა კაბინეტ-კაბინეტსა და სამშობიაროსამშობიაროში. რატომღაც ვუთხარი, — თანახმა ვარ, ოღონდ ერთი პირობით — ჯერ ბიჭი უნდა მანახვო-მეთქი. ხუთ წუთში ბიჭიც მომგვარა. სახტად დავრჩი: ჩემი ნათესავი, 18 წლის ცოტნე შემრჩა ხელში. გაფითრდა, რომ დამინახა. არც ვაციე, არც ვაცხელე და გოგოს მივახალე: — ეს ბიჭი ჩემს ხელში გაჩნდა, დედამისი მე ვამშობიარე. მას დაბადებიდან ისეთი დეფექტი დაჰყვა, რომ შვილი არ ეყოლება და აბა, ამისგან როგორ იქნები ორსულად-მეთქი. არა, ვარო, — დაიჟინა ურცხვად. ჰოდა, წამოდი და ცოტნეს თვალწინ გაგსინჯავ-მეთქი. მდუღარეგადასხმულივით გავარდა გარეთ, — დაასრულა ლელამ.

მერე ამ მთისა და იმ მთისაც ვთქვით, რომელსაც სხვა დროს მოგიყვებით და გაგართობთ...

**ეკა ლომიძე**

## გამოხმაურება
## არ მინდა იგივე დამემართოს, რაც „დედის წერილებში" მოთხრობილი

მინდა გამოვეხმაურო თქვენს რუბრიკაში გამოქვეყნებულ „დედის წერილებს". დარწმუნებული ვარ, რომ ნანას შვილების მონატრებამ და დარდმა გაუჩინა სიმსივნე...

ორი წლის წინ ჩემი მეუღლე ოჯახიდან წავიდა და ჩემზე 10 წლით უმცროსი ქალი შეირთო ცოლად. 15 წელი ვიცხოვრეთ ერთად. გვყავს ორი გოგონა, 16 და 12 წლის. ამ 15 წელიწადში მისგან ათასნაირი შეურაცხყოფა ავიტანე, რადგან არ მინდოდა შვილები უმამოდ დარჩენილიყვნენ, ვიზიარებდი ქართველი ქალების შეხედულებას — ოჯახს როგორ დავანგრევ... ბავშვებს დედასთან ერთად მამაც უნდათო და ა.შ. დიახ, მამაც უნდათ, მაგრამ მამასაც გააჩნია. უნდათ კი ისეთი მამა, რომელიც დღენიადაგ ნასვამია და ცოლ-შვილს აყვედრის, — მე გარჩენთო! ამ გაჭირვებაში ჩემი ქმარი არც შემეკითხებოდა, სტუმრისთვის მქონდა თუ არა რამე დაზოგილი, ისე მომაყენებდა კარზე ამფსონებს. თვითონ გალეშილს მაგიდაზე ჩამოეძინებოდა, მე და ჩემ შვილებს კი იმ უცხო ხალხს შეგვატოვებდა. მერე გაიღვიძებდა და აღარ ვიცოდით, სად დავმალვოდით მის რისხვას. ამდენმა შიშმა და ნერვიულობამ სიმსივნე გამიჩინა. ოპერაციისთვის 500 დოლარი მომთხოვეს. სად მქონდა? ამასობაში ქმარი ოჯახიდან წავიდა და ბინის გაყიდვა მომთხოვა. წაგვართვა ფული და დაგვყარა ქუჩაში. თვითონ კი ერთ კვირაში ცოლი მოიყვანა. ჩემიანები დამეხმარნენ, თავშესაფარი მიშოვეს. სიცოცხლე აღარ მინდოდა, მაგრამ რომ შევხედავდი ჩემი ორი ანგელოზის შიშით გაფართოებულ თვალებს, გამახსენდებოდა ჩემი ქმრის სისასტიკე ან წარმოვიდგენდი, რა მოუვიდოდათ ბავშვებს ჩემი სიკვდილის შემდეგ, სისხლი მეყინებოდა. როგორც იქნა, ვისესხე ფული და გავიკეთე ოპერაცია. დღეს ცოტა არა მიშავს, მაგრამ ხომ იცით, დღევანდელი ცხოვრება, ვინ რას მოგცემს, თუ ხელი არ გაანძრიე? იძულებული ვარ, ვიმუშაო, თუმცა ძალიან მიჭირს, მალე ვიღლები. შვილების მამა ორი წელია ერთი თეთრითაც არ დაგვხმარებია... არც აინტერესებს, ბავშვები რას ჭამენ, რას სვამენ... ის კი არა, როცა გაიგო, სასამართლოში ალიმენტის დანიშვნის თაობაზე განცხადების შეტანას ვაპირებდი, დამირეკა და გამომლანძღა. ეს ბავშვები ჩემი შვილები არ არიან და სასამართლო ფეხებს ვერ მომჭამსო, — ბრძანა. არადა რა ვქნა, ალიმენტი მე ხომ არ მომიგონია, ჩემთვის არაფერს ვითხოვ, მის შვილებს აღარაფერი სჭირდებათ?

ჯანმრთელობა ხელს არ მიწყობს, რომ ფიზიკურადაც ვიმუშაო, თორემ არც ამაზე დავიხევდი უკან. რასაც ვილებ, იმასაც ბინის ქირაში ვიხდი... ამას წინათ გადავწყვიტე უცხოეთში სამუშაოდ წასვლა, მაგრამ „დედის წერილების" წაკითხვამ გადამაფიქრებინა — ვაითუ, იქ რამე დამემართოს და შვილების ნახვას ვეღარც ვეღირსო-მეთქი. აღარც იმ ხნისა ვარ, ახალ პროფესიას დავეუფლო... მოგეხსენებათ, ყველგან ახალგაზრდა კადრები სჭირდებათ, იმ ადამიანებმა რა დააშავეს, რომლებსაც გამოცდილება და მუშაობის უნარი აქვთ? ბუღალტერი ვარ, თითქოს საჭირო სპეციალობა მაქვს, მაგრამ... აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. ორ ისეთ ქართველ ქალს ვუზრდი საქართველოს, რომ მათ მსგავსთ ბევრი ოჯახი ინატრებდა. იქნებ მირჩიოთ რამე, არ ვიცი, რა გზას დავადგე...

**თქვენი ერთგული მკითხველი,**
**მ. ხაჩიძე**





1. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში
2. „შუამავალი" ადამიანებსა და სულებს შორის
3. ხელაპის სახეობა
4. ჭადრაკის ფიგურა
5. ინდოელ ქალთა სამოსი
6. ქართველი მხატვარი, პრიმიტივისტი
7. ძვირფასი ლითონი
8. ჩუქურთმიანი ქვა ან ნიჟარა
9. აშშ-ის შტატი
10. ქალის პირბადე
11. მთვარის ფორმა
12. სახროლეთი
13. ალმაცერი
14. საზაფხულო ფეხსაცმელი
15. ავტომობილის კორპუსი
16. პარამხანის მსახური ქალი
17. დადებითად დამუხტული ელექტროდი
18. ციტრუსი
19. ბოკაჩოს ნაწარმოები
20. სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები
21. სახელმწიფო აზიაში
22. მდინარე აზიაში
23. საჭრელი იარაღი
24. ესპანური წყვილთა ცეკვა
25. ჭიდაობის სახეობა
26. მხედართმთავარი
27. ჭრილობა
28. კრება ძვ. საბერძნეთში
29. სახოტბო ლექსი
30. ქარისგან მოტანილი სილის ბორცვი
31. სააღდგომო ნამცხვარი
32. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი
33. ძლიერი, შეუპოვარი
34. ჩაცმა-დახურვას გადაყოლილი მამაკაცი
35. ჟირაფის იშვიათი სახეობა
36. პარიკმახერი
37. სუფრის ხელმძღვანელი
38. ბიბლიის ათი მცნება
39. ზანდუკი
40. ... მერფი
41. კულტურის დაქვეითება
42. ღორების ჯოგი
43. თოფის სამიზნე
44. ალბანეთის ფულის ერთეული
45. აფრიკელთა მეტსახელი
46. პერსონალური შეცდომა კალათბურთში
47. საფოსტო ნიშანი
48. ბარათაშვილის ერთ-ერთი ლექსი
49. საზოგადოების ეკონომიკური წყობა
50. ერთგვარი ნარკოტიკი
51. გემის მზარეული
52. კვირის დღე
53. გამომძახილი
54. პუნების ბელადი
55. პარკოსანი მცენარე
56. საბერძნეთის დედაქალაქი
57. მინერალური ლურჯი საღებავი
58. ხერხემლის ძვალი
59. ნაბიჯი ბალეტში
60. ზრდილობიანი მიმართვა იაპონიაში
61. ორცოლიანობა ან ორქმრიანობა
62. ბრედ ...
63. ქალაქი საფრანგეთში
64. შხამიანი გველი







**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. ტრიბუნა; 2. ქირომანტია; 3. ბატალიონი; 4. ულისე; 5. აკინი; 6. ტროტილი; 7. ლონდონი; 8. თინა; 9. ნადირაშვილი; 10. ბიზონი; 11. ნაბათი; 12. მასონი; 13. იგუანა; 14. დიაკონი; 15. ალენი; 16. ჩირი; 17. ოპაკი; 18. ინდივიდი; 19. მაგია; 20. ტოტო; 21. ბანანი; 22. კაზინო; 23. კიურე; 24. პაროლი; 25. ლავა; 26. დაიმი; 27. ბრასლეტი; 28. შივა; 29. სარდინია; 30. ვანდალი; 31. ფასადი; 32. როისი; 33. მარალი; 34. სიონი; 35. ბალადა; 36. აიდა; 37. ტენორი; 38. რანდა; 39. ბაბილონი; 40. რიწა; 41. ლიტრი; 42. სეინერი; 43. ოლე; 44. გნუ; 45. რაცია; 46. დიალოგი; 47. ლიმა; 48. განა; 49. ცედრა; 50. ზაქი; 51. აბე; 52. შუ; 53. ვირი; 54. დრო; 55. ჯვარი; 56. იშტა; 57. მთვარე; 58. რთველი; 59. რომი; 60. ლიბერო; 61. მენი; 62. რემა; 63. ბორჯომი; 64. მანგანუმი; 65. სიდრი; 66. ატოლი.
1. ტიტანიკი; 2. ჩარლის ანგელოზები; 3. ტროა; 4. ჯაშუშთა თამაშები.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები

შეადგინა ვანო კაჭახიძემ

## ორშაბათი 8 ნოემბერი

ქვირის პალიტრა

07.30 ალიონი 09.40 სერიალი „გადაადგილების საშუალებანი„ 10.00 „იმღერე რამე" 10.30 მხ. ფილმი „ძახილი„ (U) 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 სერიალი „ცხელი ზაფხული" 13.00 კონცერტი — „ფორტუნა" 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.25 იცხოვრეთ იოდდეფიციტის გარეშე 15.20 „ფორტუნა" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს„ 16.30 ფრაგმენტები სურათისთვის 17.00 სერიალი „გადაადგილების საშუალებანი„ 17.25 ჩემი მშვენიერი ლედი 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „თავგადასავლები კარიბის ზღვაზე" 19.00 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 20.00, 23.00 მოამბე 21.05 სერიალი „ცხელი ზაფხული" 22.00 ღამის მატარებელი 00.00 მხ. ფილმი „მშვენიერი ხანა„ (U)

19.00 საბ. სერიალი „გადაადგილების საშუალებანი" 19.25 სერიალი „კარიბის გული" 20.15 „იმღერე რამე" 20.45 ბასტი-ბუბუ 21.00 ფრაგმენტები სურათისთვის 22.35 მხ. ფილმი „ხაფანგი თანამდებობის სახით„ (U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეპუზები" 10.00 სერიალი „ქალები და ვარდები" 11.00 ღამის შოუ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40 კურიერი 12.20 სერიალი „შეყვარებული ქალები" 13.30 სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები" 15.25 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 16.30 სერიალი „ქალები და ვარდები" 17.25 პერეკრიოსტოკი 18.20 „რობოტი და რობოტუნა" 18.55 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 19.40 პატრული 19.50 სერიალი „შეყვარებული ქალები" 22.00 თამაში „ყველაზე ჭკვიანი" 23.00 დოკ. ფილმი „კუნძულის მკვლელობა„ (ბი-ბი-სი) 00.00 მხ. ფილმი „ამერიკელი სამურაი" (12) (დევიდ ბრედლი) 02.00 პატრული

07.00 სერიალი „უკიდურესი ზღვარი" 07.30 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.05 „იმედის" დილა 09.20 „დუბლიორი" 10.05 სერიალი „ტყუპები" 11.15 დროება 12.40, 16.25, 02.30 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი „მარგინალი" (U) (ბელმონდო) 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.20 ქრონიკა 15.20 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 16.40 დოკ. სერიალი „საუკუნის გამორჩეული ქალბატონები" 17.25 ვაკაკი-ნიუსი 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.55 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 20.55 სერიალი „ჟავა და ლუდი" 22.50 სერიალი „კექსი დიდ ქალაქში" 1-ლი ს. 23.10 საქმე N 23.40 „არჩევანი თქვენ" 00.55 სპ. პროგრამა „გოლი" 01.25 სერიალი „ნეშ ბრიჯესი„ 03.00 იმედის მელოდიები

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 ტელეჟურნალი „სცენა" 09.30 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 10.00 სერიალი „სინიორ ვიანელი" 10.30 სერიალი „პატარა დიდი ბოზი" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 სერიალი „ჩინტო ვეტრინე" 12.05 ერთი ჟურნალისტის მზერა თ. ჩიხლაძე 13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 14.15 არჩევანის ზღვარზე 15.10 შემეცნებითი პროგრამა „ტაიმლოტი" 16.05 სერიალი „მარია ემილია" 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 17.20 სერიალი „პოლიციელი ქალები" 18.20 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 18.50 სერიალი „ჩინტო ვეტრინე" 20.45 სერიალი „სინიორ ვიანელი„ 21.15 სერიალი „პატარა დიდი ბოზი" 21.45 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 22.45 „არჩევანის ზღვარზე„ 23.45 მხ. ფილმი "არაბახა„ (15) (როს კუმლი)

18.00 მინისერიალი „ადვოკატთა ბიურო" 1-ლი ს. 19.05 დოკ. ფილმი 20.05 კონცერტი 22.00 მხ. ფილმი „უსახლკარო„ (U) 1-ლი ს.

11.00 ვარსკვლავები გვამცნობენ 13.00 საბავშვო პროგრამა „ინკოგნიტო" 14.00 ინდ. მხ. ფილმი „ძვირფასი რაჯა" (U) 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.20 სერიალი „მილედი" 19.20 სპექტრი 21.00 ქართული მუსიკა 22.30 „საქმე და ეკონომიკა" 23.00, 00.30 ქართული მუსიკა

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.20 სათავგადასავლო ფილმი „ზანძი„ 10.50 ისტორიული ფილმი „ჟანა დ არკი„ 11.30, 14.30, 17.30, 20.30 საინფორმაციო გამოშვება 11.45 ისტორიული ფილმი „ჟანა დარკი„ (გაგრძელება) 13.35 კომედია „გამარჯობათ, მე თქვენი დეიდა ვარ„ 1-ლი ს. 14.45 ბოევიკი „შირი„ 16.50 მულტფილმი 17.45 მუსიკა 18.00 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 18.15 მელოდრამა „მეგი თვალები„ 20.10 მუსიკა 21.00 თრილერი „ორნი ქალაქში„ 22.35 დოკუმენტური ფილმი 23.30 საინფ. დაიჯესტი 23.45 მისტიკა „იდენტიფიკაცია„

06.00, 10.00, 12.00, 18.00 Новости. 06.10 Майкл Белл в фильме "ЖЕЛАНИЕ ЛЕТАТЬ" 06.30 Динозавры в фильме "Земля до начала времен". 07.40 Олег Борисов в комедии "СТЕЖКИ-ДОРОЖКИ" 09.00 "Пестрая лента". Олег Борисов. 10.10 "Непутевые заметки" 10.30 Пока все дома. 11.10 Тайны века. "Выстрелы у "Дома на набережной". 12.10 Клара Лучко в детективе "ЛАРЕЦ МАРИИ МЕДИЧИ". 14.00 "Эскадроны смерти против Пабло Эскобара". 15.00 "Московская сага". Кинороман. Том I. 18.00 Вечерние новости. 18.10 Александр Масляков и "КВН-2004". 21.00 Время 21.45 Том Хэнкс в суперфильме "ИЗГОЙ". 00.20 Бокс. Костя Цзю - Шармба Митчелл. 01.30 Эрик Робертс в боевике "РАПТОР" 03.20 Билли Боб Торнтон в комедии "ПАПАША И ДРУГИЕ" 04.50 Сериал "УБОЙНЫЙ ОТДЕЛ".

## სამშაბათი 9 ნოემბერი

07.30 ალიონი 09.40 სერიალი „გადაადგილების საშუალებანი„ 10.00 „იმღერე რამე" 10.30 მხ. ფილმი „მშვენიერი ხანა„ (U) 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 სერიალი „ცხელი ზაფხული" 13.00 „მატარებელი„ 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 ლერერის შოუ 15.20 „ანშლაგი" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 დოკ. სერიალი „დიზაინი" 16.30 ისტორიანი 17.00 სერიალი „გადაადგილების საშუალებანი„ 17.25 დოკ. ფილმი „ამერიკის ბიოგრაფია" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „თავგადასავლები კარიბის ზღვაზე" 19.00 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „ცხელი ზაფხული" 22.00 ქიმერიონი 00.00 მხ. ფილმი „ცეცხლთან თამაში„ (U)

19.00 საბ. სერიალი „გადაადგილების საშუალებანი" 19.25 სერიალი „კარიბის გული" 20.15 „იმღერე რამე" 20.45 ბასტი-ბუბუ 21.00 ლერერის შოუ 21.40 ანშლაგი 22.50 მხ. ფილმი „ხსოვნა„ (U) 1-ლი ს.

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეპუზები" 10.00 სერიალი „ქალები და ვარდები" 11.00 თამაში „ყველაზე ჭკვიანი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.45 კურიერი 12.20 სერიალი „შეყვარებული ქალები" 13.30 მხ. ფილმი „ამერიკელი სამურაი" 15.25 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 16.30 სერიალი „ქალები და ვარდები" 17.25 „ტელეპუზები" 18.20 „რობოტი და რობოტუნა" 18.55 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 19.40 პატრული 19.50 სერიალი „შეყვარებული ქალები" 22.00 ღამის შოუ 23.00 ნ. ქაჯაიას რეპორტაჟი ირანიდან 00.00 მხ. ფილმი „აგვისტო" (15) (ენტონი ჰოპკინსი) 02.05 პატრული

07.00 სერიალი „უკიდურესი ზღვარი" 07.30 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.10 „იმედის" დილა 09.20 „დუბლიორი" 10.05 სერიალი „ტყუპები" 11.15 სერიალი „ჟავა და ლუდი" 12.20, 04.15 იმედის მელოდიები 12.40, 16.25, 03.45 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი „ჰენი" (U) (ი. დანკუნაიტე) 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.35 ქრონიკა 15.20 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 16.40 დოკ. სერიალი „საუკუნის გამორჩეული ქალბატონები" 17.25 სპ. პროგრამა „გოლი" 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.55 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 20.55 სერიალი „ჟავა და ლუდი" 22.40 სერიალი „კექსი დიდ ქალაქში" მე-2 ს. 23.00 „პირველები" 23.40 მხ. ფილმი „მუსიკალური ზარდახშა" (12) (ჯ. ლანჯი) 01.45 სერიალი „ნეშ ბრიჯესი" 02.40 „გოლი - სერია „A" (იტალიის ჩემპიონატი)

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 ტელეჟურნალი „მოდა" 09.30 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 10.00 სერიალი „სინიორ ვიანელი" 10.30 სერიალი „პატარა დიდი ბოზი" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 სერიალი „ჩინტო ვეტრინე" 12.05 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 14.15 არჩევანის ზღვარზე 15.10 შემეცნებითი პროგრამა „ტაიმლოტი" 16.05 სერიალი „მარია ემილია" 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 17.20 სერიალი „პოლიციელი ქალები" 18.20 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 18.50 სერიალი „ჩინტო ვეტრინე" 20.45 სერიალი „სინიორ ვიანელი„ 21.15 სერიალი „პატარა დიდი ბოზი" 21.45 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 22.45 „არჩევანის ზღვარზე„ 23.45 მხ. ფილმი "კანონის მიღმა„ (15) (კიფერ საზერლენდი)

18.00 მინისერიალი „ადვოკატთა ბიურო" მე-2 ს. 19.05 დოკ. ფილმი 20.05 კონცერტი 22.00 მხ. ფილმი „უსახლკარო„ (U) მე-2 ს.

14.00 ქართული მუსიკა 16.00 „საქმე და ეკონომიკა" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 სერიალი „მილედი" 19.20, 21.00 სპექტრი 22.30 „საქმე და ეკონომიკა" 23.00 მხ. ფილმი „შავი მთვარის ქალბატონი„ 00.30 ქართული მუსიკა

09.00 საინფ. დაიჯესტი 09.20 სათავგადასავლო ფილმი „საპაერო ბიურო„ 10.50 ისტორიული ფილმი „ანა და მეფე„ 11.30, 14.30, 17.30, 20.30 საინფორმაციო გამოშვება 11.45 ისტორიული ფილმი „ანა და მეფე„ (გაგრძ.) 13.35 კომედია „გამარჯობათ, მე თქვენი დეიდა ვარ„ მე-2 ს. 14.45 მხ. ფილმი „საზიზღარი კოიოტი„ 16.25 მულტფილმი 17.45 მუსიკა 18.00 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 18.15 დრამა „ბასრი საპარიკმახერო„ 21.00 კომედია „არჩევანი თქვენზეა, მადამ„ 22.25 დოკუმენტური ფილმი 23.30 საინფ. დაიჯესტი 23.45 თრილერი „რიპლის თამაში„

06.00 "Доброе утро". 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20 Фильм Карена Шахназарова "ВСАДНИК ПО ИМЕНИ СМЕРТЬ". 11.20 "Смехопанорама". 12.20 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30 Дисней-клуб: "Новые приключения Винни Пуха". 13.50 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 15.20 "Угадай мелодию" 15.50 "Последний герой". Суперигра. 17.00 "Пять вечеров". Вторник. 18.20 "Александре Пахмутовой. С любовью...". 19.00 Сериал "КЛОН". 19.50 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30 Время. 21.30 Сериал "МОСКОВСКАЯ САГА". 22.40 "Человек и закон" 23.50 Док. фильм "Формула стены". 00.30 "Фабрика звезд". 00.50 Сканер. "Капризы "звезд". 01.20 Дэвид Спейд в комедии "ПРИКЛЮЧЕНИЯ ДЖО ГРЯЗНУЛИ" 02.40 Ричард Прайор в комедии "ВТОРОЕ Я" 04.20 Сериал "УБОЙНЫЙ ОТДЕЛ". 05.05 "Неизвестная планета". "Расшифрованные майя".

## ოთხშაბათი 10 ნოემბერი

07.30 ალიონი 09.40 სერიალი „გადაადგილების საშუალებანი„ 10.05 „იმღერე რამე" 10.35 მხ. ფილმი „ცეცხლთან თამაში„ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 სერიალი „ცხელი ზაფხული" 13.05 ქიმერიონი 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი „ცეკვის ენა" 15.20 „სალამის საუბრები" - ს. თვარაძე 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 დოკ. სერიალი „დიზაინი" 16.30 „ეძიე ქალი" 17.00 მულტსერიალი „გადაადგილების საშუალებანი„ 17.25 დოკ. სერიალი „ამერიკის ბიოგრაფია„ 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „თავგადასავლები კარიბის ზღვაზე" 19.00 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „ცხელი ზაფხული" 22.00 „მიამბეთ თქვენზე" 00.00 მხ. ფილმი „ცეცხლთან თამაში„ მე-2ს.

19.00 საბ. სერიალი „გადაადგილების საშუალებანი" 19.25 სერიალი „კარიბის გული" 20.15 „იმღერე რამე" 20.45 ბასტი-ბუბუ 21.00 დოკ. სერიალი „ცეკვის ენა" 21.50 „ეძიე ქალი„ 22.05 ქიმერიონი 22.40 მხ. ფილმი „ხსოვნა„ (U) მე-2 ს.

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეპუზები" 10.00 სერიალი „ქალები და ვარდები" 11.00 ღამის შოუ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 12.20 სერიალი „შეყვარებული ქალები" 13.30 მხ. ფილმი „აგვისტო" 15.25 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 16.30 სერიალი „ქალები და ვარდები" 17.25 „ტელეპუზები" 18.20 „ადამიანი ობობა" 18.55 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 19.40 პატრული 19.50 სერიალი „შეყვარებული ქალები" 22.00 ხალხის პირისპირ 00.00 მხ. ფილმი „ტელემაღაზია „ფრანგბუტიკი" (15) (ნატალი ბეი) 02.10 პატრული

07.00 სერიალი „უკიდურესი ზღვარი" 07.30 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.10 „იმედის" დილა 09.20 „დუბლიორი" 10.05 სერიალი „ტყუპები" 11.15 სერიალი „ჟავა და ლუდი" 12.20, 03.35 იმედის მელოდიები 12.40, 16.25, 03.05 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი „ცხოვრება კადრს მიღმა" (U) 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.55 ქრონიკა 15.20 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 16.40 დოკ. სერიალი „საუკუნის გამორჩეული ქალბატონები" 17.25 პოლიციის აკადემია 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.55 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 20.55 სერიალი „ჟავა და ლუდი" 22.30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. (პ. რეპ.) 00.25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. (ვ.ჩ.) 02.00 სერიალი „ნეშ ბრიჯესი"

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 შემეცნ. გასართ. პროგრამა „დები ტრევისის საოცარი სახლი" 09.30 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 10.00 სერიალი „სინიორ ვიანელი" 10.30 სერიალი „პატარა დიდი ბოზი" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 სერიალი „ჩინტო ვეტრინე" 12.05 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 14.15 არჩევანის ზღვარზე 15.10 შემეცნებითი პროგრამა „ტაიმლოტი" 16.05 სერიალი „მარია ემილია" 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 17.20 სერიალი „პოლიციელი ქალები" 18.20 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 18.50 სერიალი „ჩინტო ვეტრინე" 20.45 სერიალი „სინიორ ვიანელი„ 21.15 სერიალი „პატარა დიდი ბოზი" 21.45 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 22.45 „არჩევანის ზღვარზე„ 23.45 მხ. ფილმი "გოგონა ხიდზე„ (18) (დანიელ ოტეი)

18.00 მინისერიალი „ადვოკატთა ბიურო" მე-3 ს. 19.05 დოკ. ფილმი 20.05 კონცერტი 22.10 მხ. ფილმი „უსახლკარო„ (U) მე-3 ს.

14.00 მხ. ფილმი „შავი მთვარის ქალბატონი„ 15.00 ქართული მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.20 სერიალი „მილედი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „ლეგენდა სიყვარულზე„ 23.00, 00.30 ქართული მუსიკა

09.00 საინფ. დაიჯესტი 09.20 სათავგადასავლო ფილმი „პაერის მეფე ბრუნდება„ 10.50 ისტორიული ფილმი „უკანასკნელი რაინდი„ 1-ლი ს. 11.30, 14.30, 17.30, 20.30 საინფორმაციო გამოშვება 11.45 ფილმი „უკანასკნელი რაინდი„ (გაგრძ.) 12.15 კომედია „ოქროს კარავი„ 1-ლი ს. 13.25 დოკუმენტური ფილმი 14.45 თრილერი „სასოწარკვეთის საათი„ 16.25 მულტფილმი 17.45 მუსიკა 18.00 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 18.15 კომედიური ბოევიკი „ჯაშუში ვარ„ 19.50 დოკუმენტური ფილმი 21.00 მისტიკა „მეექვსე გრძნობა„ 22.45 მუსიკა 23.00 „ზღვარი„ (ზ. ჭკუასელი) 23.30 საინფ. დაიჯესტი 23.45 მელოდრამა „სილვია„

06.00 "Доброе утро". 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20 Андрей Мягков в детективе "РАССЛЕДОВАНИЕ". 10.50 Сериал "КЛОН". 11.30 Док. детектив. "Ограбление под заказ". Дело 2002 г. 12.20 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.20 Дисней-клуб: "Лило и Стич". 13.50 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 15.20 "Угадай мелодию" 15.50 Сериал "СТИЛЕТ". 17.00 "Пять вечеров". Среда. 18.20 Прикл. фильм "По данным уголовного розыска...". 19.40 ПРАЗДНИЧНЫЙ КОНЦЕРТ К ДНЮ МИЛИЦИИ. 21.00 Время. 21.30 ПРОДОЛЖЕНИЕ КОНЦЕРТА 23.50 Виталий Соломин в фильме "ЧЕРНЫЙ КВАДРАТ"

## ხუთშაბათი 11 ნოემბერი

07.30 ალიონი 09.40 მულტსერიალი „გადაადგილების საშუალებანი„ 10.05 „იმღერე რამე" 10.30 მხ. ფილმი „ცეცხლთან თამაში„ მე-2 ს. 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 სერიალი 13.00 მიამბეთ თქვენზე 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი „ველური კამერები„ 15.20 დოკ. ფილმი „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 დოკ. სერიალი „დიზაინი" 16.30 „მრავალჟამიერ" 17.00 მულტსერიალი „გადაადგილების საშუალებანი„ 17.30 დოკ. ფილმი „ევროპის ახალი სახე" - უნგრეთი 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი 19.00 „განათლების პროექტი საქართველოში" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი 22.00 ღამის მატარებელი 00.00 მხ. ფილმი „შემსრულებელი„ (U)

19.00 საბ. სერიალი „გადაადგილების საშუალებანი" 19.25 სერიალი „კარიბის გული" 20.15 „იმღერე რამე" 20.45 ბასტი-ბუბუ 21.00 მრავალჟამიერ 21.25 დოკ. ფილმი „ევროპის ახალი სახე"-უნგრეთი 21.50 „მიამბეთ თქვენზე„ 22.15 დოკ. ფილმი „ევროპის ახალი სახე" 22.35 მხ. ფილმი „მოკვლევი„ (U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეპუზები" 10.00 სერიალი „ქალები და ვარდები" 11.00 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 12.20 სერიალი „შეყვარებული ქალები" 13.30 მხ. ფილმი „ტელემაღაზია „ფრანგბუტიკი" 15.25 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 16.30 სერიალი „ქალები და ვარდები" 17.25 „ტელეპუზები" 18.20 „ადამიანი ობობა" 18.55 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 19.40 პატრული 19.50 სერიალი „შეყვარებული ქალები" 22.00 „ვის უნდა 50 ათასი" 23.00 დოკ. ფილმი „ყველაზე მდიდრული სახლები„ (ბი-ბი-სი) 00.00 მხ. ფილმი „სისხლიანი კრუიზი". მთ. რ-ში: იურგენ პროხნოვი (18). 02.10 პატრული

07.00 სერიალი „უკიდურესი ზღვარი" 07.30 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.10 „იმედის" დილა 09.20 „დუბლიორი" 10.05 სერიალი „ტყუპები" 11.15 სერიალი „ჟავა და ლუდი" 12.20, 03.45 იმედის მელოდიები 12.40, 16.25, 03.15 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი „ჯონი მნემონიკი" (U) (კიანუ რივზი) 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.45, 22.00, 03.05 ქრონიკა 15.20 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 16.40 დოკ. სერიალი „საუკუნის გამორჩეული ქალბატონები" 17.25 თამაში „ათასიდან ერთი შანსი" 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.55 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 20.55 სერიალი „ჟავა და ლუდი" 22.50 სერიალი „კექსი დიდ ქალაქში" მე-3 ს. 23.10 „პირველი ნახევარი" 23.40 თამაში „ათასიდან ერთი შანსი" 00.10 მხ. ფილმი „სუპერ ჯაშუში" (12) (ლ. ნილსონი) 02.10 სერიალი „ნეშ ბრიჯესი"

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 ტელეჟურნალი „ჰოლივუდი დღეს„ 09.30 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 10.00 სერიალი „სინიორ ვიანელი" 10.30 სერიალი „პატარა დიდი ბოზი" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 სერიალი „ჩინტო ვეტრინე" 12.05 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 14.15 არჩევანის ზღვარზე 15.10 შემეცნებითი პროგრამა „ტაიმლოტი" 16.05 სერიალი „მარია ემილია" 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 17.20 სერიალი „პოლიციელი ქალები" 18.20 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 18.50 სერიალი „ჩინტო ვეტრინე" 20.45 სერიალი „სინიორ ვიანელი„ 21.15 სერიალი „პატარა დიდი ბოზი" 21.45 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 22.45 „არჩევანის ზღვარზე„ 23.45 მხ. ფილმი "ამბავი საგრალო შეყვარებულებისა„ (U) (მარჩელო მასტროიანი)

18.00 მინისერიალი „ადვოკატთა ბიურო" მე-4 ს. 19.05 დოკ. ფილმი 20.05 კონცერტი 22.05 მხ. ფილმი „საუზმე ტიფანისთან„ (15)

14.00 მხ. ფილმი „ლეგენდა სიყვარულზე" 15.00 ქართული მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.20 სერიალი „მილედი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „თანამგზავრი" (U) 23.00, 00.30 ქართული მუსიკა

09.00 საინფ. დაიჯესტი 09.20 სათავგადასავლო ფილმი „ავენტი კოდი ბენძი„ 11.00 ისტორიული ფილმი „უკანასკნელი რაინდი„ მე-2 ს. 11.30, 14.30, 17.30, 20.30 საინფორმაციო გამოშვება 11.45 ფილმი „უკანასკნელი რაინდი„ (გაგრძ.) 12.30 კომედია „ოქროს კარავი„ მე-2 ს. 14.05 მუსიკა 14.45 თრილერი „გატაცება 60 წამში„ 16.25 მულტფილმი 17.45 მუსიკა 18.00 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 18.15 მელოდრამა „ცისფერი მანქანა„ 19.40 დოკუმენტური ფილმი 21.00 ბოევიკი „ჰოლივუდელი კოპები„ 22.55 მუსიკა 23.30 საინფ. დაიჯესტი 23.45 კომედია „ადაპტაცია„

06.00 "Доброе утро". 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20, 21.30 Сериал "МОСКОВСКАЯ САГА". 10.30 Леонид Неведомский в фильме "ПО ДАННЫМ УГОЛОВНОГО РОЗЫСКА..." 12.20 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30 Дисней-клуб: "Утиные истории". 13.50 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 15.20 "Угадай мелодию" 15.50 Сериал "СТИЛЕТ-2". 17.00 "Пять вечеров". Четверг. 18.20 "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. 19.00 Сериал "КЛОН". 19.50 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30 Время. 22.40 Спецназ. "Засаду "волчьей ямы". 23.50 "Фабрика звезд". 00.10 Ударная сила. "Калашников".

## პარასკევი 12 ნოემბერი

07.30 ალიონი 09.40 მულტსერიალი „გადაადგილების საშუალებანი„ 10.00 „იმღერე რამე" 10.30 მხ. ფილმი „შემსრულებელი„ (U) 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 სერიალი 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი „ლენინის შეცდომა„ 15.15 „ასე ვცხოვრობთ" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 დოკ. სერიალი „დიზაინი" 16.30 „ისტორიანი" 16.55 მულტსერიალი „გადაადგილების საშუალებანი„ 17.20 დოკ. ფილმი „ევროპის ახალი სახე" - ლიტვა 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი 19.00 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი 22.00 „აუდიტორია" 00.00 მხ. ფილმი „მჟუდრო სავანე„ (U)

19.00 საბ. სერიალი „გადაადგილების საშუალებანი" 19.25 სერიალი „კარიბის გული" 20.15 „იმღერე რამე" 20.45 ბასტი-ბუბუ 21.00 დოკ. ფილმი „ველური კამერები„ 21.50 აფხაზეთის ტელევიზია 22.20 დოკ. ფილმი „ევროპის ახალი სახე" - ლიტვა 22.45 მხ. ფილმი „ჰოლანდეზა„ (U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეპუზები" 10.00 სერიალი „ქალები და ვარდები" 11.00 „ვის უნდა 50 ათასი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.10 კურიერი 12.20 სერიალი „შეყვარებული ქალები" 13.30 მხ. ფილმი „პატარა ტრაგედიები" 15.25 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 16.30 სერიალი „ქალები და ვარდები" 17.25 „ტელეპუზები" 18.20 „ბავშვები 402-ე ოთახიდან" 18.55 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 19.40 პატრული 19.50 სერიალი „შეყვარებული ქალები" 22.00 ღამის შოუ 23.00 სერიალი „სამეფო" 00.00 მხ. ფილმი „უსახო". მთ. რ-ში: მელ გიბსონი (18). 02.30 პატრული 02.40 მხ. ფილმი „მონსტრების კუნძული". მთ. რ-ში: კარმენ ელექტრა (18).

07.00 სერიალი „უკიდურესი ზღვარი" 07.30 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.10 „იმედის" დილა 09.20 „დუბლიორი" 10.05 სერიალი „ტყუპები" 11.15 სერიალი „ჟავა და ლუდი" 12.20, 14.50, 03.40 იმედის მელოდიები 12.40, 16.25, 03.10 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი „ქალი და მამაკაცი ერთია" (U) (ე. ზილბერშტეინი) 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.00 ქრონიკა 15.20 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 16.40 დოკ. სერიალი „საუკუნის გამორჩეული ქალბატონები" 17.25 „ათასიდან ერთი შანსი" 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.35 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 20.30 თოკ-შოუ „რეაქცია" 23.00 „საიმედო ლოტო" 23.30 თამაში „ათასიდან ერთი შანსი" 00.05 ქართ. ფილმი „მშვიდობით ლენინ" (U) (დ. ბრუჰლი) 02.05 სერიალი „ნეშ ბრიჯესი"

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 შემეცნ. გასართ. პროგრამა „დები ტრევისის საოცარი სახლი" 09.30 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 10.00 სერიალი „სინიორ ვიანელი" 10.30 სერიალი „პატარა დიდი ბოზი" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 სერიალი „ჩინტო ვეტრინე" 12.05 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 14.15 არჩევანის ზღვარზე 15.10 შემეცნებითი პროგრამა „ტაიმლოტი" 16.05 სერიალი „მარია ემილია" 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 17.20 სერიალი „პოლიციელი ქალები" 18.20 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 18.50 სერიალი „ჩინტო ვეტრინე" 20.45 სერიალი „სინიორ ვიანელი„ 21.15 სერიალი „პატარა დიდი ბოზი" 21.45 პუბლიცისტური ფილმი „პატრიოტთა თამაშები„ ვასილ მჟავანაძე -პატრიარქის შემოდგომა. 22.45 „არჩევანის ზღვარზე„ 00.00 მხ. ფილმი "დოგმა. გახსნილი გულები„ (18) (მედ მიკელსენი)

18.00 მინისერიალი „ადვოკატთა ბიურო" მე-5 ს. 19.05 დოკ. ფილმი 20.05 კონცერტი 21.50 მხ. ფილმი „როსინი„ (18)

14.00 მხ. ფილმი „თანამგზავრი" (U) 15.00 ქართული მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.20 სერიალი „მილედი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „მოცეკვავე ქალი" 00.30 ქართული მუსიკა

09.00 საინფ. დაიჯესტი 09.20 სათავგადასავლო ფილმი „ადამიანი ობობა„ 11.20 მუსიკა 11.30, 14.30, 17.30, 20.30 საინფორმაციო გამოშვება 11.45 ისტორიული ფილმი „პირველი რაინდი„ 13.55 დოკუმენტური ფილმი 14.45 მელოდრამა „მინიერი სურვილები„ 16.25 მულტფილმი „ვინი პუჰი„ 17.45 მუსიკა 18.00 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 18.15 თრილერი „პრეზიდენტის თვითმფრინავი„ 20.20 მუსიკა 21.00 ფილმი-ფანტასტიკა „კონტაქტი„ 23.20 მუსიკა 23.30 საინფ. დაიჯესტი 23.45 ფსიქოლოგიური დრამა „შიში სულს ანადგურებს„

06.00 "Доброе утро". 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20 Сериал "МОСКОВСКАЯ САГА". 10.30 Сериал "КЛОН". 11.30 "Кумиры". Тамара Синявская. 12.20 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30 Дисней-клуб: "Алладин". 13.50 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 15.20 "Фабрика звезд". 15.50 Сериал "СТИЛЕТ". 16.50 "Пять вечеров". Сегодня пятница. 18.20 Док. детектив. "Исчезновение "Изауры". Дело 1998 г. 1-я с. 19.00 "Основной инстинкт". Ток-шоу 19.50 "Поле чудес" 21.00 Время. 21.25 "Фабрика звезд". 22.40 Леонардо Ди Каприо в боевике "РОМЕО+ДЖУЛЬЕТТА" 01.10 Джин Хэкмен в фильме "РАЗГОВОР".

## შაბათი 13 ნოემბერი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.30 მოამბე 08.15 მხ. ფილმი „მჟუდრო სავანე„ (U) 09.20 იმღერე რამე 09.50 საცირკო სანახაობა 11.00 მხიარული კარუსელი 11.30 საქართველო არის ესე 12.15 მხ. ფილმი „ორერა სრული სვლით„ 15.15 მხ. ფილმი „დიდი ოჯახები" 17.00 დოკ. ფილმი „ამერიკული კინო" 18.00 ვესტნიკი 18.40 „იმღერე რამე" 19.05 „ტელეზღაპარი" 19.20 „დრო და ადამიანები" 19.40 „ეთნოგრაფიული ჩანახატი" 20.35 ფორტუნა 21.25 დოკ. ფილმი „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო„ 22.15 სალამის საუბარი 23.00 სპექტაკლი „გუშინდელნი" 00.45 მხ. ფილმი „გადალების ერთი დღე" (U)

19.00 სერიალი „კარიბის გული" 19.50 დოკ. ფილმი „ამერიკული კინო„ 20.40 საქართველო არის ესე 21.10 „იმღერე რამე" 21.30 დრო და ადამიანები 21.45 „ეთნოგრაფიული ჩანახატი" 22.00 ასე ვცხოვრობთ 22.25 მხ. ფილმი „ლოლიტა„ (U)

08.00 კლასიკა 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 „ჯეტიქსი" 11.00 სერიალი „დაკარგული ქალაქის მაძიებლები" 12.20 „გაიღიმეთ ფარული კამერაა" 12.50 მხ. ფილმი "ვიქტორი, ვიქტორია„ 15.20 სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები" 17.00 სერიალი „მარკო პოლო" 18.00, 21.00, 01.00 კურიერი 18.20 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 19.20 მხ. ფილმი „ეის ვენტურა" 22.00 „ფსიქო"— „ასეთია სპორტული ცხოვრება„ რეჟ. ლიდსეი ანდერსონი (18). 01.20 მხ. ფილმი „ორნი ქალაქში„ მთ. რ-ში: ალენ დელონი (18).

09.00 ანიმაციური ფილმი „სინდბადი მეზღვაური" 1-26. 10.00 მხ. ფილმი „უილგლონი" (U) (ჟან რენო) 11.30 „იმედითა შენითა" 11.45 „კლიპლოტი" 12.40, 16.15, 02.30 ტვ-მარკეტი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 23.15 ქრონიკა 13.15 ქართ. ფილმი „მშვიდობით ლენინ" (U) (დ. ბრუჰლი) 15.15 „უცნობი საქართველო" 15.40 „წუთისოფელში"- გარეჯა 16.30 „ნბა-ჟურნალი„ 17.10 დოკ. სერიალი „მშვიდობით მე-20 საუკუნევ„ 18.05 „პირველი ნაბიჯი" 19.45 ვაკაკი-ნიუსი 20.15 მხ. ფილმი „კვინში ასე ხდება" (12) (კ. ბეიკონი) 22.30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 00.20 „ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად„ 01.35 სერიალი „ნეშ ბრიჯესი" 03.00 იმედის მელოდიები

09.00 მუსიკა მზეზე 09.30 მულტსერიალი „სქელი ძაღლი მენდოზა" 10.00 საბ. სერიალი „ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია" 10.30 სერიალი „დაკარგული ქვეყანა„ 11.30 შემეცნებითი პროგრამა „ექსტრემალური ამბები" 12.30 ტელეჟურნალი „მოდა„ 13.00 სერიალი „ქარავინერები" 14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 14.15 მხ. ფილმი "ამბავი საგრალო შეყვარებულებისა„ (U) 16.15 მუსიკა მზეზე 16.30 შემეცნ. გასართ. პროგრამა „დები ტრევისის საოცარი სახლი" 17.20 „ფარული კამერა„ 17.50 სერიალი „დაკარგული ქვეყანა„ 18.50 მუსიკა მზეზე 19.00 სერიალი „ქარავინერები" 20.30 კრიმ. დრამა „ტაქსის მძღოლი" 21.30 ტელეჟურნალი „სცენა" 22.00 ფეხბურთი. პრიმერა დივიზიონი. 00.00 მხ. ფილმი „ღამის თავგადასავალი„ (15) (კიანუ რივზი)

18.00 მინისერიალი „ადვოკატთა ბიურო" მე-6 ს. 19.40 დოკ. ფილმი 20.30 სილუეტი 21.30 დოკ. ფილმი 22.00 მხ. ფილმი „ბილ ელიოტი„ (U)

15.00 მხ. ფილმი „მოცეკვავე ქალი" 17.00 ქართული მუსიკა 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 19.20 „ცნობილი ადამიანების უცნობი წლები" 19.40 „საინდღარი" 21.00 მხ. ფილმი „წითელი თავსაფარი" (U) 23.00, 00.30 ქართული მუსიკა

09.00 საინფ. დაიჯესტი 09.20 მულტსერიალი 10.05 სათავგადასავლო ფილმი „მეთიუ სამეფო„ 1-ლი ს. 11.30, 14.30, 17.30, 20.30 საინფორმაციო გამოშვება 11.45 კომედია „მავქარინები„ 1-ლი ს. 13.05 მუსიკა 13.10 სათავგადასავლო ფილმი „ბრძოლა შეიკერ ჰეითსთან„ 14.45 მხ. ფილმი „სასიამოვნო ნუველი„ 16.55 მუსიკა 17.00 მულტფილმი „ალისა საოცრებათა ქვეყანაში„ 17.45 კომედია „უთქმელი სიყვარული„ 19.45 დოკუმენტური ფილმი 21.00 მხ. ფილმი „ქარიშხალი მოსაუზრენი„ 23.15 მუსიკა 23.30 საინფ. დაიჯესტი 23.45 დრამა „არსად აფრიკაში„

06.00, 10.00, 12.00, 18.00 Новости. 06.10 История динозавров в фильме "Мы вернулись". 06.40 Сериал "ПРИКЛЮЧЕНИЯ МОЛОДОГО ИНДИАНЫ ДЖОНСА". 08.20 Играй, гармонь любимая! 09.00 Слово пастыря. 09.10 Здоровье. 10.20 "Смак" 10.30 "Любовные истории". Виктория Толстоганова. 11.10 Кремль-9. "Дворцовые тайны". 12.10 История с географией. "Мекка изнутри". 13.20 "Глеб Жеглов, Володя Шарапов и другие - 25 лет спустя". 13.50 "Умницы и умники". 14.30 Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда". 15.00 Якубович в фильме "Одесса. Сентиментальное путешествие". Ч.1. 16.00 "КВН-2004". Премьер-лига. Второй полуфинал. 17.50 Золотые годы Микки Мауса. Впервые в России. 18.10 СОФИЯ РОТАРУ И ДРУГИЕ В СУББОТНЕМ КОНЦЕРТЕ. 20.00 "Кто хочет стать миллионером?". 21.00 Время. 21.20 "Последний герой". Суперигра. 22.30 "Золотой граммофон". 23.30 Жан-Клод Ван Дамм в боевике "ИНФЕРНО" 01.10 Европейский хоккейный тур. Сб. России - сб. Финляндии. 02.30 Ник Манкузо в триллере "ЛОВУШКА"

## კვირა 14 ნოემბერი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.45 მოამბე 08.15 მხ. ფილმი „გადალების ერთი დღე" (U) 10.00 იმღერე რამე 10.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 11.00 მრავალჟამიერ 11.30 სპა 12.15 მხ. ფილმი „კეთილი კაცი" 13.10 დოკ. ფილმი 14.00 კალათბურთი. თბილისი „დინამო„ — რუსთავის „ოლიმპი". შესვენებისას „მოამბე„ 15.40 სპექტაკლი 17.10 დოკ. ფილმი 18.15 ქართ. ფოლკლორის ფესტივალი 18.30 დოკ. ფილმი „პროვანსი და მხატვრები" 18.55 „იმღერე რამე" 19.25 „მთავარ როლში" 20.35 „ჩემი მშვენიერი ლედი" 20.55 სატ. კინოდარბაზი 22.00 ტელოტო 22.45 „ქრისტიანობის 20 საუკუნე საქართველოში" 23.40 კონცერტი - ბუბა კიკაბიძე 00.55 მხ. ფილმი „ვინ შეაბამს ცხენს„ (U)

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 20.00 მუს. ოქტაგონი 21.00 მრავალჟამიერ - რაჭა 21.25 „იმღერე რამე" 21.50 „აუდიტორია„ 22.35 მხ. ფილმი „ძახილი" (U)

08.00 კლასიკა 09.00, 12.00, 15.00, 00.10 კურიერი 09.20 „ჯეტიქსი" 11.00 სერიალი „დაკარგული ქალაქის მაძიებლები" 12.20 დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) 12.50 მხ. ფილმი „სასტიკი რომანსი" 15.20 მხ. ფილმი „ოსკარი" 17.00 სერიალი „მარკო პოლო" 18.00, 21.00, 01.40 კურიერი 18.20 პატრული — დაიჯესტი 19.00 მხ. ფილმი „კაპიტანი„ მთ. რ-ში: ჟან მარე (U) 22.00 60 წუთი 22.20 ჟურნალის გათამაშება 23.00 „გაიღიმეთ ფარული კამერაა" 23.40 „ჟურნალის კონკურსები"- „კოლის ბანდა„ 877 45-79-25 ჰიტ ლეჯერი, ნაომი უოტსი (18), „დაცვის ბარიერი„ 877 45-79-26 ბარბარა ხერში, სემ შეპარდი (18) „ლოლიტა" 877 45-79-27 დომინიკ სუენი, ჯერემი აირონსი (18). 02.00 პატრული-დაიჯესტი 02.40 მხ. ფილმი „საზიზღრები, ბინძურები, ბოროტები„ მთ. რ-ში: ნინო მანფრედი (18).

09.00 ანიმაციური ფილმი „ნილოსის პრინცი - მოსეს ამბავი" 1-26. 10.00 მხ. ფილმი „ჰოლივუდის დედოფალი" (U) (ჰ. კალიდასი) 12.30 12 პლუსი 11.45 „დილის ფოსტა" 12.40, 13.15, 03.35 ტვ-მარკეტი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 23.15 ქრონიკა 13.30 მხ. ფილმი „განდიდების მანია" (U) (ლუი დე ფიუნესი) 15.15 „ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად„ 16.30 სპ. პროგრამა „ასი" 17.10 დოკ. სერიალი „მშვიდობით მე-20 საუკუნევ„ 18.05 „ერთხელ ჰოლივუდში" 18.20 „არტ-ბულვარი" 19.30 პოლიციის აკადემია 19.55 ქართ. ფილმი „დათა თუთაშხია" მე-6 ს. 21.00 „დროება" 22.30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 00.20 ეროტ. საკალათბ. ასოციაცია 02.40 სერიალი „ნეშ ბრიჯესი" 04.05 იმედის მელოდიები

09.00 მუსიკა მზეზე 09.30 მულტსერიალი „სქელი ძაღლი მენდოზა" 10.00 საბ. სერიალი „ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია" 10.30 სერიალი „დაკარგული ქვეყანა„ 11.30 საბ. პროგრამა „ეტალონი" 12.30 შემეცნებით-გასართობი პროგრამა „ფოკუსის ისტორია" 13.00 სერიალი „ქარავინერები" 14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 14.15 მხ. ფილმი „მილიონზე მონადირენი„ (U) 16.15 მუსიკა მზეზე 16.30 შემეცნ. გასართ. პროგრამა „დები ტრევისის საოცარი სახლი" 17.20 „ფარული კამერა„ 17.50 სერიალი „დაკარგული ქვეყანა„ 18.50 მუსიკა მზეზე 19.00 სერიალი „ქარავინერები" 20.30 კრიმ. დრამა „ტაქსის მძღოლი" 21.30 ტელეჟურნალი „ჰოლივუდი დღეს" 22.00 მხ. ფილმი „საბოტაჟი„ (12) (სტივენ ფრაი). 00.00 მხ. ფილმი „ბოშები და ტაკარები„ (15) (სტოუნ ბაქსი).

18.00 მხ. ფილმი „ადვოკატთა ბიურო" მე-7 ს. 20.00 დოკ. ფილმი 21.30 მხ. ფილმი „ჰუსარი სახურავზე„ (15)

15.00 მხ. ფილმი „წითელი თავსაფარი" (U) 17.00 ვარსკვლავები გვამცნობენ 18.00 ქართული მუსიკა 19.00 საბ. გადაცემა „ინკოგნიტო" 20.00 ინდ. მხ. ფილმი „ბათინდება თუ არა" 23.00 „ჯაზ-პარნასი" 23.30 მუსიკა

09.00 მუსიკა 09.20 მულტსერიალი 10.05 სათავგადასავლო ფილმი „მეთიუ სამეფო-2„ 11.30 „მოოლიო საოცრებები„ 11.40 კომედია „მავქარინები„ მე-2 ს. 13.00 მუსიკა 13.10 თრილერი „დამსმენი„ 14.40 მუსიკა 14.50 დრამა „ბაჟიბის ბალია„ 16.20 მუსიკა 16.30 მულტსერიალი 17.00 კომედია „ოთხი ქორწილი და ერთი დაკრძალვა„ 17.30, 20.30 საინფ. გამოშვება 17.45 კომედია „ოთხი ქორწილი და ერთი დაკრძალვა„ (გაგრძ.) 19.15 დოკუმენტური ფილმი 19.50 ფრაგმენტები ოლეგ ლუნდსტრემის ცაზ-ანსამბლის კონცერტიდან 21.00 ფილმი-ფანტასტიკა „ბრიტანიკი„ 22.30 ღამის კინოკლუბი

06.00, 10.00, 12.00 Новости. 06.10 Полнометражный мультфильм "Мы вернулись". 06.30 Ролан Быков в комедии "АЙБОЛИТ-66" 08.20 Служу Отчизне! 08.50 Дисней-клуб: "Команда Гуффи". 09.10 "В мире животных" 10.10 "Непутевые заметки" 10.30 Пока все дома. 11.10 Тайны века. "Кузькина мать" Никиты Хрущева". 12.10 Пьер Ришар в комедии "ЭТО НЕ Я, А ОН" 14.00 Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда". 14.30 "Гений трагических предсказаний". 15.20 Воскресный "Ералаш". 15.50 Харрисон Форд в супербоевике "ИНДИАНА ДЖОНС И ХРАМ СУДЬБЫ". 18.00 Времена. 19.00 "Кривое зеркало". 21.00 Время. 21.45 Том Круз в боевике "ОСОБОЕ МНЕНИЕ". 00.30 Бокс. Марко Антонио Баррера - Поль Айала. 01.20 Европейский хоккейный тур. Сборная России - сборная Чехии

*ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფოზავრმა"*

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**რა განსხვავებაა ვენების ვარიკოზულ გაგანიერებასა და თრომბოფლებიტს შორის?**

***ერთგული მკითხველი***

ვარიკოზსა და თრომბოფლებიტს შორის პრინციპული განსხვავებაა. ვარიკოზული გაგანიერება ფეხების კანქვეშა ვენების დაავადებაა, რომლის დროსაც დაზიანებული ვენა გაფართოებას იწყებს და მისი კედლები იმდენად თხელდება, რომ მცირე ტრავმამაც კი შეიძლება სისხლდენა გამოიწვიოს.

თრომბოფლებიტი უყურადღებოდ დატოვებული ვარიკოზული დაავადების გართულება გახლავთ. ვენის კედლებში ვითარდება ანთება და წარმოიქმნება თრომბები. თრომბოფლებიტს ყოველთვის თან სდევს ტემპერატურის მცირე მატება (37,5$^0$-მდე), ვენის გასწვრივ კანის გაწითლება და ტკივილი, შემდგომ კი შემკვრივება. თრომბი იმითაა საშიში, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება მოწყდეს და დაეცოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სისხლძარღვს.

**მაქვს ნაღვლის ბუშტის ქრონიკული ანთება. ექოსკოპიური გამოკვლევისას კენჭები აღმომაჩნდა. ექიმმა მითხრა, ოპერაცია გესაჭიროებაო. გამიგონია, რომ არსებობს კენჭების სხივებით დაშლის მეთოდი. რა შემთხვევაშია შესაძლებელი ამ მეთოდის გამოყენება?**

***პატივისცემით ა. ლაბაძე***

ნაღვლის ბუშტის ამოკვეთის საკითხი მაშინ ისმება, როცა ქრონიკული პათოლოგიის შედეგად ბუშტის კედლები მეტისმეტად სქელდება, ხდება მისი დილატირება (გაფართოება) და ბუშტი ნაღვლის რეზერვუარის ფუნქციას კარგავს, სანაღვლე გზებში ვითარდება შეგუბებითი პროცესები, რაც ნაღველკენჭოვან დაავადებას კიდევ უფრო აღრმავებს და ართულებს.

სხივებით ნაღვლის კენჭების დაშლა ყოველთვის არ შეიძლება. ამისთვის მნიშვნელობა აქვს კენჭის შემადგენლობასა და ზომას. დიდი ზომის კენჭის დაშლისას შეიძლება წარმოიქმნას ნამსხვრევები, რომლებიც სანაღვლე გზებში გადავა და სანაღვლე სადინარებს დაეცობა, რასაც მექანიკური სიყვითლის განვითარება მოჰყვება. ეს კი გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებს, თუმცა ასეთ მდგომარეობაში ქირურგიული ჩარევა გარკვეულწილად სარისკოა, ამიტომ უკეთესი იქნება, თავიდანვე გეგმური ოპერაცია ჩატარდეს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ როცა სხივური თერაპიით შეიძლება პრობლემის გადაჭრა, მაინცდამაინც ოპერაცია გავიკეთოთ.

**ვარ 29 წლის ქალიშვილი. გადატანილი მაქვს ლიმფური ჯირკვლების ტუბერკულოზი. მაწუხებს ქალისშიდა წნევა. მექნება თუ არა რაიმე გართულება ორსულობის ან მშობიარობის დროს?**

***ლალი ვ.***

თუ მკურნალობის შედეგად მოხდა ტუბერკულოზური პროცესის კუპირება, მაშინ იგი ორსულობისა და მშობიარობის მიმდინარეობას ხელს არ შეუშლის. მომატებული ქალისშიდა წნევა მშობიარობის დროს ზოგიერთ პრობლემას მართლაც ქმნის, თუმცა მდგომარეობა გამოუვალი არც ამ შემთხვევაში გახლავთ.

გირჩევთ, დაორსულებამდე ჩაიტაროთ საჭირო გამოკვლევები და გაიაროთ კონსულტაცია გინეკოლოგთან, რომელიც ინდივიდუალური მონაცემების საფუძველზე განსაზღვრავს თქვენი ორსულობა-მშობიარობის შესაძლებლობას.

**ვარ წნევიანი და მაქვს მაღალი ქოლესტერინი. ექიმმა დამინიშნა ასპირინი, მაგრამ კუჭს მატკივებს და მწვავს. რა შეიძლება მივიღო მის ნაცვლად?**

***კონსტანტინე გოგავა***

ჰიპერტონიული დაავადების დროს საჭიროა სისხლის რეოლოგიური თვისებების კონტროლი, რათა არ განვითარდეს თრომბოემბოლია და დაავადება არ გართულდეს. ასეთი გართულებების (ინსულტის, ინფარქტის) განვითარებას ხელს უწყობს ცხიმოვანი ცვლის დარღვევა — ჰიპერქოლესტერინემია (სისხლში ქოლესტერინის დონის მატება). ამიტომ კარგი იქნება, თუ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ჩაიტარებთ. პროფილაქტიკა გულისხმობს ჰიპოტენზიურ (წნევის დამწევ) თერაპიას, სტატინების მიღებას (ქოლესტერინის დონის მოსაწესრიგებლად) და სისხლის შედედების ფუნქციის მოწესრიგებას — ამ მიზნით ნიშნავენ ასპირინს, რომელიც სისხლძარღვებში თრომბწარმოქმნის საშიშროებას აქვეითებს. ასპირინი მართლაც აზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს და ზოგიერთ შემთხვევაში წყლულსაც კი აჩენს. ამიტომ მისი მიღებისას სიფრთხილეა საჭირო — პრეპარატი უნდა მიიღოთ მხოლოდ და მხოლოდ ჭამის შემდეგ, დააყოლოთ ბევრი წყალი (უმჯობესია რძე). ამის მიუხედავად თუ კუჭის არეში წვის შეგრძნება მაინც გაქვთ, ხოლო ასპირინის მიღება აუცილებელია, მოგიწევთ, წამლის დალევამდე კუჭის ლორწოვანის დამცავი საშუალებების მიღება. ასეთ პრეპარატს ექიმი შეგირჩევთ.

## კარაბადინი

**ახალგაზრდობაში ძალიან მაწუხებდა კუჭი. გამოკვლევისას დამიდგინეს გასტრიტი დაქვეითებული მჟავიანობით. მხოლოდ მცენარეული საშუალებებით ვმკურნალობდი: ვაგროვებდი მრავალძარღვას ფოთლებს და მელისკუდას ყვავილებს, ვახმობდი მზეზე, შემდეგ ამ მცენარეთა ნარევის ნაყენს ვხარშავდი. ნაყენის მომზადების წესი ასეთია: 0,5 ჭიქა მდუღარე წყალი დაასხით 1 ჩ/კ მცენარეთა ნარევს, წამოადუღეთ და დადგით თავდახურული. 30 წუთის შემდეგ გადაწურეთ და მიიღეთ ერთ დალევაზე ჩაის მაგივრად. ასე ვაკეთებდი 2-3 წლის განმავლობაში. ახლა 65 წლის ვარ და კუჭი სად მაქვს, არ ვიცი.**

**მინდა ჩემი გამოცდილება თქვენც გაგიზიაროთ.**

***ოლია კალანდარიშვილი***

**ექიმის კომენტარი:** რეცეპტი ორ კომპონენტს — მრავალძარღვასა და მელისკუდას შეიცავს. მრავალძარღვას შემადგენლობაში შედის დიდი რაოდენობით ლორწო, ცხიმოვანი ზეთი, ცილები, მინერალური მარილები და გლიკოზიდები. მცენარე საკმაოდ ეფექტიანია კუჭ-ნაწლავის პათოლოგიების დროს. გამოიყენება ჰიპოაციდური და ანაციდური (დაბალი მჟავიანობით მიმდინარე) გასტრიტების, ქრონიკული კოლიტების, აგრეთვე წყლულების სამკურნალოდ (თუ მჟავიანობა არ არის მომატებული). ახალგამოწურული ბალახის წვენი ანტიბიოტიკებთან და სულფანილამიდებთან ერთად დიზენტერიის დროსაც იხმარება.

მელისკუდაც მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით: ალკალოიდებით, ეთერზეთებით, გლიკოზიდებით, ამინომჟავებით, ორგანული მჟავებით, კაროტინით, ვიტამინით, ასკორბინის მჟავით. ამიტომაც აქვს მრავალმხრივი ფარმაკოლოგიური ეფექტი. მას ახასიათებს სპაზმოლიზური მოქმედება ნაწლავის, საშარდე და სანაღვლე გზების გლუვ კუნთებზე. შესაბამისად, არის ნაღვლმდენი, შარდმდენი, ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. მცენარეს აქვს აგრეთვე ანტიანთებითი, ბაქტერიციდული, ანტიალერგიული და ჭრილობის შემახორცებელი თვისებები.

მელისკუდას ნაყენი ზრდის სისხლის შემდედებლობის უნარს — მოქმედებს ჰემოკოაგულაციურ პროცესებზე და აქვს სისხლდენის შემაჩერებელი მოქმედება. მცენარე გამოიყენება დაბალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტის, წყლულოვანი დაავადების, სპაზმური კოლიტის, მეტეორიზმის და ბუასილის დროს.

ამდენად, მკითხველის მიერ მოწოდებული რეცეპტი, კუჭის დაბალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტის დროს, მართლაც ეფექტიანი იქნება.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

# „მამალი“ გიჟები და დიპლომიანი „შერეკილები“ ქართულ ფსიქიატრიაში






**„ეგ მამალი გიჟია, მანანა შევარდნაძე უყვარსო...“**

მას შემდეგ, რაც თბილისის ყოფილმა პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა ფსიქიატრიული ექსპერტიზის გაყალბების ფაქტზე თერთმეტი დამოუკიდებელი ექსპერტ-ფსიქიატრის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, ზუსტად ექვსი თვე გავიდა. თერთმეტი ფსიქიატრის ბრალეულობის საკითხი ჯერ კიდევ ბუნდოვანია. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ქალაქის საგამოძიებო სამსახურში ფსიქიატრების საქმეზე საუბარი არ სურთ. სამაგიეროდ, უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ სისხლის სამართლის საქმეს მალე შეწყვეტენ.

ატეხილმა აჟიოტაჟმა ჯერჯერობით მხოლოდ ის შედეგი გამოიღო, რომ კორუფციასა და გაყალბებაში ეჭვმიტანილი ექსპერტ-ფსიქიატრები სამსახურებიდან დაითხოვეს. საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა თანამდებობა ქართული ექსპერტ-ფსიქიატრიის მამამთავარმა აბელ მამარდაშვილმაც. „ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარებას (რომელმაც 11 ექსპერტ-ფსიქიატრის ბრალეულობის საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს) ექვს თვეზე მეტია, არ დაადგა საშველი. პროკურატურაში დღესაც ამ დასკვნას ელოდებიან(?!)“. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის საქმეებზე შეურაცხადობის დამადასტურებელი სამოცდახუთი დასკვნაა გაცემული. ჯანმრთელი დამნაშავეების „გაგიჟებისთვის“ კი ჯერჯერობით არც ერთი ექსპერტ-ფსიქიატრი არ დასჯილა.

„ნაკლებდაინტერესება, მოუკრეფაობა, ეგოცენტრიზმი, განლევადობა, აღქმა — საგნობრივი, სწორი და სხვა“ — ამ უცხო ტერმინთა კორიანტელი და ფსიქიატრიაში გაუთვითცნობიერებელი იურისტებისთვის სრულიად გაუგებარი ფსიქიკური მდგომარეობის აღწერა ქართველ ექსპერტ-ფსიქიატრთა ფასდაუდებელი განძია. სპეციალური ცოდნის არარსებობა და შეცდომის დაშვების უფლება ექსპერტ-ფსიქიატრებს ოპონენტებთან აშკარა უპირატესობას ანიჭებს. ამ „უპირატესობის“ არაკეთილსინდისიერად გამოყენების შედეგად კი ქართულ ფსიქიატრიაში ისეთი ქაოსი გამეფდა, რომ ძნელი დასაჯერებელია, მისი მოწესრიგება ვინმემ მალე მოახერხოს. ექსპერტ-ფსიქიატრებზე ატეხილი სკანდალის შემდეგ, პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებულებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრი შეიქმნა, თუმცა მას ჯერჯერობით არც შენობა გააჩნია და არც კორუფციის დასამარცხებელი რაიმე განსაკუთრებული რეცეპტი. ცენტრის ხელმძღვანელი მერაბ ქორჩილავა აცხადებს, რომ კორუფციის სრულიად მოსპობა შეუძლებელია, მაგრამ მისი შემცირება სწორად აგებული სისტემის მეშვეობით ნამდვილად შესაძლებელია. ვიდრე ექსპერტიზაში „გადატრიალებისთვის“ ემზადებიან, ქართული ციხეებიდან თავის დაღწევის ყველაზე რეალურ საშუალებად ექსპერტ-ფსიქიატრთა „დახმარება“ ძველებურად მოდაშია. თუმცა მიხეილ ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან არსებული ამბულატორიული და სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის კომისიის ახალი თავმჯდომარე დავით მაღრაძე ამტკიცებს, რომ მას ყალბ ცნობებსა და კორუფციასთან არაფერი აკავშირებს (მაღრაძე ამ კომისიის წევრი იყო წლების განმავლობაში).

ვალერი გრიგალაშვილი ერთადერთი არ გახლდათ, ვინც ამ სფეროში არსებული განუკითხაობის შესახებ ალაპარაკდა. წლების წინ ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტიზის აწ უკვე გაუქმებულ დეპარტამენტს საქართველოში მომუშავე ოცდაოთხივე ექსპერტ-ფსიქიატრის წინააღმდეგ ჰქონდა მამხილებელი დოკუმენტები, თუმცა მისით არც ძველი და არც ახალი ხელისუფლება არ დაინტერესებულა. როგორც ამ დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი აცხადებს, მისი ბრძოლა ექსპერტ-ფსიქიატრების მაფიასთან იმით დასრულდა, რომ მისი დეპარტამენტი, ანუ ექსპერტ-ფსიქიატრების მაკონტროლებელი ორგანო გააუქმეს, საეჭვო ცნობების გამცემი ექსპერტების უმრავლესობა კი ისევ თანამდებობებზე დატოვეს.

## ქართული ფსიქიატრიული ექსპერტიზის „მარგალიტები“

**ფაქტი №1**

ვინმე დიასამიძე 1996 წელს მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარების ბრალდებით მეხუთე საპყრობილეში მოათავსეს. ატარებდა დანას, რომლითაც ემუქრებოდა პატიმრებს. გამოძიების მსვლელობისას „შეამჩნიეს“, რომ დიასამიძე აგრესიული იყო, ჰქონდა ჰალუცინაციები. ამიტომ იგი პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მოათავსეს. 2000 წლის 31 მაისს ჩატარდა ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. ექსპერტების: მამარდაშვილის, სურგულაძისა და ხარებავას დასკვნით, დიასამიძე დანის ტარებისა და შენახვისთვის შეურაცხადად ჩაითვალა. ექსპერტების აზრით, დიასამიძე საჭიროებდა იძულებით მკურნალობას ფოთის მკაცრი მეთვალყურეობის ფსიქიატრიულ კლინიკაში. ექსპერტ-ფსიქიატრების დასკვნის საფუძველზე, 2000 წლის 14 ივნისს კრწანისი-მთაწმინდის სასამართლომ დიასამიძე ქუტირის გაძლიერებული რეჟიმის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაამწესა. ორი დღის შემდეგ, 2000 წლის 16 ივნისს, საავადმყოფოს მედპერსონალმა და განყოფილების გამგემ „პაციენტი“ შინ, ბათუმში გაუშვეს(?!). აქ დიასამიძე ერთ-ერთ რესტორანში ქეიფისას მოკლულის ძმამ შეამჩნია და ეს ფაქტი გაახმაურა. პასუხად, 2000 წლის 20 ივნისს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება დიასამიძის ფოთის მკაცრი რეჟიმის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანის შესახებ. დიასამიძე ქუტირის საავადმყოფოდან ბადრაგს ფოთში უნდა გადაეყვანა. ფსიქიატრების თხოვნით, საავადმყოფოში დაბრუნებულმა დიასამიძემ გადაყვანის დროს ბადრაგს სროლა აუტეხა, რომლის დროსაც დაიღუპა პოლიციის თანამშრომელი, ორი შვილის მამა რ. კინწურაშვილი. დიასამიძეს ხელმეორედ ჩაუტარდა სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომელმაც დაასკვნა, რომ იგი ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობით, — ფსიქიკის დროებითი აშლილობითა და ჭკუასუსტობით დაავადებული არ ყოფილა(?!).

საინტერესოა, რომ დიასამიძის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ცნობები სამი კვირის შუალედით გაიცა. დიასამიძე მეხუთე საპყრობილეში დააბრუნეს. მოგვიანებით, ციხის თანამშრომლებმა იგი საკანში თავმოჭრილი იპოვეს.

**ფაქტი №2**

მოქალაქე გ. ტ-ძემ ედუარდ შევარდნაძის ქალიშვილი მანანა შევარდნაძე მოსკოვში გაიცნო და დაუმეგობრდა. როცა შევარდნაძეები საქართველოში დაბრუნდნენ, მან მანანა შევარდნაძის ნახვა მოისურვა და თაიგულით მას კრწანისის რეზიდენციაში მიაკითხა. დაცვამ მანანა შევარდნაძესთან იგი არ შეუშვა, რის გამოც გ.ტ-ს დაცვის წევრებთან ჩხუბი მოუვიდა. ტ-ძე სასტიკად სცემეს, მალე კი ექსპერტ-ფსიქიატრებმა მას შეურაცხადობა დაუდგინეს.

თეიმურაზ კობახიძე, ექსპერტიზის დეპარტამენტის სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის პოლიტიკის სამმართველოს ყოფილი უფროსი: „დავიბარე თემურ სილაგაძე (ექსპერტ-ფსიქიატრი) და ვკითხე: გამაგებინეთ, ტ-ძეს სიგიჟე რა კრიტერიუმით დაუდგინეთ-მეთქი. მითხრა: ოო, ეგ მამალი გიჟია, მანანა შევარდნაძე უყვარსო... გადავირიე კაცი, სიყვარული თუ სიგიჟის მაჩვენებელი იყო, არ მეგონა. ბოლოს სილაგაძე გამოტყდა, რომ დავწერო ტ-ძე ნორმალურია, სამსახურიდან მომხსნიანო.“

**ფაქტი №3**

გ. ც. წლების განმავლობაში მუშაობდა გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1991 წელს ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებელი „კახეთი“ და მისი რექტორიც გახდა.

***(გაგრძელება იხ. გვ. 33)***

# შემოდგომაა, გავიმაგროთ იმუნიტეტი!



ორგანიზმის დამცავი ფუნქციის გამაგრება განსაკუთრებით საჭიროა შემოდგომასა და გაზაფხულზე. აუცილებელია გაკაჟება, ვარჯიშები და თბილად ჩაცმა. უნდა მივეძალოთ ბოსტნეულსა და ხილს. შესანიშნავი იმუნომოდულატორია ახალგამოწურული სტაფილო, პომიდვრისა და ციტრუსების წვენი, მწვანე ჩაი, თაფლი, ნიორი, ხახვი, ბრაზილიური კაკალი. მასში არის ისეთი მნიშვნელოვანი მიკროელემენტი (დღეღამური დოზა), როგორიც არის სელენი. იგი აუცილებელია გულ-სისხლძარღვებისა და სიმაღლეში ზრდისათვის.

**თაიმი**

# რა არის მხედველობის ჰიგიენა

დიდი ხნით რომ შევინარჩუნოთ კარგი მხედველობა, არ არის საკმარისი სწორად კვება. აუცილებელია მხედველობის ჰიგიენის განსაზღვრული წესების დაცვა. პირველ რიგში სამუშაო ადგილი საკმარისად უნდა იყოს განათებული, სინათლის ველი თანასწორად უნდა განაწილდეს თქვენს სამუშაო სივრცეზე. სინათლის სხივები თვალში არ უნდა გხვდებოდეთ. მუშაობის დროს, განსაკუთრებით კომპიუტერთან, დროდადრო შეისვენეთ. დღეში რამდენჯერმე თვალი 5-5 წუთით ავარჯიშეთ: **1.** დახუჭეთ თვალები და მოეშვით. გაიხსენეთ სასიამოვნო შემთხვევები; **2.** თვალებით რამდენიმე წრიული მოძრაობა გააკეთეთ საათის ისრისა და საწინააღმდეგო მიმართულებით; **3.** ინტენსიურად ამოძრავეთ თვალები ჰორიზონტალურად — მარჯვნივ-მარცხნივ და ვერტიკალურად — ზევით-ქვევით; **4.** რამდენჯერმე მაგრად დახუჭეთ და გაახილეთ თვალები; **5.** რამდენიმე წამით მზერა მიმართეთ მარცხენა ქვედა კუთხისკენ, იგივე გაიმეორეთ — მარჯვენა მხარესაც; **6.** თვალები დახარეთ ცხვირისკენ. ამისათვის საჭიროა ცხვირის წვერთან მიიტანოთ თითი და უყუროთ ამ თითს; **7.** მიდით ფანჯარასთან და ყურადღებით შეათვალიერეთ რაიმე ახლოს მყოფი საგანი: ხის ფოთოლი, ყვავილი. ეს ვარჯიშები ხსნის დაღლასა და შესანიშნავად ავარჯიშებს



თვალის კუნთებს.

დაღლას ხსნის კომპრესებიც, თვალის დაბანა შავი და მწვანე ჩაის ნაყენით, გვირილის ნახარშის თბილი კომპრესები.

**ოჯი**

# მკურნალი თაფლი

38-40°C-ზე გათბობისას თაფლი ყველა სამკურნალო თვისებას კარგავს. ამიტომ მათ, ვინც თაფლს სამკურნალოდ ან პროფილაქტიკისათვის ხმარობს, ვურჩევთ, ცხელ რძეს და ჩაის კი არ ჩაუმატოს, არამედ მიაყოლოს. თუ თაფლს გვიან შემოდგომით, ნოემბერში იყიდით, დააკვირდით, როგორ გამოიყურება. თაფლი უნდა იყოს სქელი, ჩაშაქრულიც კი, თუ კოვზიდან ლამაზად იღვრება, ე.ი. ყალბი შემოგატყუეს.

**ლიზა**


გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად

შეიძინეთ!!!



• აპარატები
• ტესტ-ჩხირები
• ერთჯერადი ნემსები
• ავტომატური საჩხვლეტი
• კარდიოლოგიური ფონენდოსკოპი



შპს „კონტრასტი“
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03;
899-19-60-55



ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს

– ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
– ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
– კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მის: გამსახურდიას (პეკინი) №10 კაბ. №7, 10-13სთ-მდე
☎ 8(93) 31 42 35



N19

ოჯახის მკურნალი

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თ.

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის



ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება:

სქოლიოზი, ოსტეოქონდროზი, რადიკულიტები, კიფოზი, ნევროზი, შიშები, შაკიკი, პოსტ-ინსულტური დამბლა, არითმია, ტკივილები გულის არეში, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t=37,2°C), სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები; წონის დაკლება.





კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა.
მის: მ. „გურამიშვილი“, ძმები გარიშვილების ქ. №18
ანატოლი შავიძე ☎ 61-65-03; 893-20-68-21


## გენიტალური ჰერპესი

გენიტალური (სასქესო ორგანოების) ჰერპესის გამომწვევი მარტივი ჰერპესის ვირუსი, შესაძლებელია, ყველა ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში არსებობდეს. ზოგჯერ იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე „მიძინებულია“. დაავადების განვითარების ალბათობა დამოკიდებულია ორგანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებებზე, კერძოდ, იმუნური სისტემის მდგომარეობაზე.

გენიტალური ჰერპესი უპირატესად ვითარდება იმუნიტეტის დაქვეითების, ხშირი გაცივების, გრიპის, ფიზიკური და ემოციური გადაძაბვის, გადაცივების, ინტოქსიკაციის (მათ შორის — ალკოჰოლური) შემთხვევაში.

ითვლება, რომ დაავადება გადაეცემა სქესობრივი კონტაქტით.

დაავადების ნიშნები: — გენიტალური ჰერპესის ძირითადი ნიშანია გამონაყარი და ქავილი. მამაკაცებში გამონაყარი ლოკალიზდება სასქესო ასოს თავსა და ანუსის (უკანა ტანის) მიდამოში. ის გამჭვირვალე სითხის შემცველი ბუშტუკებია, რომლებიც მე-2-3 დღეს მტკივნეულ წყლულებად გარდაიქმნება, ხოლო მე-7-8 დღეს — ხორცდება. ყოველივე ამას თან ახლავს ზოგადი ხასიათის სიმპტომები: საზარდულის ლიმფური კვანძების გადიდება, ტემპერატურის მომატება, თავის ტკივილი, ინფექციური პროსტატიტი, რომელიც შორისის არის ტკივილით და გაძნელებული მოშარდვით ვლინდება.

დაავადებას შეტევითი ხასიათი აქვს: წყლულების გაქრობის შემდეგ დგება „სიმშვიდის“ პერიოდი რამდენიმე კვირიდან რამდენიმე წლამდე, რომელსაც ენაცვლება გამწვავების პერიოდი.

დაავადების გართულებიდან უპირველესად აღსანიშნავია პროსტატიტი — წინამდებარე ჯირკვლის ანთება. გარდა ამისა, დაავადებას ახლავს უსიამოვნო შეგრძნებები, რომლებიც წელიწადში რამდენჯერმე მეორდება და დიდხანს გრძელდება. ამას შესაძლოა მოჰყვეს ნევროზული მდგომარეობა, დეპრესია.

თუკი ეჭვობთ, რომ გენიტალური ჰერპესი გაქვთ, დროებით თავი შეიკავეთ სქესობრივი ცხოვრებისაგან ან გამოიყენეთ პრეზერვატივი. ასევე მოიქეცით დაავადების ჩაცხრობიდან 4 კვირის განმავლობაში. უსათუოდ უნდა მიმართოთ ექიმ-დერმატოვენეროლოგს ან უროლოგს.

ჰერპესით შეიძლება ქალებიც დაავადდნენ. დამახასიათებელი სიმპტომები იგივეა, ხოლო რაც შეეხება ლოკალიზაციას, გარეთა სასქესო ორგანოების გარდა, ჰერპესი საშვილოსნოს ყელზეც ჩნდება. დიდია ჰერპესული ცისტიტის — შარდის ბუშტის ანთების შესაძლებლობაც.

მკურნალობას ნიშნავს სპეციალისტი. დროული მკურნალობა გამოჯანმრთელების შანსს მნიშვნელოვნად ზრდის.

## დიაგნოსტიკის შესახებ

რენტგენოლოგიური და ულტრაბგერითი გამოკვლევების მეშვეობით ვლინდება ანატომიური პათოლოგიები ძვლებში და შინაგან ორგანოებში — თავის ტვინში, ფილტვებში, თირკმლებში, ნაწლავებში, მაგრამ ამ დროს ფუნქციური დარღვევები გაურკვეველი რჩება. სისხლის ბიოქიმიური გამოკვლევა წარმოდგენას იძლევა ღვიძლის, თირკმლების, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების (ფარისებრი, კუჭქვეშა და სხვა) მუშაობის, ნივთიერებათა ცვლის მდგომარეობის შესახებ, მაგრამ არა ინფექციურ დაავადებებზე. ინფექციის გამოსავლენად საჭიროა სისხლის სეროლოგიური კვლევის ჩატარება ანდა ქსოვილებში არსებული გამომწვევის გამოსავლენი მეთოდების გამოყენება. არსებული მეთოდები სპეციფიკურია და მიმართულია კონკრეტული მიკროორგანიზმის ანდა მისი ჯგუფების გამოსავლენად.

ნაწლავების მიკროფლორის მდგომარეობის შესახებ მსჯელობა შესაძლებელია განავლის ანალიზით და საგანგებო სინჯების საშუალებით. დიაგნოსტირების შესაძლებლობა პროცენტულად სწორი 95%-ზე მეტი არ არის, ასე რომ, გადამწყვეტი სიტყვა მაინც ექიმმა უნდა თქვას.

თუ არაფერს უჩივით: — ზოგიერთი დაავადება (ონკოლოგიური, შარდის გამომყოფი სისტემის ინფექციები, ენდოკრინული დარღვევები) შესაძლოა დიდი ხნის განმავლობაში არსებობდეს ისე, რომ კლინიკურად არ გამოიხატოს, ანუ ადამიანი არაფერს უჩიოდეს. ადვილად დაღლას, საერთო სისუსტეს და სხვ., უმრავლესობა ყურადღებას არ აქცევს. თუ თავს ჯანმრთელად გრძნობთ, საჭირო არ არის ძვირად ღირებული გამოკვლევის ჩატარება, მაგრამ პერიოდულად ხელმისაწვდომი და „მარტივი“ ორგანოების ანალიზების (სისხლის და შარდსასქესო ანალიზები, ქალებისათვის — წელიწადში ერთხელ მაინც გინეკოლოგის კონსულტაცია) გაკეთება აუცილებელია. მხოლოდ ამ გზით შეიძლება პათოლოგიის ადრეული სტადიის გამოვლენა და შესაბამისად მისი დროული კორექცია.

— ზოგჯერ უკვე დასმული დიაგნოზის შემდეგაც სჭირდება ავადმყოფს აუცილებელი გამოკვლევები. მათი საშუალებით ექიმი ახერხებს სწორ ორიენტირებას — არსებობს სიმპტომები, რომლებიც შესაძლოა ერთდროულად რამდენიმე დაავადებას ახასიათებდეს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი ხდება დამატებითი გამოკვლევების ჩატარება (გასტროსკოპია, მიკრობიოლოგიური კვლევა). ასე რომ, კვალიფიციური ექიმის მიერ დანიშნულ გამოკვლევათაგან არც ერთი არ უნდა იყოს ზედმეტი.

# რა უნდა ვიცოდეთ ინფექციურ დაავადებებზე



— სისხლის აღების დროს გამოკვლევის უსაფრთხოება დამოკიდებულია ინსტრუმენტების სტერილურობაზე. ერთჯერადი გამოყენების საგნების ხმარებისას შიდსით და ვირუსული ჰეპატიტებით დასნებოვნების საშიშროება არ არსებობს.

— თუ ზოგიერთი ინფექციური დაავადების დროს გამოკვლევების შედეგად არ გამოვლინდა გამომწვევი ან სისხლში — შესაბამისი ანტისხეულები, ეს, შესაძლოა, მეტყველებდეს დაავადების ფარულ პერიოდზე. ამ დროს ორგანიზმში დაავადების გამომწვევი არსებობს, მაგრამ გამოკვლევის შედეგად არ ვლინდება. მაგ., წითელას შემთხვევაში G კლასის ანტისხეულები ინფიცირების მომენტიდან მხოლოდ 2 კვირის შემდეგ აღმოჩნდება. რთული სიტუაციაა ჭიების დიაგნოსტირებაში, რადგანაც ისინი ორგანიზმში კვერცხებს არ დებენ, მაგრამ ფეკალურ მასებში მათი აღმოჩენისთვის მაინც ტარდება დიაგნოსტიკა. არის შემთხვევები, როცა ანალიზები არ ადასტურებენ დაავადებას, მაგრამ კლინიკურად (ჩივილით, სიმპტომებით) ვლინდება. ასეთ დროს ტარდება განმეორებითი გამოკვლევები, ხოლო თუ ამ შემთხვევაშიც არაფერი გამოვლინდა, ექიმი ნიშნავს მკურნალობას კლინიკური სიმპტომების მიხედვით.

**მაია მუხიგული**

# იაფად და ეფექტიანად

გაცივების ან გრიპის გართულების შედეგად ბევრს უჩნდება ტუჩებზე გამონაყარი. მისი მორჩენა ძვირად ღირებული წამლების გარეშეც შეიძლება: როგორც კი იგრძნობთ ტუჩის კანის გახმობას, წვას ან დაჭიმვას, მაშინვე წაისვით კბილის პასტა — ტუჩი ძალიან აღარ შეშუპდება და გამონაყარიც მალე გაგივლით.

გაცივებას შველის კიდევ ერთი ხალხური საშუალება: 0,5 ლ შემთბარ რძეს შეურიეთ უმი ქათმის კვერცხი, 1 ჩ/კ თაფლი, 1 ჩ/კ კარაქი და მიიღეთ ძილის წინ. დილისთვის გაგივლით ხველაც და სურდოც.

თუ თავი გტკივათ, რბილობგამოცლილი ლიმონის კანი რამდენიმე წუთით მიიდეთ საფეთქელთან.

**სანი**


# პროფესიონალები გვირჩევენ

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინფექციურ სნეულებათა კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელზა ვაშაკიძე*

აცივებასა და ზამთრის სეზონის დადგომას თან სდევს მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციებით — გრიპი, პარაგრიპი, რინო, ადენო, რესპირატორულ-ვირუსული და სხვა ავადობის მნიშვნელოვანი მატება. ეს დაავადებები განსაკუთრებით საშიშია სასუნთქი სისტემის დაზიანებით ხშირად მოავადე ბავშვებისა და მოზარდებისთვის. ამ პირებს, ჩვეულებრივ, აქვთ სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადებები — ქრონიკული ბრონქიტი და პნევმონია, დანამატი ღრუების ანთება — ფრონტიტი, ჰაიმორიტი, ბრონქული ასთმა და სხვა. მათში, ხშირი და განმეორებითი ვირუსული ინფექციები ამწვავებენ ძირითად დაავადებას, რასაც მდგომარეობის ხანგრძლივი დროით გაუარესება მოჰყვება.

ასეთი პაციენტების მკურნალობისა და პროფილაქტიკითვის უკანასკნელ წლებში აქტიურად გამოიყენება იმუნური სისტემის მოქმედების მარეგულირებელი პრეპარატები — იმუნომოდულატორები. ამ ტიპის პრეპარატებს შორის, განსაკუთრებით ყურადსაღებია ფრანგული პრეპარატი IRS-19.

IRS-19 ინტრანაზალური აეროზოლია და შეიცავს ყველაზე გავრცელებული პნევმოტროპული ბაქტერიების მაღალი ხარისხის სისუფთავის ლიზატებს. IRS-19 ადგილობრივი იმუნომოდულატორია ვაქცინის თვისებებით, ახდენს სასუნთქი ტრაქტის იმუნიტეტის ნორმალიზაციას. აქვს როგორც სამკურნალო, ისე პროფილაქტიკური მოქმედება. პრეპარატის გამოყენება უკვე არსებული დაავადების შემთხვევაში მნიშვნელოვნად ამცირებს ავადობის დღეებს. პროფილაქტიკის მიზნით გამოყენებისას კი სარწმუნოდ მცირდება რეციდივების სიხშირე. პრეპარატი ადვილად ასატანია, შეიძლება გამოყენებულ იქნას ბავშვებში 3 თვის ასაკიდან და მოზრდილებში. დადგენილია, რომ პრეპარატი IRS-19-ის სამკურნალო ეფექტი იწყება გამოყენებიდან 1 სთ-ის შემდეგ, მეორე-მეოთხე დღიდან სასუნთქი სისტემის ლორწოვანში მატულობს SIGA-ს კონცენტრაცია, რითაც ძლიერდება სამკურნალო ეფექტი და მიიღწევა პროფილაქტიკური ეფექტი, რაც 3-4 თვე ნარჩუნდება.

R

# პირველი ტაიმი ფაიმით დამთავრდა

უკრაინაში ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა — იუშენკოს ჯერ არ გაუმარჯვია, თუმცა ჯერ არც იანუკოვიჩს წაუგია.

უკრაინის საზოგადოებამ საკუთარ თავსაც და სხვებსაც დაუმტკიცა, რომ სავსებით ჯანსაღია და არა აქვს მიდრეკილება ავანტიურიზმისკენ; თუმც პოლიტიკური განხეთქილება აშკარაა და მისი აღმოფხვრა პრეზიდენტობის ორი კანდიდატიდან ერთ-ერთს მოუწევს.

მეორე ტურის წინ ვიქტორ იანუკოვიჩი მთავარ კონკურენტს, ვიქტორ იუშენკოს მხოლოდ ცოტათი უსწრებს. ერთი შეხედვით, ეს რუსეთის გამარჯვებაა, რომელიც, როგორც ცნობილია, იანუკოვიჩს უჭერს მხარს. სულ რაღაც ნახევარი წლის წინ მისი რეიტინგი იუშენკოს რეიტინგზე რვაჯერ დაბალი იყო. უკრაინისთვის ბრძოლაში რუსეთმა მის ხელთ არსებული ყველა რეზერვი ჩართო, საკუთარი პრეზიდენტის ავტორიტეტიც კი გამოიყენა — არჩევნებამდე სამი დღით ადრე პუტინი კიევში ჩავიდა...

მაგრამ დარჩა კი რუსეთს მარაგში რაიმე, მეორე ტურში თავისი ფავორიტის დასახმარებლად? ალბათ არა. მოსკოვში ამბობენ, შესაძლებელია რუსეთმა უშუალოდ უკრაინელ ხალხს მიმართოსო, მაგრამ ვინ მიმართავს, ისევ პუტინი? ნაკლებსარწმუნოა. ეტყობა, რუსეთში ბევრს ჰქონდა იმედი, რომ იანუკოვიჩი პირველსავე ტურში გაიმარჯვებდა და საამისოდ მთელი „არსენალი“ გამოიყენა.

ახლა ბევრი რამ არის დამოკიდებული უკრაინელ მემარცხენეებზე — მათზე, ვინც პირველ ტურში ხმა მისცა კომუნისტ სიმონენკოს, სოციალისტებს — მოროზსა და ვიტრენკოს. ეს დაახლოებით 14%-ია. მეორე ტურში ეს ხმები ალბათ გადამწყვეტი იქნება.

***კომსომოლსკაია პრავდა***

# პოლარული სამეფო

დანიამ ოფიციალურად განაცხადა პრეტენზია... ჩრდილოეთ პოლუსზე. პრეტენზიას საფუძვლად უდევს ის, რომ თითქოს გრენლანდია — ტერიტორია, რომელიც შედის დანიის სამეფოში, უშუალოდ უკავშირდება წყლის ქვეშ თითქმის ორი ათას კილომეტრზე გაჭიმულ ლომონოსოვის ქედს. დანიის მთავრობა ემზადება სამეცნიერო ექსპედიციისთვის, რომელმაც უნდა დაამტკიცოს, მართლა უერთდება თუ არა გრენლანდია პოლუსს წყლის ქვეშ.

დანიელები პირველები არ არიან, ვისაც პოლუსზე გაბატონება სურთ. 50-იან წლებში პოლუსზე თავისი უფლებები გამოაცხადა კანადამ. მაშინ საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ ტერიტორია კანადის კუთვნილება გახდება, თუ 100 წლის განმავლობაში ვერავინ დაამტკიცებს, რომ ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის ფსკერი მას ეკუთვნის. პოლუსზე პრეტენზია რუსეთსაც აქვს. მასზე თვალი ამერიკის შეერთებულ შტატებსაც უჭირავს. სწორედ მისმა მოქალაქეებმა — ფრედერიკ კუკმა და რობერტ პირიმ — პირველებმა მიაღწიეს ჩრდილოეთ პოლუსს. ამჟამად არქტიკა რუსეთის, აშშ-ის, კანადის, დანიისა და ნორვეგიის სექტორებადაა დაყოფილი. თითოეულ მათგანს ეკუთვნის სექტორში არსებული მიწები და კუნძულები. რუსეთთან (ყოფილ საბჭოთა კავშირთან) და კანადასთან დაკავშირებით თავი-



დანვე ყველაფერი გარკვეული იყო, დანიის სექტორის საკითხი კი მხოლოდ 1933 წელს გადაწყდა, როცა საერთაშორისო სასამართლომ დანიას, და არა ნორვეგიას, მიაკუთვნა გრენლანდია. ამ გადაწყვეტილებამ არა მარტო გააფართოვა ქვეყნის საზღვრები პოლარულ სექტორში, არამედ დანიას ჩრდილოეთ პოლუსზე პრეტენზიის წამოყენების საშუალებაც მისცა.

ეს პრეტენზია მხოლოდ გეოგრაფიული ხასიათისა არ არის, აქ დიდი ეკონომიკური ინტერესებია ჩარეული. მეცნიერთა მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად გაირკვა, რომ მარტო არქტიკული შელფის წიაღში 113 მლრდ ტონა ნავთობი და ბუნებრივი გაზია. შედარებისთვის: ბუნებრივი რესურსებით ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყანას, საუდის არაბეთს, დაახლოებით 43 მლრდ ტონა ნედლეული აქვს, რუსეთს 51 მლრდ ტონა (ძირითადად გაზი); ამიტომ ცხადია, რაოდენ მნიშვნელოვანია, ვისი იქნება ეს სიმდიდრე და ვინ გახდება ჩრდილოეთ პოლუსის პატრონი.

***იტოგი***

# ჯორჯ ბუში გამარჯვებას ზეიმობს

**აშშ-ის პრეზიდენტი მომდევნო ოთხი წლის მანძილზე კვლავ ჯორჯ ბუში იქნება. თავის სიტყვაში მან ჯონ კერის „ღირსეული მეტოქე“ უწოდა და დაიფიცა, რომ სიმართლითა და რწმენით ემსახურება ამომრჩეველთა იმ 48%-ს, ვინც მის მეტოქეს უჭერდა მხარს.**



საბოლოო სიტყვის სათქმელად ჯონ კერი ტრიბუნაზე ისე ადიოდა, როგორც ეშაფოტზე. „დღეს ველაპარაკე პრეზიდენტს. მას და ლორა ბუშს მივულოცე გამარჯვება. მე და ჯორჯ ბუშმა ვისაუბრეთ, თუ რა სახიფათოა დაპირისპირება და ქვეყნის ინტერესებისთვის რაოდენ მნიშვნელოვანია ერთიანობა“ — თქვა მან.

ვაშინგტონში ბუშმა თანამემამულეებს მიმართა: — გმადლობთ, რომ მოხვედით. ეს იყო გამარჯვების მოლოდინით აღსავსე გრძელი ღამე. ამომრჩევლებმა დიდი აქტიურობა გამოამჟღავნეს და გაგვამარჯვებინეს.

ბუშმა პირველ რიგში მადლობა გადაუხადა თავის მეუღლეს, შვილებს, მშობლებს, ნათესავებს, თავის მარჯვენა ხელს — კარლ როუვს, რომელსაც „არჩევნების არქიტექტორი“ უწოდა. ბუშს საპროგრამო თეზისები არ წარმოუდგენია, მაგრამ მიანიშნა, რომ მის მთავარ ამოცანად რჩება ტერორიზმთან ბრძოლა. „ძალიან ვამაყობ იმ ნდობით, რომელიც ამერიკელებმა გამომიცხადეს. ნდობასთან ერთად დიდი პასუხისმგებლობაც დამეკისრა და მე, როგორც პრეზიდენტი, ყველაფერს გავაკეთებ მათი იმედის გასამართლებლად“, — ბრძანა პრეზიდენტმა.

ევროპაში ჯორჯ ბუშს გამარჯვება ერთ-ერთმა პირველმა დიდი ბრიტანეთის პრემიერმა ტონი ბლერმა მიულოცა. დაუნინგ-სტრიტზე, თავის რეზიდენციაში გამოსვლისას მან თქვა: — „ევროპისა და ამერიკის პარტნიორული ურთიერთობა გარკვეულწილად შეარყია ერაყის ომმა. ახლა მათ ურთიერთობის აღდგენის კიდევ ერთი შანსი გაუჩნდათ“. თავშეკავებულად მიულოცა გამარჯვება ბუშს გერჰარდ შრედერმა. რომანო პროდიმ, ევროკომისიის სახელით მილოცვასთან ერთად, იმედი გამოთქვა, რომ პრეზიდენტობის მეორე ვადაში ჯორჯ ბუში მოინახულებს ევროპას და გაეცნობა ევროკავშირის სხვადასხვა ორგანოს მუშაობას.

ჯორჯ ბუშის გამარჯვების შემდეგ ნიუ-იორკის ბირჟაზე ბარელი „შავი ოქროს“ ფასმა 50,88 დოლარს მიაღწია. ანალიტიკოსები ამას იმით ხსნიან, რომ ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის პოლიტიკა ალბათ არ შეიცვლება, ე.ი. ერაყში ნავთობტერმინალების ამუშავებამდე საკმაო დრო გავა.

***ნიუს რუ***

# შვარცენეგერმა უარი თქვა...



კალიფორნიის შტატის გუბერნატორმა არნოლდ შვარცენეგერმა აშშ-ის დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს „ხელმოცარულები“ უწოდა. კალიფორნიის სენატის დროებით თავკაცს, დონ პირატის წინადადებაზე, გადასახადები გავზარდოთო, გუბერნატორმა-რესპუბლიკელმა უპასუხა, — ხელმოცარულთა რჩევას ვერანაირად ვერ მივიღებო და დაურთო, — დემოკრატებმა ყველაფერი სწორედ იმიტომ დაკარგეს, რომ გადასახადების გაზრდას ითხოვდნენ, ცხადია, ხალხს ეს არ მოეწონაო.

დემოკრატებმა აშშ-ში მართლაც სერიოზული დამარცხება იწვნიეს — არა მარტო პრეზიდენტის სავარძელი დაკარგეს, კონგრესის წარმომადგენელთა პალატაშიც წააგეს. რესპუბლიკელებმა წარმომადგენელთა პალატაში თავიანთ 226 ადგილს კიდევ ოთხი დაუმატეს, დემოკრატებს 202 ადგილი ხვდათ წილად.

არნოლდ შვარცენეგერი დემოკრატების მიმართ არც ადრე იშურებდა კრიტიკას. შარშან, შტატის ბიუჯეტის განხილვისას, სენატში ამ პარტიის წარმომადგენელ მამაკაცებს „დედლები“ უწოდა. კალიფორნიის სენატში უმრავლესობა დემოკრატია.

***ლენტა რუ***

# კოფი ანანის ვაჟი ქრთამს იღებდა?!

გაეროს გენერალური მდივნის ვაჟი, 30 წლის კოჟო ანანი სკანდალში გაეხვია. საქმე ეხება გაეროს პროგრამის, „ნავთობი — საკვები პროდუქტების სანაცვლოდ“, პასუხისმგებელი პირების ირგვლივ ამტყდარ აჟიოტაჟს.

პროგრამა ერაყში მოქმედებდა 1996 წლიდან და სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ დაიხურა. ამ ხნის მანძილზე უცხოელმა ბიზნესმენებმა ერაყის ხელისუფლებასთან 100 მლრდ დოლარის კონტრაქტები დადეს.

გაეროს ჩინოსნებმა შესანიშნავად იცოდნენ, ერაყის მთავრობა ამ ფულს როგორ განკარგავდა, მაგრამ ქრთამის საფასურად პირში წყალი ჰქონდათ ჩაგუბებული. შეგნებულად ხუჭავდნენ თვალს, ნავთობი რომ ძალიან იაფად იყიდებოდა, ხოლო უხარისხო და ვადაგასული პროდუქტები — ძვირად, დიდ მოგებას კი მხარეები იყოფდნენ.

კოჟო ანანი ცნობილ შვეიცარიულ ფირმა „კოტესნაში“ კონსულტანტად მუშაობდა. ფირმამ ერაყში გასაგზავნი პროდუქციის 5 მლნ-იან კონტრაქტზე მიიღო მონიტორინგი და თუმცა მისი ხელმძღვანელობა და კოჟო იფიცებიან, გაეროსა და ერაყის შეთანხმებებთან საერთო არაფერი გვქონიაო, ამის დაჯერება ძალიან ძნელია.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ იუსტიციის სამინისტრო საგულდაგულოდ ამოწმებს, ერაყის კონტრაქტებში კოჟო ანანი მონაწილეობდა თუ არა და ეძებს ფაქტებს, რაც მას კოჟო ანანისთვის მექრთამეობაში ბრალის წაყენების საშუალებას მისცემს.

შინაგამოძიებას გაეროც აწარმოებს, მაგრამ ინფორმაციას საიდუმლოდ ინახავს. მიუხედავად ამისა, უკვე ცნობილია, რომ გაეროს ერთი მაღალჩინოსანი ბენონ სევანი, რომელიც ამ პროგრამას 6 წელი ხელმძღვანელობდა, მექრთამეობის ბრალდებით პოსტიდან გადადგა.

***მირ ნოვოსტეი***

# ბასკი ტერორისტები ტერაქტებმა დაღალეს

**ბასკების ტერორისტული ორგანიზაცია „ეტას“ ვეტერანმა ხელმძღვანელებმა, რომლებიც სასჯელს იხდიან ესპანეთის ციხეებში, გადაწყვიტეს, უარი თქვან შეიარაღებულ ბრძოლაზე.**

არსებობის 30 წლის მანძილზე „ეტას“ მეთაურებმა პირველად განაცხადეს, რომ წყვეტენ ტერორისტულ საქმიანობას. „ჩვენ უმძიმეს მდგომარეობაში ვართ, იარაღის არანაირი მარაგი აღარ გაგვაჩნია, „ეტას“ ხელმძღვანელთა უდიდესი ნაწილი ციხეშია. გარეთ დარჩენილები კი ვეღარ ახერხებენ ორგანიზებულ ბრძოლას. პოლიციამ მათ ყველა გზა მოუჭრა, სჯობს მშვიდობიან პოლიტიკურ ბრძოლაზე გადავიდეთ“, — წერენ ისინი თავიანთ განცხადებაში.

„ეტას“ ხელმძღვანელობა კვლავაც ითხოვს, რომ ბასკებს მიეცეს სუვერენიტეტი და თვითგამორკვევის უფლება, მაგრამ ამიერიდან ეს მხოლოდ დიალოგის გზით მოხდება, — აცხადებენ ისინი.

ესპანეთის მთავრობა და პოლიტიკური პარტიები „ეტასგან“ იარაღის დაყრას ითხოვენ და აცხადებენ, რომ მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი დიალოგის დაწყება.

მართალია, „ეტა“ ახლა გაცილებით სუსტია, ვიდრე იყო, მაგრამ ქვეყნისთვის მაინც საფრთხეს წარმოადგენს. პოლიციის ცნობით, ამ ორგანიზაციაში ამჟამად 200-მდე მეომარია. 300-ზე მეტი წევრი ლათინურ ამერიკაში იმყოფება. არ გამორიცხავენ, რომ ზოგიერთი აგრესიული წევრი არ დაეთანხმება „ეტას“ ხელმძღვანელობის მოწოდებას და „ალ-ქაიდას“ მომხრეებს დაუკავშირდება „საერთო მტერთან“ საბრძოლველად.

***კომერსანტი***

# არაფატს სიკვდილს არ აცხადებენ...

პალესტინის ლიდერი ფაქტობრივად მკვდარია, მაგრამ გარემოცვა არაფერს იშურებს მისი სიცოცხლის გასახანგრძლივებლად. საქმე ის არის, რომ არაფატი ერთადერთი ადამიანია, რომელიც უფლებამოსილია განკარგოს შვეიცარიის ბანკში ავტონომიის ანგარიშზე არსებული 2 თუ 3 მლრდ დოლარი. ეს უფლება მას ჯერ არავისთვის გადაუბარებია.

პრემიერ-მინისტრი აჰმად ყურეი და მთავრობის ყოფილი მეთაური მაჰმუდ აბასი შეეცადნენ, პარიზში გაფრენის წინ, დაერწმუნებინათ პალესტინის ლიდერი, რომ მათთვის გადაეცა ფინანსური უფლებამოსილება. არაფატმა კი განუცხადა, — ნუ ღელავთ, ღვთის მადლით, ცოცხალი ვარო.

ბოლო ათი წლის განმავლობაში, ამა თუ იმ მიზნით ავტონომიის ფულის ხარჯვის საკითხს მხოლოდ არაფატი წყვეტდა.



პალესტინის საერთაშორისო ბანკის დამაარსებლის ისამა აბუ ისის თქმით (იგი 2000 წელს კატარში გაიქცა), არაფატს თავის პირად ანგარიშზე გადაჰქონდა პალესტინელი ხალხისთვის განკუთვნილი შემოწირულობანი.

ვარაუდობენ, რომ არაფატის სიკვდილს არ გამოაცხადებენ მანამ, ვიდრე არ დაადგენენ, ვინ უნდა განკარგოს ავტონომიის ფული და ისრაელი და პალესტინა არ მოილაპარაკებენ მისი დაკრძალვის ადგილის თაობაზე — მუსლიმანური წესით, მიცვალებული უნდა დაიკრძალოს გარდაცვალებიდან არა უგვიანეს 24 საათისა. არაფატის ოჯახს მისი იერუსალიმში დაკრძალვა სურს, ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი კი აცხადებს, — პალესტინის ლიდერმა ღაზის სექტორში უნდა განისვენოსო.

***ბი-ბი-სი***

## მოკლედ

**ამსტერდამში** მოკლეს კინორეჟისორი თეო ვან გოგი. მის მიერ ისლამური კულტურის შესახებ გადაღებულმა ფილმმა, „მორჩილება“, ჰოლანდიაში დიდი კამათი გამოიწვია. მასში ნაჩვენებია ძალადობის მსხვერპლი ოთხი ქალი. ისინი ჰყვებიან გადატანილ დამცირებასა და შეურაცხყოფაზე. ერთ-ერთს მკერდზე ყურანის ტექსტი აქვს ამოსვირინგებული. ფილმი ჰოლანდიის ტელევიზიით აჩვენეს. იმ დღიდან რეჟისორის ოჯახში არ შეწყვეტილა მუქარით აღსავსე სატელეფონო ზარები.

47 წლის რეჟისორი ცნობილი ჰოლანდიელი მხატვრის ვან გოგის შთამომავალი იყო.

**სადამ ჰუსეინის** მარცხენა ფეხი 1300 ევროდ იყიდება. ყოფილი დიქტატორის ქანდაკების ფრაგმენტებს ინტერნეტით სთავაზობს მსურველებს გერმანელი ანტიკვარი, რომელმაც ფეხი გროშებად იყიდა ბაღდადში, ქანდაკების დემონტაჟის დროს.

**იაპონელებს** კვლავ აწუხებთ მიწისქვეშა ბიძგები. რიხტერის სკალით 5,9 ბალის სიძლიერის მიწისძვრა დაფიქსირდა კუნძულ კიუსუზე, ფუკუოკას პრეფექტურაში. ბიძგების დროს პროფილაქტიკის მიზნით გააჩერეს მსოფლიოში უდიდესი ატომური ელექტროსადგური. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ათეული წლის შემდეგ, ძლიერმა ბიძგმა შესაძლოა დაანგრიოს ტოკიო.

**ავღანეთის** ახალარჩეული პრეზიდენტის ჰამიდ ყარზაის ძალაუფლება მხოლოდ ქვეყნის იმ რეგიონებზე ვრცელდება, სადაც დგას ნატოს ჯარი, ეს კი ტერიტორიის 10%-ზე ნაკლებია. ავღანეთში დიდი უფლებებით სარგებლობენ საველე მეთაურები. ზოგი მათგანი, მაგალითად, რაშიდ დუსთუმი — ჩრდილოეთში და ისმაილ-ხანი — დასავლეთში, უზარმაზარ ტერიტორიებს აკონტროლებენ და ათიათასობით ჯარისკაცი ჰყავთ. პრეზიდენტ ყარზაის გამგებლობაში კი სულ 25 ათასი მებრძოლია.

**რუსეთის** უმდიდრესი ოლიგარქის, მიხაილ ხოდორკოვსკის ბედი ასე თუ ისე გაირკვა: მოსკოვის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა სახელმწიფო ბრალმდებლის თხოვნა ხოდორკოვსკისთვის წინასწარი პატიმრობის ვადის 14 თებერვლამდე გაგრძელების თაობაზე. რუსეთის ფედერალური ქონების ფონდმა კი გამოაცხადა, რომ ოლიგარქის იმპერიის მთავარი ბრილიანტი — კომპანია „იუგანსკნეფტგაზი“ ნოემბრის ბოლომდე აუქციონზე გაიყიდება.

**აშშ-ის** მთავრობამ, კოლუმბიის ძალოვანი უწყებების ხელშეწყობით, ხელში ჩაიგდო დიდი ნადავლი — 37 ტონა კოკაინი. შავ ბაზარზე მისი ფასი 2 მლრდ დოლარს აღემატება.

***გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ***

# „ჩვენ ცოცხლები ვართ და ვერ ელირსებიან, რომ ხელები შეგვახოცონ!“

## „ბატონო ვალტერ, ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ ნამდვილად სამარცხვინო მდგომარეობაში აღმოჩნდებით...“

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

ხელი გულზე კი არა, მუცელზე ჰქონდა ჩამოგდებული ფეხამდე (ზარძაყამდე) არმისული, რაც ყველაზე ბუნებრივი პოზაა გასროლის შემდეგ ჩამოვარდნილი ხელისათვის...

ისიც ტყუილია, რომ ამტკიცებს — იარაღი, რითაც მკვლელობა მოხდა, გაწმინდეს და შეინახესო. ამით იმას ამტკიცებს, რომ კვალის წაშლა ვცადეთ(?!)... ის იარაღი არავის უნახავს დღემდე და იქნება სულაც არ არის გაწმენდილი და პირვანდელი სახით ინახება, ან კიდევ — „აღმოვაჩინეთ მეორე იარაღი, რომელიც პირადად გამსახურდიას ეკუთვნოდა!“-ო — რა იყო აღმოსაჩენი, როცა ჩვენ ყველა ჩვენებაში ვაფიქსირებდით ამას და ყველას ვეუბნებოდით...

ერთი სიტყვით, არაფერი შეცვლილა — გამოძიება ისევ იმ გზით მიდის, როგორც შევარდნაძის დროს მიდიოდა. გული მწყდება, რომ სიმართლე არავის აინტერესებს: „ყური პატარაზე ჰქონდა მოკვნეტილი გამომავალი ტყვიითო“ — პატარაზე კი არა, ყურის დიდი ნაწილი ჰქონდა მოგლეჯილი. მე და ზაზა ბურჯანაძემ გავბანეთ ზვიადი და შემთხვევით რომ მოგვიხვდა ყურზე ხელი, სისხლმა გადმოჩქეფა, ნახვრეტიც ზუსტად იმოდენა იყო, რა რადიუსიც მაკაროვის ტყვიას აქვს და სჭირდება... „საფეთქელთან ოდნავ ჰქონდა თმა შეტრუსულიო!“-ო — ოდნავ შეტრუსული კი არა, დამწვარი ჰქონდა და მერე როგორ?! თვითმხილველების არც ერთ სიტყვას არ იჯერებენ. პირველად მე და რობიზონი შევცვივდით ოთახში, გამორიცხულია, იქ ვინმე ყოფილიყო და გაესწრო, ისე იყო დახშულ-დაგმანული ყველა კარი და ფანჯარა...

— **ერთმანეთზე წამითაც არ მიგიტანიათ ეჭვი?**

— არა! ასეთი რამ რომ მომხდარიყო, თავსაც მოვიკლავდი და არც იმ ბიჭებს ვაცოცხლებდი!

— **შენ ამბობ, რომ ყველა ნივთმტკიცება შენახულია. ვის აქვს ისინი, ან რატომ არ გამოაჩინეთ?**

— მე მართლა არ ვიცი, ვინ შეინახა ან სად — იარაღი, პრეზიდენტის სისხლიანი ტანსაცმელი და სხვა ნივთმტკიცებები, არც მინდოდა მცოდნოდა, რადგან არ გამოვრიცხავდი ზეწოლას, სისასტიკეს... როცა არაფერი იცი, ცემითაც რომ მოგკლან, რას გათქმევინებენ?!.. მერაბ რაფავას ინტერვიუს შემდეგ კიდევ უფრო განმიმტკიცდა აზრი, რომ არ შეიძლება რაიმეს გამოჩენა და მათ ხელში ჩაგდება — არაფერი აქვთ და რას ამტკიცებენ; რა გარანტიაა, რომ როცა ყველაფერს ჩაიგდებენ ხელში, არ გაანადგურებენ მთლიანად ან ნაწილობრივ, ან არ შეცვლიან ისე, რომ ყველაფერი ჩვენ დაგვაბრალონ?..

არაფერი არ არის დაკარგული, ყველაფერი ისევ რომელიმე ჩვენიანს ექნება შენახული და როცა დრო მოვა, გამოაჩენენ, ისევე როგორც ზვიადის საფლავს...

— **შენ არც საფლავის ადგილმდებარეობა იცი?**

— არა, მაგრამ გვყავს მეგობარი ჩეჩნები, ყველაფერი რომ იციან და ისინიც საჭირო დროს მიგვიყვანენ წმინდა საფლავამდე... მე იმიტომაც არ ვიცი ბევრი რამ, რომ ზაზა ბურჯანაძესთან ერთად სასწრაფოდ გროზნოში გამგზავნეს, ოჯახისათვის რომ შეგვეტყობინებინა პრეზიდენტის დაღუპვის ამბავი. კვარაცხელიას ოჯახში რომ გადმოვასვენეთ და დავასაფლავეთ, 48 საათი მოგვცეს გროზნოში ჩასასვლელად: ტყე-ტყე ვიარეთ ღამით, სენაკამდე ჩავედით ფეხით, იქიდან ავტობუსით სამტრედიასა და ბათუმში, იქიდან გადავფრინდით. 1000-1000 დოლარი ბესარიონ გუგუშვილმა მოგვცა გამსახურდიას პირადი ფულიდან, რადგან ჩვენი კაპიკი არ გვქონდა, არც ფეხსაცმელი გვეცვა, არც ტანსაცმელი გვქონდა ნორმალური. გროზნომდე ხომ უნდა ჩაგვეღწია. საშინელება იყო ოჯახისათვის ბატონი ზვიადის დაღუპვის ამბის მიტანა...

— **სადღაც წავიკითხე, რომ ზვიად გამსახურდიას ცოლ-შვილს თითქოს ეჭვიც გაუჩნდა, რომ...**

— არ გამიგია, რომ ან ქალბატონი მანანა, ან ცოტნე და გიორგი გამსახურდიები ბრალს მდებდნენ, მსგავსი რამ არასოდეს უთქვამთ. მართალია, ურთიერთობა მათთან აღარ გვაქვს, მაგრამ ეს არც ეჭვების ბრალია და არც უნდობლობის. ამის მიზეზი სულ სხვაა, რაზეც არ მსურს ახლა ლაპარაკი...

— **ბატონი მერაბ რაფავა ინტერვიუში ამბობს, რომ კეკენაძემ და ბურჯანაძემ თქვენ გისაყვედურათ: რატომ მოგვტეხეთ, სალ-სალამათი კაცი ჩაგაბარეთ და მკვდარი დაგვახვედრეთო?**

— ეგეც სიცრუეა. ჩვენ არავინ არ „მოგვიტეხია“ — პირიქით, რობიზონი (მარგველანი) კატეგორიულად მოითხოვდა ჩუხუებისგან, რომ კეკენაძე და ბურჯანაძეც ჩვენთან ერთად წამოსულიყვნენ, მაგრამ ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს: მასპინძლებს ოთხი კაცის მეტის მიღების საშუალება დღეს არ აქვთ და ხვალ საღამოს გადმოვიყვანთ თქვენთან ბურჯანაძე — კეკენაძესო!..

— **არ გიფიქრიათ, რომ ჩუხუებმა გიღალატეს? ვინ იყო ეს ხალხი?**

— ერთ-ერთი ჩვენი თანამებრძოლის, მერაბ ჩუხუას მამა და ბიძა... მე ვერ ვიზამ იმას, რასაც მერაბ რაფავა კადრულობს და მხოლოდ ეჭვის საფუძველზე ღალატს ვერავის დავაბრალებ — სხვათა შორის, ჩუხუების ბრალეულობის მოკვლევა რაფავას კომისიის საქმეა და ისიც, კა-გე-ბე-ს აგენტები იყვნენ ჩვენ შორის და გვერდით, თუ არა? მოსთხოვოს პასუხი იმ ხალხს, ვინც გვმასპინძლობდა, დაგვყვებოდა — მათზე გაამახვილოს ყურადღება, ჩვენზე კი არა... რომ ამბობს — თავად გავიარე ის გზა, რომელიც ზვიადმა გაიარა და ეს ნამდვილად გოლგოთა იყოო, რატომ არ ფიქრობს, რომ ჩვენ არჩევანის საშუალება არ გვქონდა — რა ვიცოდით, ვის შევხვდებოდით ან სად მივიდოდით? გამცილებელიც არ გვყავდა ისეთი, ვინც გზა და კვალი იცოდა — ერთადერთი, ვინც კაცურად დაგვიდგა გვერდით და მეგზურობა გაგვიწია, წალენჯიხის მაშინდელი პრეფექტი ზურაბ გუჩუა იყო...

იცით, რატომ მოიკლა ზვიად გამსახურდიამ თავი? — ყველგან ღალატი რომ დახვდა, იმიტომ!..

ზვიად გამსახურდია მორწმუნე კაცი იყო და თავს არ მოიკლავდაო, ბრძანებს მერაბ რაფავა. სხვათა შორის, მორწმუნე კაცს შეუძლია თავის გამეტება, თორემ ურწმუნო სხვას გაიმეტებდა და შეიწირავდა, სხვას გაუშვებდა სამსხვერპლოზე... პრეზიდენტის თვითმკვლელობა იყო პროტესტი მთელი საქართველოს მიმართ!

...სანამ გურამ აბსანძე და ლოთი ქობალია ციხეში იყვნენ, შეგნებულად არ ვლაპარაკობდით მათზე, თანაც შევარდნაძის დროს ისინი არ უნდა მსხდარიყვნენ ციხეში, არ ჰქონდა იმ მთავრობას ამის უფლება. გურამ აბსანძემაც უღალატა ზვიად გამსახურდიას, ლოთი ქობალიამაც თავის „ქვეშევრდომებთან“ ერთად... გადამწყვეტ მომენტში ერთი მოსკოვში გაიქცა, მეორე აფხაზეთში... მათ თავადაც კარგად იციან, რა დღეშიც ჩააგდეს ზვიად გამსახურდიაც და მთლიანად ქართველი ერიც, ახლა კი ცოდვას ცოდვაზე ამატებენ და სურთ ყველაფერი ისე მოაწყონ, რომ ჩვენ, ვინც ყველაფერი შესწირა პრეზიდენტს და საქართველოს: ჯანმრთელობა, ნერვები, ცოლ-შვილი, მშობლები, გადმოგვაბრალონ დატრიალებული ტრაგედია...

არ ვიცი, საკუთარი ტყავის გადასარჩენად თუ ვისიმე დავალებით აკეთებენ ამას, მაგრამ აქვთ კი ლაპარაკის უფლება? აბსანძემ იცოდა, რომ მასზე ვიყავით დამოკიდებული, მას უნდა უზრუნველეყო პრეზიდენტის უსაფრთხო გადაადგილება და სამშვიდობოს გაყვანა. ბოლოს რომ მოვილაპარაკეთ, 20 წუთში უნდა შეგვხვედროდა. 20 წუთი კი არა, მთელი ღამე ვეძებეთ, ზუგდიდამდე ჩავედით ფეხით და მისი სოფლისკენ მიმავალ გზას დავადექით — იქნებ გზაში მანქანით შეგვხვდეს-თქო! ამის ნაცვლად გავიგეთ, რომ თმა შეუღებავს და მოსკოვში გაპარულა იმ „მოტივით“ — პრეზიდენტს იქიდან უნდა დავხმარებოდიო! რა მასხარაობა იყო თმის შეღებვა, სულ რომ მოეჭრა ის თავი, აბსანძის ცნობას რა უნდოდა და ესეც არ იყოს, ტყეში მიტოვებულ პრეზიდენტს მოსკოვიდან რით უნდა დახმარებოდა, მომკალით და არ მესმის... ქობალიამ კი, რომ შეიტყო, კარგი არაფერი იყო მოსალოდნელი, დაკრა ფეხი და აფხაზეთში გაიპარა კატერით. მას უფრო მეტი ინფორმაცია ჰქონდა, ვიდრე ზვიადს. ეს ხალხი გვადებს ხელს და აქეთ გვიტევს რობიზონს, გოჩას და მე?!..

**რა მასხარაობა იყო თმის შეღებვა, სულ რომ მოეჭრა ის თავი, აბსანძის ცნობას რა უნდოდა და ესეც არ იყოს, ტყეში მიტოვებულ პრეზიდენტს მოსკოვიდან რით უნდა დახმარებოდა, მომკალით და არ მესმის... ქობალიამ კი, რომ შეიტყო, კარგი არაფერი იყო მოსალოდნელი,დაკრა ფეხი და აფხაზეთში გაიპარა კატერით.**

განსაკუთრებით ვალტერ შურღაიას კომენტარმა გამაღიზიანა. ამიტომ ახლა მე ვიტყვი იმას, რაც არც ერთი ჟურნალისტისთვის არ გაგვიმხელია და თან სახალხოდ ვკითხავ კაცს, რომელსაც უნდა რცხვენოდეს ხმის ამოღება: თქვენ ის კაცი არ ხართ, ბატონო ვალტერ, ზვიადს რომ ტყეში წერილი გამოუგზავნეთ — ჯერ სამეგრელოს ავტონომია გამოვაცხადოთ და მერე დავიწყოთ ბრძოლაო? — იცოდეთ, ეს წერილი დღესაც შენახულია. მას მალე გამოაქვეყნებს ის კაცი, ვინც დიდხანს ითმენდა უსაზღვრო უნამუსობას. იმ წერილის გამოქვეყნების შემდეგ ნამდვილად სამარცხვინო მდგომარეობაში აღმოჩნდებით!.. ეს წერილი რომ ნახა ბატონმა ზვიადმა, ხელი ჩაიქნია ყველაფერზე. თქვა: „ეს რა ხალხი მყოლია გვერდითო?!..“

ამ დღეებში ბიჭები თბილისში შევიკრიბებით და განცხადებას გავაკეთებთ — მართალია, რობიზონი რომ ამბობს, აუცილებელია პირდაპირ ეთერში ტელედებატების გამართვაო. მოვიდნენ ქობალიაც, აბსანძეც, შურღაიაც, სხვებიც... გაგვისწორონ თვალი და ისე გველაპარაკონ: ჩვენ ცოცხლები ვართ და ვერ ელირსებიან, რომ ხელები შეგვახოცონ, სიმართლე და ისტორია გააყალბონ... ჩვენ მართალი ვართ ზვიად გამსახურდიასა და საქართველოს წინაშე, სხვა შემთხვევაში, თავს არ ვიცოცხლებდით! ოდნავადაც რომ ვყოფილიყავით დამნაშავენი, ვინ გვაპატიებდა, ან რად გვინდოდა სხვისი პატიება — სხვებისაგან განსხვავებით, ჩვენ ნამუსი და კაცობა არ დაგვიკარგავს... მთავარია, ღმერთის წინაშე ვიყოთ პირნათელი!..

ამ საქმეს ჩვენ მივიყვანთ ბოლომდე, — ის ბიჭები, ყველაფერი რომ შევწირეთ საქართველოსა და ზვიად გამსახურდიას, რომელსაც ყველამ უღალატა იმ რამდენიმე უახლოესი და უერთგულესი ადამიანის გარდა, სიკვდილის წუთებში რომ მის გვერდით დავრჩით!..

*ინგა ჯაყელი*
*2-3. XI. 2004 წელი*
*ქუთაისი*

# ნიჟარაში გამომწყვდეული სიყვარული

(დასაწყისი იხ. გვ. 10)

— პირველი წყვილიდან ერთ-ერთს, რომელიც მანიაკმა მოკლა, ხელში ბურთულიანი კალმისტარი ისე ჩაებღუჯა, რომ ძლივს გამოაცალეს. არ ვიცი, რამ გამახსენა ახლა ეს ამბავი, — ჩაილაპარაკა ალიონამ და რამდენადაც შეეძლო, ახლოს მიეკრა ჩქარი ნაბიჯით მიმავალ მერაბს.

— სისულელეა, — თითქოს უმისამართოდ აღმოხდა მერაბს, მაგრამ ამით მხოლოდ იმ შიშის განელებას აპირებდა, რომელიც ამ გზაზე გამოსვლის შემდგომ აედევნა ალიონას, — შენ რა, შეგცივდა? ერთიანად კანკალებ, — მერაბმა პიჯაკი გაიხადა და ალიონას მოახურა.

— ჰო, მგონი შემცივდა, — არც ალიონა აპირებდა შიშის გამჟღავნებას, მაგრამ ის იყო, მოსახვევს გაუსწორდნენ, რომ მათ წინ ერთბაშად აისვეტა კაცის სილუეტი, რომლის ხელში მერაბმა გაშლილი დანა შენიშნა.

— მომცილდი, — იყვირა ვაჟმა, ქალს ხელი ჰკრა, თხრილისკენ მოისროლა და ფეხის მძლავრი მოქნევით დანა გააგდებინა უცნობს. მერე ერთი ორი მაგარი ალიყურიც აჭამა, მაგრამ არც დამხვდური დარჩენია ვალში. თუმცა, როცა მერაბმა სძლია, უცნობმა ტყეს მისცა თავი. ცოტაც და მერაბის სმენას ბუნდოვნად მისწვდა მანქანის ძრავის ხმა. ალიონა ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს.

— გადავრჩით? — იკითხა აკანკალებულმა.

— გადავრჩით, გადავრჩით. აბა, უსმინე ალიონა, ეს მანქანის ხმაა?

— არა, არაფერი მესმის...

მერაბმაც იფიქრა, ალბათ მომეჩვენაო და ალიონასთან ერთად გზა გააგრძელა.

## ბოლოთქმა

— შეიძლება, ამხანაგო პოლკოვნიკო? — ზღურბლზე ახალგაზრდა ლეიტენანტი იდგა.

— შეიძლება, ვორონოვ, შეიძლება. აბა, რა გაქვს ახალი მანიაკის შესახებ? თუ არ მეშლება, ეს საქმე შენ და ივანოვს გაქვთ დავალებული.

— სწორედ ასეა, ამხანაგო პოლკოვნიკო. ახალი ისაა, რომ ტყის ჩვენთვის საჭირო მონაკვეთზე აი, ეს დანა ვიპოვე. ბიჭებს ვაჩვენე და ერთ-ერთმა გაიხსენა, რომ დანა გუშინ თუ გუშინწინ კოლონიის უფროსის, ვოროშილოვის ხელში დაინახა.

პოლკოვნიკი ერთხანს ჩაფიქრდა. მერე თავი ასწია და ლეიტენანტს შეხედა.

— გმადლობთ, ამხანაგო ვორონოვ. ეს ალბათ გაუგებრობაა. ამაზე მეტს ნუღარ ილაპარაკებთ... — მაგრამ ის იყო, ლეიტენანტმა კარი გაიხურა, რომ გამომძიებელი გუდკოვი იხმო.

— ამხანაგო გუდკოვ, კოლონიიდან მაიორ ვოროშილოვის ჩანაწერები ამოიღეთ. შემდეგ ექსპერტიზა დანიშნეთ, ერთადერთი კითხვით, — ხომ არ არის ეს ჩანაწერები იმ ბურთულიანი კალმით შესრულებული, რომელიც ხელში ჰქონდა მანიაკის მიერ მოკლული ახალგაზრდის გვამს. გასაგებია?

— გასაგებია, ამხანაგო პოლკოვნიკო, ყველაფერი გავიგე... — გაოცებისგან ნიკაპი უკანკალებდა გამომძიებელს.

P. S. ექსპერტიზის დასკვნა გადაჭრით ამტკიცებდა, რომ კოლონიის საქაღალდეში სწორედ იმ ბურთულიანი კალმით იყო ჩანაწერები გაკეთებული, კალამი კი მაიორი ვოროშილოვისა იყო. მერე ამ მტკიცებულებას ზედ დანაც დაურთეს — მასზე მკაფიოდ ჩანდა ვოროშილოვის თითების ანაბეჭდი და მანიაკი, როგორც იტყვიან, ასპროცენტიანი სამხილით დააკავეს.

ამ დროისთვის კი შეყვარებულები შორეულ ბაიკალთან ახლოს, ჯერჯერობით ალიონას ბებიის მეგობრის სახლში იმალებოდნენ.

კვლავაც გრძელდებოდა ლოკოკინას ნიჟარაში გამოკეტილი სიყვარულის თავგადასავალი.

*ვაჟა გავაშელი*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 6 ნოემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,8100 |
| ევრო | 2,3275 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,3288 |
| რუსული რუბლი | 0,0631 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,2410 |


ლუიზოლი Louise-all
პირის ღრუს ლოსიონი და კბილის საწმენდი ფხვნილი
გამინფლემი
GUMINFLAM
სერტიფიცირებულია
უსწრაფესად მოგიხსნით ღრძილების ნებისმიერ პრობლემას
იკითხეთ აფთიაქებში ან დარეკეთ:
☎ 37-38-13
კაბინეტი „ლუიზოლი“

შპს „გეოკორი“

აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

„პლასტრონის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, წაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779




ფირმა „ფლორანი“
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
უმაღლესი ხარისხის პროფილით
სხვადასხვა ფერები და საკეტები
დაბალ ფასებში
☎ 38-08-14
26-44-77; 53-21-51
899 25-38-74; 899 20-57-32
მის: გამსახურდიას 44 (გაგარინის მოედანი, სასტუმრო „ხიბლი“-ს უკან)

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. თურქული „სირაქლემა“



70-იანი წლების ბოლოს, ზესტაფონის მეფრინველეობის ფაბრიკაში თურქეთიდან შემოტანილი 50 000 ცალი კვერცხი ჩაიდო გამოსაჩეკად.

გამოჩეკა რომ დაიწყო, ფაბრიკის ბუღალტერმა ამირან წაქაძემ, — რომელსაც მთელი რაიონი იცნობს როგორც ენაკვიმატსა და ლაზღანდარობის მოყვარულს, — ფაბრიკის დირექტორს, ნოდარ ედიბერიძეს კაბინეტში უცნაური „არსება“ შეუყვანა:

— ა, ბატონო ნოდარ, თურქული კვერცხიდან იჩეკებიან ასეთები!

მაგიდაზე მახინჯი, დიდთავა წიწილი საცოდავად წივწივებდა.

დირექტორს ელდა ეცა:

— რა არის ეს? რისი კვერცხი შემოგვატყუეს აფერისტებმა? ახლავე დაუძახეთ ყველას!..

დირექტორის კაბინეტში თითქმის მთელი ფაბრიკის ტექპერსონალი შეიკრიბა. ატრიალებენ აქეთ-იქით უსუსურ არსებას და იჩეჩენ მხრებს... რომელიღაცამ გამადიდებელი შუშაც კი მოიტანა და ახლა ამ შუშით უვლიან გარშემო.

— შეიძლება სირაქლემაა... თურქეთში არის ასეთი სირაქლემები!.. — ისევ ამირან წაქაძემ შეაშველა „ვერსია“.

დიდი ჯახირის შემდეგ, ძლივსღა მიხვდნენ ამირანის მზაკვრობას: სამსახურში მომავალს გზაში ბუდიდან გადმოვარდნილი ჭოტის ბახალა უნახავს და თურმე ის მიუყვანია დირექტორის კაბინეტში.

***დემურ ცერცვაძე, ზესტაფონი***

## 2. მეორე იქნებაო!..

თიანეთის ტყეში არაქათამ ფეხი გაიჭრა. სახლში დაბრუნებულმა ცოლს შესჩივლა, დღეს შეშის ჭრითაც დავიღალე და ფეხიც გავიჭერი ცულითო... ცოლმა, აბა, მაჩვენეო და წინდა გაახდევინა. ხან აქეთ უტრიალა, ხან იქით, მაგრამ ჭრილობა ვერ უპოვა!..

— ქალო, რით ვერ მიხვდი, მეორე ფეხი იქნებაო!.. — გაუბრაზდა ცოლს.

***ლიანა მარსაგიშვილი, თიანეთი***



## 3. „მელია და მგელი“ წარჩეში



არაერთი ზღაპრის გმირია მელია, რომელიც ჩვეული მოხერხებულობით აოგნებს მასზე ბევრად ძლიერ მგელს.

დაახლოებით ასეთი შედარება შეიძლება ჩემს ნათესავებზე, ბოჩია საჯაიასა და გივი ალანიაზე, რომელთაც ასეთი რამ შეემთხვათ:

სოფელში, ბოჩიასთან ქეიფობენ ორივენი. ბოჩია მთელი სერიოზულობით ეუბნება გივის: — ხომ ხედავ, მე შენზე რამდენად პატარა ვარ, მაგრამ აი, იმ ბოძს, რომლის თავზეც ბეტონის ჩასასხმელი კარკასებია (სახლის ზედა სართულის დასაშენებლად გაემზადებინათ), თავით დავეტაკები და გამოვაძრობო.

ამის თქმა იყო და გაიქცა. ბოძი ძირს დავარდა, ბოჩია კი საღ-სალამათი დარჩა.

გივი გაოგნდა, თუმცა ცდილობდა, არ შეემჩნია. არადა, თავს „დამარცხებულად“ გრძნობდა. მასპინძელმა გივის თავისი ძალის დემონსტრირების საშუალება მისცა — მომდევნო ბოძი შესთავაზა, რომელიც ასევე მომდევნო კარკასს ედგა ბურჯად.

გივიმ გასამხნევებლად (ბოჩიას რჩევით) ნახევარლიტრიანი ბოკალით სავსე ღვინო მოიყუდა და ბოლომდე გამოცალა, ხოლო შემდეგ სტარტი დაახლოებით 20 მეტრიდან აიღო, გამორბენით პირდაპირ... თავი ატაკა რკინის ბოძს და იქვე გონწასული გაიშხლართა. ბოჩიამ სასწრაფოდ დაასხა ერთი ვედრო წყალი და დანანებით გადახედა ბოძს, რომელიც „ამაყად“ იდგა თავის ადგილას.

როცა გივი გონს მოვიდა, ბოჩიას გაოგნებულმა ჰკითხა: — ეგ როგორ მოხდა, კაცო, ბოძი შენ გამოაძრე, მე კი ვერა!

— მაგას მუღამი უნდა! — მშვიდად მიუგო ბაჩიამ.

„მუღამი“ ის იყო, რომ ბოძი, რომელსაც გივი ვერ მოერია, ბოჩიას წინადღით ჩაუბეტონებია!

***გია ალანია, გალის რაიონი, სოფელი წარჩე***

## 4. სიტყვის კაცი



ერთი ძველი მეგობარი მყავს, ამირანი, ზემო იმერეთის ერთ-ერთი სოფლიდან. ამავე სოფლის დასაწყისში გათხოვილია მისი ბიძაშვილი, სასმელზე შეყვარებულ კაცზე. ასე რომ, როცა ამირანი ქალაქიდან სოფელში ჩადიოდა, მის ჭიშკართან უნდა აევლო. ერთ შაბათ დილით, ბიძაშვილის ჭიშკართან ავლისას სიძემ მიაძახა:

— რა უნდა გააკეთო, მოხმარება ხო არ გინდაო. ჰოდა, ეს ჩემი მეგობარი ისეთი ალალი კაცია, პირდაპირ უთხრა: — ღვინო მაქვს გადასაღებიო.

... ჭურის თავი წესიერად არ ჰქონდა მოხდილი, რომ სიძე უკვე მარანში იყო. ამირანმა, როგორც იმერეთში იციან, ჭურიდან ხაპით ღვინო ამოიღო და ის იყო, ჭიქაში უნდა ჩაესხა და მიეწოდებინა, რომ ბიძაშვილის ქმარმა მიაძახა: — არ დამღუპო, მაგაში არ ჩამისხაო და იქვე მარნის თაროზე „დეკორატიული მიზნით“ გამოფენილ 2-ლიტრიან თიხის თასზე მიუთითა: — თუ ძმა ხარ, იმაში ჩამისხი, ცოლს შევპირდი, ერთის მეტს არ დავლევო!..

***ვიტალი თვალაბეიშვილი, თბილისი***

## მკითხველის საკუთარი ანეკდოტი





**5.** ტახტზე წამოგორებული კახელი მიტუა მსოფლიო ჩემპიონატს უყურებს ყინულზე ფიგურულ ციგურაობაში.

ტელეწამყვანმა რუსულად გამოაცხადა, რომ თავისუფალი (პროიზვოლნაია) პროგრამით გამოდის კანადელი მოციგურავეო. ეკრანზე გამოჩნდა ანგელოზივით ლამაზი, ნახევრად შიშველი ქალიშვილი.

— ერთი, ე გოგო მამცა ახლა ამ ტახტზე თავისი „პროიზვოლნი“ პროგრამითა!.. — ინატრა მიტუამ.

იქვე გვერდით, მარო დგას.

— ე-ე-ე, მეხი კი დაგაყარე მაგ გასივებულ თავზედა! მითომ „აბეზატელნი“ შესრულებული გაქვს და ახლა „პროიზვოლნი“ მოგინდა, არა?!

***იურა ცუცქირიძე, თბილისი***



**6.** მიხომ დააცემინა.

— ათასი დოლარი! — მიაძახა მარომ.

— რას ძუნწობ, დედაკაცო! მილიონი მაინც გეთქვა!

— აბა, რას ამბობ, კაცო, მაგდენ ფულს დათვლაი არ უნდა?!

— იი, პირდაპირ ბანკში შავიტანდი!..

***გივი ბარბაქაძე, ხაშური***



**7.** სვანს ცოლი თავს აბანინებდა. წყალი ცხელი მოუვიდა. გაგიჟდა სვანი, — რას მიშვრები, ქალო, აქ რომ არ ვყოფილიყავი, თავს დამიწვავდი!

***ლ.მ., თბილისი***



**8.** მიხო მივიდა მეზობლის ქალთან.

— ქვაბი მათხოვე, თინა!

— ვაიმე, მიხო, გათხოვებდი მაგრამა, ყურები არა აქვს!

— ქალო, განა ზღაპრები უნდა მოვუყვე, რად უნდა ყურები ქვაბსა?!

***„თიანეთელი“***

# ყურადღება!
## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 10 ნოემბრის 11 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 11 ნოემბრის 13 საათამდე.*

**კურიოზების კონკურსი**

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ________

________________

თქვენი სახელი, გვარი

**კვირის პალიტრა №45**

## მილოცვა



**ბადრი გოჩას ძე ჯიქიას!**

გილოცავთ დაბადების დღეს, ჩვენო კეთილო, საყვარელო ბიჭო!. დაესწარი მრავალს. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს. გაიზარდე მშობლებისა და ქვეყნის საამაყო ვაჟკაცად.

*სიყვარულით,*
*მანანა, ირაკლი, პაატა და ემზარ ძაგანიები*



**სანდრო ფესვიანიძეს!**

გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს.

*შენი პაპა მარსელი*

**ჩვენო საყვარელო „კატ ბებო"!**

შორს, საფრანგეთიდან გილოცავთ დაბადების დღეს. იყავი ჯანმრთელი, ხალისიანი, ბედნიერი. ძალიან გვენატრები, გვიყვარხარ.

*შენი მონატრებული შვილი ლია; შვილიშვილები – ანუკი და გიორგი (საფრანგეთი, ვალანსი)*

## ბინები

ქირავდება 2-ოთახიანი, არასტანდარტული, გარემონტებული ბინა (ჭერი – 3 მ), ლოჯიით, 2 აივნით, სამზარეულოს ავეჯით, ლოჯიაში ჩაშენებული კარადებით, ტელეფონით, ბ/აირით, მუდმივი დენით, ცხელი წყლით („არისტონი"), ავტოფარეხით, II სართულზე, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მ. „სამედიცინო ინსტიტუტთან". ტელ: 67-55-35; 899-26-87-29

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას ავსტრიაში, გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას ადგილობრივი ტერიტორიიდან აინტერესებს 50 ბიზნესპარტნიორი. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 893 33-18-86

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება $200-400 აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

კორპორაცია გთავაზობთ მაღალანაზღაურებად სამსახურს ხელმძღვანელ თანამდებობაზე ნამუშევარ პირებს, პედაგოგებს და მედიცინის მუშაკებს. ტელ: 95-91-73; 899 57-58-30. სერგო

მსხვილი ჰოლდინგური კორპორაცია აცხადებს თანამშრომელთა მიღებას კონკურსის წესით, მუდმივ სამუშაო ადგილებზე, მაღალი ანაზღაურებით. არის 3 ვაკანსია. კონკურსის პირობები: უმაღლესი განათლება, ასაკი 28-50 წელი. ტელ: 95-79-32

სააგენტო Libra გიწვევთ გოგონებს AUPAIR პროგრამით გერმანიაში, საფრანგეთში, ავსტრიაში – მსუბუქი საქმის შესრულება ოჯახში, სწავლასთან შეთავსებით, ყოველთვიური სტიპენდიით, სხვა შეღავათებით. ტელ: 37-60-35. მის: ვაჟა-ფშაველას 16. ოფისი 1216

სამუშაო მსხვილ კომპანიაში, უფასო სწავლებით და შემდგომი დასაქმებით. ასაკი – 30-40 წელი. ტელ: 64-87-48; 899 93-08-66 (10-14 სთ; 18-22 სთ)

Работа (для лиц от 25 до 55 лет). Собеседование по записи (с 10-19, ежедн.) Тел: 93-33-18

## მომსახურება

ნებისმიერი სირთულის ტექსტის (დისერტაციები, ნაშრომები და ა.შ.) აკრეფა, ამობეჭდვა, სტილი, კორექტურა, სწრაფად, ხარისხიანად! ტელ: 34-32-79; 899 91-86-81

კვალიფიციური ადვოკატები – შორენა ჭავჭანიძე და დალი აზვლედიანი მოგემსახურებიან სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის, სამეწარმეო, სარეგისტრაციო დოკუმენტების მომზადებასა და სხვადასხვა სახის დავებზე, როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე სასამართლო წარმოების ყველა ეტაპზე. ასევე ადვოკატურა იწვევს იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე-მეხუთე კურსის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს საადვოკატო საქმიანობის შემსწავლელ კურსებზე. ტელ: 95-89-57; 96-64-77; 877 75-79-13

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით, ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე, მორჩენის სრული გარანტიით (1 სთ – 6 ლარი). ყველანაირი კოსმეტიკური მომსახურება. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე, მ. „300 არაგველი", „არამიანცის" საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტლის ქ. №15. მიღება წინასწარ ჩაწერით. ტელ: 77-86-27

სამშენებლო ფირმა გთავაზობთ ფინური სახლების დამზადებას და სრულყოფილ დამონტაჟებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. 1 კვმ ფასი 290 ლარი (სრულყოფილი კომპლექტაციით). ტ. 899-96-22-65; 899-53-38-39

## მკურნალობა

წამალი „მთაწმინდა" კურნავს თმის დაავადებებს: ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა); ტილები, წილები ისპობა 10 წუთში. ვმკურნალობ ფრჩხილის სოკოს გარანტიით. გვაქვს თმის მცენარეული საპნები, ნატურალური კოსმეტიკური მალამოები; ვაკეთებ მასაჟს (ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი). მის: ჭავჭავაძის პრ. 2/2 (ჩაის სახლთან), სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 893 918-917. წამალი „მთაწმინდა" შეგიძლიათ შეიძინოთ ქალაქის აფთიაქებშიც.

სმენის აღდგენა და გაუმჯობესება, ხმაურის, ყურის ანთების, ტკივილის მკურნალობა ენერგოინფორმაციის მეთოდით, აპარატურისა და ოპერაციული ჩარევის გარეშე, ყველა ასაკის პაციენტისთვის. ვმკურნალობ აგრეთვე სხვა დაავადებებს. მის: ვაკე, ჭავჭავაძის №37ა, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი (სამების ეკლესიის უკან), თ. აბულაძის №8. სამუშაო საათები: 9-13 სთ. ტელ: 91-31-19; 91-32-42. ლევან სეხნიაშვილი

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 56-37-37; 899 54-64-81

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული, უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის ამოვარდნა), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, რევმატიული პოლიართრიტი. მკურნალობა ეფექტურია პირველსავე დღეებიდან!!! გასინჯვა-კონსულტაციები უფასოა. მიღება რკინიგზის პოლიკლინიკაში. ექ. ალექსიშვილი. ტელ: 39-39-97; 61-02-97; 899 57-16-99

ანტიალკოჰოლი (პაციენტისგან ფარულადაც) და ანტითამბაქო, ნევროზი, უძილობა, შიშები, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, სოკო, ფსორიაზი, თვალის დაავადებები, ქრ. ბრონქიტი, ასთმა, კუჭის წყლული – სერტიფიცირებული მცენარეული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნიათ. დამზადებულია მოსკოვში აკად. ლიხარიოვის ლაბორატორიაში. ტელ: 899 21-13-66; 99-75-90 ლალი

სიახლე დიაგნოსტიკაში! გთავაზობთ მთელი ორგანიზმის ფუნქციონალური მდგომარეობის კომპიუტერულ გამოკვლევას ნაკატანი-რიოდორაკუს მეთოდით, სწრაფ და ზუსტ დიაგნოსტიკას, მკურნალობის ინდივიდუალურ შერჩევას თანამედროვე საშუალებებით, დინამიკაში დაკვირვებას. დაწვრილებითი ინფორმაცია და ჩაწერა ტელეფონზე: 52-33-29 (18-24 სთ); 29-43-65 (11-16 სთ). მის: ფალიაშვილის 43

მამაკაცების საყურადღებოდ! გაჯანსაღება ბუნებრივი საშუალებებით: პროსტატიტი, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება და შეუკავებლობა, შიში, ალკოჰოლი, პოტენციის და ენერგიის განახლება 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38. ქ-ნი მანანა

ფარულად მიმდინარე ქლამიდიოზის დიაგნოსტიკა და მკურნალობა; ფარული ბლასტოზის გამოვლენა; პარადონტოზის, ართრიტების, სისხლძარღვთა დაავადების მკურნალობა; ორგანიზმის წმენდა წიდებისა და მარილებისაგან, უძველესი აღმოსავლური მედიცინის გამოცდილების საფუძველზე მიღებული ბუნებრივი სამკურნალო საშუალებებით. ტელ: 22-11-47. მედ. მეცნ. კანდიდატი თამარი

ალკოჰოლიზმი და მისგან გამოწვეული გართულებები – ნაბახუსევის („პახმელიის") სინდრომის მოხსნა, ჰალუცინაციები, აგრესია, შიშები, უძილობა, დეპრესია, ჰეპატიტი, კოლიტი, შებერილობა, ბუასილი. ალკოჰოლიზმზე მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისგან ფარულად. პრეპარატები მცენარეულია, მაღალეფექტური და უსაფრთხო. გაჯერებულია ვიტამინებით. ტელ: 99-75-90 (სამს.); 53-08-02; 893 62-05-24. თამრიკო

სიახლე ალკოჰოლიზმის მკურნალობაში, კრემლის ყოფილი ლაბორატორიის მცენარეული პრეპარატებით! ნარკოტიკების დაბინძურებისგან ორგანიზმის გაწმენდა, ნერვოზები, დეპრესია, შიშის, ღვიძლის პრობლემები, ჰეპატიტები. ალკოჰოლიზმის მკურნალობა შესაძლოა პაციენტისგან ფარულადაც. ტელ: 899 22-63-90. ნინო

ალკოჰოლიზმისაგან განკურნება კრემლის ლაბორატორიის მცენარეული, ლიცენზირებული, მაღალხარისხოვანი პრეპარატებით (შესაძლებელია პაციენტისგან ფარულად). გარდა ამისა ვმკურნალობ: ნერვოზებს, აგრესიულობას, ფსორიაზს, ასთმას, ბრონქიტებს. მკურნალობას შედეგი აქვს კიბოს დაავადებების დროსაც (საწყის სტადიებში). შესაძლებელია ბავშვების სიმაღლეში გაზრდაც. ტელ: 893 35-45-35 (ნებისმიერ დროს); 99-75-90 (12-17 სთ. კვირის გარდა). მაკა

ალერგენების დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა-ლოგონევროზი), იმუნური სისტემის კორექცია უახლესი გერმანული აპარატურის მეშვეობით. მის: ვაჟა-ფშაველას 16 (ყოფილი მშენებლობის სამინისტროს შენობა), მე-13 სართ. რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ხელმძღ. ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. 10-15 სთ. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77 (ბინა)

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი-კომპიუტერი" გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

შეგასწავლით საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად. ტელ: 34-32-79; 899 91-86-81

სიახლე! ერუდირებული და მონდომებული მოზარდებისათვის კომპიუტერის და ინგლისურის შესწავლა სპეციალური პროგრამით – „დამწყებიდან პროფესიონალამდე". ჩაწერა ყოველდღე, 12.00-15.00 სთ. I კურსი – საოფისე საქმიანობა + კომპიუტერული გრაფიკა; II კურსი – Web-დიზაინი, ანიმაცია; III კურსი – პროგრამირება პრაქტიკული გამოყენებით. მის: ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკი) ქ. №12. ამოსასვლელი – კოსტავას №14-დან, მ. „რუსთაველსა" და ფილარმონიას შორის. ტელ: 98-80-23

შპს „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. კოსმეტოლოგ-ვიზაჟისტი; 2. მასაჟისტი; 3. საპარიკმახერო. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: დ. აღმაშენებლის 115 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა)

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო ავტომობილით. მის. ლ. ასათიანის ქ. №28; მუხიანის დასახლება, I მ/რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 899 14-14-84

უცხო ენების ფირმა „ელიტა-სკ" იწვევს 15-დან 18 წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეებს, ამერიკის, გერმანიისა და საფრანგეთის სკოლებში სასწავლებლად. აკადემიური წლის (10-თვიანი) პროგრამით. მის: ქავთარაძის ქ. №12. ტელ: 30-39-20

## იყიდება

ახალი კორეული ციფრული სატელიტური ანტენა. აჩვენებს ყველგან: ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა – 40-დან 600-მდე ევროპული; 1-დან 4-მდე ქართული; 5-დან 18-მდე რუსული. ფასი $130-დან $$230-მდე. მხოლოდ 25 რუსული არხი. კომპლექტის ფასი – $200, მონტაჟი – 50 ლარი. ტელ: 899 94-27-04

იყიდება დიღმის მასივში, ხალხმრავალ, კარგ ადგილას, ცალკე მდგომი, კაპიტალურად ნაგები შენობა მოქმედი სასადილოთი (ფურნე, თონე), 300 კვმ ფართის მოშენების და დაშენების კარგი პერსპექტივით. ტელ: 52-68-51 (საღამოს); 899 55-67-67

იყიდება ა) დიაბეტური შაქარი (სორბიტი); ბ) სორბინის მჟავა. ტ. 877-45-22-52 ვახტანგი

გვაქვს ხეხილის ყველა ჯიშის ნამყენი ნერგი: უწამლი ვაზები, ნამყენი ვარდები, კვიპაროსები და დეკორატიული მცენარეები. გვყავს პროფესიონალი მებაღე-დეკორატორი. მის: სანერგე მეურნეობა, თბილისის ზღვასთან. ტელ: 899 16-93-15; 69-97-05. ამირანი, გივი

96 ატეესის ტელეფონი, პლეხანოვზე. ტელ: 32-82-69

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით; აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 899 27-38-99; 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

## შევიძენ

ნახმარ საჭიდაო ხალიჩას ან ტატამს. ტელ: 64-28-64; 899 51-85-24

## სხვადასხვა

საქართველოს „აიკიდოს" ფედერაცია იწვევს მსურველებს საინსტრუქტურო მოსამზადებელ ვარჯიშებზე. მომავალში დაგეხმარებით რეგიონალური კლუბის გახსნაში. ტ: 64-28-64; 899 51-85-24









## ნათია დანელიას მონატრება

ჩვენო ლამაზო დაიკო! ორმოცი ცრემლიანი, ტკივილიანი დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან. სიცოცხლით და იმედებით სავსეს, 38 წლის ასაკში უკურნებელმა სენმა მოგისწრაფა სიცოცხლე.

რატომ მოაკლდი შენს ცხრა დედმამიშვილიან ოჯახს? შენ ხომ ძალიან გიყვარდით ყველანი, ჩვენზე ლოცულობდი. რატომ დატოვე შენი ორი ანგელოზი შვილი, როცა ასე ძალიან სჭირდებოდი მათ? რატომ არ შეიბრალე შენი მოხუცი მშობლები? უშენოდ ირგვლივ სიცარიელეა, ნათია! ძალიან გვიყვარხარ და ძალიან გვაკლიხარ. როგორ გვენატრება შენი თბილი გამოხედვა და ლამაზი ხმის გაგონება. რაც დრო გადის, უფრო გვემატება დარდი, ყველგან შენ გხედავთ.

ყველას გული დასწყვიტე – შენს მეულს, რძლებს, მეზობლებს, ნათესავებს, რომლებიც არაფერს იშურებდნენ შენი გადარჩენისთვის, მაგრამ შენ, შენს საყვარელ დისშვილთან, გოგა ჯანგულაშვილთან გადასახლება ირჩიე, რომლის მუხანათურმა მკვლელობამ დიდი ტკივილი მოგაყენა, დღედაღამ მასზე ტიროდი.

ღმერთმა ნათელში გამყოფოთ ორივე, დედა და დისშვილი. ია-ვარდით იყოს დაფარული თქვენი საფლავები.

ჩვენ გვჯერა, რომ თქვენი სპეტაკი სულები სამოთხეშია. დაე ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოთ გზა მარადიულ სასუფეველში, ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო. იძინეთ მშვიდად, ილოცეთ ჩვენზე.

*თქვენი მარინა დანელია*

## გიორგი კიკოლაშვილს!

ორი წლის მონატრება

*გიო, შენზე ცრემლმორეულს ხშირად ვხედავ დედას შენსას,*
*არ მინახავს მე ტირილი და ცრემლის ღვრა ამისთანა.*
*მახსოვს, როგორ იზრდებოდი, შეჰხაროდა დედა ვაჟკაცს,*
*მოსკოვიდან დაბრუნებულს რომ გიკრავდა გულში მაგრად.*
*დედაშვილობა ასეთი, ასე ზრუნვა და ამგვარ*
*რად დათმე, ჩემო ბიჭუნავ, რატომ დაყარე ფარხმალი?*
*შენს ამხანაგებს რას ეტყვი, რომ შესტირიან სურათებს,*
*დადიან მუხლმოკვეთილნი, კედლებს სულ მკილებს უოტყამენ.*
*ან ფოთამოტეხილ შენს მამას, ან გამწარებულ დედებს,*
*ან შენს პატარა ძმიკოს, რა ვუთხრათ, როგორ გაიგოს?!*
*შენს ორა ბებოს რა უთხარ? დაგტოვა სულ პაწაწინა,*
*შემოგხვდა იქ სიხარულით? გულში ჩაგიკრა? აგტირდა?*
*ან შენს ერთადერთ პაპას რად არ დაუდექ მხარში,*
*გიო, გვიყვარხარ ყველას, ძლიერ გვაკლიხარ თვალში.*
*ახლა მშვიდობით, შვილო, გქონდეს ცხონება დიდი,*
*აქ სულ ახსოვდე ყველას, იქ გქონდეს ძილი მშვიდი!*

*მეზობლების სახელით, ნელი კირვალიძე*

## ზურაბ ცერცვაძის გახსენება



40 დღე გავიდა იმის შემდეგ, რაც ჩვენთან აღარ ხარ. ძალიან ძნელია ჩემთვის შენი წარსულში გახსენება, ზურა. შენ სიკვდილის წინ თქვი, – იმერეთში დავიბადე, თბილისში ვიცხოვრე და სამეგრელოში უნდა დავიმარხოო? ასე მოხდა, ზურა, ალბათ ასე ინება განგებამ.

მსუბუქი იყოს შენთვის სამეგრელოს მიწა ნათელში გამყოფის უფალმა, ჩემო საყვარელო, ჩემო ძვირფასო, ჩემო კეთილო ზურა.

ცრემლი, ლოცვა და წმინდა სანთელი არ მოაკლდება შენს საფლავს, სანამ ცოცხალი ვარ.

*შენი მეუღლე სულიკო ჯიქია*

## მონატრებულ მამას და მეუღლეს რომან კუჭუხიძეს!



...სევდისფერი უშენობა ცრემლიან მონატრებად ათოვს შენს ნაფერებ ოჯახს. 11 წელია, უსაზღვროდ გვენატრები, მამი... ვაჟკაცური ნაბიჯებით განვლილ შენი ცხოვრების გზა გვაძლევს უფლებას, თამამად ვთქვათ: ჩვენი საამაყო მამა ხარ... ჩვენთვის უსიხარულო დილა არ აგინთია, დღემდე შენი სიყვარულით გაჯერებული დღეების მოგონებებით ვივსებთ უშენობას... სხვა ვერანაირი სიხარული ვერ დაფარავს იმ ტკივილს, რომელსაც უშენობა ჰქვია...

*დასერილი დღეები, დაფენილა დარდად*
*უშენობას ვერავინ ვერ შეგვივსებს, მამა...*

*მეუღლე ინეზა ლაბარტყავა, შვილები: მირიან, შორენა, ფიქრია კუჭუხიძეები*

## ნანული გოგოლაძის მონატრება



7 წელია, შენი სიცოცხლე შემოდგომის ფოთლებივით გაფრინდა და მარადისობაში გადაინაცვლა. 1 ნოემბერს შენი დაბადების დღეა – ძალიან გვენატრები, ძალიან დააკლდი შენს მეგობრებს, ნათესავებს, სკოლას. შენი სურათი დღესაც კიდია შენს კაბინეტში. რაც დრო გადის, ტკივილი უფრო გვიმძაფრდება.

უფალი იყოს შენი წმინდა სულის მფარველი.

*ქ. თბილისის 28-ე საშუალო სკოლის კოლექტივი*

## გოგუცა ყუბუსიძე-ჩოგოვაძის გახსენება



13 ნოემბერი შენი დაბადების დღეა. გილოცავ, ჩემო ძვირფასო დედა. 6 წელია, უშენოდ ვხვდები ამ დღეს. რა სევდიანი და ტკივილიანია უშენობა. საოცრად თბილი, მოწყალე და სხვათა შემბრალე იყავი. მთელი შენი ცხოვრება მე შემომწირე. ჩვენ მარტო დედა-შვილი კი არა, კარგი მეგობრებიც ვიყავით. საოცრად მაკლიხარ და მენატრები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*შენი ლიანა*

## დათო წიკლაურის გახსენება



ერთი წელი, გავიდა, რაც მიგვატოვე, ჩვენო შვილო. ვისთვის ჩქარა გაფრინდა, ჩვენთვის კი საუკუნის ტოლი აღმოჩნდა. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო. ტყუილი ყოფილა. ენით აუწერელია ის ტკივილი, რაც უშენობამ მოგვიტანა.

დაბადების დღე მეგობრებმა და ახლობლებმა აღგინიშნეს. ყველამ შენს საფლავთან მოიყარა თავი. ვაჟკაცური, იმედიანი, ყველასათვის თავგამეტებული და ულალატო იყავი. უსაშველოდ გვენატრები ყველს, განსაკუთრებით კი შენს პატარა ბიჭებს. მათი თვალები ხომ სულ შენ გეძებენ.

მუდამ ვილოცებთ, რომ უფალმა ნათელში ამყოფოს შენი სული

*დედ-მამა*

## ავთანდილ კაჭარავას მონატრება



ტკივილიანმა ერთმა წელმა უკვე გაირბინა, მამა, უშენობით გამოწვეული სიცარიელე კი ვერაფერმა ამოავსო. კიდევ ერთი შვილიშვილი მოგვივლინა ამქვეყნად. ნატრობდი, დიდი სიხარულით მოელოდი მის დაბადებას, მაგრამ არ დაგცალდა. როცა ყველაზე მეტად გვჭირდებოდი, სწორედ მაშინ გამოგვეცალე ხელიდან. გვაკლიხარ, გვენატრები. შენს სიკეთით სავსე თვალებს ვეძებთ და ვერ ვპოულობთ. შენი ახლობლების გულებში მუდამ ის შევერცხლილთმიანი, მხიარული, ამაყად მოარული მამა და მეუღლე იქნები, რომელიც მუდამ სიკეთეზე ფიქრობდა და ყველგან სიყვარულს თესდა.

ღმერთმა ნათელი მოჰფინოს შენს სპეტაკ სულს.

*ოჯახი*

## დათო ბურჯიაშვილს!



10 ოქტომბერს 27 წელი შეგისრულდა. შენი დაბადების დღე საავადმყოფოში აღვნიშნეთ, ჩემო საყვარელო. ახლა კი, 8 ნოემბერს ჩვენი ქორწინების 8 წლისთავია. შენ კი როგორ მიმატოვე...

ქარის შრიალი, ზუზუნი, ხეების ტატანი, სიცივე, სიცარიელე, სიმარტოვე, საშინელება ირგვლივ. ამ ყველაფერს სიგიჟემდე მივყავარ, რადგან ასეთი დღეების შემდეგ შენთან საუბარი მამშვიდებდა. თითქოს ცხოვრება ჩერდებოდა, აღარანაირი სირთულე აღარ მახსენდებოდა... აი, ახლა კი შემოვრჩი მარტოობას კლანჭებში და დაუნდოლად მიკაწრავს მთელ სხეულს. მაკლიხარ, საშინლად მაკლიხარ.

„ღმერთმა შეგარჩინოს ჩემი ცრემლები და სულის უსაშველო გლოვა".

მივხვდი, რომ აღარანაირი გზა არ მრჩებოდა, გამებრძოლა, აღარანაირი იმედი ბედისა, რომელმაც ასე დაუნდობლად გამომიტანა განაჩენი.

იმედი მაქვს, რომ უშენობის ამ მძიმე ტვირთს მარტოს არ მატოვებნ და შენს ორ ანგელოზს ზეციდან უპატრონებ. მე კი ყოველთვის ისე ძლიერ მეყვარები, როგორც აქამდე. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*მეუღლე ფიქრია*

## გია ტალიაშვილის („ტარასიჩი") მონატრება



სიახლოვით სიცოცხლეზე უტკბესო და სიშორით სიკვდილზე მწარევ! მესამე 7 ნოემბერი – შენი დაბადების დღე მოდის. 38 წლის უნდა გამხდარიყავი, რომ არ ყოფილიყო ავადსახსენებელი 28 სექტემბერი.

შენგან დაშორებული 2 წელი და 38 დღე გავიდა უშენოდ, ტკივილიანი და ცრემლიანი.

შენი უბედური დედა ტირილში „იავნანით" გაღვიძებს და გაძინებს. მამას კი, შენი ცოლ-შვილის წაყვანა-მოყვანის დროს, ფიქრში გართულს გზა ეშლება და სხვაგან მიდის. მე კი საყვედური მინდა გითხრა, რომელსაც ვერასოდეს გაიგებ. უკეთესი დრო, სიცოცხლე რატომ მომიწამლე, მას, ვისაც უშენოდ მზე ყინავს და მთვარე აზრობს. მუდამ შენი სახე მიდგას თვალწინ, ჩემს თავს ვერ ვპატიობ, რატომ ვერ გავიგე შენი ავადმყოფობა და ვერ გიშველე.

ჩემო სიამაყევ, ძმაო, კაცურ-კაცურად ნაცხოვრებო „ტარასიჩ", კაცო, რომელმაც ყველგან სიკეთე თესე, რატომ წაგიყვანა განგებამ მარადიულ სასუფეველში ნაადრევად, რატომ ვერ მოესწარი შენი შვილების – ლიკუნას და მარიამის გაზრდას?! მარიამი შენი განსახიერებაა.

წელს შენი მოსახელე გიორგი ჯავახიშვილის უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. შენს სულს იფიცებს, – ვასახელებო.

შენს ცოლ-შვილს გასაჭირში არასოდეს მივატოვებ. გვერდზე ედგება შენი და, საქვიდან საიქიომდე.

*„ნიაზი"*

*განვლე ბავშობა, განვლე ბიჭობა,*
*მაგრამ გაჩერდი შუა კიბეზე.*
*გული იქითკენ არ გეწეოდა,*
*მაგრამ მუხთალი ბედი ასეა.*

## თამაზის, თიკოსა და თამუნას ტკივილიანი მონატრება

  

1 წელია გავიდა, რაც განგებამ ერთმანეთს დაგვაცილა, ჩემო ძვირფასო მამა და საყვარელო დებო, ჩემო კეთილებო და პატარა ანგელოზებო. ტკივილი დიდზე დიდია, თანაც მოუშუშებელი სევდა არ ილევა და ტკივილი არ ყუჩდება. რასაც გულით ვგრძნობ, მისი ფურცელზე გადატანა შეუძლებელია. თუმცა მინდა, რომ მსოფლიოს გასაგონად განვაცხადო, რომ ძალიან, ძალიან მიყვარხართ და მენატრებით, ძალიან მტკივა გული, რომ თქვენ ჩვენ გვერდით აღარ ხართ და მხიარული ბავშვობა მწუხარებამ შემიცვალა. მიჭირს მუდამ ძაძებში გამოწყობილი, თქვენზე მტირალი დედის ყურება. მითხარით, როგორ დავუამო ჭრილობა, როცა თავადაც ცუდ დღეში ვარ?! შვილების სიკვდილით გამოწვეულ ჭრილობას ხომ არაფერი აშუშებს. ისეთი ხანმოკლე იყო თქვენი სიცოცხლე, ოცნების მეტი ვერაფერი მოასწარით. მამიკო, ჩემი საყვარელი ფრაზა იყო, – მსოფლიოში საუკეთესო მამა მყავს-მეთქი. შენ ხომ ჩემი დასჯის უფლებას არავის აძლევდი. ახლა რაღა ვქნა, ვინ დამიტოვე მფარველ ანგელოზად? ღმერთს ვევედრები, მომცეს ძალა იმისა, რომ შევძლო იმ კეთილი გზით სიარული, რომლითაც თქვენ დადიოდით, რათა თქვენი ღირსეული სახელი გავაგრძელო.

ჩემო პატარა ანგელოზებო, ჩემო სიცოცხლეებო, ჩემო სამუდამო ტკივილებო, ამ პატარა გულში რომ გამიჩინეთ, თქვენ ჩვენს გულში სამუდამო ტკივილად დარჩებით. განგებამ თქვენი თავი კი წაგვართვა, მაგრამ გულებში სითბო და სიყვარული დაგვიტოვა. ვერ შევძელით თქვენი გადარჩენა, მაგრამ შევძლებთ თქვენს არდავიწყებას. თქვენთვის ვილოცებთ, ჩემო კარგებო. ეკლესიაში თქვენთვის ანთებული სანთელი მუდამ ციმციმებს, რომ გაგინათოთ ის პატარა ბილიკი, რომელზეც თქვენ უნდა იაროთ.

*დიდი გულისტკივილით, თათია ლომინაძე*

## თამუნა და თიკო ლომინაძეების მონატრება



ჩემო საყვარელო შვილიშვილებო, მეორედ მოვიდა გაუსაძლისი, ტკივილიანი, ცრემლიანი თქვენი დაბადების დღე. თქვენ ხომ ეს დღე ძალიან გიყვარდათ. ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, მოვიდეთ თქვენს გაყინულ საფლავთან და ცრემლითა და ყვავილებით მოგილოცოთ. თქვენ ხომ მხოლოდ 15 წელი იცოცხლეთ, მაგრამ ეს სრულიად საკმარისი ყოფილა ოჯახის გასანადგურებლად. უთქვენოდ ჩვენი არემარე გაყინულია. ჩვენს სიცოცხლეს ფასი არა აქვს. ცრემლიანი თვალებით ყველგან დაგეძებთ, ჩემო ლამაზებო. როგორ ველოდები იმ დღეს, როდესაც თქვენთან მოვალ და გულში ჩაგიკრავთ, მერე კი ვეღარავინ დაგვაშორებს, ჩემო პატარა ანგელოზებო. თქვენ შემიყვარეთ ის წმინდა ადგილი, სადაც გძინავთ.

იძინეთ მშვიდად, ჩემო ლამაზებო. ამბობენ, ღმერთს თავისთან რჩეულები მიჰყავს ანგელოზებადო.

*ღრმად დამწუხრებული თქვენი უბედური ლილი ბებო, თენგიზ პაპა, გოჩა ძია*

## თიკოსა და თამუნას ხსოვნას!

ჩვენო ლამაზო თიკო და თამო, ისევ მოვიდა 12 ნოემბერი, თქვენი დაბადების დღე, რომელიც ასე ძალიან გიყვარდათ. გილოცავთ ზეციურ სასუფეველში. ღმერთმა ერთად გაგაჩინათ და ერთად წაგიყვანათ თავისთან, 15 წლის ქალწულები ანგელოზებად, მამასთან ერთად. რით ვანუგეშოთ საცოდავი, გაუბედურებული დედათქვენი, მზრუნველი მეუღლისა და უსაყვარლესი შვილების დამკარგავი?! თამაზ, შენ მაინც მიულოცე შენს შვილებს დაბადების დღე. ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, მოვიდეთ თქვენს საფლავზე, აგინთოთ სანთლები, შევსვათ თქვენი შესანდობარი და ღმერთს თქვენი სულის სასუფეველში დამკვიდრება ვთხოვოთ.

მსუბუქი იყოს თქვენზე დაყრილი მიწა.

*ოთარი, ქეთინო, გვანცა, თამთა დიასამიძეები*

## ნატო შიშინაშვილი-ადუაშვილის მონატრება



ჩვენო პირველო დიდო სიხარულო და ტკივილო, პირველად ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს, 9 ნოემბერს. შენს საფლავთან მისულებს შენ ნაცვლად ქვაზე გარინდული შენი ლამაზი სახე დაგვხვდება.

როგორ გვაკლიხარ, გვენატრები. დიდია შენი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი. შენით ვამაყობდით და შემოგნატროდით. მხარი მოსტეხე უსაყვარლეს მეუღლეს. უჭირს მამუკას უშენოდ. თავი არ დაუზოგავს შენი სიცოცხლის გადასარჩენად, მაგრამ არ დაუფასდა. გვჯერა, მისი შენდამი უსაზღვრო სიყვარული არასოდეს განელდება. უდიდესი პასუხისმგებლობა აქვს შენ წინაშე: ისეთი ვაჟკაცი უნდა გაზარდოს შენი ერთადერთი ბიჭი, როგორზეც შენ ოცნებობდი. შენი სითბო, სიყვარული და მოფერება აკლია ბაჩოს. მას ხომ დედობრივი დიდი სიყვარული დააკლდა, რომელსაც ვერავინ შეუვსებს. როგორ შენატროდი მის დავაჟკაცებას.

უდიდესი ტკივილი ხარ შენი საყვარელი დებისთვის. გაუსაძლისია მათთვის უშენობით გამოწვეული სიცარიელე.

გვიკვირს, როგორ ვძლებთ უშენოდ. გიყვარდა ყველა: ოჯახის წევრები, მეგობრები, ახლობლები, მეზობლები. შენგან დატოვებულ სითბოს და სიყვარულს ვერაფერი წაშლის მათ გულებში. ყველას მოაკლდა შენი სითბო, გულისხმიერება, კეთილგანწყობა.

ჩვენს უსაზღვრო გულისტკივილს ვერაფერი განელებს. ჩვენო კეთილო და ალალმართალო შვილო, სამწუხაროდ ვერაფერი გიშველეთ. უფალს ვთხოვთ, ზეციურ სასუფეველში დაუმკვიდროს ბინა შენს ლამაზ სულს.

*შენი მშობლები – ნათელა და რეზო შიშინაშვილები*

## ნატო შიშინაშვილის მონატრება



ჩვენო ნატო! ხვალ 9 ნოემბერია, შენი დაბადების დღე. პირველად ვხვდებით უშენოდ, მაგრამ კათედრის ტრადიციისამებრ, დღესაც დევს შენს მაგიდაზე ყვავილები. გიგონებთ სიყვარულით და გილოცავთ როგორც ცოცხალს. თვალწინ გვიდგას, როგორი სინაზით გვეტყოდი, – თქვენ ხომ არაფერი დაგავიწყდებათო.

შენი გარდაცვალებიდან 40 დღე შენს სურათთან ყვავილი არ დამჭკნარა. სამწუხაროდ, ჩვენს კათედრაზე ესეც ტრადიციად იქცა. სევდით, ცრემლით გილოცავთ. ეს სტრიქონები შენი გახსენების არაა, ნატო, რადგან არავის დავიწყებიხარ, გვახსოვხარ, გვიყვარხარ. დიდი ტკივილი ხარ ყველასთვის. საოცნებო შვილი და და, ერთგული მეუღლე, განუმეორებელი დედა, არაჩვეულებრივი კოლეგა და მეგობარი – აი, ასეთი იყავი და დარჩები, ნატო, ყველას გულში, ვინც გიცნობდა.

შენით გულმოკლული შენი მშობლები, დები, შენზე უზომოდ შეყვარებული შენი მამუკა, რომლის თვალებში ალბათ საუკუნო სევდა იკითხება – შენს ბაჩოს არაფერს დააკლებენ, შენგან დატოვებულ სიცარიელეს ვერავინ შეუვსებს მხოლოდ. ყველას გვჯერა, რომ იგი ისეთი გაიზრდება, როგორიც შენ გინდოდა. იძინე მშვიდად, ჩვენო ნატო.

კათედრა, სადაც შენი ტოლებზე მეტი შენი ყოფილი ლექტორები არიან, არ დაგივიწყებს.

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის კათედრის თანამშრომლები*

## შენ მუდამ ჩვენთან იქნები!

*ნინო თოდუას მონატრება*



ნინიკო, დედა, ჩემო საოცნებო არსებავ, ჩემო საიმედო გოგოვ, პირველად გილოცავ დაბადების დღეს უშენოდ, რომელსაც თერთმეტ წლამდე სიხარულითა და ხალისით ვხვდებოდით ყველა, მაგრამ წელს გულისტკივილით, სევდითა და ცრემლებით ვხვდებით. თერთმეტი წლის შესრულება სასაფლაოზე უნდა აღვნიშნო 9 ნოემბერს. ვინ იფიქრებდა, შვილო, ასე მალე გამოფრინდებოდი ხელიდან, ან უშენოდ სიცოცხლე თუ შეიძლებოდა? დედისა და ძმის თვალწინ უაზროდ და უმიზეზოდ გასროლილმა ტყვიამ ჩვენი სიცოცხლე, შენი ლამაზი ღიმილი და შენი ლამაზი ხელებით მოფერება სამუდამოდ გააქრო. შენ ჩვენი ოჯახის დიდი სიხარული თან გაიყოლე. შვილო ნინო, ყოველდღე ჩვენთან ხარ, ჩვენს ფიქრებსა და ოცნებებში. ყოველი დილა ჩვენს ოჯახში შენი სურათის ამბორითა და სანთლის დანთებით იწყება. დღედაღამ შენთან ვარ, გელაპარაკები, მინდა მოგეფერო და გულში ჩაგიკრა. შენებური სითბო მინდა, რომელსაც ვიცი, ვეღარასოდეს ვეღირსები. ამიტომ ჩემი ხვედრი უმძიმესია. მოუთმენლად ველი წასვლას იმქვეყნად, რათა არასოდეს დავბრუნდე ამ ტანჯულ ცხოვრებაში.

ნინიკო, შვილო, ასაკით პატარას ძალიან დიდი და თბილი გული გქონდა. უზომოდ კეთილი და მოსიყვარულე იყავი, ამიტომაც უყვარდი ყველას, ჩვენო მუდამ მოღიმარო, სიცოცხლით სავსე ნინო. ლამაზი მომავალი გელოდა წინ, მაგრამ შენი და ჩვენი ოცნებები შენს მომავალზე შენთან ერთად დაიმარხა. ყველას თვალში გვაკლიხარ და გვენატრები, ვეღარ ვეგუებით იმ აზრს, რომ შენ ჩვენთან აღარ ხარ. შენ ფერი იცვალე, შვილო და ზეციდან დაჰყურებ შენს ტანჯულ მშობლებს და ერთადერთ ძმას, რომელსაც ძალიან ენატრება შენი მოფერება.

ყვავილები გიყვარდა. ლამაზი ყვავილებით შევამკობთ შენს სამყოფელს, ყვავილივით ლამაზო და თვალხატულა ნინიკო!

სიყვარული იყოს შენი მფარველი, სადაც ხარ, შენს მარადიულ ქვეყანაში. უფალს ვთხოვ, შეისმინოს დედის ვედრება.

*შენი ოჯახი*

## აკაკი ალიმბარაშვილის გახსენება



მეხუთედ მოვიდა 9 ნოემბერი უშენოდ. ბოლო დაბადების დღე პატარა ბავშვივით გიხაროდა. ალბათ გრძნობდი, რომ შენთვის უკანასკნელი იყო. ძალიან გვენატრები და დათრგუნვილები ვართ უშენოდ. შენი დები უფროსი შვილების საფლავებთან ერთად დაგტირიან. შევეცდებით, რომ ღირსეული პატივი მივაგოთ შენს ხსოვნას.

*ოჯახი*

## ბაბულია ბახტაძის ხსოვნას!



წავიდა ჩვენგან მცხეთის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის ღვაწლმოსილი მუშაკი, ქალბატონი ბაბულია ბახტაძე.

ქალბატონი ბაბულია 1944 წლიდან ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდა მცხეთის სამომხმარებლო კოოპერაციას. მისი ყოველი სიტყვა სითბოთი და თითოეულ ჩვენგანზე მზრუნველობით იყო სავსე.

ძალიან გვიყვარხართ, ჩვენო კეთილო ბაბულია დეიდა. ძალიან გვტკივა ყველას გული თქვენი ამ ქვეყნიდან წასვლით. არასდროს დაგვავიწყდებით და ყოველთვის ტკბილად და თბილად გაგიხსენებთ.

მსუბუქი იყოს თქვენთვის დალოცვილი მცხეთის მიწა.

*თანამშრომლები*

## გივი მიმინოშვილის გახსენება



მამა, სამუდამოდ დატოვე ჩემში მონატრება. ინფარქტით გაბზარულმა გულმა 4 მარტს საბოლოოდ გიმტყუნა, მაგრამ შენს სახელს დავიწყება არ უწერია. მეუღლის ცრემლი გინამავდეს მიწას, ჩემმა ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა სასუფეველში.

*თამილა*

## სოსო ჩოჩიას გახსენება!



7 ნოემბერს გათავდა 13 წელი, რაც აღარ ხარ ალალი შრომით შექმნილ შენს ოჯახში. მჯერა, რომ ის სიკეთე, რომელსაც ასე უანგაროდ გასცემდი ხოლმე, წინ წაგიძღვა უფლისაკენ მიმავალ გზაზე. შენზე მოგონებებით ვაგრძელებთ ცხოვრებას. ძალიან მენატრები.

*შენი კახა*

## ოთარ კუბლაშვილის გახსენება



შემოდგომაა...

ასეთივე შემოდგომა იყო 10 წლის წინათ. დაგვიტოვე ტკივილი, განუზომელი მონატრების დიდი სურვილით გამობარი.

არაფერი ყოფილა ისეთი მწარე და მტკივნეული, როგორც ის, რომ შენ გვერდით იყო მეგობარი და ამქვეყნიურ ცხოვრებაში აღარ შეხვდები. იქ კი ალბათ...

*მეუღლე ნათელა მდივნიშვილი*

## მამუკა ჯანგებაშვილის ტკივილიანი მონატრება!



8 ნოემბერს სრულდება უშენოდ ყოფნის 40 დღე. ვერაფრით წარმოვიდგენდით, თუ ამ სიტყვების დაწერა მოგვიწევდა შენზე, ჩვენო მამუკა.

შენ მარადიული ახალგაზრდობა გარგუნა ბედისწერამ. 25 წლისამ დატოვე შენი ოჯახი.

დრო ყველაფრის მკურნალი არ ყოფილა, მამუკა! ძალზე ძნელია შენზე წარსულში ლაპარაკი. შენ ის ტკივილი ხარ, დროსთან ერთად რომ იზრდება.

ძალიან გვენატრები, გვიყვარხარ და გვაკლიხარ ყველას. დაე, ჩვენმა დანთებულმა სანთელმა გაგინათოს გზა მარადიული სასუფევლისკენ.

*დიდი მონატრებით, შენი ახლობლები.*

## ლუიზა კორაშვილი-ბეჟანიშვილს!



უკვე ერთი წელია, უშენოდ ვართ! ყველაზე მნიშვნელოვან წუთებში გვერდით აღარ გვეყოლები, უშენოდ გაბედნიერდებიან ჩვენი შვილები... ჩვენ ხომ ერთად უნდა გაგვეხარა შვილიშვილებით! ასე მგონია, ჩვენი ოჯახის ბედნიერება ისეთი უსაზღვრო აღარ იქნება, რადგან უშენობა ყოველთვის შეგვახსენებს თავს...

*შენი მეუღლე ტელმანი*

## ლუიზა დეიდა!

ძალიან მოგვენატრე! ერთი წელი გავიდა შენი ტრაგიკულად დაღუპვიდან, მაგრამ უშენობას ისევე განვიცდით, როგორც პირველ დღეებში. შენ ხომ საკუთარ შვილებში არ გვარჩევდი!

ახლახან შენი უმცროსი დისშვილი გაბედნიერდა. რა სხვანაირი იქნებოდა ჩვენი სიხარული, შენ რომ ჩვენ გვერდით ყოფილიყავი!.. ვიცით, რომ გაგიხარდა და ყოველთვის ილოცებ მისი ბედნიერებისთვის შენი სამუდამო სამყოფელიდან.

*შორენა, დიანა, თამთა*

## ანდრო ხარხელაურის ხსოვნას!



კიდევ ერთი სიკეთით სავსე ბავშვი დააკლდა ნორიოს მეფრინველეობის დასახლებას. ჩვენო პირველო სიმწარევ, ჩვენო დარდო და ჯავრო, სანდრო, ჩვენო ლამაზო რაინდო, ჩვენო ნიჭიერო მეგობარო, რა ძნელია შენთან საუბარი. ცრემლები გვახრჩობს მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც, შენს ოჯახთან ერთად დაგტირით, ცრემლს გაყრით და გვინდა, გაგითბოთ გაყინული გული. გპირდებით: არასოდეს დაგივიწყებთ, შენს მერხზე მუდამ ახალ-ახალი ყვავილები იქნება დაფენილი, შენი სურათიც იქნება კლასში. მუდამ ვილოცებთ შენთვის. შენი ღიმილიანი სახის დავიწყება შეუძლებელია. მსუბუქი იყოს მიწა, რომელიც შენი სიცოცხლით გაუმაძღარ გულს დაეყარა.

*გარდაბნის რ-ის სოფ. წინუბნის საშ. სკოლა*

# ხსოვნა



### ანა ვახანიას მონატრება

ჩემო ერთავ! დღეს, 2004 წლის 13 ნოემბერს დილის 5 საათზე, 29 წლისა გახდებოდი. შენ კი ოცდაერთისაც არ დაელოდე და 1996 წლის 27 ივნისს, ბუნებით დინჯი და აუჩქარებელი, ანგელოზივით ფრთებაგაშლილი აია–ქალაქში შესკდი მანქანას და იქნებ წამის მეათასედ ნაწილში ღვთის ანგელოზოად ქცეულმა დამტოვე სამარადჟამოდ, ამქვეყნიურ ცხოვრებაში მე, მურმან ვახანია, სხვის ომში სამშობლოს სახელით დაღუპული, უნახავი მამის ერთადერთი მემკვიდრე, თვითონაც ერთას იმედით მყოფი!

დამტოვე, ანიკო, ეული და მიუსაფარი, ჩემთვის ისედაც უმძიმეს პერიოდში, როცა არ მაპატიეს სამშობლოს სიყვარული და უმძიმესი ცილისმწამებლური ბრალდებით მაიძულეს ციმბირში გადახვეწა.

დამტოვე, ანიკო, ეულად, სიცოცხლემისჯილი, შენი საფლავის ქვის შემყურე. ყველა მოკვდავისთვის შეუცნობელი იმქვეყნიური, უხილავი, მაგრამ რეალურად არსებული ცხოვრების მონატრული.

გესაუბრები, ანიკო, ოცი წლისას, რადგან ოცდაცხრისა ვერ წარმომიდგენია, როგორი იქნებოდი; გესაუბრები და ვლაპარაკობ შენსა და ჩემს სათქმელს. აკი ჩემი სათქმელი შენ უნდა გეთქვა!

ისე კი, შვილმკვდარ მამათა შორის, ჩემზე უბედურია, შვილო, ის მამა, ვისაც ღვთისადმი რწმენა არ გააჩნია. მე კი მწამს ღმერთი, საქართველო და შენთან სამარადჟამოდ შეყრის ნანატრი დღე!

***შენი მამიკო მურმან ვახანია***



### ქეთევან ხიზანიშვილის გახსენება

წილკნის საშუალო სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა უკანასკნელ გზაზე გააცილა ღვაწლმოსილი პედაგოგი, სკოლის ყოფილი დირექტორი ქნი ქეთევან ხიზანიშვილი. ფასდაუდებელია მის მიერ გაწეული ღვაწლი სოფლის ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ენერგიული, ავტორიტეტული, შრომისმოყვარე პედაგოგი დიდხანს ემახსოვრება სოფელს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

***წილკნის საშ. სკოლის პედკოლექტივი***



### გოგა მირიანაშვილის მონატრება

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო საყვარელო გოგა! 8 ნოემბერს 41 წლის გახდებოდი, მაგრამ აი უკვე მეორედ, უშენოდ ვხვდებით ამ თარიღს. გოგა, ძვირფასო, უსაზღვროდ გვენატრები. უზომოა ჩვენი სევდა. უშენობამ ერთიანად გაგვანადგურა, ჩვენთვის ყველაფერმა აზრი დაკარგა. მაგრამ ვაი, რომ მაინც ვაგრძელებთ ტკივილიან სიცოცხლეს. ჩვენო დაკარგულო იმედო, შენზე ფიქრით ვათენებთ და ვაღამებთ. გოგა, ჩვენო თბილო და ტკბილო ბიჭო! მუდამ ჩვენს გულებში იქნები, შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

ღმერთო მაღალო, გევედრებით, ნუ მოაკლებ ღვთიურ ნათელს ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული ჩვენი გოგას სულს.

***შენი ოჯახი***



### მანანა უზნაძე-ჩიქვინიძის მონატრება

აი გავიდა 1 წელიც და დადგა ეს საშინელი ნოემბერიც.

მე კი დავდივარ შენთან, გესაუბრები, გიყვები ავსა თუ კარგს, ძალიან მიჭირს უშენობა, ჩემო ერთგულო, ჩემო სულო და გულო!

მენატრება შენი ლამაზი სიტყვა, შენი ნუგეში და შენთან გატარებული ყოველი დღე, ჩემო 26 წლის ურთგულესო და უსაყვარლესო ადამიანო! გეფერები, ჩემო „ბუთქუნა“!

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი ლამაზი სული.

***შენი ნანა ღურჭკუმელიას ოჯახი***



### მამუკა ნიბლიაშვილს!

ჩემო უძვირფასესო შვილო, ჩემო პატარა პოლიციელო, ჩემო მამუკა. ცათა სასუფეველში გილოცავ პოლიციის დღეს. როგორ გიმუხთლა წუთისოფელმა, მხოლოდ ორი წელი გაქმარა პოლიციის რიგებში სამსახური. წახვედი და თან გაიყოლე ის ლამაზი ოცნებები, რომლებსაც თურმე ასრულება არ ეწერა. ულმობელი ყოფილა სიკვდილი. რა იქნებოდა, დედას შვილი რომ არ უკვდებოდეს?

შენ, ჩემო ლამაზო მამუკა, ბედმა მარადიული სიჭაბუკე გარგუნა, ჩვენ კი — მარადიული ტანჯვა. შენ ის დიდი ტკივილი ხარ, დროსთან ერთად რომ იზრდება და რომელსაც მამუკა ნიბლიაშვილი ჰქვია.

25 წელში იმდენი სიკეთისა და სიყვარულის დათესვა მოასწარი, ვფიქრობ, უფალმა ასეთი გამორჩეული თვისებების გამო გაგარიდა ამ ცოდვილ წუთისოფელს და თავისთან გიხმო. სულის ტკივილამდე გვენატრები, შვილო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი და ლამაზი სული.

***შენი ოჯახი***



შვილები: შალვა და ოლიკო არეშიძეები; შვილიშვილები: სანდრო, თაკო, ნანუკა და ნინა; რძალი დიანა; ნათესავები: ლარა, ნათელა, ნელი; მეგობრები: სვეტა, ნორა, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

### არლეტა მაკაროვა

***პანაშვიდი:*** 7, 8 ნოემბერს, 16 საათიდან;
***გასვენება:*** 9 ნოემბერს, 14 საათზე.
***მისამართი:*** კათალიკოსის ქ. №9

დედა ელენე; მეუღლე ია კუპატაძე; შვილები: ნინო, თამუნა, სოსო; ძმა სოსო გრატიაშვილი ოჯახით; ძმისშვილები: ლია, დათუკა, ილია გენგაშვილები; სიდედრი ეთერი; ცოლისდა მანანა; ქვისლი თემურ ცომაია, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



### ჯემალ გრატიაშვილი

***პანაშვიდი:*** 9, 10 ნოემბერს, 15 საათზე;
***დაკრძალვა:*** 11 ნოემბერს, 13 საათზე.
***მისამართი:*** ქ. საგარეჯო, ჩოლოყაშვილის ქ. №16

შვილები: მანანა, მარინა კედიები; შვილიშვილები: ნინო, ხათუნა, ვასიკო; შვილთაშვილები: ნინო, ვაკუნა, ნატალია, დათო, ავთო; დისშვილები: თამილა, ლონდერ ცაავები, პაატა, ტატა ქეცბაიები; სიძეები: არჩილ მაღლაფერიძე, ავთანდილ ბარამიძე, თემურ კაპანაძე, გია იმნაძე; რძლები: ლილი ბოლქვაძე, თამუნა მაჭარაშვილი, მაკა დავითური იუწყებიან

### მარგალიტა ალექსანდრეს ას ფაღავა-კედიას

გარდაცვალებას.
***პანაშვიდი:*** 8 ნოემბერს, 16 საათზე;
***დაკრძალვა:*** სამშაბათს, 9 ნოემბერს, 14 საათზე.
***მისამართი:*** კეკელიძის ქ. №25, IX სად. II სართ.

ნაზი და ზაური წილოსანები; მაია, ია, ციცი ჩხაიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ მწუხარებას ***აკაკი, როლანდი ჩხაიძეებს,*** დედის, ქალბატონ

### ჟულია მორჩილაძე-ჩხაიძის

გარდაცვალების გამო.

# სად მინახავს ეს სიტუაცია?



***ალბათ გამოგიცდიათ — რომელიმე უცნობ გარემოში თითქოს ყველაფერი ნაცნობია, მეტიც, წინასწარ იცი, აი, იმ ქუჩის ბოლოს თეატრია, იმ შესახვევში კი ტაძარი. თითქოს, რასაც ირგვლივ პირველად ხედავ, უკვე ნანახი და განცდილი გაქვს, მაგრამ სად და როდის?***

***დროის (თუ მეხსიერების) ამგვარ მისტიკურ ცდომილებას დეჟა-ვუს უწოდებენ. ეს ტერმინი ფრანგულიდანაა ნასესხები და ნიშნავს ილუზიას, რომელსაც რეალობად აღიქვამენ. ადამიანი ახალ სიტუაციას ისე შეიგრძნობს, თითქოს მას ეს უკვე შეხვედრია. ხშირად ინტუიციაც არ ღალატობს. აი, სწორედ ეს არის დეჟა-ვუ.***

***დიდი ხანია ეს მოვლენა აინტერესებთ მკვლევარებს და მის ასახსნელად ექსპერიმენტებს ატარებენ. მაგრამ ამის შესახებ მოგვიანებით, ჯერ კი რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ...***

## სიყვარულის ტრაგიკული ფინალი

მე დიანა ფლაუერი ვარ, ახალზელანდიელი, თუმცა ამჟამად დიდ ბრიტანეთში ვცხოვრობ. დიდი ხნის ჩამოსული არ ვიყავი, როცა შოტლანდიის პატარა კუნძულ აიონაზე მოვხვდი. საერთოდ მშვიდი ბუნების ადამიანი გახლავართ, მაგრამ ამ ულამაზეს ადგილზე რატომღაც საშინლად ავფორიაქდი. როცა ავტობუსით უკან ვბრუნდებოდით, უცებ ვიგრძენი, რომ მე არა ვარ მე, არამედ ვარ სხვა, ახალგაზრდა ქალი, რომელსაც პატარა გოგონა უზის მუხლებზე და თვლემს. საკუთარი თავის შესახებ კი ვიცი, რომ დავიბადე 593 წელს, მზის პირველი დაბნელებისას. ისეთ სურათებს ვხედავდი იმ შორეული წარსულიდან, რომ მეორე დღე საწერ მაგიდასთან გავატარე — გიჟივით ვიწერდი ყველაფერს, რაც ვიხილე.

ის, ვის სახეშიც ჩემი თავი დავინახე, ადგილობრივი გოგონა იყო, რომელსაც მახლობელ მონასტერში მოღვაწე ბერი შეუყვარდა. როცა ეს კავშირი გამჟღავნდა, საცოდავი ქალი სოფლიდან განდევნეს. მისი ცხოვრება დაწვრილებით დავინახე, შემდეგ კი, როცა შევეცადე შემემოწმებინა, ბევრი ფაქტი დადასტურდა.

## ნაცნობი ადგილი

მე ნიუ-იორკის შტატიდან ვარ, საკმაოდ ასაკოვანი ქალი. ასაკზე იმიტომ მოგახსენებთ, მინდა გითხრათ, რომ ზღაპრების კარგა ხანია აღარ მჯერა. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ ამქვეყნად პირველად არ ვცხოვრობ და ჩემს ერთ-ერთ განვლილ ცხოვრებას ცხადად ვხედავ.

რამდენიმე წლის წინ, ჩემს ქალიშვილთან ერთად ექსკურსიაზე გახლდით. აღმოვჩნდით ვან-კორტლანდში. ჯერ შესულიც არ ვიყავით, ქალაქი მაშინვე ვიცანი და როცა გიდი ამის შესახებ გვიამბობდა, ვკითხე: „რა დაემართა იმ შენობას, აქ რომ იდგა?“ გიდი გაოგნდა: — ამჟამად აპირებენ მოგვიანებით აგებული კედლების დანგრევას და შენობის ძველი სახით აღდგენასო და დაურთო, — ამის შესახებ აქამდე ჯერ არავის უკითხავსო. ექსკურსიის დროს სხვა მომენტებიც იყო, როცა ზუსტად ვიცოდი, რა იყო ადრე ამა თუ იმ ადგილას. ადრე — ეს გახლავთ 1700-იანი წლები და მე მაშინ მამაკაცი ვიყავი, მარცვლეულით მოვაჭრე, ხშირად მიხდებოდა მგზავრობა საფოსტო გზით და ამ ადგილას ვსადილობდი ხოლმე ტავერნაში...

## დეჟა-ვუ მეცნიერთა თვალით

დალასის უნივერსიტეტის დოქტორი ალან ბრაუნი თავის წიგნში აღნიშნავს, რომ დეჟა-ვუს ფენომენი არ არის საკმარისად შესწავლილი და მის ასახსნელად უპირველესად საჭიროა მეხსიერების მექანიზმის შესწავლა. გამოკითხვამ აჩვენა, რომ დეჟა-ვუ განცდილი აქვს მოზრდილი მოსახლეობის ორ მესამედს, განსაკუთრებით კი მდიდარი წარმოსახვის მქონე, განათლებულ ადამიანებს, რომლებსაც უყვართ მოგზაურობა. სხვათა შორის, დეჟა-ვუს პიკი მოდის ახალგაზრდებზე: ასაკის მატებასთან ერთად ეს განცდაც იკლებს. ამგვარი სპეციფიკაც არსებობს: დეჟა-ვუ უჩნდება უფრო ხშირად იმ ადამიანს, რომელმაც გადაიტანა სტრესი, ნერვული დაძაბულობა, აფორიაქება, მღელვარება.

დეჟა-ვუს წარმოქმნის მიზეზი ბევრი რამ შეიძლება იყოს, მათ შორის, სრულიად მისტიკურიც. იგულისხმება მოგონებები „ადრინდელი ცხოვრების“ შესახებ. იქნებ ადამიანი როგორღაც ხვდება მომავალში და ხედავს იმას, რისი ნახვაც ელის. ამის დასტურად გამოდგება 26 წლის შუკე ნეიკის მაგალითი, რომელიც წელიწადში რამდენჯერმე ხედავდა მომავლის სურათებს და ყველაფერს დღიურში ინიშნავდა. ერთგან იგი აღწერს, რომ მიიწვიეს დაბადების დღეზე, სადაც უცებ იგრძნო, რომ ამ ოთახში მისთვის ყველაფერი ნაცნობია: სტუმრების პოზა, მათი ჩაცმულობა, თვით მაგიდების განლაგებაც კი.

ასე რომ, დეჟა-ვუ არ არის გამონაგონი. ადამიანმა მართლაც შეიძლება იცნოს ადგილები, სადაც არასოდეს ყოფილა.

***ნლო №44***

# ამის გაფიქრება იყო და ...

კარგა ხანია მძღოლად ვმუშაობ, დუშეთის მხარეს დამყავს ავტობუსი. ჩვეულებრივი ბიჭი ვარ, არასოდეს არაფერი უცნაური ჩემს თავს არ მომხდარა, ოღონდ მხოლოდ ცხადში... სიზმრებს სულ ნაირ-ნაირს ვხედავდი, თითქოს თითო სიზმარი თითო კინოფილმი იყო, უცხო ადამიანების ცხოვრებას ვადევნებდი თვალს. არც ამისთვის მიმინიჭებია რაიმე მნიშვნელობა, ვიდრე ერთი ამბავი არ მოხდა:

იმ ღამით სიზმარში ტყუპი გოგონა ვნახე. დილით ადრე ავდექი და საქმეს მივუჯექი. თბილისში რომ ჩამოვედი, სადგურზე გოგო დავინახე, ზუსტად ისე ეცვა, ისეთი ვარცხნილობა ჰქონდა, როგორიც სიზმრად მქონდა ნანახი. გულში გავიფიქრე, ახლა ამას ტყუპისცალი რომ ჰყავდეს, ხომ მთლად ჩემი „კინოფილმის“ გმირი იქნებოდა-მეთქი. ამის გაფიქრება იყო და მეორე გოგოც არ გამოეყო ხალხს?! — წყლის წვეთივით პირველის მსგავსი!..

ავად ხომ არ ვარ, ან ხომ არ მელანდება რამე-მეთქი. უცებ გამინათდა გონება, — მივხვდი, შემთხვევით არაფერი მესიზმრებოდა. ჩაწერა დავიწყე. მართალია, რასაც ვხედავ, სხვისი ცხოვრებაა, მაგრამ ისეა გადმოცემული, სწორედ გადასაღებადაა მზად. ალბათ მსახიობებად ვინც უნდა შეირჩეს, ისინი რეალურად არსებობენ, მხოლოდ პოვნა უნდა... ეგებ ვინმე დაინტერესდეს და წაიკითხოს ჩემი სიზმრები. იქნებ მართლაც კარგი ფილმი გადაიღოს!

***მალხაზ ჯიქურაული***

## „საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები

I. ობობა

II. 7, 10, 6, 5, 4, 3, 2, 1, 9, 8.

III. 1) — ბ); 2) — დ); 3) — ბ); 4) — გ).

# დათვისმჭამელი

მთათუშეთისაკენ მიმავალ გზა-ბილიკებზე იმდენი ჯვარია, ერთად რომ შეაგროვო და მიცვალებულებს წესით და რიგით ჩაუმწკრივო, თორღვას აბანოს თავზე წამომართული მთა ვერ დაიტევს. ჯვრები ზოგი რკინისაა, ზოგი ხის, ზოგი ახალი, ზოგი ჟამთასვლისაგან გადაქცეული, წარწერიანი, უსახელო... მიჰყვები ოღროჩოღრო ბილიკებს და გგონია, ამ ქვეყნიდან გარდასულთა სულები უწინდელივით დარაჯად უდგანან აქაურობას. ზვავდატანილთა, მეხდაცემულთა, გადაჩეხილთა, ქარბუქში ჩანთქმულთა თუ ნიაღვრისგან დამხრჩვალთა ამბებს ისე ხილულად მოგვითხრობდა ხოლმე თუში ბაბო დარეჯო, თითქოს ყველა მათგანის შემსწრე ყოფილიყო. დარეჯო ლალისყურელი ქალი იყო. თუშეთის ერთი მიუვალ სოფელ ჩიღოდან ჩამოსახლებულა მისი ოჯახი კახეთში. 16-17 წლისა პაპაჩემისთვის გაურიგებია მაჭანკალს და მთელი ცხოვრება თუშეთისაკენ აღარ გაუხედავს, მაგრამ სულ მისი მწვერვალებიდან ჩამოშვებულ ცისარტყელებს ეფერებოდა, იქაური გაუტეხელი ხალხის სულით სუნთქავდა. ზღაპრების ნაცვლად თუში გმირების თავგადასავლებს მოგვითხრობდა. ბავშვობის ფანტასტიკური ამბების ნაკვალევს მეც ხშირად ავდევნებივარ კვალდაკვალ, ბევრი მთა და ხეობა დამილაშქრავს და ბევრი საინტერესო ამბავიც ჩამიწერია ამ ხალხის ცხოვრებიდან.

ერთხელ ექსპედიციის წევრებს ჩიღოს მისადგომებთან გზა დაგვებნა და ღამე უღრან ადგილას, გამოქვაბულში გავათიეთ. აგვისტოს ხვატს პირჩაშავებულ ხეობამდე ვერ ჩაეღწია და გამოქვაბულის წინ ზვავის ნალევი ისევ სხივშეუხებლად იდო. ხევს გაღმა-გამოღმა გვიმრებქვეშ ზვავდატანილების რამდენიმე ჯვარს წავაწყდით. დარეჯოს ეს რომ მოვუყევი, თავში ხელები წაიშინა.

— აგრემც ბაბო მოგიკვდება, ნადირი რომ გადაგყროდათ, ხომ ვერ გამოაღწევდით იქიდან, მაგ არემარეში კაცმა დათვი შეჭამაო.

— დათვმა კაციო — შეუსწორა დედაჩემმა, — არა, ქალო, კაცმა დათვი, — დაჟინებით გაიმეორა დარეჯომ. ეს ამბავი მთელმა თუშეთმა იცის. ერთი ჩიღოელი ჯეელი ავად გახდა და შირაქში გამოსაზამთრებლად გარეკილ ცხვარს ვერ გაჰყვა. შუაგულ ზამთარშიღა გამოკეთდა. შინ უსაქმოდ ვერ ისვენებდა, ღონდებოდა, ღობე-ყორეს ედებოდა. ეგრე გავიდა იანვარ-თებერვალი. ამ ჯეელმა დაიჟინა, სანადიროდ უნდა წავიდეო. დედამ დაუშალა, დიდთოვლობაა, სადმე არ ჩაიჩუმქროო. ბიჭმა გაქირი ქნა. აისხა იარაღი, წავიდა და... დაიკარგა კიდეც მისი გზა-კვალი. დიდხანს ელოდნენ, რომ არ გამოჩნდა, იფიქრეს, კახეთში გადავიდოდა ცხვართანო. ამასობაში გაზაფხულიც მიილია. მაისის დამდეგს ცხვარი მთებში უნდა გადარეკონ. ამოატარეს ფარები. მიიკითხ-მოიკითხეს დაკარგული ჯეელი. მწყემსებს გაუკვირდათ, თვალით არავის არ ენახა. შემოიკრა დედამ თავში ხელი. ატყდა ზარი და ტირილი. ერთი თვე იგლოვეს, მერე იმის ტანსაცმელი, მათრახი და შინ დარჩენილი იარაღი დამარხეს, წესიც აუგეს...

ზაფხულის ერთ მზიან დღეს სახლებიდან ყველა ეზო-ყურეში გაკრეფილიყო. თავ-თავიანთი საქმით იყვნენ გართული. ამ დამარხული ბიჭის დედაც ქავ-ციხის უკან საქმიანობდა. ატეხა წივილ-კივილი — მიშველეთო. ყვიროდა და სახლს გარშემო ურბენდა. უკან წელში მოხრილი, უწვერულვაშო, თავმოტვლეპილი და მკვდრისფერდადებული არსება დასდევდა — დედი, მე ვარ, შენი შვილიო... იმ დედაკაცს საიქიოდან მობრუნებული სული ეგონა და უფრო გადაირია თურმე. მოცვივდნენ შინდარჩენილი მეზობლები, ქალები, ბალღები. კაცები უკვე იალაღებზე იყვნენ. ერთი ხნიერი კოჭლი კაცილა მოხანხალდა ჯოხის ბჯენით. ხედავს, ეს არსება მართლა ადამიანის შვილია, მკვდრისა არაფერი ეტყობა, მაგრამ არც ცოცხლებში წერია.

— ვინა ხარ, საიდან მოხვედიო, — აუქნია ჯოხი. — მე ვარო, — ჩაუვარდა ფეხებში მოხუცს და თავისი სახელიც უთხრა. მერე შინ შევიდა, ჩამოიღო ფანდური და სამარიდან ამოღებული კაცის ხმით დედისგან ნასწავლი სიმღერა დაამღერა. ჩოჩქოლი ცოტა რომ ჩაწყნარდა, გაკვირვებულ ხალხს თავისი თავგადასავალიც უამბო: შუა ნადირობაში თოვლში ჩაფლული შველი დაუნახავს. შესცოდებია, გზას მიარღვევდა გამოსაყვანად. დამფრთხალა შველი, კამარა შეუკრავს და გადაშვებულა ხრამში. ამას კიდევ შეყენებული თოფი გავარდნია. უხუვლია თოვლს, აგორებულა და ეს ჯეელი სადღაც გამოქვაბულში ჩაუგდია. მერე ჩამოწოლილა ზვავი და ამოუქოლია გამოსასვლელი. ჩავარდა თურმე საგონებელში. აქეთ მიაწყდა, იქით და ხვრინვას მოჰკრა ყური. მიხოხდა ახლოს, ხელების ცეცებით მოსინჯა და ნახა, დათვი წევს არხეინად და სძინავს. იფიქრა, თუ გამოიღვიძა, შემჭამსო... რა ქნას, აღარ იცის, თოფი ესროლოს? გამოქვაბული ვიწროა, შეიძლება ტყვია კლდეს შეასკდეს, აისხლიტოს და მეთოფეც იქვე ჩააქციოს. ისევ ხანჯალი ირჩია, მოუძებნა და უმარჯვა გულში. გავიდა ხანი. მოშივდა. ააჭრა დათვს ხორცი, შეჭამა. ასე გაგრძელდა მეორე კვირას, მესამეს... სამი თვე იჯდა ბუნაგში, სანამ ზვავი არ ჩადნა. შეჭამა დათვი ხორციანად, ტყავიანად, ბეწვიანად. დაკარგა ადამიანის სახე, გასცვივდა თმა-წვერი, დამახინჯდა, გაუბედურდა... აბა, რაღას იცნობდა დედა. მერე კი მოუბრუნდა გული, თავს დაჰკანკალებდა, მაგრამ ვეღარაფერი უშველა. იავადა, იავადა იმ საცოდავმა ბიჭმა და ჩაჰბარდა მიქელ-გაბრიელს. მეორედ იმ სამარეში ჩაასვენეს, სადაც მისი ტანსაცმლიანი და იარაღიანი სასახლე ცარიელი ელოდა.

***ეთერ თარმანი***

# კარატისტი მონაზონი

პირველად, საბრძოლო ხელოვნების ისტორიაში, კარატეში შავი ქამრის მფლობელი გახდა კათოლიკე მონაზონი ქალი.

ინგლისელი რონდა რაისი ნორფოლკის საგრაფოს მონასტერში მონაზვნად უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 25 წლისა აღიკვეცა. სტუდენტობაში გაიტაცა კარატემ. კარგა ხანს მარტო ვარჯიშობდა მონასტრის სარდაფში. ბოლოს, მოიკრიბა გამბედაობა და აბატს სთხოვა, კარატ-ისტთა კლუბში ვივლიო. აბატი დათანხმდა. 44 წლის მონაზონმა წარმატებით გაიარა ბრძოლის ყველა ეტაპი და კარატეს საერთაშორისო ფედერაციის დიდი ბრიტანეთის განყოფილებამ მას უმაღლესი საბრძოლო წოდება მიანიჭა.

ბი-ბი-სისთან ინტერვიუში რონდამ თქვა:

— მე მელოდება ბრძოლა საკუთარ თავთან. ჩემი წარმატების გამო ატეხილი მითქმა-მოთქმა მეხამუშება. მონასტრის მყუდრო ცხოვრების შემდეგ, ადვილი არაა შეეგუო გარშემომყოფთა ყურა-დღებას. იმის გამო, რომ ქუჩაში ყველა მცნობს, იძულებული ვარ, მონასტრიდან პირბადით გამოვიდე.

***მეგაპოლის-ექსპრესი***

# უჩინარი „შპარგალკა“



ბუდაპეშტელმა სტუდენტებმა მოიფიქრეს და ახლა „შპარ-გალკებს“ უჩინარი მელნით წერენ, რომელიც ჩვეულებრივი გა-ნათების პირობებში უხილავია. ამ მელნით წერა ტანსაცმელზეც კი შესაძლებელია — პასტა ქსოვილს იოლად სცილდება. ნაწერ-ის წასაკითხად სტუდენტები იყენებენ ულტრაიისფერ ფარანს — მის შუქზე ამ მელნით ნაწერი ადვილად იკითხება. ჩვეულებრივ, ფარანი ჩამონტაჟებულია იმ კალმისტარში, რომლითაც სტუ-დენტები გამოცდების დროს წერენ.

***ექსპრეს-გაზეთა №42***

# გარდაცვლილებიც მდიდრდებიან...

ამერიკულმა ბიზნესჟურნალმა Forbes-მა შეად-გინა იმ გარდაცვლილ ადამიანთა სია, რომ-ლებიც სიკვდილის შემდეგაც მდიდრდებიან და წელიწადში მინიმუმ 5 მილიონ დოლარს გამოი-მუშავებენ. რეიტინგში პირველია 27 წლის წინ გარდაცვლილი როკ-ენ-როლის მეფე ელვის პრეს-ლი, რომლის შემოსავალმაც წელს 40 მილიონს მიაღწია. გამომცემლობის მონაცემებით, ელვი-სის სიმღერების გავრცელებით გადარიცხულ თანხას ვერ იყენებენ მისი მემკვიდრეები; სამაგი-ეროდ, როკ-ენ-როლის მეფის სახელს, მის სუ-რათებს და ადგილ-მამულს, რომელიც ამჟამად მუზეუმადაა ქცეული, კარგი შემოსავალი მოაქვს.

სიაში მეორეა ჩარლზ შულცი (ცნობილი ძაღლის სნუპირას და მისი პატრონის, ჩარ-ლის შესახებ შექმნილი კომიქსების ავტორი). კომიქსებს მისი გარდაცვლილი ავტორისთვის წელიწადში 35 მილიონი შემოაქვს. მესამე ადგილზეა ჯონ რონალდ ტოლკიენი — 23 მილიონით. გარდაცვალების შემდეგ, „ფორბ-სის“ თანახმად, მდიდრდებიან „ბითლზების“ წევრებიც — ჯონ ლენონი და ჯორჯ ჰარი-სონი, პირველის შემოსავალი 2004 წელს 21 მილიონი იყო, მეორისა კი მხოლოდ 7 მილ-იონი.

***ოგონიოკი***



# ძაღლმა კნუტი შვა

კამბოჯაში ნამდვილი სასწაული მოხდა: ვინმე ტე ჰუოტას ძაღლმა კნუტი გააჩინა... ვეფხვთან კავშირის შემდეგ.

ახლა კნუტს მეცნიერები აკვირდებიან. მის სანახ-ავად ლაბორატორიაში ათასობით კორეელი მიდის. კნუტი ინკუბატორში ჰყავთ, თავს შესანიშნავად გრძნობს, მას დედა თავისი რძით კვებავს.

***სანი***

# ერი იღუპება

დიდ ბრიტანეთში მთელ მსოფლიოში ერთდროულად აკრძალეს ორი ცნობილი ფირმის შოკოლადი — „მარსი“ და „სნიკერსი“. მთავრობა აცხადებს, რომ ეს ნაბიჯი კეთილი მიზნის — ბრიტანელი ერის სიმსუქნისგან გადასარჩენად გადადგა.

გამწარებული საკონდიტრო კომპანიები კბილებს აკრაჭუნებენ. „სნიკერსისა“ და „მარსის“ წარმოების შეწყვეტას 2005 წლის იანვარში აპირებენ. შოკოლადის მოყვარული ინგლისელები ტონობით სასუსნავს იმარაგებენ.

***ტაინაია ვლასტ***

# მეძავი პოლიციელები



იუკატანის შტატის (მექსიკა) ხელისუფლებამ მეძაობის წინააღმდეგ ბრძოლის ორიგინალურ ხერხს მიმართა. მათ სიყვარულის ქურუმებს შესთავაზეს პროფესია შეეცვალათ და გამხდარიყვნენ... ტრანსპორტის პოლიციელები. ეს გეგმა მათ გამოსწორების საშუალებას მისცემს და თანაც საგზაო პოლიციის შტატის დეფიციტსაც შეავსებს. მეძავების უმრავ-ლესობა სიამოვნებით შეუდგა მუშაობას პოლიციაში და უკვე წარმატებებსაც მიაღწიეს.

***ოკნა***

# მონიკა ლევინსკი ისევ სკანდალში გაეხვია



თეთრი სახლის ყოფილი პრაქტიკანტი, სახელგანთქმული მონიკა ლევინსკი ცოტა ხნის წინ კვლავ ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ამჯერად სკანდალი მოხდა ნიუ-იორკის ერთ-ერთ კაფეში.

კაფეში შესულმა მონიკამ ნაღების ნაყინი შეუკვეთა და მაგი-დას მიუჯდა; მაგრამ ნაყინის დაგემოვნება ვერ შეძლო, მის მაგი-დას მიუახლოვდა ასაკოვანი ქალბატონი, ექსპრეზიდენტ ბილ კლინ-ტონის თაყვანისმცემელი. ქალმა მონიკა მთელი კაფეს გასაგონად გამოლანძღა და თავისი ტირადა დაამთავრა სიტყვით „კახპა“. ლევინსკი აღაშფოთა უცნობი ქალის გამოხდომამ, მაგრამ არ დაიბნა და მას ნაყინი ესროლა. ქალების ჩხუბში კაფეს მეპატრონე ჩაერია, აღელვებულების დაშოშმინება და შერიგება მოახერხა, შემდეგ ორთავეს ნაყინით გაუმასპინძლდა და სანაყინე-კაფეების ქსელის სარეკლამო რგოლში მონაწილეობაც შესთავაზა. ქალები წინადადებას სიამოვნებით დათანხმდნენ და კაფედან დამეგობრე-ბული გამოვიდნენ.

***მირ ნოვოსტეი***

# კენჭების ცრემლები...

ინდოეთის სოფელ ჯაჰანდაში ცხოვრობს 15 წლის გოგონა სავიტრი, რომელმაც მთელ ქვეყანაში სახელი იმით გაითქვა, რომ ტირილის დროს ცრემლის ნაცვლად ღაპაღუპით სცვივა... კენჭები. თავიდან, პატარა რამეც რომ სწყენოდა, თვალებიდან მაშინვე ხრეში იწყებდა დენას, შემდეგ წვრილი კენჭები თანდათან გაიზარდა. მშობლები შიშობენ, ვაითუ მალე ჩვენს შვილს რიყის ქვის კურცხლები დასცვივდესო.

გოგონა-საოცრება უამრავ ექიმს აჩვენეს, მაგრამ ოფთალმოლოგები ხელებს ასავსავებენ, — ასეთი რამ არც გვსმენია და ვერც ვერაფერს ვუშველითო. სავიტრი ამაოდ გადაჰყავთ კლინი-კიდან კლინიკაში. ქვის ცრემლები კი თანდათან მსხვილდება და მსხვილდება. ის, რომ სავიტრის გინესის წიგნში უპირებენ შეყვანას, არც ქვით მოტირალ გოგონას და არც მის მშობლებს სრულებით არ ამშვიდებს.

***ნიუ ზუიქი***

# პიკასო „აღდგა“?

ევროპამ ახალი პიკასო აღმოაჩინა. თითოეული ტილო რაღაც საიდუმლოს ინახავს, რომელ-იც ცნობილია მხოლოდ მისი შემქმნელის — 44 წლის გერმანელი მხატვრის ნეო რაუხუსათვის.

ლაიფციგელი მხატვარი რაუხუ მსოფლიო ფერწერის სუპერვარსკვლავი გახდა. მის ტი-ლოებს, რომელთა ზომა 2X3 მეტრია, საღებავის გაშრობას არც აცლიან, ისე ყიდულობენ მსოფლიოს უდიდესი მუზეუმები. ეს ნახატები ამშვენებს ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმს, პომპიდუს ცენტრს პარიზში.

თითოეული ტილოს შექმნას რაუხუ 2-3 კვირას ანდომებს. უფრო სწრაფადაც შეუძლია ხატვა, მაგრამ ეშინია, არ დალუპოს სიხარბემ, ვინაიდან თითოეულ ტილოში 200 ათას ევროს იღებს.

***ტაიმი***



# სიბერე უკან იხევს!

ტოკიოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოი-გონეს სიბერისაგან დამცავი საღეჭი რეზინი. მას ორგანიზმიდან გამოჰყავს აქტიური ჟანგბადი, რომელიც უჯრედების ცვეთას იწვევს. როგორც მეცნიერები იუწყებიან, თითოეულ კევს დამატე-ბული აქვს დაახლოებით ერთი მემილიონედი გრამი პლატინა. ახალი პროდუქცია მალე გაიყიდება და ერთი შეკვრა 23 დოლარი ეღირება.

***ოკნა***

# ბანკირ ქალს უგერგილო პრინცი ხვდა წილად

დანიის დედოფლის უმცროს ვაჟს, იოაჰიმს, ცოლთან, ალექსანდრასთან უთანხმოება აქვს. ალექსანდრა ყოფილი ჰონკონგელი ბანკირია, სერიოზული, განათლებული ქალბატონი და ინტელექტუალურად ქმარზე გაცილებით მაღლა დგას. პრინცს ავტომობილების, წვეულებებისა და ღამის კლუბების გარდა, არაფერი აინტერესებს. ალექსანდრა შესანიშნავი დედაა, მაღალი საზოგადოების სამაგალითო ქალბატონი, შესანიშნავად ასრულებს დედოფლის რძლის მოვ-ალეობას — ეწევა ქველმოქმედებას. დანიელები აღმერთებენ ალექსანდრას, რომელმაც უმოკ-ლეს დროში ისწავლა მათი მშობლიური ენა და ახლა მათი პრობლემების მოგვარებაზე ზრუნავს. დანიელები ძალიან წუხან, რომ ასეთ სერიოზულ ქალბატონს ამგვარი უგერგილო ქმარი შეხვდა...

***ჯენტე***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“






**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ქართველი მსახიობის, ტრისტან სალარიძის სიტყვებს ამოიკითხავთ.

**დ.** ქართველი მწერალი; **ა.** ლობიოს სამშობლო; **ი.** ქართული ხალხური შეჯიბრი ცხენოსნობასა და უბუნიკო შუბის სროლაში; **ს.** კახეთის ერთ-ერთი რაიონი; **ვ.** ბანქოს თამაშის დროს მთელი ბანკის მოთხოვნა; **ე.** ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **ნ.** ხელოვნური ბოჭკო; **ე.** საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც განაგებს ეპისკოპოსი; **თ.** სპილენძის ვიწროყელიანი ჭურჭელი წყლისათვის; **ჩ.** წიკლაური — არწივი, კვაშალი — ბუ, ბაღაშვილი — ?; **ვ.** ბოლოში ორად გაყოფილი წვრილი ალამი, რომელსაც სამხედრო გემებზე აღმართავენ; **ე.** ლეგენდარული პორტუგალიელი ფეხბურთელი; **ნ.** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **თ.** მიწის დასამუშავებელი იარაღი; **ა.** განთიადი; **ნ.** ქართული ხალხური ანტიბიოტიკი; **ე.** გადამდნარი კარაქი; **რ.** მდინარე გერმანიაში; **თ.** ილია ჭავჭავაძის ტიტული; **ა.** სამხედრო ნადავლი; **დ.** ყველის შესანახი ჭურჭელი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**კ.** კაფკა; **ვ.** ვასალი; **ი.** ილიონი; **რ.** რიქშა; **ი.** იდიოტი; **ს.** სვანეთი; **პ.** პეტრე; **ა.** აორტა; **ლ.** ლუიდორი; **ი.** ილუმენი; **ტ.** ტოლმა; **რ.** რესურსი; **ა.** ამანათი; **შ.** შვაბრა; **ე.** ელვა; **ნ.** ნიაგარა; **ი.** იადონი; **გ.** გამბიტი; **ა.** ალყა; **ზ.** ზრო; **ე.** ეიფორია; **თ.** თაობა; **ი.** იაშინი; **ა.** ალიბი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.**

# ფალსიფიცირებული და ვადაგასული მედიკამენტები
# ანუ ბოდიში, თქვენ გელით მოწამვლა?!

(დასაწყისი იხ. გვ. 11)

ტვირთს თან არ ახლდა საჭირო დოკუმენტაცია, რათა მომხდარიყო იმ წამლების აღრიცხვა, რომლებიც საქართველოში რეგისტრირებული არ არის. „ექსთ-ჯორჯიამ“ და მისმა ამერიკულმა პარტნიორებმა ვერ წარმოადგინეს მედიკამენტების ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი. ამიტომ ჩვენ მედიკამენტების ლაბორატორიული შემოწმება მოვითხოვეთ, მაგრამ კომპანიამ სასაწყობო ბაზაში შესვლის უფლება არ მოგვცა. ამან დაგვაეჭვა, რომ წამლები ფალსიფიცირებული ან ვადაგასული იყო. სხვათა შორის, მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ სასაწყობო ბაზა შს სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიაზეა(?!).

გარდა ამისა, გვაქვს ინფორმაცია, რომ ამ ბოლო დროს მეტად ინტენსიურად იყიდება „კოდეინის“ შემცველი მედიკამენტი „კოდელაკი“. თურმე, „სანდო“ აფთიაქებს ნარკომანების ჯგუფი დღეში რამდენჯერმე აკითხავს. ძნელი დასაჯერებელია, ამდენი „კოდელაკი“ ვილაცას საზღვარზე ჩემოდნით გადმოეტანა. უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმე კარგად აწყობილ „ბიზნესთან“ გვაქვს...

ბუნებრივია, ქალბატონ თინათინის ნაამბობმა დაგვაინტერესა და „ექსთ-ჯორჯიას“ ვიცე-პრეზიდენტს ვესტუმრეთ. „ექსთ-ჯორჯიის“ ვიცე-პრეზიდენტი **გურამ ამირიძე:** — ამერიკიდან შემოტანილ მედიკამენტებზე აურზაური თინა ტურძილაძემ ატეხა. ამ დღეებში ის უნდა მოეხსნა თანამდებობიდან(?!). პირადად მივედი „წამლის სააგენტოში“, თან თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი აკა სულავა მახლდა. ტურძილაძეს ავუხსენი ყველაფერი, მაგრამ არაფრის გაგონება არ სურს. ამ ტვირთს, ძმაო, ამერიკიდან ოთხი უმსხვილესი ფარმაცევტული კომპანიის წარმომადგენლები, სამოცი ექიმი და მათ შორის, სამედიცინო საკითხებში კოლინ პაუელის თანაშემწე ჩამოჰყვა. მიუხედავად ამისა, ტურძილაძემ დაიჟინა, მედიკამენტები უნდა შევამოწმოთო. მწარმოებელი ქარხნების ხარისხის სერტიფიკატი საიდან გვექნებოდა — ტვირთი საქართველოში ჰუმანიტარული მისიით ჩამოვიდა, მედიკამენტები სხვადასხვა კომპანიიდან არის მოგროვებული — მათ ამ კომპანიების სერტიფიკატი ახლავს. სხვა არც არის საჭირო, მაგრამ ვერაფრით ვერ შევაგნებინე ეს „წამლის სააგენტოს“ ხელმძღვანელს. სხვათა შორის, ორი კვირით ადრე ვაცნობე ჯანდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას ტვირთის ჩამოსვლის ამბავი. ყველა აღფრთოვანებული იყო ამ დახმარებით, მაგრამ დღეს ერთი ადამიანის ყოვლად გაუგებარი ამბიციების გამო მთელი პროგრამა იშლება. არადა, დახმარება ერთჯერადი კი არა, ყოველკვარტალური იქნებოდა — წლის განმავლობაში 18 მილიონ აშშ დოლარად ღირებული მედიკამენტები უნდა მიგვეღო უფასოდ.

**— საქართველოს კანონით, მედიკამენტების შემომტანმა ორგანიზაციამ ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი უნდა წარმოადგინოს. როგორც ვიცი, ეს არის მთავარი პრობლემა.**

— კანონში, რომელიც სხვათა შორის, ტურძილაძის დაწერილია, წერია, რომ უნდა წარმოვადგინოთ ხარისხის სერტიფიკატი — არსად არ არის მითითებული, რომ სერტიფიკატი მაინცდამაინც წამლის მწარმოებელი ქარხნის მიერ იყოს გაცემული. საქართველოში ჩამოტანილი წამლების დაახლოებით 74% სხვადასხვა ფარმაცევტული ქარხნის ნაწარმია და ამერიკელებს სად აქვთ იმის დრო, თითოეულ ქარხანას დაუკავშირდნენ და ხარისხის სერტიფიკატი გამოართვან ურწმუნო ტურძილაძისთვის. რაც შეეხება ლაბორატორიულ შემოწმებას, კი, ბატონო, ვინ უშლის, შეამოწმონ, მაგრამ რამდენიმე დღის წინ თვითონ „წამლის სააგენტოს“ უფროსმა განაცხადა, რომ ჩამოტანილი წამლებიდან ცხრა მათგანს ვერ შეამოწმებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ლაბორატორიაში საჭირო აპარატურა არ აქვთ, ამიტომ ცხრავე დასახელების მედიკამენტი თურმე უნდა გაანადგუროს(!). თუმცა, ახლა გადაიფიქრა და ამბობს, ჩვენს ლაბორატორიას ყველა წამლის შემოწმება შეუძლიაო. ტურძილაძე ადრე ჯანდაცვის სამინისტროში წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე იყო. დაწინაურებას ვერ ეღირსა და სულ დაბოლმილი დადიოდა. ახლა დააწინაურეს და „გაბლატავდა“.

**— როგორ ფიქრობთ, რაში სჭირდება ეს?**

— მხოლოდ ერთი ლოგიკური დასკვნის გამოტანა შეიძლება — ქალბატონი თინა ტურძილაძე ალბათ მსხვილ ფარმაცევტულ კომპანიებთან არის შეკრული.

სხვათა შორის, აშშ-დან შემოტანილი მედიკამენტები საავადმყოფოებში უფასოდ უნდა დავარიგო. საქართველოში მოქმედ ფარმაცევტულ კომპანიებს თავიანთი ნაგავი წამალი ჩაუწვებათ და ვერ გაასაღებენ. ამიტომაც თითიდან გამოწოვილ მიზეზს იშველიებს ტურძილაძე, რათა ფარმაცევტული კომპანიების შეკვეთა შეასრულოს. მაგალითად, ახლა მილიონ დოლარად ღირებული საუკეთესო, ძვირად ღირებული ონკოლოგიური პრეპარატებია შემოტანილი. ისინიც უფასოდ უნდა დავარიგო. ინდოეთისა და პაკისტანის საეჭვო პროდუქციის გაყიდვაზე სააგენტო ნებართვას იძლევა, ცნობილი ამერიკული, გერმანული თუ შვეიცარიული ფარმაცევტული ქარხნების პროდუქციას კი ეჭვქვეშ აყენებს. ამერიკიდან შემოტანილ წამლებში ადამიანის სისხლზე დამზადებული ინსულინიც არის. არც ეს აძლევს ხელს სააგენტოს. ღორის სისხლზე დამზადებული უხარისხო და ნაკლებეფექტიანი ინსულინი ხომ უნდა გაასაღონ ფარმაცევტულმა კომპანიებმა?! ამ საქმეში მალე საქართველოში აშშ-ის ელჩი, ბატონი რიჩარდ მაილსიც ჩაერევა — მაგრად დაეჯახება ტურძილაძეს. თეთრი სახლიდან უკვე წერილიც მივიღეთ. ამერიკელები საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ბიუროკრატი თანამშრომლების გამო აღშფოთებას გამოთქვამენ და პროგრამის გაუქმებას აპირებენ.

**— ამ საქმიდან სარგებლობა პირადად თქვენ არ გაქვთ?**

— თორმეტი წელიწადია „ექსთ-ჯორჯიას“ საქართველოში ჰუმანიტარული მედიკამენტები შემოაქვს და უფასოდ არიგებს. გვეგონა, ახლაც ასეთი მიზანი გვქონდა. ვფიქრობდით, სიკეთეს ვაკეთებდით ქართველი ხალხისთვის. სარგებელი კი ის არის, რომ მაღალი ხელფასი მაქვს, ავტომობილი მემსახურება, შვილი და და ამერიკაში ცხოვრობენ და ხვალინდელი დღე გარანტირებული მაქვს. ახლა კი „წამლის სააგენტოს“ გამო შეიძლება თანამდებობა დამატოვებინონ...

ამ და სხვა საკითხებზე მკითხველისთვის უთუოდ საინტერესო იქნებოდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ფარმაკოტერორიზმთან ბრძოლის კავშირის“ პრეზიდენტ **ქეთევან ბარამიძის** თვალსაზრისი, რომელსაც გთავაზობთ კიდეც: „ტერმინი „ფარმაკოტერორიზმი“ პირველად მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ იხმარა. საქართველოს ფარმაცევტულ სფეროში და, საზოგადოდ, წამლის ბაზარზე შექმნილი მდგომარეობა სწორედ ამ სიტყვით — „ფარმაკოტერორიზმით“ შეიძლება დახასიათდეს. წინ დიდი სამუშაო და უამრავი სირთულე გველის. ადრე თუ ფარმაცევტული მაკონტროლებელი უწყებების მუშაობა მხოლოდ წყლის ნაყვა იყო და სხვა არაფერი, ახლა მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ამის დასტურად თუნდაც „ექსთ-ჯორჯიას“ მიერ აშშ-დან ჰუმანიტარული მისიით შემოტანილი მედიკამენტების დაპატიმრება შეიძლება მოვიყვანოთ. „წამლის სააგენტომ“ სწორი და პრინციპული პოზიცია დაიკავა. კარგად ვიცი, რას ნიშნავს „ჰუმანიტარული დახმარება“ მედიკამენტების სფეროში. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციები დსთ-ის ქვეყნების მთავრობებისათვის პირდაპირ მიუთითებს, რომ სწორედ ეს არის ფარმაკოტერორიზმის ხელშემწყობი ერთ-ერთი საშუალება. ჩვენმა ორგანიზაციამ „ექსთ-ჯორჯიის“ ჩამოტანილი მედიკამენტების ნუსხა გამოითხოვა. მაგალითად, ავიღოთ ალერგიის საწინააღმდეგო წამალი „კლარიტინი“. საოცარია, რომ ამერიკიდან ჩამოტანილი ერთი კოლოფი „კლარიტინი“ შეფასებულია 11,92 აშშ დოლარად, როდესაც ანალოგიური პრეპარატი საქართველოს ფარმაცევტულ ბაზაში 4,05 აშშ დოლარად იყიდება. განსხვავება ამერიკიდან ჩამოტანილ „კლარიტინს“ და ბაზაში არსებულს შორის არ არის, აბსოლუტურად იდენტურია. მწარმოებელიც ერთი და იგივე ფარმაცევტული ქარხანაა. ამერიკიდან გამოგზავნილ ყველა დასახელების მედიკამენტებზე ფასი ხელოვნურადაა გაბერილი. 5,5 მილიონ დოლარად შეფასებული დახმარება სინამდვილეში ამ თანხის ნახევარს შეადგენს. საზღვარგარეთის ქვეყნებში, კერძოდ კი, აშშ-ში, ის ბიზნესმენები, რომლებიც ჰუმანიტარულ აქციას განახორციელებენ, გადასახადების გადახდისას დიდი შეღავათებით სარგებლობენ. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოცულობის თანხა დაიხარჯა ჰუმანიტარულ აქციაში. ამერიკული ფარმაცევტული კომპანიების მფლობელებმა გადასახადებისაგან რომ თავი დაიძვრინონ და შეღავათები მიიღონ, ხელოვნურად ზრდიან ჰუმანიტარული ტვირთის ფასს. მეტიც, საქართველოში ძირითადად ვადაგასული მედიკამენტები გამოაგზავნეს. ქველმოქმედებითაც გაიკეთეს „შეღავათი“. მძიმე მდგომარეობაა რეცეპტურის სფეროშიც. ექიმების ერთი ნაწილი გარიგებულია ფარმაცევტულ კომპანიებთან და ხშირად პაციენტებს ისეთ მედიკამენტს უნიშნავენ, რომელიც ავადმყოფობის მკურნალობას ერთი მისხალითაც არ წაადგება.

სხვა საკითხია აფთიაქების მედიკამენტებით მომარაგება. ყველა აფთიაქი თანაბარ პირობებში არ არის ჩაყენებული. თუ ფარმაცევტულ კომპანიას სურს, დაავალებს ბაზას და ამა თუ იმ აფთიაქს წამლებს არ მისცემენ, ან მისცემენ გაცილებით ძვირად. არ შეიძლება დისტრიბუტორ ფარმაცევტულ კომპანიას შემოჰქონდეს საბითუმო ვაჭრობისთვის პროდუქცია და პარალელურად თავის საცალო ქსელში ყიდდეს...

ჩვენ გავესაუბრეთ თბილისის ერთ-ერთი აფთიაქის მეპატრონეს, **ინგა იჩაირთიძეს**: „ხშირად მოდიან ჩვენთან ჰუმანიტარული ორგანიზაციები და იაფად მთავაზობენ მედიკამენტებს. მაგალითად, პრეპარატი „მოტრინი“ საქართველოში მხოლოდ ჰუმანიტარული მისიით არის შემოტანილი, ანუ იგი არ უნდა იყიდებოდეს.

უცხოეთში ქართული ფარმაცევტული კომპანიების შეკვეთით ვადაგასული წამლები გროვდება. მათ ხელმეორედ ფუთავენ, ცვლიან წამლის წარმოების თარიღსა და მოხმარების ვადას. აქაური ფარმაცევტული კომპანიების შეკვეთით უცხოური ფარმაცევტული ქარხნები ისეთ მედიკამენტებსაც ამზადებენ, რომლებშიც მოქმედი ნივთიერება გაცილებით ნაკლებია“(!).

**ერთ-ერთი ფარმაცევტული კომპანიის თანამშრომელი**: „ჩვენს კომპანიას ფალსიფიცირებული წამალი არასოდეს შემოუტანია. დიდი-დიდი, ოდნავ ვადაგასული ჩამოვიტანოთ. ამ წამლებს სამკურნალო ეფექტი მაინც აქვს. ხელმისაწვდომ ფასადაც ვყიდით, რაც საქართველოს გაჭირვებული მოსახლეობისათვის დიდი შეღავათია. არ უარვყოფ, რომ ზოგიერთი კომპანია მართლაც ეწევა ფალსიფიცირებული წამლების შემოტანა-გასაღებას. მათი შემოტანილი ზოგიერთი მედიკამენტი მხოლოდ და მხოლოდ გამხმარი სახამებლის ტაბლეტებია.“

P. S. სად უნდა ვიყიდოთ ისეთი მედიკამენტი, რომელიც ფალსიფიცირებული ან ვადაგასული არ იქნება? სამწუხაროდ, ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხი ჩემი რესპონდენტებისგან ვერ მივიღე. მხოლოდ გვირჩევენ, რომ არ უნდა ვიყიდოთ წამალი არალიცენზირებულ აფთიაქებში და ბაზრობებზე. სასურველია, პროვიზორს მოვთხოვოთ წამლის ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი... თუმცა სერტიფიკატის გაყალბებასაც რა უნდა? ერთი სიტყვით, ჭრელი პეპელასავით ვართ.

***ზვიად ჩაკვეტაძე***

## ვის დაეჯახება ამერიკის ელჩი საქართველოში?!.


გურამ ამირიძე: „რა ჭირს ამ წამლებს ტურძილაძის დასაწუნი?..“

ინდოეთისა და პაკისტანის საეჭვო პროდუქციის გაყიდვაზე სააგენტო ნებართვას იძლევა, ცნობილი ამერიკული, გერმანული თუ შვეიცარიული ფარმაცევტული ქარხნების პროდუქციას კი ეჭვქვეშ აყენებს. ამერიკიდან შემოტანილ წამლებში ადამიანის სისხლზე დამზადებული ინსულინიც არის. არც ეს აძლევს ხელს სააგენტოს. ღორის სისხლზე დამზადებული უხარისხო და ნაკლებეფექტიანი ინსულინი ხომ უნდა გაასაღონ ფარმაცევტულმა კომპანიებმა?! ამ საქმეში მალე საქართველოში აშშ-ის ელჩი, ბატონი რიჩარდ მაილსიც ჩაერევა – მაგრად დაეჯახება ტურძილაძეს.

# „მამალი“ გიჟები და დიპლომიანი „შერეკილები“ ქართულ ფსიქიატრიაში

(დასაწყისი იხ. გვ. 24)

1995 წლიდან არის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. 2001 წლის 1-ელ ივლისს ახმეტის რაიონის სოფელ ალვანში სანადირო თოფით მოკლა ორი კაცი. ექსპერტ-ფსიქიატრების დასკვნით, იგი შეურაცხადია(?!). ანალოგიური მაგალითების მოყვანა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ექსპერტ-ფსიქიატრთა დასკვნა არც ერთი მოსამართლისთვის სავალდებულო არ არის. იმისათვის, რომ გიჟის საბუთი გამოიყენო, მისი ნამდვილობა ჯერ პროკურატურამ უნდა ირწმუნოს, შემდეგ კი მოსამართლემაც დაიჯეროს. ბოლოს და ბოლოს, საეჭვო დიაგნოზის გაზიარება-არგაზიარების საკითხი მოსამართლის პრეროგატივაა. ასე რომ, მძიმე დანაშაულებში ბრალდებულთა გათავისუფლება მხოლოდ ექსპერტ-ფსიქიატრთა დანაშაული ნამდვილად არ არის.

რამდენიმე წლის წინ სამარშრუტო ტაქსის მძღოლმა, რომელსაც უმნიშვნელო შეკამათება მოუვიდა მგზავრთან, სამარშრუტო ტაქსიში მჯდომი თითქმის ყველა მგზავრი იარაღით ამოხოცა(!). მოგვიანებით გაირკვა, რომ სამარშრუტო ტაქსის მძღოლი შეურაცხადი ყოფილა. საინტერესოა, რომ მძღოლს, რომელსაც მართვის მოწმობა, რა თქმა უნდა, ჰქონდა, თავის დროზე ფსიქიატრიული შემოწმებაც ჰქონდა გავლილი.

დღეს „ფსიქოს“ აღება პრობლემა არ არის. ოფიციალური გასამრჯელოს ფასად ნებისმიერი პოლიკლინიკა იძლევა. კანონით „ფსიქოს“ გამცემი კომისია სამი ფსიქიატრისა და სამი ფსიქოლოგისგან უნდა შედგებოდეს. საქართველოში 500-ზე მეტი „კომისია“ ფუნქციონირებს. ქვეყანაში კი სულ 250 ფსიქიატრია. მარტივი არითმეტიკული გამოთვლებითაც კი ცხადია, რომ „ფსიქოს“ გამცემი „კომისია“ უმეტეს შემთხვევაში აბსტრაქტული ცნებაა.

**P.S.** გავრცელებული გამოთქმა, რომ ფსიქიატრი ცოტა გიჟიც უნდა იყოსო, ამ პროფესიის წარმომადგენლებს მოსწონთ კიდეც. „ცოტა გიჟს“ შეცდომების დაშვების უფლებაც აქვს, მაგრამ ისიც უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომ შენი შეცდომებით სხვას არ უნდა ავნო.

***ხათუნა პაიჭაძე***



# საქართველოს ნაკრებს ძლიერი სპეციალისტი ესაჭიროება

**XIV ევროპული ჩემპიონატის დაწყების წინ, საკალათბურთო კლუბი „დინამო“ მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა — ხორვატმა დრაჟენ ბრაიკოვიჩმა კლუბთან გაფორმებული კონტრაქტი შეწყვიტა. „დინამოს“ პრესცენტრის ინფორმაციით, ეს ორმხრივი გადაწყვეტილება ყოფილა. ფინანსური პრობლემების გამო, თბილისური კლუბი იძულებული გახდა შემადგენლობა მთლიანად ახალგაზრდა მოთამაშეებით დაეკომპლექტებინა, თანაც, „დინამოს“ ამ სეზონში არც საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობის პერსპექტივა აქვს. ასეთია ოფიციალური ვერსია, თუმცა, კლუბიდან წასვლიდან რამდენიმე დღეში, ბრაიკოვიჩმა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიც ვაკანტური დატოვა. ამ ფაქტმა უამრავი შეკითხვა და ვერსია წარმოშვა, ყველაზე კომპეტენტური კი, ბუნებრივია, კალათბურთის ფედერაციის პოზიცია გახლავთ. რატომ აღარ არის დრაჟენ ბრაიკოვიჩი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი? — ამ კითხვით საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტს — ზვიად ლიპარტელიანს მივმართეთ.**

— როგორც იცით, „დინამოს“ და ჩვენ საერთო სპონსორი გვყავდა, რომელმაც უარი განაცხადა დაფინანსების გაგრძელებაზე. ბრაიკოვიჩი და სპონსორი ვერ შეთანხმდნენ და მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება 2005 წლამდე იყო გაფორმებული, კონტაქტი შეწყდა. ავტომატურად, ბათილად იქნა ცნობილი ნაკრებთან კონტაქტიც და ხორვატი სპეციალისტი ორივე პოსტს დაემშვიდობა.



რუსებთან სათამაშოდ მთელი გუნდი ისე გავიდა, თითქოს ომი ჰქონდათ მოსაგები...

კმაყოფილი ვართ თუ არა მისი მუშაობით, ეს სხვა საკითხია, ფაქტი კი ისაა, რომ ამჟამად, ნაკრები უმწვრთნელოდ არის დარჩენილი და სპონსორიც საძებნელი გვყავს. წინა წლების მსგავს სიტუაციაში აღმოვჩნდით — მიუხედავად იმისა, რომ დრო საკმაოა, ყველაფრის ნულიდან დაწყება გვიხდება.

**— სპონსორის საკითხი უმნიშვნელოვანესია, თუმცა, უფრო საჩქარო, კვალიფიციური სპეციალისტის მოძებნაა...**

— ეს არცთუ იოლი საქმე გახლავთ. თითქმის ყველა კვალიფიციური მწვრთნელი დასაქმებულია და ძლიერ კლუბში მოღვაწეობს. თანაც, საქართველოს ნაკრები სამივე მატჩს სექტემბერში მართავს, იმ დროს, როდესაც ყველა კლუბი მოსამზადებელ ეტაპს გადის და ახალი სეზონისათვის ემზადება. არც ერთი გუნდი არ დათანხმდება, ასეთ საჭირო დროს მწვრთნელი ნაკრებში გამოუშვას და ეს პრობლემას კიდევ უფრო ამძიმებს. ისეთი და მასზე უარესი მწვრთნელის ჩამოყვანას კი, როგორიც გვყავდა, ბუნებრივია, აზრი არ აქვს.

**— გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი უთუოდ უცხოელი იქნება?**

— დიახ. მიუხედავად იმისა, რომ ურიგო სპეციალისტები არ გვყავს, ქართველ და უცხოელ სპეციალისტებს შორის, დაახლოებით ისეთივე სხვაობაა, როგორიც საზღვარგარეთის საკალათბურთო ლიგებში მოთამაშე ქართველებსა და ჩვენი პირველობის მონაწილე კალათბურთელებს შორის...

**— კონკრეტული წინადადებით ხომ არ მიგიმართავთ რომელიმე კანდიდატისათვის?**

— აღნიშნული პრობლემის წინაშე სულ რაღაც ერთი კვირაა დავდექით და დრო, ფაქტობრივად, არც გვქონია. უახლოეს დღეებში სერიოზულად დავიწყებთ მუშაობას, თუმცა, ასეთი საკითხები ერთ და ორ დღეში არ წყდება. ვფიქრობ, იანვრის ბოლოსათვის ყველაფერი გარკვეული იქნება. ფედერაციის სურვილია, ამ დროისათვის ნაკრების ყველა მოთამაშეს გააცნოს გუნდის ახალი თავკაცი და ნაკრების სამომავლო გეგმები. მწვრთნელი აუცილებლად უნდა „გაეცნოს“ ქართულ მენტალიტეტს, უკლებლივ ყველა მოთამაშის შესაძლებლობებს, შეისწავლოს ჩვენ მიერ აქამდე განვლილი გზა და მხოლოდ ამის შემდეგ მოახერხებს სწორი ტაქტიკის არჩევას.

რაც შეეხება კონტრაქტის ხანგრძლივობას, ამაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. თუ სპონსორი ვიშოვეთ და ჩვენთვის სასურველი სპეციალისტიც დავითანხმეთ, შესაძლოა, 2-3 წლიანი ხელშეკრულება გავუფორმოთ. შეიძლება, 2 თვით ჩამოვიყვანოთ ვინმე და ჯგუფიდან გასვლის შემთხვევაში, მანვე გააგრძელოს მუშაობა.

**— ლაპარაკი იყო ამჟამად რუსეთში მოღვაწე პაველ გოოგეს კანდიდატურაზე...**

— რატომღაც, პრესაში დიდი აჟიოტაჟია ატეხილი გოოგეს გარშემო. მინდა დაგარწმუნოთ, რომ მისი კანდიდატურა არ განიხილება. ჯერ კიდევ ბრაიკოვიჩის დანიშვნამდე მქონდა მასთან საუბარი და ვიცი, რომ ჰქონდა საქართველოს ნაკრებში მუშაობის სურვილი. ამ სპეციალისტის კვალიფიკაციაში არანაირი ეჭვი არ შემაქვს, მაგრამ არ მინდა ჩვენი ქვეყნის ნაკრები იმ ადამიანს ჩავაბარო, რომელიც უკანასკნელი წლებია, მეორე — მესამე მწვრთნელად მუშაობს. ჩვენ გვჭირდება, მწვრთნელი, რომელსაც თამაშის „წაყვანა“ ეცოდინება, სწორ ტაქტიკას აირჩევს და თითოეულ მატჩისწინა შეკრებაზე გუნდს შესაბამისად განაწყობს.

**— დრაჟენ ბრაიკოვიჩის მიერ გაწეულ სამუშაოს როგორ შეაფასებდით?**

— საქართველოს ჩემპიონატში მე მას განსაკუთრებული ვერაფერი შევამჩნიე. თუმცა, ჩვენი პირველობის დონე ისეთია, ძნელია დასკვნების გამოტანა და ვფიქრობდი, რომ საერთაშორისო მატჩები გამოაჩენდა ხორვატი მწვრთნელის რეალურ შესაძლებლობას. მართლაც, იტალიის ტურნირზე სრულიად სხვა ბრაიკოვიჩი ვნახე და საქართველოში დაბრუნების შემდეგ განსხვავებული.

**— რას გულისხმობთ?**

— შესაძლოა, ეს იმის ბრალია, რომ იტალიაში ყოფნისას ყველა „ერთად“ იყო. ერთი კვირის განმავლობაში მუდმივად მიმდინარეობდა საუბრები, ურთიერთობა, ტაქტიკის გარჩევა. რუსებთან სათამაშოდ მთელი გუნდი ისეთი განწყობით გავიდა, თითქოს ომი ჰქონდათ მოსაგები და მოიგეს კიდეც. კმაყოფილი ვიყავი მწვრთნელის მუშაობით, რომელმაც გუნდის შეკვრა მოახერხა, მაგრამ თბილისში სიტუაცია შეიცვალა. შესაძლოა, ბრაიკოვიჩმა სამშობლოში ჩასული მოთამაშეების საკმარისად იზოლირება ვერ შეძლო სხვადასხვა გარეშე ფაქტორებისაგან, საკუთარი გულშემატკივრის წინაშე თამაშის პასუხისმგებლობამაც იმოქმედა, მაგრამ სამწუხაროდ, მაკედონიასთან უპატიებელი ტაქტიკური შეცდომებიც საკმაოდ დავუშვით. ის მატჩი მაკედონიას არ მოუგია, ჩვენ წავაგეთ. გარდა ამისა, თითოეულ მოთამაშეს აქვს ამბიცია და მწვრთნელმა ამ ყოველივეს დარეგულირება უნდა შეძლოს...

**— ამგვარად, სპონსორის უარი რომ არა, ბრაიკოვიჩი მაინც დაკარგავდა სამსახურს?**

— ალბათ, რადგან აქ საუბარია ქვეყნის უპირველეს გუნდზე — ეროვნულ ნაკრებზე და არც შეცდომის აღიარებაა სირცხვილი, სანამ გვიან არ არის. დარწმუნებული ვარ, თუ საქართველოს ნაკრებს ძლიერი სპეციალისტი ჩაუდგება სათავეში, რომელსაც თამაშის „წაყვანა“ შეეძლება, ფინეთსაც დავამარცხებთ სტუმრად და მაკედონიასაც მოვუგებთ ხუთ ქულაზე მეტი სხვაობით...

# „გრანდების შიშის“ სინდრომი...

## „კაჭკაჭებამდე“ შორია...



ვფიქრობ, ის „ვესტ ჰემი“, ჩვენ რომ ვეთამაშეთ, უფრო ძლიერი იყო

ჯგუფური ეტაპის მეორე ხუთშაბათიც მწარე გამოდგა უეფას თასზე მოთამაშე ქართული კლუბისათვის. თბილისის „დინამომ“ ისევ 0:2 წააგო და გულის მოსაოხებლად ის თუ გამოგვადგება, რომ ჩვენებურთა „სასაკლაო“ შირერ-კლიუვერტიანი „სენტ ჯეიმს პარკი“ გახლდათ.

„დინამომ“ წააგო თამაში, რომელიც დაწყებამდე კარგა ხნით ადრე ჰქონდა წაგებული და რომელსაც ნებისმიერ სხვა სტადიონზეც წააგებდა. სამწუხაროდ, დღევანდელ „ნიუკასლსა“ და „დინამოს“ შორის ზუსტად ისეთი განსხვავებაა, როგორიც მატჩმა გვიჩვენა.

ინგლისურმა კლუბმა ისე ითამაშა, როგორც სურდა, და „უფასო“ საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარა ახალგაზრდა „დინამოელებს“.



„ნიუკასლს“ რომ მოენდომებინა, კატასტროფული ანგარიშით დაგვამარცხებდა

ჩვენმა მცველებმა ვერაფერი მოუხერხეს მათ შორის თავისუფლად „მონავარდე“ ბელამის და ვერც პასების „ჩამორიგებაზე“ გადასულ პატრიკ კლიუვერტს შეუშალეს ხელი. შირერი კი... ალან შირერი ცალკე საუბრის თემაა და ჩვენს ფეხბურთელებს, განსაკუთრებით კი მამალაძეს, მის უზადო ოსტატობასთან ერთად, „კაჭკაჭთა“ თავდამსხმელის ირონიული ღიმილიც საკმაოდ დიდხანს ემახსოვრებათ.

„დინამოელებმა“ მხოლოდ რამდენჯერმე „შეუფართხალეს“ გული ტელეეკრანთან მჯდომ საკუთარ თანამემამულეებს, გააზრებული, სამსვლიანი კომბინაციის შესრულება კი მხოლოდ ერთხელ მოახერხეს. ეს მაშინ, როდესაც ინგლისელთა თითქმის ყველა შეტევა საგოლე იყო.

„დინამომ“ ისე ითამაშა, როგორც შეეძლო. თბილისელებისათვის არავის მოუთხოვია „ნიუკასლის“ სტუმრად დამარცხება, ასეთი რამ, დღეს ფანტასტიკის სფეროს თუ განეკუთვნება, მაგრამ ასეთი მატჩები მართლაც გაკვეთილად უნდა გვექცეს და არც ის დავივიწყოთ, რომ მუხლაკანკალებულ, ბურთის მოშორებაზე მოფიქრალ ფეხბურთელს არც დაცვაში გამოუვა რამე და — მით უფრო შეტევაში. ევროპული ფეხბურთის ამ ერთ-ერთ გამორჩეულ გუნდთან მარცხისაგან ტრაგედიას მხოლოდ იმ შემთხვევაში არავინ შექმნის, თუ დავინახავთ, რომ „გაკვეთილი“ სწორადაა გათავისებული...

„ნიუკასლი“ — „დინამოს“ მატჩის შემდეგ, კომენტარი ვთხოვეთ ვეტერან ფეხბურთელებს, **ოთარ გაბელიას** და **მანუჩარ მაჩაიძეს.**

**— ბატონო ოთარ, უპირველესად, „დინამოელთა“ მეკარის — ზურაბ მამალაძის თამაშის შეფასებას გთხოვთ.**

— მიუხედავად იმისა, რომ „ნიუკასლი“ ევროპული ფეხბურთის გრანდებს არ განეკუთვნება, ინგლისის ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივია. ასე რომ, გასაკვირი არაა, ახალგაზრდა „დინამოელებს“ და მათ შორის მამალაძესაც ნერვიულობა რომ ეტყობოდათ. „დინამოს“ მეკარემ რამდენიმე შეცდომა დაუშვა. მეორე გოლისას ბურთი უხერხულად მოიგერია, ვერც მცველებმა ივარგეს და... თუმცა, მთლიანობაში, „საშინელი“ შეცდომები არ მოსვლია.

**— თბილისური კლუბის სხვა რგოლებზე რას იტყვით?**

—„დინამოსთან“ მატჩამდე, ინგლისურმა კლუბმა საკუთარ ჩემპიონატში უმძიმესი შეხვედრა ჩაატარა, ამიტომ, ვფიქრობდი, რომ ინგლისელები „თავს არ მოიკლავდნენ“ ჩვენს წინაალმდეგ და საბოლოოდ, ასეც მოხდა. ორბურთიანი ფორით დაწინაურების შემდეგ, გუნდმა მშვიდად მიიყვანა გამარჯვებამდე საქმე. „ნიუკასლს“ მოგება სჭირდებოდა და მოიგო კიდეც, ანგარიშს კი მათთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. რაც შეეხება „დინამოს“, ახალგაზრდა მოთამაშეებისათვის ასეთ მეტოქესთან თითოეულ მატჩს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რაც შეეძლოთ იბრძოლეს, თავს ზევით კი ძალა არ არის და ეს გაკვეთილი მომავალში დიდად წაადგებათ.

**— თქვენ ინგლისური კლუბები დამარცხებული გყავთ. „ლივერპულზე“ არაფერს ვიტყვით. თქვენი დროის „ვესტ ჰემისა“ და ამ „ნიუკასლის“ შედარება თუ შეიძლება?**

— ვფიქრობ, ის „ვესტ ჰემი“, ჩვენ რომ ვეთამაშეთ, უფრო ძლიერი იყო. ბრუკინგის გარდა, იმ გუნდში „ჩელსის“ მოთამაშის — ფრენკ ლამპარდის მამაც გამოდიოდა. შესაძლოა, შირერის დარი ფორვარდი არ ჰყავდათ, მაგრამ მთლიანობაში, ჩემი აზრით, ის „ვესტ ჰემი“ სჯობდა — ყველა რგოლში თანაბრად დაკომპლექტებული, ძლიერი გუნდი ჰყავდათ.

**— ისევ „ნიუკასლთან“ მატჩს დავუბრუნდეთ. რიგ ეპიზოდებში, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ „დინამოელები“ ერთგვარი შიშით თამაშობდნენ...**

— შესაძლოა, ასეც იყო. ზოგიერთ მათგანს კი შევამჩნიე, რომ ეფექტურად, სხვა კლუბების „მზვერავთათვის“ მოსაწონებლად თამაშს ცდილობდნენ, ეს კი, უმეტესად, უკუშედეგს იძლეოდა. ამას დიდი ანგარიშით დამარცხების შიშიც ერთვოდა და საბოლოოდ, გარკვეული პრობლემებიც შეექმნათ. ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ახლავე უნდა მოიშორონ „გრანდების შიშის“ სინდრომი, არაერთმა მატჩმა დაგვარწმუნა, რომ თამაში ყველასთან შეიძლება...



„ნიუკასლმა“ უფასო გაკვეთილი ჩაგვიტარა

მანუჩარ მაჩაიძე:

— ჩემი აზრით, „დინამომ“ სამარცხვინოდ წააგო. შეიძლება, სამ, ოთხბურთიანი სხვაობით დამარცხდე, მაგრამ მოედანზე რაღაც გამოგივიდეს, ჩვენს ფეხბურთელებს კი ეტყობოდათ, რომ მოუმზადებლები არიან. საქართველოში ფეხბურთი მოკვდა, რადგან ახალგაზრდები თავიდანვე არასწორად იზრდებიან. ვარჯიშებზე, ცხოვრების წესზე, საფეხბურთო განათლებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. ჩვენი მოთამაშეები კი დიდ ფეხბურთში მოუმზადებლები დგამენ ფეხს...

„ნიუკასლს“ რომ მოენდომებინა, კატასტროფული ანგარიშით დაგვამარცხებდა. უამრავ ტაქტიკურ შეცდომასთან ერთად, ტექნიკასა და სისწრაფეშიც დაგვჯაბნეს. უცხოელი და ქართველი ფეხბურთელების ფეხის მოძრაობის შედარებითაც კი შეიძლება დასკვნების გამოტანა — ჩვენები ფეხით ისე „მუშაობენ“, თითქოს ორფუთიანი გირები ჰქონდეთ ჩამოკიდებული, პროფესიონალი ფეხბურთელი კი ფეხს „წკეპლასავით“ უნდა ხმარობდეს. ეს არის „თანამედროვე“ ქართული ფეხბურთი? მრცხვენია, როდესაც თბილისის „დინამოს“ სახელით ნაჩვენებ ასეთ "თამაშს" ვუყურებ...

# თასი ყოველწლიურად აივსება



ქართულ სამბოში სიახლე მკვიდრდება — ამიერიდან, თბილისის სპორტის სასახლე ყოველწლიურად უმასპინძლებს საქართველოს თასის გათამაშებას. თასი გარდამავალი იქნება მანამ, ვიდრე რომელიმე ნაკრები სამჯერ არ მოიპოვებს და 10 ათას ლართან ერთად, სამუდამო მფლობელობაში არ „დაიბევებს“.

ხუთშაბათს ჩატარებულმა პირველმა ტურნირმა საკმაოდ მასშტაბურად და ლამაზად კი ჩაიარა, მაგრამ ასევე ჩამთავრება აღარ „დასცალდა“ და ფინალური დაპირისპირება ჩხუბისა და აყალმაყალის აკომპანიმენტით დასრულდა.

ტურნირში თექვსმეტმა ნაკრებმა მიიღო მონაწილეობა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოდან. გუნდები ორ ჯგუფში განაწილდნენ და გამარჯვებულმა ოქროს, მეორეადგილოსნებმა კი ბრინჯაოს მედლები გაათამაშეს.

ფინალში ერთმანეთის პირისპირ თბილისის პირველი ნაკრები და მცხეთის გუნდი აღმოჩნდნენ. სიტუაცია მაშინ დაიძაბა, როცა მსაჯის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მცხეთელები მწვრთნელიან-სამბისტებიანად მიეჭრნენ არბიტრს და „საქმის გარჩევა“ დაუწყეს, რასაც მასშტაბური არეულობა მოჰყვა. საქმე მცხეთელთა გუნდის შეჯიბრებიდან მოხსნამდეც კი მივიდა, და თუმცა, ეს გადაწყვეტილება საბოლოოდ არ მიიღეს, მცხეთელებმა თავად აღარ მოისურვეს შეხვედრის გაგრძელება და ავტომატურად, საქართველოს თასის პირველი გამარჯვებული თბილისის პირველი ნაკრები გახდა.

ჩემპიონს, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში დამზადებულ ლამაზ თასთან ერთად, ფულადი ჯილდო — 3 ათასი ლარიც გადაეცა. 2 ათასის მფლობელები გახდნენ მცხეთელები, ბრინჯაო და ათასი ლარი კი საგარეჯოს გუნდმა წაიღო. დაწესებული იყო რამდენიმე სახელობითი პრიზიც. აკაკი ოქროპირიძის სახელობის ჯილდო არჩილ ჩოხელს გადაეცა, ვანო გამხიტაშვილის სახელობის — მინდია ბოდაველს, ბესო ქუთათელაძის პრიზი მირიან პავლიაშვილს ერგო წილად, მიხეილ აბაშიძის — ავთანდილ ცინცაძეს. ტურნირის ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ კი დავით სვიმონიშვილი აღიარეს.

**გვერდი მოამზადა რატი შელეგიამ**

## №44 (422) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

№44 რეიტინგის კითხვას — **„პრეზიდენტის რომელი წარმომადგენელი/სამხარეო რწმუნებული იმსახურებს მიხეილ სააკაშვილის კეთილ-განწყობას?“** — 549 რესპონდენტი გამოეხმაურა. 6 ბარათი არასწორად იყო შევსებული. კონკურსში 200 ქალისა და 343 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათი მონაწილეობდა.

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, პრეზიდენტი სააკაშვილი ყველაზე მეტად ლევან ვარშალომიძის მიმართაა კეთილგანწყობილი — ეს არც ისე მოულოდნელი იყო, რადგანაც სააკაშვილმა ახალგაზრდა კადრის მიმართ კარგი განწყობა ღიად ორჯერ დააფიქსირა: ერთხელ — როცა რკინიგზის დეპარტამენტი, ხოლო მეორედ — როცა აჭარა ჩააბარა.

**6,58** საშუალო ქულით ლევან ვარშალომიძე პირველ ადგილზეა. მაქსიმალური ქულა მას რესპონდენტთა 50%-მა მიაკუთვნა.

შემდეგ ადგილზე პრეზიდენტისგან ასევე ორგზის „დაფასებული“ გიგი უგულავაა, რომელსაც მკითხველთა 16%-მა მისცა მაქსიმალური შეფასება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მცირე რაოდენობის მინიმალური ქულა სწორედ მას ხვდა წილად — მხოლოდ შვიდმა მკითხველმა (1,3%) მიაკუთვნა მას 1 ქულა. საშუალო ქულაა 5,91.

მიხეილ ქარელის მიმართ პრეზიდენტის კეთილგანწყობა რეიტინგში 5,45 საშუალო ქულით გამოიხატა.

ჩვენი მკითხველების აზრით, აქ ჩამოთვლილ პერსონათა შორის, მიხეილ სააკაშვილი არცთუ დიდი სიმპათიითაა განწყობილი სოსო მაზმიშვილისა და გოგა ხაჩიძის მიმართ. ყველაზე მეტი რაოდენობის მინიმალური ქულით ლევან მამალაძის „ცვლა“ — მაზმიშვილი შეფასდა. მკითხველთა 38%-მა დაუწერა მას მინიმალური 1 ქულა. მაქსიმალურ ქულათა სიმცირით კი პოლიტიკაში შოუბიზნესიდან მოსული სამხარეო რწმუნებული გამოირჩევა — რესპონდენტთა მხოლოდ 0,6%-მა მიაკუთვნა მას მაქსიმალური ქულა.




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 20 წლის **ლევან ძაგნიძე** და 46 წლის **ბეჟან გაბედავა.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 10 ნოემბერს, 17 საათზე.

## №45 (423) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის რეიტინგსა და **«მკითხველის პრემიაში».**

**№45 (423) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 10 ნოემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 11 ნოემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

**ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.**

თემა №45(423) — სიმპათიური მსახიობი

**თქვენი აზრით, მსოფლიო კინოს ისტორიაში ვინ არის ყველაზე სიმპათიური მამაკაცი** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

| №45(423) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი | | |
|---|---|---|
| № | | ქულა |
| 1 | გრეგორი პეკი | |
| 2 | ალენ დელონი | |
| 3 | მარჩელო მასტროიანი | |
| 4 | რობერტ დე ნირო | |
| 5 | ბრედ პიტი | |
| 6 | შონ კონერი | |
| 7 | ბენ აფლეკი | |
| 8 | მარლონ ბრანდო | |
| 9 | ლეონარდო დი კაპრიო | |

### მკითხველის რეიტინგი

**დაასახელეთ სამი ყველაზე ჭკვიანი, გამჭრიახი და მოხერხებული ქართველი პოლიტიკოსი**

1. ______________________
2. ______________________
3. ______________________

### მკითხველის პრემია

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ______________________

______________________
თქვენი სახელი, გვარი

______________________
ქალაქი (რაიონი)

ასაკი ______ ტელეფონი ______

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებითი კითხვასა და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

### დამატებითი კითხვის შედეგები

**„ვარდების რევოლუციის“ წლისთავზე მთავრობა მოსახლეობის წინაშე ანგარიშით წარდგება. თქვენ როგორ შეაფასებდით ხელისუფლების ერთი წლის მუშაობას?**




1. დადებითად
2. უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად
3. უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად
4. უარყოფითად
5. მიჭირს პასუხის გაცემა

*დამატებით კითხვას 482-მა რესპონდენტმა უპასუხა*

## ფოტოანტიკვარი © ფოტოანტიკვარი



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

______________________

— ბავშვობაში მეც დათა თუთაშხიასავით ვიჯექი ცხენზე!..






ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი



კახა ბენდუქიძე, 5 წლის

## ფოტო გაზეთისათვის



— ჩემიაო, ჩემიაო რომ გაიძახი, ჩვენც შენი ძმები არა ვართ?..

SAKAVIASERVICE
GEORGIAN AIRLINES
საქავიასერვისი
პირდაპირი ავიარეისები
თბილისი-სალონიკი-თბილისი
TBILISI-SALONIKI-TBILISI



თბილისი
SAKAVIASERVICE
GEORGIAN AIRLINES
TEL: (995 32) 99 02 37; 98 30 59
FAX: (995 32) 921 831
4 MACHABELI STR.

სალონიკი
NORBIS
ტელ: (2310) 287 721
(6978) 990 130
ფაქსი: (2310) 287 764
MAKEDONIKIS AMINIS 7



**თარაზულად:** 1. სასანთლე; 4. პროტესტანტების მღვდელი; 6. წყალბადის შემცველი ქიმიური ნაერთი, რომელიც წყალში გახსნილი მჟავე გემოსია; 7. ძველი საბერძნეთი; 8. მწერის განვითარების ბოლო სტადია; 9. იგივეა, რაც კოპიტი; 10. ოსტატ-ხელოსანთა გაერთიანება; 13. ბუჩქოვანი ან ბალახოვანი მცენარეების წვრილ წვნიან ნაყოფთა საერთო სახელწოდება; 16. ზღვის დონიდან მაღლა მდებარე ვაკე ადგილი, რომელიც ფერდობებით უერთდება დაბლობს; 18. მამლების ჩხუბი; 19. ძვირფასთვლიანი გვირგვინი; 20. ლენინის მიერ დაარსებული გაზეთი; 22. სინარნარე, მოხდენილობა მიხრა-მოხრაში; 23. საეკლესიო კრება; 25. ბათუმის საკალათბურთო გუნდი; 27. ნაყინშერეული რძიანი ყავა; 28. ციმბირის ტყეები; 29. გადამდნარი ღორის ქონი; 30. საკურთხევლის წინ ამაღლებული ადგილი ეკლესიაში, საიდანაც ლოცვებს კითხულობენ; 31. წერილობითი ან ზეპირი განკარგულება ქონების შესახებ, რომელიც უნდა გადაეცეს სიკვდილის შემდეგ.

**შვეულად:** 1. სახელმწიფო ევროპაში; 2. გონებასუსტი ადამიანი; 3. მცენარე, რომლისგანაც ვალერიანის წვეთებს ამზადებენ; 4. მზის ქოლგა; 5. ინკუბატორში კვერცხებიდან წიწილების გამოჩეკა; 11. წვიმისგან დასაცავი ხელში დასაჭერი მოწყობილობა; 12. კამბოჯის ფულის ერთეული; 14. მინანქარი; 15. იტალიის ფეხბურთის გუნდი; 16. წილი; 17. სახოტბო ლექსი; 21. კინომსახიობის დუბლიორი, რომელიც რთულ ტრიუკებს ასრულებს; 22. ტალღისებური ნაკეცების გაკეთება ქსოვილზე; 24. ორგანიზმის შეუვალობა დასნებოვნების მიმართ; 25. პატარა მუსიკალური პიესა ფორტეპიანოსთვის, ეს ჟანრი შექმნა ბეთჰოვენმა; 26. ქირურგიული ჩარევა ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ.

შეადგინა ვანო კაჭახიძე

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ვისოცკი; 4. კლიენტი; 6. ნაინა; 7. ერერა; 8. ქსაძე; 9. იზიდა; 10. ალანია; 13. ატლასი; 16. გვარი; 18. დიოგენე; 19. ლაინერი; 20. არაყი; 22. სტატია; 23. ვასაბი; 25. ლიფტი; 27. ბოთლი; 28. ლიანა; 29. რუკი; 30. იმერეთი; 31. აგრესია.

**შვეულად:** 1. ვიქტორია; 2. ინტერესი; 3. კინემატიკა; 4. კარაველა; 5. ინსტიტუტი; 11. აგორა; 12. იმედი; 14. ტაიგა; 15. ამება; 16. გეა; 17. ილი; 21. ამფითეატრი; 22. სარკოფაგი; 24. ინდონეზია; 25. ლაბილური; 26. იმიტაცია

13/XI
ახალი მთვარე



## პელტროუს მოჩვენებები შეაწუხებენ?!



ამერიკელმა ვარსკვლავმა გვინეტ პელტროუმ და მისმა მეუღლემ, ბრიტანელმა მუსიკოსმა კრის მარტინმა ქეით უინსლეტისა და სემ მენდესისგან რამდენიმე კვირის წინ 5,7 მლნ დოლარად დიდებული სახლი იყიდეს. გვინეტმა სახლის თავისი გემოვნებით გადაკეთება დაიწყო, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს კარის მეზობელმა საიდუმლოდ გაანდო, — შენს სახლში პარანორმალური მოვლენები ხდება. ამიტომ შეშინებული ძველი მეპატრონეები სახლს სასწრაფოდ იშორებდნენ თავიდან. თქვენმა მეგობრებმაც იმიტომ იჩქარეს მისი გაყიდვა, რომ ბნელი ძალების სიახლოვე იგრძნეს. ეს სახლი დაწყევლილია და უმჯობესია გაყიდოთო...

პელტროუს და მის მეუღლეს აინუნშიაც არ ჩაუგდიათ ეს ამბავი, პირიქით, ძალიან გამხიარულდნენ. განსაკუთრებით კრისი დარჩა აღფრთოვანებული. ის, როგორც ყოველი ჭეშმარიტი ბრიტანელი, გიჟდება მოჩვენებებით სავსე სახლებზე და ახლა სიხარულისგან მეცხრე ცაზეა. რაც შეეხება გვინეტს, მას არ სჯერა მოჩვენებების და მეზობლის ნაამბობმა მხოლოდ გულიანად აცინა...

ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## 45 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________
______________________
______________________
______________________
______________________
______________________
______________________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ:სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)
გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№45 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 11 ნოემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

**„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთ. რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები
ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
news@kvirispalitra.com
www.kvirispalitra.ge
სარეგისტრაციო ნომერი © 1518
„კვირის პალიტრა“
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა „კოლორში“.